

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Д. Л. Коридзе

# К истории колхской культуры

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ 1965

დოქტორი ქორიძე

# კოლხური კულტურის ისტორიისათვის

9 (c 41)

006 (47. 922) + (9 395 + 47. 922)

j 666

## წ ი ნ ა ნ ი ტ ე გ ა ო ბ ა

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის ერთ-ერთ ფრიალ საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს გვიანი ბრინჯაოს პერიოდი. აღრეული და განვითარებული რკინის ხანა. ამ დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი.

აღნიშნული კულტურის შესწავლას სერიოზული ყურადღება დაახლოებით ამ საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მიექცა. გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი და მიმდინარე საუკუნის ოთხი-ხუთი წელი ძირითადად ნივთების დაგროვებით ხასიათდებოდა; მაგრამ ამ პერიოდში (უფრო აღრეულ წლებში) შემთხვევით აღმოჩენილი ნივთიერი ძეგლების დიდი ნაწილი თითქმის უკვალოდ გამქალა და მათ შესახებ მხოლოდ მოკლე, ზოგჯერ თითქმის არაფრისმთქმელი ცნობებია შემონახული მაშინდელი გაზეთების ფურცლებზე. კოლხეთის ტერიტორიაზე რევოლუციამდე აღმოჩენილი განძების ერთი ნაწილი ერთი-ორსა და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული; ცალკეული ნივთები ან ნივთების ჯგუფი, ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა მუზეუმშიაც მოხვედრილა. მაგრამ, დამახასიათებელია, რომ იმ დროს პირველ რიგში ყურადღება ექცეოდა და გროვდებოდა მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლები. საკმარისია გავისხვინოთ 1890 წ. ს. ჭუბურჩინჯში აღმოჩენილი შესანიშნავი განძის ბედი; დიდი ნაწილი ამ განძისა, რომელიც ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ზოდებისა და სხვა მრავალრცხობიანი ნივთებისაგან შედგებოდა, გაქრა და დიკარვა იმის გამო, რომ საიმპერატორო ერთიჯამე ისინი არ მიიღო და უკან დააბრუნა, როგორც არქეოლოგიურ მნიშვნელობას სრულიად მოკლებული. ერთიჯამე მოხვედრილია მხოლოდ ოქროს ორი საყურე და აგრაფი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე, ჩრდილო ოსეთის სოფელში, ყობანში, შემთხვევით მოხდა უდიდესი აღმოჩე-

ნა—მიკვლევულ იქნა საინტერესო სამაროვანი, რომელმაც როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოელ არქეოლოგების დიდი ყურადღება მიიქცია. აქ რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა მრავალრიცხოვანი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის—შესანიშნავი ზელობის სხვადასხვა სახეობის ცულები; აღმოჩენის ადგილის მიხედვით მათ „ყობანური ცულები“ ეწოდა. ამიტომ იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ ამგვარ ცულებს „ყობანურს“ უწოდებდნენ.

მიმდინარე საუკუნის ოციანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოს მუზეუმსა და ახლად შექმნილ სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში, შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად თანდათან მატულობს არქეოლოგიური მასალები დასავლეთ საქართველოდან. დიდი რაოდენობით გროვდება ცულები და სხვა მასალები სოხუმისა და მესტიის, ბათუმისა და ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა მუზეუმებში; აღარას ვამბობთ საქართველოს ს.ხ. მუზეუმზე. სადაც ათობით ასეთი ცული ინახებოდა. ამ პერიოდისათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტიპოლოგიურად ყობანურის მსგავსი ცულების რაოდენობამ დიდად გადაჭარბა თვით ყობანში მოპოვებული ცულების რიცხს. ამან უკვე 30-იან წლებში დააყენა მკვლევართა წინაშე საკითხი, გადაისჩინათ აღრე დამკვიდრებული შეხედულება „ყობანური“ კულტურის კავკასიაში საყოველთაო გავრცელების შესახებ. 1930-იან წლებში ი. ივამუნიკომ პირველმა გაამახვილა მკვლევართა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ღვხაზეთისა და სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთიერი ძეგლები, რომლებიც მსგავსია ყობანური კულტურის შესატყვისი მასალებისა, რიცხობრივად აღემატება ყობანში აღმოჩენილ ძეგლებს; ამიტომ იგი აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ ამ კულტურის წარმოშობის ცენტრად კოლხეთი ყოფილიყო მიჩნეული.



1935 წელს გამოქვეყნდა ა. იესენის შესანიშნავი ნაშრომი «К вопросу о древнейшей металлургии Азии и Кавказа», რომელიც, შეიძლება ითქვას ახალ ეტაპს წარმოადგენდა კავკასიის ბრინჯაოს მეტალურგიისა და კულტურის შესწავლის საქმეში. კოლხური კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით ამ ნაშრომის მთავარი ღირსება იმაშია, რომ მასში თავმოყრილი და გააზრებულია აქვად კანძი, რომლებიც აღმოჩენილი იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალწლის განმავლობაში; წარმოდგენილია ცნობები იმ განძების შესახებაც, რომელთა აღმოჩენის ვითარებაზე მოკლე საგაზეთო ცნობები იყო შემორჩენილი, მაგრამ ფიზიკურად ისინი უკვე აღარ არსებობდნენ; მახლოვებით განსაზღვრულია ამ განძების ქრონოლოგიური სკალა (ეს განძები თითქმის ყველა მისი ქრონოლოგიური სკეშმის III ეტაპშია მოქცეული) და გამოტანილია დასკვნა, რომ ამ მეტალები ეტაპზე დასავლეთ კავკასიის უკვე იწამყვანი ადგილი კავკასიის მეტალურგიაში.

ნაშრომში ხახვამულია ის გარემოება, რომ დასავლეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის გვხვდება ნივთების ორი ჯგუფი: ერთი საკუთრივ დასავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელი, ხოლო მეორე აგრეთვე ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელი.

მრავალრიცხოვანმა განძებმა, ე. ი. მეტალურგიული წარმოების უტყუარმა საბუთებმა და სხვა სახისათვის ნივთიერი ძეგლების სიუხვემ, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო აღმოჩენილი, მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე, რომლის მიხედვით სწორედ აქ, დასავლეთ საქართველოში უნდა არსებულყო ბრინჯაოს მეტალურგიის წარმოების მსხვილი და წვრილი ცენტრები. აღინაო შემდგომ ლითონი ფართოდ შეიძლება გავრცელებულიყ სხვადასხვა მიმართულებით როგორც მხა წაწარმის, ისე ზოდების სახით (მაშინ მკვლევარს შეეძლება ჰქონდა ქოროზის საწარმოო ცენტრი და ზოგიერთი სხვა წვრილი საწარმოები დასავლეთ საქართველოში).

უფრო მოკვანა პერიოდში (1929 წ.) გამოქვეყნებულ ნაშრომში «Древнейшая металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии», ა. იესენი მიუთითებს, რომ ყობანური ლითონის წარმოების პირველად ბაზად გვევლინება კავკასია.

ღიდ ყურადღებას აქცევდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის შესწავლას აკად. ს. ჯანაშია. 1927 წ. გამოქვეყნებულ საინტერესო ნაშრომში «თუბალ-თაბალ. ტიბარენი. იბერი» — აკადემიკოსი ს. ჯანაშია წერდა: — «თუ ამას დავუკავშირებთ თანამედროვე არქეოლოგიის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, სამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აკვავების ხანა სწორედ თაბალ-თაბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლოესი აღმოჩენებით ვრცელდება შორს, სამხრეთით, მცირე აზიისაკენ (გველინისმთით ართვინისა და ორდუს განძებს), მაშინ ბუნებრივად შეიძლება დაესვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა სამდვილად თაბალების ანუ იმავე თაბალკაინების კულტურა?»

ნათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, სამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აკვავების ხანა სწორედ თაბალ-თაბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლოესი აღმოჩენებით ვრცელდება შორს, სამხრეთით, მცირე აზიისაკენ (გველინისმთით ართვინისა და ორდუს განძებს), მაშინ ბუნებრივად შეიძლება დაესვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა სამდვილად თაბალების ანუ იმავე თაბალკაინების კულტურა?»

1940 წ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბეში (X B) გამოქვეყნებულ წერილში «საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში» — ბ. უშაკოვი იხსენიებდა არ 1934 წ. აფხაზეთში — შერში აკად. ი. ი. მეშჩანინოვის ხელმძღვანელობით წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგებს აღნიშნავდა, რომ აკად. ი. ი. მეშჩანინოვმა ამ ექსპედიციის მიღწევათა და კავკასიის მთელ რიგ ადგილებში ნახული საგნების საფუძველზე, სრული უფლებით დააყენა საკითხი, რომ «კობანის» კულტურა მართკავკასიის საზღვრებში კი არ იყო ფართოდ გავრცელებული, არამედ თვით ამ კულტურის შემქმნელად უნდა სამართლიანად კოლხები მივიჩნიოთ და მას უნდა კოლხური კულტურის სახელწოდება მივანიჭოთ, ნაცვლად «კობანური» კულტურისა, რომელიც მას შემთხვევით, მის პირველად აღმოჩენაზე დაყრდნობით საგამოყვლო მუშაობის პროცესში დაერქვა. ჩვენ ვუკავშირებთ კოლხებს განსაზღვრულ კულტურას, ფართოდ გავრცელებული კავკასიაში და მით უფრო ვალდებულნი ვართ მეტი ინტერესით მოვეპყრათ ამ ძეგლებს, რომლებიც კოლხების წარსულზე, მათ გავრცელებაზე და ეთნიურ ურთიერთობებზე მოწმობენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება პროფ. ბ. კუფტინმა ჩამოაყალიბა ნაშრომში «Археологические раскопки в Триалети». იგი მოუთითებდა, რომ ყობანის კულტურა არა მართკავკასიური გავრცელებით, არამედ წარმოშობითაც კოლხურია.

ღიდ სამაშლო ომის შემდგომ პერიოდი ეს არის კოლხური კულტურის შესწავლის ისტორიის ახალი ეტაპი როდესაც ჩვენი არქეოლოგი მკვლევარები სპეციალურად იკვლევენ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ცალკეულ იარაღებს, კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხებს, ძველი სამთავდრო მეტალურგიული წარმოების ფესვებს და მის ცენტრებს, ამ პერიოდის სამაროვნებს და იქიდან მომდინარე ნივთიერი ძეგლებს. წინასიტყვაობაში ჩვენ არ ვადგენთ სრულ სიას ყველა იმ ნაშრომისა, რომელშიაც მეტნაკლები ისტორიული საუბარია კოლ-

სური კულტურის ირგვლივ, მის ცალკეულ ელემენტებზე, რადგან შრომის ცალკეული თავის შესწავლის დროს გზადაგზა მოგვიხდება ყველა მოსაზრებათა გათვალისწინება და ჩვენი დამოკიდებულების გადმოცემა. მოვიხსენიებთ ზოგიერთ მათგანს: დიდი ღვწილი მიუძღვის კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში თ. ჯაფარიძეს, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა კოლხური კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტი—კოლხური ცულბები, მოგვცა აღნიშნული ცულბების ანთოლოგიური ტპოლოგიური სქემა და შემოფარგლა მათი გავრცელების არეალი. მასვე ეკუთვნის საინტერესო ნაშრომი კოლხურ სამიწათმოქმედო იარაღების ძირითად ჯგუფზე—თოხებსა და ნამგლებზე (იხ. თ. ჯაფარიძე, „მიწათმოქმედების იარაღები და საელტურ-ქართული კულტურაში“); სემეგენტურ იარაღების შესწავლის საკითხს სპეციალური სტატია მიუძღვნა არქეოლოგმა ნ. ხოშტარიამ (Н. В. Хоштария, „Об одном бронзовом орудии из Кобаньск.“), და ნ. ტრუბნიკოვამ (Н. В. Трубникова, „К вопросу о назначении „Кобанских“ сечек“).

თოხებისა და სემეგენტური იარაღების დანიშნულების გარკვევის საკითხს არაერთხელ შეხებია თავის შრომებში პროფ. გ. ნიორაძე (იხ. მისი შრომები: „არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის სეობაში“, „ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები“ და სხვა).

პროფ. ბ. კუფტინმა ორი სქელტანიანი ნაშრომი (в Материалах к археологии Кобаньск., I და II ნომერი) უძღვნა დასავლურ-ქართული კულტურის შესწავლას.

კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხი არაერთხელ არის აღძრული არქეოლოგ ე. კრუპნოვის ნაშრომებში (იხილეთ მისი „О происхождении и датировке кобанской культуры“, და „Древняя история Северного Кавказа. Указательная карта“ და სხვა).

კოლხური სამეურნეო იარაღებისა და კოლხეთში მეურნეობის თავისებური პირობების ახსნას მიუძღვნა პროფ. გ. ჩიტაიას საინტერესო ნაშრომი „თონის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში)“.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ალ. კალანდაძის ნაშრომი „სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები“. მასში განხილულია არა მარტო კოლხური კულტურის დამახასიათებელი ცალკეული არქეოლოგიური ძეგლები, არამედ მიღებულია უნდა აღინიშნოს იმსახურებს აქ ავტორის მიერ კვლეული და შესწავლილი (პირველად ამ მხარეში) მეტალურგიუ-

ლი წარმოების ადგილობრივი კერის მანიშნებელი პირდაპირი საბუთი, მადნის გამოსადნობი ლუმესისა და სამსხმელ სასელოსნოსთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ნაშთები. ამავე ნაშრომის წინასიტყვაობაში მოცემულია ავტორის აღმოჩენებულია კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხზე. ვრცელი მიმოხილვის შემდეგ იგი დაასკვნის: „ზემოთქმულიდან ცხადია შემდეგი: კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობა (კულტურის სხვა შემადგენელი ელემენტებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ), ანეორიდან მანანც, იმ აზრით უნდა გვესმოდეს, რომ ყობანური კულტურა ბარსა და თამში ფართოდ გახფენილი კოლხური კულტურის გავრცელებას ერთა მიკრორაიონის ლოკალური თავისებურებით აღაქვდილი კულტურა, მათში მოსახლე კოლხების მიერ შექმნილი კულტურა უნდა იყოს“.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ. წ. II—I ათასწლეულს მიეწინა მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისადმი მიძღვნილი ა. ლუქინის ვრცელი სტატია „Археологические материалы из Абхазии“ და მ. ტრანსის მონოგრაფია— „Памятники кобанской и скифской культуры в селе Куланурхва Абхазской АССР“.

დიდი ღვწილი მიუძღვის კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში როინის ზემო წლის აუზში წლების განმავლობაში მომუშავე არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელსაც არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი ხელმძღვანელობს. ამ მხარეში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევას ძირითადი მონაბაზები და დასკვნები არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის მიერ წარმოდგენილია საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოში. ექსპედიციის დიდი დამსახურება იმაშია, რომ პირველად საქართველოს ტერიტორიაზე შეისწავლა სამთამანდო და მეტალურგიური წარმოების ესოდენ მრავალრიცხოვანი და მჭერმეტყველი დანაშთებები, რომელიც ნათელს ფენს ჩვენს ქვეყანაში ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურებს და მის მომდევნო ხანაში ადგილობრივი მძლავრი მეტალურგიული კერის არსებობას. ექსპედიციის მრავალი წლის მუშაობის შედეგად აქ გათხრილმა შუა და გვიანი ბრინჯაოს პერიოდის სამარხებულმა კომპლექსებმა, მრავალრიცხოვანი ინვენტარით, შემთხვევით აღმოჩენილმა ბეგრმა განამტკიცა და ძველი ნაშთსახლარების შესწავლამ, უფლება მისცა ექსპედიციის მესვეურთ—უფრო გაბედულად და დაბეჭთებით ელაპარაკნათ აბორიგენული, მძლავრი მეტალურგიული კერის აქ არსებობაზე, რომელიც თავის საკუთარ ვიწრო მარწუნში არ იყო მომწყვედი და ჩაკეტილი; აქედან უნდა გაეტიანთ როგორც ნედლეული, ისე მზა ნაწარმი მთის გადაღმა და ამ კერის სამხრეთ,

სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ მეზობელ რაიონებში.

კოლხური კულტურისათვის დამაინათებელი პატარული სტრის საკითხი ვრცლად განხილული პროფ. შ. ამირანაშვილის მიერ წიგნში — „საქართველო ხელოვნებას ისტორია“. ამავე კულტურასთან დაკავშირებული მრავალი საკითხია განხილული პროფ. გ. პელიჭვილის ნაშრომში: „К истории древних Грузии“. ეს უდიდესი სამუშაოები, რომლებიც ამ უკანასკნელი ათეული წლებში განმავლობაშია ჩატარებული. კვირად კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში, აღწესდულია კოლქტორ ნაშრომში — „საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოში“, და ა. აფაქიძის ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველო უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შექმნა და ა. შ.“

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა ამ უკანასკნელი სამიოდე ათეული წლის განმავლობაში კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში, რაც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. პირველ ყოვლია თვალში გეყვამთ ის, რომ კოლხეთის ურველი მხარე არ ისწავლება არქეოლოგიური თვალთაყვანით თანაბარი სისრულით; ზოგიერთი მხარე სრულად შეუწავლელია და მათზე მსჯელობა გევალება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მეშვეობით. დღემდე არაფერ კოტაა გაკეთებული ცალკეული საწარმოო რაიონების კულტურის, ლოკალური კერების გამოყოფის თვალსაზრისით, როგორც უმთავრად დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), ისე კოლხეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; არ არის მკვეთრად გამოყოფილი კოლხური კულტურის განვითარების საფეხურების ქრონოლოგია.

ჯერ კიდევ დიდია აზრთა სხვაობა კოლხურ-სომხური კულტურების ურთიერთობის საკითხის გარკვევა-თან დაკავშირებით. აქ საქმე გვაქვს ორ კულტურის მიმართებით: ერთი კოლხურ-სომხური კულტურას სრულიად ააგვივებენ ერთმანეთში და მას კოლხურს ან კოლხურ-სომხურს უწოდებენ. მეორე, მართალია დღისათვის ვეღარ უარყოფენ კოლხური კულტურის თვითმყოფლობას, მაგრამ ცდილობენ მისი განსაზღვრებელი ნიშნები — კოლხური ცვლებს, ამ ერთი ტიპის იარაღს და წევრებს კოლხურად, სომხურად და ატვირტად; და ბოლოს, ერთი ჯგუფი მკვლევარებისა არ უარყოფს სომხური კულტურის თვითმყოფლობას. მაგრამ კოლხური ცვლების ყველსავე უარყოფს წარმოშობა-ჩამოყალიბების ცენტრად კოლხეთს მიიჩნევენ და არა სომხს.

ასეთ პირობებში დაისვა საკითხი იმ მრავალრიცხოვანი განძების და შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების შესწავლისა, რომლებიც ამ უკანასკნელ პერიოდში დაგროვდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და რესპუბლიკის სამხარეთთმცოდნეო და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში და ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და სამეცნიერო ლიტერატურაში შესული. ეს მასალა ერთგვარად ავსებს და ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს დასავლურ-ქართულ კულტურაზე. კოლხური კულტურაზე და მისი შემქმნელი ხალხის ყოფასა და ცხოვრებაზე; ამას ერთგვარი წვლილის შეტანა შეუძლია იმ საკითხების გაშუქებაში, რომელზედაც წინ გეპირად საუბარი. კიდევ მეტი: კოლხური კულტურის ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგიისა და ნივთების ტიპოლოგიური განვითარების სურათის დადგენას, რის საფუძველზედაც შესაძლებელია მთელი კულტურისა და მისი საწარმოო-სამეურნეო რაიონების დასახიოება მი. ასევე ერთ მანც. ამის გათვალისწინებით, კოლხური და მეზობელი კულტურების წარმოშობა-განვითარების და ურთიერთობის საკითხების გარკვევა, რაც, თავის მხრივ, შემდგომ, აუცილებელია გვიანბრძნავსა, ადრე და განვითარებული რეინის ხანის კავკასიის ეთნიკური პრობლემის გასარკვევად.

ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზნად დასახულია შესაძლებლობის ფარგლებში კოლხური კულტურის წარმოშობა-განვითარების ისტორიის გაშუქება ისეთი ძეგლების საგანგებო შესწავლის გზით, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს იქნეს ამ კულტურის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტების წარმოშობა-განვითარების ხანა და თანმიმდევრული პროცესი და გამოიყოს მათი წარმოების ცალკეული რაიონები ერთიანი კოლხური კულტურის წიაღში. საამისოდ შერჩეულ იქნა, პირველ რიგში კომპლექსური ხასიათის ძეგლების ერთი ჯგუფი. სპილენძ-ბრინჯაოს განძები, რომლებიც ამჟამად დიდი რაოდენობითაა ცნობილი (ასაძღე მაინც) და შვიც-ეს სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა ძირითად სახეს; ეს კი, ნაწილობრივ მაინც, საშუალებას იძლევა, გამოიკვეთდეს იქნეს მათი ტიპოლოგიურ-სახეობრივი ცვალებადობა და. მაშასადამე, სამეურნეო ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი მხარე.

ნაშრომის წყობა რომელიც გამოდინარეობს ძეგლების კვლევის მეთოდთან, ნაკარნახევია იმით. რომ განძებისა და მათში შემავალი იარაღების ტიპების ფუნქციურ-ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური განსაზღვრა განუწყრელად არის ურთიერთდაკავშირებული; იმ მიზნით, რომ მიქსი-

მაღურად გააღილებული ყოფილიყო ჩვენი კვლევისა და მის შედეგად მიღებული დასკვნების ობიექტური და კრიტიკული შეფასება; ნაშრომის პირველ თავში წარმოდგინეთ საკუთრივ საკვლევო თემატიკა — სპილენძ-ბირიჩხაოს ვაშები, რომლებიც მოცემულია ჩვენ მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური სქემის მიხედვით. მეორე თავი დაბოლოებული აქვს განსებრი შეძახვლ, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს ძეგლებს: ცულს, თოსს, სეგმენტურ იარაღს, წაღღს, რომლებიც გახსილულია ფართო შესადაარბებელ მასალათან ერთად, ფუნქციურ-ტიპოლოგიური განვიარბებისა და ქრონოლოგიის თვალსაზრისით. ამა შემდეგ, მესამე თავში, რამდენადც ამის საშუალებაა მასალები იძლევა. დაწვრილებით ვიზალვთ საკუთრივ განსებების დათარღების საკითხს. რასაც შედაარბით აადვილებს წინა თავში მიღებული დასკვნები; მეოთხე და უკანასკნელ თავში, წინ ჩატარებული კვლევის საფუძველზე. სხვადასხვა ხასიათის მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ერთიანი კოლხური კულტურისა დარღლებში არსებული ცალკეული საწარმოო რარონები და კერები. აქვე მოკლედ შევეცადეთ გავეხილა კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხი. შრომას დათული აქვს 46 ტაბულა, 90 სურათი, კოლხური ცულების განვითარების სქემა და რუკა. მაგრამ, აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ძალზე გავციხნელდა ნაშრომის სრულყოფილი ილუსტრაციებით უზრუნველყოფა. შეუძლებელი შეიქმნა ყველა განმისა თუ ცალკეული ნივთის ფოტოგრაფირება და ჩვენ იძულებული ვიყავით გვესარგებლა უკვე გამოქვეყნებულ შრომებში მოცემული ილუსტრაციების ერთი ნაწილითა და სამიარემთოდნეო და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ნივთების ჩვენს მიერ ზოგჯერ კონტრულად შესრულებული ჩანახაზებით. ამის გამო საილუსტრაციო მასალების ერთი ნაწილი დაბალარისხოვანია და, რაც მთავარია, ჩვენ ვერ შევძელით ამ მრავალრიცხოვანი ნივთების ჩახატვისა თუ გადაღების დროს დავვეცვა ერთი მასშტაბი; ზოგჯერ ერთიმეორის გვერდით არის ნატურალური სიდიდისა და ძალზე შემცირებული ნახატი. მაგრამ, ასეთ პირობებშიაც კი ვფიქრობთ, იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს და დანტერესებულ პირებს წარმოდგენა შეიქმნან აღნიშნულ მასალებზე.

შრომა უთუოდ მოიგებდა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი საკვლე-

ვი პერიოდის მატერიალური კულტურის ყველა ხასიათის ძეგლი შესულიყო მასში; მაგრამ ამით მისი მოცულობა ძალიან გაიზარდებდა. ჩვენ იძულებული ვიყავით, შრომის მოცულობის შემცირების მიზნით, ძალზე მოკლედ შევგებოდით ზოგიერთ საკითხს; კიდევ მეტი, ჩვენ იძულებული ვავხდით ერთი მოზრდილი თავი, მაძღვნილი ბრტყელი ცულების განიღვისადმი, სრულად ამოგველო ნაშრომიდან. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ ისტეგლები, რომლებიც ამ ნაშრომში არ შევიდა. შევარსწავლოთ და გამოვაქვეყნოთ ცალკე.

ნაშრომს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ მასში ამომწურავად იყოს პასუხი გაცემული ყველა დასმულ საკითხზე; ბევრი საკითხის გარკვევა ჯერ კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს, ზოგი რამ — დახუტებასა და უფრო კონკრეტულ პასუხს. ეს შეეგება, როგორც სამთადნო მეტალურგიული კერების იების საკითხს, ისე ცალკეული საწარმოო რაიონებისა და სახელსნოების ფარგლების განსაზღვრისა, ზოგიერთი განმის დათარღების და მთელ რიგ სხვა საკითხებს. აღნიშნული საკითხების დახუტება მოითხოვს ახალ-ახალ მასალებს და ხანგრძლივ შემოქმედებით მუშაობას. ჩვენ სარწალით მივიღებთ ყოველგვარ შეინიშნავს. შრომამ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით და გავითვალისწინებთ მათ, მომავალ ჩვენს მუშაობაში.

შრომამ მუშაობის დროს დიდ დახმარებას გვიწვედნენ, ავად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, საქართველოს სავადასხვა ქალაქებისა და რაიონული მუზეუმის დირექტორები და თანამშრომლები (ბ. ახელდიანი, მ. ნიკოლაიშვილი, პ. ჯიშკარიანი, რ. გიორგაძე, ს. გუბელიძე, მ. თავდუმაძე, ლ. ბუხაიძე, ს. ნადიმაშვილი, აღ. ქათამაძე და სხვები) იქ დაცული არქეოლოგიური მასალების გაცნობისა და შესწავლის საქმეში. ლითონის ნივთების ქიმიური ანალიზები შესრულებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში რ. ბახტაძის, ც. აბესაძისა და ნ. სარაჯიშვილის მიერ.

დიდი მუშაობა ჩატარა და განსაკუთრებულად დახმარება გავციწია სამხატვრო სამუშაოს შესრულებაში არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერთანამშრომელმა გაიხო ჯავახიშვილმა; რამდენიმე სურათი შესრულებულია მხატვარ ა. ანბრიაშვილის მიერ. ფოტო-სამუშაოები შესრულებულია ლ. დიენჯილიასა და ი. პინაევის მიერ.

სკილენძე-ბრინჯაოს ნივთებისა და ზოგადების ბანძები.

ძმ. ვ. XVIII---XVI სს ბანძი

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის და მისი მომდევნო ხანის დასავლურ-ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია განძებს. სწორედ განძების შემადგენლობაშია დიდი ნაწილი იმ სამეურნეო იარაღებისა, რომლებიც ძოროთადად განსაზღვრავენ კოლხური კულტურის დამოუკიდებელ, თვითმყოფად სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განძები შემთხვევითაა ნაპოვნი. ამიტომ ცნობები მათი აღმოჩენის შესახებ ყოველთვის ზუსტი არ არის, რაც რამდენადმე ართულებს აღნიშნული მასალების საფუძვლიანად შესწავლას; კიდევ მეტი.—განძების ერთი ნაწილი ფრთხილად გამკურალა და მათზე შესწავლა მხოლოდ წერილობითი ცნობებისა და საკახეთო მასალების მიხედვით გვიხდება; ზოგიერთი განძიდან მხოლოდ ნივთების ნაწილია მოხვედრილი მუზეუმში. ნაწილი კი დაკარგულია; ზოგიერთი კოლექციის ირველივ საყოფმანო ცნობებში (არ არის ზუსტად აღნიშნული განძია. თუ სხვა რაღაცაა).


განძების აღწერალობა წარმოდგენილია ქრონოლოგიკა პრინციპის გათვალისწინებით იმდენად. რამდენადაც ამისი საშუალება თვით საკვლევმა მასალამ მოკვცა. განძების უფრო ზუსტად დათარიღების ცდა მოცემული გვაქვს სათანადო თავში.

1. ურეკის განძი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი უაღრესი შუაბრინჯაოს პერიოდის განძია. იგი ნაპოვნია 1941 წელს ურეკის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, მიწის დამუშავების დროს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ამ განძის ძირითადი ნაწილი (ინვ. 8—58 : 1—19), 23 ნივთი: 19 ტული და 4 ბართობი. განძის მეორე ნაწილი—4 ტული, 4 ბართობი და მისი ფრაგმენტები, 2 ე. წ. ბრტყელი საფხეკი — ინახება ქ. მახარაძის მუზეუმში<sup>1</sup>. ამრიგად, სულ ურეკის განძის შემადგენლობაში სავარაუდებელია 23 ტული, მათ შორის: 6—ყუთამილიანი და ყუადაშვებული, ვიწროტანიანი და ოდნავ მომრგვალებულბორიანი (ტაბ. I, სურ. 1—4. ტაბ. III, სურ. 3,5); 15—ორფერდაყუიანი და მილისებრი სატარებელიანი, სწორშუბლიანი და ფხისაყენ თანდათან გაფანინებულბორიანი (ტაბ. II და III, სურ. 2, 4); 2—ორფერდაყუიანი, ოვალურბრტყელიანი. სატარის ძირზე ნიორბილი ქიმიკების წინაზარდებიანი, ექვსად დაწახანვებული ტანით, დაბალი გორა და ასიმეტრიულიბორიანი (ტაბ. I, სურ. 5, 6). ბართობი და მისი ფრაგმენტი 8 ცალი (ტაბ. I, სურ. 7, 8 და ტაბ. III, სურ. 6), ხოლო ე. წ. ბრტყელი „საფხეკი“—2 ცალი (ტაბ. I, სურ. 9, 10)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ანტიკოლოგთა მ. ჯაფარიძემ ადგილზე შესწავლა ურეკის განძის აღმოჩენის ვითარებას. მას პირადად უნახავს ურეკის არსებული სპეციალური კვლევის მასალები. ვ. სანიშვილი რომელმაც ურეკში (ბუნკერ ცაცხვთან) სხვადასხვა დროს აღმოჩენილი 4 ტული (ნაპოვნი 1938 წ., მთავან ორი ურეკისაში), რამდენიმე ბართობი და ორი ბრტყელი საფხეკი (აღმოჩენილი 1945 წ.) ჩაახარა ქ. მახარაძის მუზეუმში. ი. ჯაფარიძის მცირე გათხრებზე ჩატარებულა ბუნკერ ცაცხვთან იმდენად დაუსაზღვრელი. იქვე მოქმდნითი დარჩა ბარბანტის ნიორბი ნაპოვნი ერთი ტული. იფანისწინაშე რა იმას, რომ საქართველოს სსრ. მუზეუმში დაცულია განძი ურეკისაში იმდენად დაგროვანა (ბუნკერი ცაცხვის მისამოკებებაში). ი.

<sup>2</sup> მახარაძის მუზეუმში დაცულია 1955 წ. ურეკში სპეციალური კვლევის ნაპოვნი 4 ტული, 4 ბართობი და 2 ბრტყელი საფხეკი. ურეკის განძის შესწავლის ნაშრომში უნახავს, შემთხვევით ნაპოვნი ყუთამილიანი და უადაშვებული ტული, ზუსტი განყოფილება ბუნკერ-ცაცხვთან აღმოჩენილი შესწავლის ცდებისა, მაგრამ ეს ადგილები ტერიტორიულად დაცობებულია ერთი მკვლევან და ეს უკანასკნელი არ შეიძლება ამ განძის ნაწილი იყოს.

2. ქვიშარის განძი<sup>3</sup>. განძი, რომელიც ცულეებისაგან შედგება, შემთხვევით აღმოჩნდა 1939 წ. ქვიშარში. მდ. ობინელას ნაპირზე წისქვილისათვის წყლის არხის გაყვანის დროს. უზარმაზარი ღირძის ძირთან. მოგვეწოდება განძის ერთი ნაწილი (12 ცული) იმავე წელს ჩაუბარებიათ ვ. გობეჯი-შვილისათვის (აღნიშნული ცულები ინახება ივ. ავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში).



სურ. 1. ურეში 1936 წ. შემთხვევით აღმოჩენილი ცული. ინახება ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმში (ლენინგრადი)

1946 წ. პროფ. გ. ნიორაძეს მოუწახლეობდა ცულები აღმოჩენის ადგილი და კოლმუერნეებს მისთვის დამატებით გადაუციათ ზუსტად ისეთი 4 ცული, როგორც ადრე იყო ნაპოვნი (აღნიშნული

<sup>3</sup> ვ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, ნაწილი I, თბილისი, 1924, ხელნაბეჭდი, გვ. 161. ვ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV—B, თბილისი, 1948, გვ. 1—22.

<sup>4</sup> ა. ჯ. კალანდაძე, მცხეთა-საწავარის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილოეთ ნაწილის 1938/39 წწ. შედეგების წინასწარი მოკლე ანგარიში (ხელნაბეჭდი), თბილისი, 1940, გვ. 112.

4 ცული საქ. სახ. მუზეუმშია დაცული (ტაბ. IV, სურ. 1—4). განძის ყველა ცული ერთნაირია; მათთვის დამახასიათებელია: ორფერდა, მახვილი ყუა. ოვალური სატარე ხერელი, ორგზის მოხრილი თხელი ტანი; ფხასთან ერთბაშად გაგანჯერებული. უწესო, სეგმენტური პირი. ცულები უნეშადაა ნაკეთები.

3. ურეის განძი<sup>4</sup>. ლენინგრადში ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის მუზეუმში დაცული ცული ურეიდან (ინვ. 5493—95). აღნიშნული ცული არქეოლოგ ალ. კალანდაძეს 1926 წელს შეუძენია ურეში და გადაუცია ზემოთ დასახელებული მუზეუმისათვის. იგი ნაპოვნი ყოფილა გზის გაყვანის დროს მრავალრიცხოვან (II) ცულეზსა და სხვა ნივთებთან ერთად. ცულისათვის დამახასიათებელია: ორფერდა, მახვილი, უკანა მხარისაკენ დაქანებული ყუა. ოვალური სატარე ხერელი. წელთან შედარებით საკმაოდ განიერი ყუა და სატარე ვიწრო წელი. უსწორო (ჩახნეკილ-ამოხნეკილი) შუბლი. გორდა, ასიმეტრიული პირი (სურ. 1). (შეადარეთ რაქში მდ. ობინელას სანაპიროზე აღმოჩენილი განძის ზემოთ აღწერილ ცულებს).

4. პილენკოვოს განძი<sup>5</sup>. აღმოჩენილია 1917 წელს რკინისგზის ხაზის მშენებლობის დროს. წვდგება ორი ცულისაგან. აღნიშნული ცულები ადრეაპირველად ქ. ნევიროსისკის მუზეუმში ყოფილა დაცული, შემდეგ კი ერთი ცალი ქ. სოკის მუზეუმისათვის გადაუციათ. მათთვის დამახასიათებელია დაქანებული ორფერდა ყუა. მრგვალი სატარე ხერელი; ხერელის ბოლოზე. როგორც შუბლის, ისე იდლიის მხარეზე ქიმისებრი შევრილები. ექვსად დაწახანებული ტანი და მომარგვლებული. შედარებით დაბალი პირი (ტაბ. V, სურ. 6, 7).

5. გაგარის განძი<sup>6</sup>. ცულეის ფრიალ საინტერესო განძი 1935 წ. ნაპოვნი ყოფილა ვაგარაში. საქ. ჩაის სანატორიუმის მშენებლობის დროს. ცულების თავდაპირველი რაოდენობის ზუსტად დადგენა ამჟამად ძნელია, რადგან მათი დიდი ნაწილი დაკარგულია. ბ. კუფტინის თანახმად განძი 10 ცულისაგან შედგება; ა. იესენის მიხედვით განძში შედიოდა პილენკოვოს ცულების მსგავსი 9 ერთნაირი ცული. ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ ერთი. რომელიც სოხუმის მუზეუმშია დაცული (ტაბ. V.

<sup>5</sup> A. A. Иессен. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, 1935, гв. 118, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва-Ленинград.

<sup>6</sup> Б. А. Купфин. Археологические раскопки в Трнавети, Тбили, гв. 17—18.

A. A. Иессен. Прикубанский очаг металлургии и металлообработки, МИА, სურ. 3, 1951.

სურ. 8): აღნიშნული იგი პილენკოვის ცულების სეკანსია (ტაბ. V, სურ. 6, 7), მხოლოდ მას უფრო სწორი ტანია. მეტად მომრგვალებული პირი და სატარის ძირზე უფრო მკვეთრად გამოხატული ქიბიბები შევარდები აქვს.


8. ბიკინის განძი. 1935 წ. ს. ლხავაში (ბიკინისთან). ცნობილი ფიკინარის აღმოსავლეთით, მოქ. ჯ. ლომთაძეს 1.5 მ სიღრმეზე უპოვნია ბრინჯაოს 7 ცულისაგან შემდგარი განძი. ამათვის 1942 წ. სოაქმის მუზეუმში მხოლოდ 5 ცული მოხვედრილა (ტაბ. V, სურ. 1-5). ცულებში სხვადასხვა სახეობისაა: ერთი იმეორებს გავრის ცულის აღნაგობას იმ განსხვავებით, რომ მისი ყუა დამრეცადია ადაცვეთილი (ტაბ. V, სურ. 1); მეორე ცული კოლხური ცულეზის პირველ სახეობას განეკუთვნება— მანქალი ყუთ. შევრალი ტანით, დაბალი გორდა და მკვეთრად ასიმეტრიული პირითა და წვეტიანი-კვადრული სატარე ხერელით (ტაბ. V, სურ. 2); ორი კი— 11 სახეობას; სატარისაგან ყელით გამოყოფილი, დაბალი გამსხვილებული ყუით, მრგვალი სატარე ხერელით, მაღალი, ფასთან ოდნავ გაგონრეხებული პირით და ოდნავ მორკალული ფხით (ტაბ. V, სურ. 4, 5); მესამე ცულს მოკლე და ფართო ტანი, ორფერდა ყუა, მილისებრი სატარე ვერაღ. მომრგვალებული და უშუალოდ სამუშაო ნაწილთან გაფართოებული პირი აქვს (ტაბ. V, სურ. 3).

9. ლიხნის განძი. 1952 წელს ფრიად საინტერესო განძი ყოფილა აღმოჩენილი სოფ. ლიხნისში (ქველეთის რაიონი)<sup>9</sup>. განძი სხვადასხვა სახის 35 ცულსაგან შედგება. საყურადღებოა, რომ მასში შემავალი ცულენი ზუსტად იმეორებენ ბიკინის განძის ცულების სახეებს. მაგრამ ლიხნის განძის შემადგენლობაში რაოდენობათა მეტი ყოველი სახის ცულა (გარდა ერთისა). განძის შემადგენლობიდან 12 ცული აღნიშნულით გავრ-ბიკინის ცულეზის მსგავსია (ტაბ. V, სურ. 1 და 8), 12 ცული კოლხური ცულეზის I სახეობას წარმოადგენს. 10 ცული II სახეობას და ერთი— ბიკინის დაბალტანის ცულის ზუსტი პირია (ტაბ. V, სურ. 3).

10. ერგეს განძი. ბრინჯაოს ცულების ეს განძი უსოვნია 1936 წ. სოფ. ერგეში, მიწის სამუშაოების დროს. განძი დაყვანილი ბათუნის მუზეუმში (კოლხეთი 32:37—46). იგი შედგება 10 ცული-საგანს: მათ შორის ორი ცულისათვის (ტაბ. VI, სურ.

1, 3) დამახასიათებელია, სწორად გადაკვეთილი მახვილი ყუა, ოვალური სატარე ხერელი, სატარე ხერელის ძირზე, შუბლის მხარეზე, მკვეთრი ქიბისებრი შევრალი, საკმაოდ განიერი გორდა, ასიმეტრიული პირი და ექვსად დაწანაგებული ტანი. ყელთან სატარე ხერელის ძირზე (შუბლის მხარეზე). ერთი წერტილიდან მომდინარე სამი რელიეფური, საზოგადო ნიშნული განშტოებული<sup>10</sup>. დანარჩენი 8 ცული ძირითადად კოლხური ცულების პირველ სახეობას განეკუთვნება მცირედი ვარიაციებით (ტაბ. VI, სურ. 2, 4—10).

11. ჭოროხის განძი. (საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია 15—34 : 1,2). 1953 წ. ნოემბერში, თბილისში მცხოვრებმა ლაზარისმა, მუზეუმში მოიტანა ბრინჯაოს 2 ცული. მისი ცნობით ცულები სოფ. ჭოროხში იყო ნაპოვნი. ვინაიდან ამ სახეულ ცულების სოფელი არ არსებობს, საფიქრებელია, რომ განძი ნაპოვნი იყო სადმე მდ. ჭოროხის სანაპიროზე, ხოლო ცულების მომავალი მდინარის სახელი არაა სოფლის სახელი. ლაზარისის თქმით ციტრუსების პლანტაციისათვის მიწის სამუშაო-



სურ.-1. ქობულეთის ცულები

ბის დროს 20 სმ სიღრმეზე უნახავთ თინის ქილაში ჩაწყობილი 16 ცული; მათი დიდი ნაწილი მუშებს დაუტაცინიათ, ორი კი მისთვის მრეცითათ. ერთი მათგანი (ტაბ. V, სურ. 10) ზუსტი პირია ერგეს 2

<sup>9</sup> A. A. Hesse, *ქობულეთის ცულები*, გვ. 81, სურ. 4, 5 და გვ. 32, 33.

<sup>10</sup> აღნიშნული განძი ინახება საქართველოს ისტორიის მუზეუმში. აღნიშნული განძის ცულები ლიტურგია და სხვა ცულების ინტერესში უფროსი მნიშვნელობა მისაძინებელი მნიშვნელობაა.


<sup>9</sup> ი. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახ. მუზეუმის მომ. XVI—B, თბილისი, 1950, გვ. 50.

<sup>10</sup> აღნიშნული და მისი მსგავსი ცულები ზოგიერთი მკვლევარის მიერ (ბ. კეფტინი, ი. ჯაფარიძე, დ. ქობიძე) მიჩნეულია კოლხური ცულების პრეპროტოპიად.

ცულისა (ტაბ. VI, სურ. 1, 3); მეორე ცულის (ტაბ. V, სურ. 11) ყუბა მახვილია, სატარე ზვრელი წვეტიან-ოვალურია, ზვრელის ძირზე შუბლის მსარეზე ქიმისებრი შვერილია წარმოქმნილი; ტანი თხელია და ექვსადაა დაწანაგებული, პირი მაღალია, გორდა, თითქმის სიმეტრიული.

10. ქობულეთის განძი(?). 1951 წ. ქობულეთში შემთხვევით აღმოჩენილი ორი საინტერესო ცული

ინტერესო განძი (განძი დაცულია მახარაძის მუზეუმში). იგი შედგება: I სახეობის კოლხური ცულეების 5 ეგზემპლარისა (ტაბ. VII, სურ. 1—5), I სახეობის სეგმენტური იარაღისა (6 ცული, ტაბ. VI, სურ. 6—11), ვიწროტანიანი და მხრებ-მომრგვალებული ბართონისა (ტაბ. VII, სურ. 12), მასრავახსნილი შუბის პირისა (ტაბ. VIII, სურ. 2), ცალპირლესილი დანისა (ტაბ. VIII, სურ. 3), წალდის



სურ. 2. 1942 წ. სოფ. ლაილაში შემთხვევით აღმოჩენილი ცულები (განძი). დაცულია ქუთაისის მუზეუმში

თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტს გადასცა სტუდენტმა ვ. ნიაურმა (ინვ. 57—51: 1):<sup>11</sup>. ისინი ფორმით უახლოვდებიან ერგეს ცულეს (ტაბ. VI, სურ. 1, 3), მათგან განსხვავებით სატარის ძირზე მკვეთრი ქიმისებრი შვერილები აქვთ, ხოლო სატარის ზედაპირი არ არის შემკული რელიეფური ხაზოვანი ორნამენტით (ტაბ. XXXIII, სურ. 5, 6. ან სურ. 4).

11. მელექედურის განძი. 1959 წლის მარტში სოფ. მელექედურში (ქ. მახარაძის მახლობლად) მდ. ნატანების მარჯვენა სანაპიროსთან, ჩაის პლანტაციასი კოლმეურნეებს უპოვნიათ თიხის მოზრდილ ქოთანში ჩაწყობილი ბრინჯაოს ნივთების სა-

ფრაგმენტისა (ტაბ. VIII, სურ. 4) და ზოდებისაგან (ტაბ. VIII, სურ. 5, 6).

12. ლაილაშის განძი (?). 1942 წ. სოფ. ლაილაში (ლეჩხუმი) შემთხვევით აღმოჩნდა ცულები. რომლებიც ამჟამად ქუთაისის მუზეუმშია დაცული (ინვ. 5465) და შესაძლოა განძი ან განძის ნაწილი იყო. განძი შედგება კოლხური ცულების I სახეობისა (სურ. 2) და II; ქვესახისაგან, მახვილი ყუთი, მრგვალი სატარე ზვრელით, სატარის კედლებზე 3 (ერთზე) ან 4 (ორზე) წიბურით. თითქმის თანაბარი სიგანის ტენითა და მცირედ მომრგვალებული ასიმეტრიული პირით (სურ. 2, 3, 4).

13. ერგეს (ზემო-კოქოს) განძი. განძი აღმოჩენილია 1960 წ. ინახება ბათუმის მუზეუმში (ინვ. 17876). განძი შედგება 5 დიდი და მასიური ცულისა და ზოდებისაგან (სურ. 3, 4). მათთვის და-

<sup>11</sup> ნივთების აღმოჩენის შესახებ საინვენტარო წიგნში დაწერილებითი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ შესაძლოა, რომ ისინი განძის ნაწილი იყოს.




მხასიათებელია: გორდა, მაგრამ მკვეთრად ასიმეტრული პირო. სატარის ძირზე, უმთავრესად ილიის მხარეზე, ქომცებრი შვერილები. მახელია ცუდა და აწორი ტანი. ერთი ზოდი ნრგვალბრტყელია, დანარჩენი ნატეხებს წარმოადგენს.

14. დიშის განძი. აღმოჩენილი 1939 წ. სოფ. დიშში (მაიაკოვსკის რაიონი), დაცულია ქუთაისის მუზეუმში (ინვ. 3655—5462). ის შედგება მხოლოდ

ორი ნატეხის. ბარის მოყვანილობის სეგმენტური იარაღის ფრაგმენტისა და სპილენძის 3 ზოდისაგან (სურ. 3).

10. ფარცხანაყანევის განძი (7). ქუთაისის მუზეუმში დაცულია 1926 წ. სოფ. ფარცხანაყანევიში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები (ინვ. 1586—542); საინვენტარო ჩანაწერებში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ფარცხანაყანევიში აღმოჩე-



სურ. 3. 1—5) ცულები ზემო-კოკიდან (ერგე, ბათუმის მუზეუმი) (6—8) ცულები ზენი-თიდან (ბათუმის მუზეუმი)

12 ცულასაგან, რომლებიც ჩაწყობილი ყოფილა: მინამ ჩაფლულ კურში ისინი კოლხური ცულების I სახეობის განეკუთვნება (ტაბ. IX).

15. სოხუმის მთის განძი<sup>12</sup>. აღმოჩენილია 1951 წ. მთის სამხრეთ წვერზე. მიწის სამუშაოების დროს. განძი შედგება II სახეობისა და I! კვესახის 12 დიდი და 1 მომცრო კოლხური ცული-საგან. უცნობი დანიშნულების ორი ინსტრუმენტის, რომელთაც იარაღს (შესაძლოა ცულის)


წილი ეს ნივთები მუზეუმისათვის შემოუწირავს ელ. კილაძეს. ჩვენი ვარაუდით, კოლექცია განძი ან განძის ნაწილი შეიძლება იყოს. იგი შედგება I სახეობის კოლხური ცულისა (სურ. 4), და I სახეობის 4 სეგმენტური იარაღისაგან (მთგან სამი დაზიანებულია. სურ. 4<sub>2</sub>—<sub>3</sub>). ო. ჭაფარიძის ცნობით. კოლექციის შემადგენლობაში თოხიც ყოფილა<sup>13</sup>, მაგრამ ადგილზე ჩვენ ის ვერ ვნახეთ.

<sup>12</sup> ი. კ. ილიაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, ტაბ. 1.

<sup>13</sup> ო. ჭაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები და საკლერ-ქართულ კელტურაში, თბილისის სს. უნივერსიტეტის შრომები, 49, თბილისი, 1953, გვ. 182.

17. გორას (მაიაკოვსკის რაიონი) განძი<sup>14</sup>. ნა-  
პოვნია 1922 წელს მიწის ხენის დროს; დატულია  
ქუთაისის მუზეუმში (ინვ. 752). განძის შემადგენ-

5<sub>3-7</sub>, 10—11 და სურ. 6<sub>8-9</sub>),<sup>15</sup> თობი 5 ცალი (სურ.  
6<sub>1-3</sub>), მათ შორის სამი II სახეობისა და ორი



სურ. 3<sub>1</sub>. სობუმის მთის განძი ალ. კალანდაძის მიხედვით

ლობაშია: I სახეობის (დაახლოებით ტრაპეციის  
ფორმის) სეგმენტური იარაღი. 12 ცალი (სურ.

III სახეობისა (2 დაზიანებულია), ერთი მთელი  
და სამი ნატეხი I სახეობის კოლხური ტული-

<sup>14</sup> М. М. Иващенко, Материалы к изучению  
культуры Колхов, Мასალები საქართველოს და კავკასიის  
ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1941, გვ. 50.


თ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, მიწათმოქმედების იარაღები... გვ.  
182.

<sup>15</sup> ამ განძის შემდგენლობაზე I სეგმენტური იარაღი.  
შოსკოვის ისტორიულ მუზეუმში უნდა იყოს დაცული. ივ.  
И. Трубинова, К вопросу о назначении Кобанских  
сечек, КСНИИМК, вып. XVIII, 1947. შოსკოვის ისტორიუ-  
ლი მუზეუმისათვის გადაუციათ აგრეთვე ერთი თობი.

სა (სურ. 5: გ. გ. გ). ნამვლის ნატეხი (სურ. 5) და უფრომზო ზოდები<sup>16</sup>.

18. ზენითის განძი<sup>17</sup>. ს. ზენითში 1926 წ. შემოხვევით უპოვნიათ მახვილყუიანი, წვეტიან-ოვალურ-ხვრელიანი, სატარო ძირზე. ქიმისებრშვერი-

ვანძად ან განძის ნაწილად მიგებჩნია, რადგან, როგორც ცნობილია, კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებისა და მესამე მეოთხედის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის მრავალადაცულებისაგან შემდგარი ვანძი.



სურ. 4. ფარცხანაყანევის განძისეული ინვენტარი (ჭუთაისის მუზეუმი)

ლიანი. მაღალი, გორდა და თითქმის სიმეტრიულ-პირიანი 3 ცული (ცულები ინახება ბათუმის მუზეუმში, ინვ. 33—47—49; სურ. 3<sub>გ</sub>—<sub>გ</sub>)<sup>18</sup>; საინვენტარო დავთარში ზუსტი ცნობები ძეგლის აღმოჩენის, ეთარებზე არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენ ის მაინც

ძმ. ვ. XIII — XII სს. ბანძები

18—20. ზენითის განძი<sup>19</sup>. 1935 წ. სოფ. ზენითში ორგზის ყოფილა აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ჩვენ საშუალება გვქონდა ბათუ-


<sup>16</sup> მჭუთაისის მუზეუმში ჩვენ ვერ ვნახეთ ის კოლექცია, რომელიც ა. ივანოვა (იხ. დსახ. ნაშრ., გვ. 127) და ო. ჭაფარიძე (იხ. კოლხური ცული, გვ. 51) იქვე მოხსენებულა, თარჯნისა და მთავრის რაიონში (აღვლი არ არის ზუსტად მითითებული) აღმოჩენილად. შესაძლოა, აღნიშნული მკვლევრების მიერ მახსენებული ძეგლი სოფ. გორას აღმოჩენილი (წინ. კლდეკალი) განძი იყოს. მისი ძეგლი ნომერია 752, ახალი 5429. ო. ჭაფარიძის მიერ ჩამოთვლილი ნივთები და ს. გორას განძის ინვენტარი საზეობრივად და რიცხობრივად ემთხვევა ერთმანეთს.

<sup>17</sup> ო. ჭაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 80.  
<sup>18</sup> ო. ჭაფარიძე, მიაჩნია, რომ აღნიშნული იარაღები უახლოვდებიან ერთის მხრე კოლხური ცულების პრაოტოტიპებს მახუნეთიდან (ტაბ. V, სურ. 9), ერგედან (ტაბ. V, სურ. 14, 15), ურგედიან (ტაბ. V, სურ. 12, 13) და სხვა. მეორე მხრე კი, მასი კლასიფიკაციის მიხედვით I ტიპის კოლხური ცულებს ამიტომ ეს ცულები მისი აზრით, ერთგვარ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს.  
<sup>19</sup> ბ. კუფტინს გამოქვეყნებული იქვს ის კოლექცია, რომელიც კოლხური ცულსა, წაღდისა და ბართობისაგან შედ-

მის მუხეუმში ადგილზე შეგვემოწმებინა საინვენტარო ჩანაწერები; კონკრეტული მითითება ორა დამოუკიდებელი ძეგლის არსებობის შესახებ იქ არ არის. სამაგიეროდ, კატალოგში თანმიმდევრულადაა გატარებული ზენითში 1935 წ. ორივეჭყარ

სეგმენტურ იარაღებს (სურ. 8<sub>3</sub> - ... ზოდს, რომელთანაც მხედოდ ორს აქვს ძიკებული ფორმა.

21. სასირეთის განძი<sup>20</sup>, 1930 წ. სოფ. ქვემო სასირეთში სასაფლაოზე სამარხისათვის ორმოს



სურ. 5. სოფ. გორას განძისეული ინვენტარის ერთი ნაწილი (ქუთაისის მუზეუმი)

აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები (ინვ. 52—79). ჩვენ ამ კოლექციას ვაქვეყნებთ იმ თანმიმდევრობით, როგორითაც ის საინვენტარო დავთარშია გატარებული. სხვათაშორის ბ. კუფტინის დავთარში გატარებული პირველი 5 ნივთი აქვს გამოყვეყნებული (ინვ. 52—55); მათ შორის ჰორიზონტალურად ვაშვერილმბრებოანი და დაბალირიანი ბართოხი სამი ცალი (სურ. 7<sub>3</sub> - 7<sub>5</sub>), კოლხური ცულის I სახეობა (სურ. 7<sub>1</sub>) და წალდი (სურ. 7<sub>2</sub>). გარდა ამისა, კოლექცია შეიცავს შემდეგ ნივთებს (ინვ. 56—79): განიერპირიანი, წელში მოხრილ, მეტნაკლები სიმაღლის სამ თოხს (სურ. 8<sub>1</sub>, 2, 5); ჰორიზონტულად გაშლილ მხრებიანი, დიდი ზომის


ამოღების დროს, დაახლოვებით 2 მ სიღრმეზე. აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები. პროფ. გ. ნორაძემ ადგილზე შეისწავლა ნივთების აღმოჩენის ვითარება; მისი აზრით, აღნიშნული ნივთების ჭკუფი განძი უნდა იყოს (საქ. სახ. მუზეუმის ინვენტარი 17—30: 1—23). განძი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: I სახეობის კოლხური ცულისა (ტაბ. X, სურ. 7), ყუაზე შვერილიანი დიდი ზომის: აღმოცავლურ-ქართული ცულებისა (ტაბ. X, სურ. 2—4), სამკაბა ბოლოებიანი და წელში გამოყვანილი ბრტყელი ცულებისა (ტაბ. X, სურ. 8, 9), პირმომრგვალებული, კერტიკალურხვერლიანი სატყვი-

გება და შეცდომით ნას ბათუმის მახლობლად აღმოჩენილად მიიჩნევს (იხ. მისი შრომა: К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии საქ. სახ. მუზეუმის შიამბე, XI II, თბლისი, 1944, ტაბ. XIII, სურ. 1—5). ო. ჭავჭავიძე ორგზის იხსენიებს აღნიშნულ კოლექციას, ერო-ერთ ადრეულ შრომაში ბ. კუფტინზე დაერდნობით, ზემოთ ჩამოთვლილ ნივთებს ბათუმის მახლობლად აღმოჩენილად მიიჩნევს (იხ. „კოლხური ცული“, გვ.—50).


უფრო გვიანდელ შრომაში (იხ. „მიწათმოქმეუბების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში“, გვ. 174, 182). იგი მითითებს 1935 წ. ზენითში. არქეოლოგიური მასალების ორგზის აღმოჩენის ფაქტზე და დასაქნს, რომ ზემოთ დასახელებული ნივთები ზენითშია აღმოჩენილი.  
<sup>20</sup> G. Nioradse. Der Verwahrfund Kwemo-Sasirethi, ESA, t. VII, Helsinki, 1932.  
 S. Makalathia, Decouvertes archeologiques en Georgie, Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien, 1932, t. LXII, g. 102.

სა. (ტაბ. X, სურ. 5). 5 სატეგისა (ტაბ. X, სურ. 1, 6, 10, 13, 14. მათ შორის სამი ტარშუერჩენელია); ბრინჯაოს ლავებისა (ტაბ. X, სურ. 11, 12). ორი ცალი გედის სკულპტურული გამოსახულება<sup>22</sup>; ბრინჯაოს სამუხა ჭურჭლისა (რომლის ზე-

დაპირი გეომეტრიული სახეებითაა შემკული; სასურაჟი კონუსური და მასზე თავაწეული მტრედლა (?) დასკუპებული<sup>22</sup>; თხისა თუ ჭიხვის თავის სკულპტურული გამოსახულებისა<sup>23</sup>, და ორი ნაწილისაგან შედგენილი ბრინჯაოს ბალთისაგან.



სურ. 6. 1-9) ინვენტარი გორას განძიდან (ქუთაისის მუზეუმი), 10) ბაგრატის ტაძრის მახლობლად ნაპოენი სეგმენტური იარაღი (ქუთაისის მუზეუმი)



სურ. 7. ზენითში 1935 წ. აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ერთი ნაწილი ბ. კუტინის მიხედვით

<sup>22</sup> G. Nioradze, ვ. ს. ნაშრ., სურ. 11, 12, 13, 14.


<sup>22</sup> იქვე, სურ. 17.

<sup>23</sup> იქვე, სურ. 18.

22. დიდის განძი. 1960 წლის მარტში დიდის ოფთორი დუქნის წინ, გზის გაფართოება-დადაბლების დროს, თვითმხრელმა ამოყარა ბრინჯაოს სამი საომარი ცული ე. წ. ჩუგლუგები, აღმოჩენის ადგილის ჩვენ მიერ გულდასმით შესწავლის მიუხედავად, ძეგლის ხანაითის დადგენა გაძნელდა. ადგილზე ჩვენ ვერ ვნახეთ ცულების თანადროული თიხის ქურჭლის ნატეხებიც კი, სამკაული ან სხვა

იეოს. ცულები (საქ. სახ. მუზეუმი ირე. 6 50:11 --13) აღმოსავლურ-ქართული ტრანსაა, რომი შედარებით დიდი, ყუაზე აღმართული შევრილით. ლამაზი სეგმენტური პირთა და მალა აწვდილი წვეტიანი ფრთებით (სურ. 9).

23. ორდუს განძი<sup>24</sup>. ორდუსი აღმოჩენილია განძის ერთი ნაწილი (4 ცული) სტოკოლმის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული (ინვ.



სურ. 8. ზენითში 1935 წ. აღმოჩენილი ნივთები (ბათუმის მუზეუმი)

ნივთი, რასაც შეეკლო სამარხის არსებობაზე მიეთითებინა; ვერ ვნახეთ ადამიანის ძვალიც კი. თანადროულ სამარხთა არსებობის რაიმე კვალი არ ჩანს მახლობელ ადგილებშიც. ამიტომ, სავარაუდებელია, რომ ცულები განძი ან განძის ნაწილი

155576); დანარჩენი სამი ნივთის ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის. განძი შედგება 5 ცულისა, წალღისა და ბრტყელი ცულისაგან (სურ. 10). ცულებს შორის 4 ცალი პირველ სახეობას განეკუთვნება (ვარიაციებით), (სურ. 10<sub>1, 5, 6, 7</sub>), ერთი II<sup>1</sup> ქვესახეს. ბრტყელი ცული „განიერქუსლიანი“ და გვერდითი კოტიხებრშვერილებიანია (სურ. 10<sub>4</sub>). ხოლო წალღი კოლხეთში გავრცელებული წალღების I სახეობას განეკუთვნება.

24. უდის განძი<sup>25</sup>. 1956 წ. სოფ. უდესი (ადიგენის რაიონი) მდ. ქვაბლიანის მარჯვენა სანაპიროზე. მიწის სამუშაოების დროს 1.5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი (ასზე მეტი ნივთი). მასში შედის: 4 ცული. მათ შორის ორი I სახეობის კოლხური ცულია (სურ. 11<sub>1, 2</sub>). ერთი—გამსხვილებულ (ჩაქუჩისებრი) ყუიანი და ეორდა. სიმეტრიულპირიანი (სურ. 11<sub>3</sub>).

<sup>24</sup> S. V. Prseworski, Die Grottenfund von Ordu. Archivorientalni, vol. 7, № 8, Praha. 1935.

<sup>25</sup> მისივე, Die Metallindustrie Anatoliens in der zeit, von 1500—700 vor chr., E. J. Briol, 1939.


<sup>26</sup> Т. Н. Чубинишвили, Т. И. Татишвили О. С. Гамбашидзе, Археологические разведки в

Южных районах Грузии (Месхетин-Джавახетин) и 1953—1955 г., СА., № 4, 1957, გვ. 116.

ა. ჯავახიშვილი. ტ. ჩუბინიშვილი. უდის განძი, „საბუთა ხელოვნება“, № 4, 1959, გვ. 59, სურ. 1, 2.

ხოლო მეოთხე—განიერი. გორდა, ასიმეტრიულ-პირიანი და ორფერდა-უყინანი (სურ. 11ა); 12 ცალი შუბისა და ხელშუბის პირი (სურ. 11გ—ფ), მათგან ერთი ნაწილის მასრა გრავირებულია გეომეტრიული და ცხოველური სახეებით, 8—სარტყლის აბზინდა, მათ შორის ბევრი რკინითა და შუშის მავგარი სხვადასხვა ფერის პასტით ინერუსტირებული, გეომეტრიული და ცხოველური სახეებით

28. შრომის განძი<sup>27</sup>. ქ. მახარაძის მუზეუმში დაცულია სოფ. შრომაში აღმოჩენილი განძი. მის შემადგენლობაშია: დაზიანებული, განიერპირიანი, წელში მოხრილი თოხი თოხი; ნაკლული ბართოხი<sup>28</sup> (ტაბ. XXXV, სურ. 21); ორი მთელი და რამდენიმე ფრაგმენტი პორიზონტალურად გაშვებულმხრე-ბიანი სეგმენტური იარაღისა; პირველი სახეობა კოლხური ცულისა, ბრტყელი ცულის ფრაგმენტი



სურ. 9. დიძის ცულები (საქ სახელმწიფო მუზეუმი)

შეკველი ცალები (სურ. 11ი, ია); საყინებები, ორნამენტირებული ფართო სარტყლები, მათი ფრაგმენტი და ორნამენტირებული პინცეტები. განძის შემადგენლობაშია აგრეთვე რკინის ორი შუბისპირი, სატყვარი და ლახტისთავი.

ძვ. წ. XII—XI სს. ბანძები

25. ვაკეჯრის განძი<sup>26</sup>. 1936 წ. მიწის სამუშაოების დროს. ს. ვაკეჯრის მახლობლად (ადგილი ქობულე) აპოვნეს თხის ქურჭელში მოთავსებული ბრინჯაოს ნივთების განძი (ინახება მახარაძის მუზეუმში). განძის შემადგენლობაშია: დაზიანებული თოხი—4 ცალი, მათგან სამი II და ერთი III სახეობისა; 11 ცალი დაზიანებული სეგმენტური იარაღი. ძირითადად პორიზონტალურად გაშვებული მხრეებიანი; ბრტყელი ცულის ფრაგმენტი (სურ. 12); სატყეო თუ ბრტყელი ცული (ტაბ. XXXV, სურ. 15); I სახეობის კოლხური ცული (ტაბ. VIII, სურ. 1) და ასეთვე ფორმის ცულის ორი ფრაგმენტი: შუბისპირის ფრაგმენტი, დაზიანებული წაღლი. მრავალრკინოვანი ზოდები, მათ შორის ბრინჯაოს ბრტყელი ცული (ძალე ხიდიები) და ბრინჯაოს მუთულის ნატეხები.

(სურ. 12); ტარშეურჩენელი სატყვარის პირები (სურ. 12, ვ, კ), ნაკლული ისრისპირი, ბრინჯაოს საშაყულეები და 45 უფორმო ზოდი.

27. ართვინის განძი<sup>29</sup> აღმოჩენილია 1932 წ. ართვინის მახლობლად ერთ-ერთ მიტოვებულ მაღაროში. განძის შემადგენლობაშია: I სახეობის კოლხური ცულის ორი ეგზემპლარი (სურ. 13, ვ); ვერტიკალურხვრელიანი ცული (სურ. 13ა) და პორიზონტალურად გაშვებულმხრეებიანი და დაზიანებული სეგმენტური იარაღები, 2 ცალი (სურ. 13, ბ).

28. ყარა-დერეს (განთიადეს) განძი ნაპოვნია ყარა-დერესში (განთიადი), არქიტექტორ სინიციონის სახლის მშენებლობის დროს, 1890 წ. და დაცულია ბათუმის მუზეუმში (მუზეუმში შესულა 1957 წ. რევ. 17417, -5). განძის შემადგენლობაშია სხვადასხვა ფორმის ორი წაღლი (ტაბ. XI, სურ. 3, 5), III სახეობის სეგმენტური იარაღი (ტაბ. XI, სურ. 1), ვერტიკალურხვრელიანი ცული (ტაბ. XI, სურ. 2) და ტრაპეციისმავგარი თოხი (ტაბ. XI, სურ. 4).

<sup>26</sup> ი. ქაღალიძე, კოლხური ცული, გვ. 60; მისივე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ ელტრუში, სურ. 1.


<sup>27</sup> ი. ქაღალიძე, კოლხური ცული, გვ. 50. მისივე, მიწათმოქმედების იარაღები... გვ. 175, სურ. 2.

<sup>28</sup> სანეენტიანი წიწვი იგი შედგომითაა გატარებული როგორც ორმაგი იარაღი, და ლიტერატურაში შესულია როგორც ორმაგი თოხი, ორთოხი, ნაშლად ეგი პირნაკული ბართოხი.

<sup>29</sup> კ. ბიტელი, ართვინი აღმოჩენილი ბრინჯაოსგან გაკეთებულ არქეოლოგიური ნაშთები, ენიშის შოაბე, ტ. II, თბილისი, 1938, გვ. 258—259.

შ0. ჩაისუბნის განძი. 1954 წ. ციტრუსების პლანტაციისათვის მიწის გადაბრუნების დროს ჩაისუბანში (ჩაქვის რაიონი) უპოვნიათ ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელიც დატულია ბათუმის მუზეუმში (ინვ. 16980/505—512)<sup>30</sup>. განძი შედგება

(ტაბ. XI, სურ. 9, 14, 15), ვერტიკალურხვრელიანი ცულისა (ტაბ. XI, სურ. 12) და დიდი ზომის ობსნილი რგოლისაგან. რომელიც კატინითა დაფარული და დაზიანებული, მაგრამ ბოლოებზე ჩანს ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებანი.



სურ 10. ორღუს განძის ინვენტარი სტ. პრეფეროსის მიხედვით

პირველი სახეობის კოლხური ცულისა (ორი ცალი, ტაბ. XI, სურ. 11, 16.), ყუაყვერიანი, სწორტანიანი, და გორდაპირიანი ცულისა (ტაბ. XI, სურ. 10). 111 სახეობის ნაკლები სამი თოხისა

შ0. ბობოყვათის (ჩაქვის რაიონი) განძი (?), დატულია ქუთაისის მუზეუმში (ინვ. 6330). საინვენტარო ჩანაწერების მიხედვით, კოლექციის შემადგენლობაში 7 ნივთი უნდა ყოფილიყო; ჩვენ


<sup>30</sup> როგორც ბათუმის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა რუსიამ ვაძმოვეცა, ნივთების აღმოჩენის ადგილას ადამიანის ძვლები არ ყოფილა შემჩნეული. ბრინჯაოს ნივთები

კი ერთად ყოფილა დაწვობილი. ამიტომ ჩვენ ევარაუდობთ, რომ განძთან ვეაქვს საქმე.



ადგილზე ვნახეთ ბრტყელი ცული (ტაბ. XI, სურ. 6). III სახეობის, ძალზე ოხელპირიანი თოხი (ტაბ. XI, სურ. 7) და I სახეობის წალდი (ტაბ. XI სურ. 8).

გებული ბრინჯაოს შემდეგი ნივთები: III სახეობის კოლხური ცული და აგრეთვე ცულის 4 ნატეხი, II სახეობის 4 თოხი და თოხის 2 ნატეხი, III სახეობის სეგმენტური იარაღის 4 ეგზემპლარი,



სურ. 11. უღის განძის ინვენტარის ერთი ნაწილი. აღ. ჯავახიშვილის და ტ. ჩუბინიშვილის მიხედვით

31. ზენითის განძი<sup>31</sup>. 1926 წ. მდ. კინტრიშის სანაპიროზე, ჩრდილოეთით, შაწის ტენის დროს, 12 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა თოხის კურკელში ჩალა-


ბრინჯაოს წალდი, ტარშეურჩენელი, ფოთლისებრი სატევარი (ნაულული), ნამგლის 2 დიდი და 5 მცირე ნატეხი, და ზოდები—2 ფორმირებული და 12 ნატეხი. განძი თოხის კურკელთან ერთად ბათუმის მუზეუმში ინახება (სურ. 14).

<sup>31</sup> А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 122, карт. 14.

32—33. ციხისძირ-სამების განძი<sup>32</sup>. იარაღის სიმრავლითა და მრავალფეროვნებით ყურადღებას იმსახურებს ციხისძირ-სამების განძი. როგორც ცნობილია, 1905 წ. ციხისძირსა და სამებაში თითქოს ერთდროულად აღმოჩენილი განძები მაშინვე აურევიათ ერთმანეთში და ამჟამად მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა შეუძლებელია (იხ. საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია 93—97, ტაბ. XII). განძის შემადგენლობაშია 20-მდე I და III სახეობის თოხი. მათგან საკმაოდ ბევრი დაზიანებულია. 25 ცალი I, II, III სახეობის სეგმენტური იარაღი (უმეტესი ნაწილი III სახეობისაა), ბრტყელი ცულის ფრაგმენტი და ნამგლის სამი ნატეხი; დიდი რაოდენობითაა უფორმო ზოდები და სხვადასხვა ნივთის ნამტკრევები; რაც მთავარია, განძში მრავალადა

შრომელს, მ. თავდუმამეს ადგილზე შეუსწავლია ნივთების აღმოჩენის ვითარება, ნივთები ჩვეულებრივად უოფილა ჩაწყობილი მინაში; ადამიანის ძვლები მათთან ერთად არ ყოფილა შემჩნეული. ასე რომ, სავარაუდებელია განძთან გვეკონოდა საქმე. მახარაძის მუზეუმამდე მხოლოდ ცულს მიუღწევია (ინგ. 1265); იგი I სახეობის კოლხურ ცულს წარმოადგენს (ტაბ. XXXV, სურ. 22).

35. ოფშკვითის განძი<sup>33</sup>. ქუთაისის მუზეუმში დაცულია მრავალი ნივთისაგან შემდგარი განძი სოფ. ოფშკვითიდან (ინგ. 1619/5429). მის შემადგენლობაშია როგორც I, ისე III სახეობის კოლხური ცულები. I სახეობა 15 ცალია (მათგან უმეტესობა ნაკლული), სეგმენტური იარაღის სამივე სახეობა 25 ცალი (დიდი ნაწილი II სახეობას გა-



სურ. 12. 1) ბრტყელი ცულის ფრაგმენტი შრომის განძიდან  
2) " " " " " ვაკიჯვრის განძიდან  
3—4) ტარშურჩენელი, ფოთლისებრი სატყვრები შრომის განძიდან (მახარაძის მუზეუმი)

ისეთი იარაღები, რომლებზედაც დაღუღებულია ბრინჯაოს სქელი ფენა, ზოგჯერ ბრინჯაოს ნივთის რამდენიმე ნატეხია ერთად შედუღებული.

34. შაკვანეთის განძი (?); 1959 წ. ციტრუსების პლანტაციის დამუშავების დროს ს. შაკვანეთში, წყაყმანას უბანში (მახარაძის რაიონი) უპოვნიათ ბრინჯაოს ნივთები (თოხები, ცული და სხვა ინვენტარი). მახარაძის მუზეუმის მეცნიერ თანამ-

ნეკუთვნება, ბეგია დაზიანებული), III სახეობის თოხის ერთი ნატეხი, ნამგლის 5 ფრაგმენტი, ბრტყელი ცულის ნატეხი, მასიური რგოლი და ზოდის ორი ნატეხი (სურ. 15 და 16).

36. საქარის განძი (?)<sup>34</sup>. 1924 წელს ს. საქარაში ძველი ეკლესიის ნანგრევებზე შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოს ნივთები (დაცულია ქუთაისის მუზეუმში, ინგ. 833)<sup>35</sup>. კოლექციის შემადგენ-

32 А. А. Иессен, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 122.

Б. А. Куптун, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 318.

არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, თბილისი, 1955, გვ. 21—27, ტაბ. VII—IX.

33 ო. ჭაფარიძე, *კოლხური ცული*, გვ. 51.

შოსიძე, *მიწათმოქმედების იარაღები...*, გვ. 182, სურ. 4.

34 ო. ჭაფარიძე, *კოლხური ცული*, გვ. 60.


35 საინვენტარო წიგნში ძველის ხასიათის შესახებ გარ-

ლობაშია: I სახეობის კოლხური ცული (სურ. 17გ), II სახეობის 3 თობი (სურ. 17კ, ლ). III სახეობის სეგმენტური იარაღი (სურ. 17კ).

მწ. ზემო-სიმონეთის განძი<sup>36</sup>. აღმოჩენილია შემთხვევით სოფ. ზემო-სიმონეთში (უნაგირას მიდამოებში) და დაცულია ქუთაისის მუზეუმში

მრავალი უფორმო ზოდისაგან (179 კლოგრამამდე. სურ. 18).

უვიროლის ზემო წელის ამ პერიოდის მასალებში ცულების რამდენიმე სახეობა შეინიშნება. მათ შორის ერთერთი წამყვანი ადგილი უკავია ყუადაქანებულ ცულებს. ყუადაქანებული ცულების ის ვარიანტი. რომელიც ასე მრავლადაა საჩხერის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ზოგჯერ ანლო ანალოგიას პოულობს ერთის მხრივ დასავლეთ სა-

ქართველოში — აფხაზეთის დოღმენებში მოპოვებულ ცულებთან, ხოლო მეორე მხრივ—შიდა და ქვემო ქართლში აღმოჩენილ ყუადაქანებულ ცულებთან.

შიდა და ქვემო ქართლში აღმოჩენილ ყუადაქანებულ ცულებში, ორი ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული სახეობა შეინიშნება: 1) ბრდაქორის (მარნეულის რაიონი, სურ. 42)<sup>1</sup> და მისთანა ცულები იაღლებიდან და ზღუდერიდან, ოდნავ დაქანებული ყუით, მრგვალი სატარე ზვრელით, სქელი—მთელ სიმაღლეზე თითქმის ერთნაირი სიგანის ტანითა და ოდნავ ჰომრგვალელებული პირით. 2). ცულები მეჭვრისხევიდან (სურ. 42) და ყიზილ-აჯლოდან (მარნეულის რაიონი, სურ. 43), ორწახანავა მეტად დაქანებული ყუით, მრგვალი სატარე ზვრელით, შედარებით თხელი ტანით, ფხისაყენ მცირედ გაფართოებული პირითა, და ოდნავ მომრგვალებული ფხით. იარაღის ამ ორ მცირედ განსხვავებულ სახეობას თუ შევადარებთ ამავე ტიპის საჩხერულ ყუადაქანებულ ცულებს, დაგრწმუნდებით, რომ მათ შორის დეტალებში მცირედი სხვაობაა: საჩხერული ცულები უფრო დასწვრილი, სრულყოფილი ჩანს (სურ. 42) და მაღალი, ვიწრო სოლური თხელი ტანით, მცირედ მორკალური შუბლით, ფხისაყენ საგრძნობლად გაგანიერებული პირითა და ოდნავ მომრგვალებული ფხით ხასიათდება; ეს ცულები იმითაცაა საინტერესო, რომ მრგვალი სატარე ზვრელის წინა ნაპირის ირგვლივ მასზე შეიმჩნევა კარგად გამოყოფილი, მომადლო

\* განძებში შემავალი ს.მ.ტერნო იარაღების ზოგიერთი ტიპები აქ განხილულია შემოხვევით აღმოჩენილი და ზოგჯერ სმარხული მასალების მოშველიებით.


<sup>1</sup> Д. Л. Коридзе, Новые находки медных орудий в Квемо-Картли. Сб., 1958, № 1, გვ. 134—140, სურ. 1.

წიბური. საჩხერული ეს ცულები ფორმითა და ზოგეგითი დეტალით მეჯვრისხევის და მისთანა ცულებს უფრო უახლოვდება, ვიდრე ბრდაძორისას. მეჯვრისხევისა და მისი მსგავსი ცულები ტექნიკურად შედარებით მარტივია და ამდენად არაქაულიც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრდაძორის, იალბუზისა და ზღუდერის ცულები უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ყიზილ-აქლოსა და მეჯვრისხევის ცულები<sup>2</sup>, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ ყუადაქანებული ცულების განვითარების სქემა (სურ. 42), სადაც სათავეში ექცევა ბრდაძორის ცული, შუაში—მეჯვრისხევის, ხოლო ბოლოშია ყველაზე განვითარებული ფორმა—საჩხერული ყუადაქანებული ცული<sup>3</sup>.

საკმაოდ დაქანებული ყუა და ფსისაყენ გაფართოებული თხელი პირი.

აქარიდან ამ ადრეული პერიოდის ერთადერთი ცულია ჩვენთვის ცნობილი; ის ნაპოვნია 1957 წ. სულოს რაიონის სოფ. ნომარში და დაცულია ბათუმის მუზეუმში (სურ. 45). იარაღის ყუა მკვეთრადაა დაქანებული, პირი სოლურია, მაგრამ ტანზე მთელ სიმაღლეზე, დაახლოებით, თანაბარი სიგანისა აქვს. ფხა მცირედაა მომრგვალებული, სატარის ზედაპირი სიმაღლეზე ჩაღარულია. ეს ცული მარნეულის (ყიზილ აქლოს) ცულთან პოულობს ანალოგიას.

ბრდაძორისა და მისთანა ცულების ანალოგია სომხეთის ტერიტორიაზეა ნაპოვნი და ლენინაყა-



სურ. 42. ყუადაქანებული ცულები: 1) ბრდაძორიდან, 2) მეჯვრისხევიდან, 3) საჩხერიდან

საჩხერული ყუადაქანებული ცულების ახლო ანალოგიას წარმოადგენს აფხაზეთის დოღმენებში (ძირა III ფენაში) აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულები (ეშერის IV და V დოღმენის<sup>4</sup> იარაღები, ყუადაქანებული ცული კიურდერადან<sup>5</sup> და 1937 წ. შემოთხვევით ნაპოვნი ცული. რომლის ყუა რელიეფური ორნამენტითაა შემკული სურ. 44). ამ ცულებას ერთ ნაწილს (V დოღმენისა და კიურდერეს ეგზემპლარს) შედარებით ნაკლებ დაქანებული ყუა და მთელ სიმაღლეზე თითქმის თანაბარი სიგანის ტანი აქვს, ხოლო დანარჩენს—


ნის მუზეუმშია დაცული<sup>6</sup>. ყურადღებას იმსახურებს სომხეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყალიბი (ზემო ნაწილი აკლია); დარჩენილი ნაწილის მიხედვით ა. მარტიროსიანი მასში ხედავს იშვიათი ცულის ყალიბს. როგორც ლენინაყანის მუზეუმში ინახება, იგი აღმოჩენილი ყოფილა 1936 წ. შენგავითოს ენეოლითური ნასახლარის ზედა ფენაში. მრგვალი ოთახის იატაკზე. თიხის კერასთან<sup>7</sup>.

სომხეთის ტერიტორიაზე. არაბატის ველზე ნაპოვნია აგრეთვე მეჯვრისხევის ყუადაქანებული ცულის მსგავსი იარაღი. მაგრამ აღწერილობის მი-

<sup>2</sup> დ. ქოროძე, ახლად აღმოჩენილი ცული ყიზილ-აქლოდან (მარნეულის რაიონი), იბეჭდება.  
<sup>3</sup> ჩვენ აღნიშნულ გამოთქვებზე ეკუთვნის მისაზრება, რომ საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ადრემბრნჯოს პერიოდის ეს ცულები (და მასთან ერთად ყუამილიანი ცულები და სხვა რეგლები) არ არიან იზოლირებული ერთმანეთისაგან, რომ ისინი გენეტიკურად უფროდ დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან და იმ მცირედ განსხვავებულ ნიშნებს, რომლებიც ამ ცულების აღხაობაშია, მათი ასაკობრივი სხვაობით ვხსნიდით. (იხ. დ. ქო-

რძე, Новые находки медных орудий в Квемо-Картли. СА, № 1, 1958, გვ. 140.  
<sup>4</sup> Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды, I, табл. XXXI и XXXIII, 1, 2.  
<sup>5</sup> მ ი ს ი ე ვ, Археолог. раскопки в Триалети. სურ. 16ა  
<sup>6</sup> А. А. М а р т и р о с я н. К предистории древнейших этапов культуры Армении, Историко-филологический журнал, № (8), АН Армянской ССР, Ереван, 1960. სურ. 2.  
<sup>7</sup> ი ბ ე ვ, სურ. 1.


ხედავით. აღნიშნულ ცულს ოვალური სატარე ხვრელი ჰქონდა. სანტიმეტრსა აგრეთვე ქიულ-ოუფს II ფენის ქვედა პორიზონტში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულის ჩანოსასხმელი თიხის ყალიბი<sup>11</sup>. ამრიგად, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ყუადაქანებული ცულის ჩანოსასხმელი ორი ყალიბია ნაპოვნი და ამავე დროს თავისებური ყუადაქანებული ცულების ადრეული სახეების საკმაო რაოდენობა (მათ შორის დიდი უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მომდინ-



სურ. 43. ყუადაქანებული ცული ყიხილ-აჯლოდან (მარნეულის რ-ნი)

არჩენს). ვფიქრობთ, რომ მათ საერთო არაფერია უნდა ჰქონდეთ ჯემდედ-ნასარის ცულებთან, რომლებიც მხოლოდ თიხის მოდელების სახითაა ცნობილი<sup>12</sup>. ჯერ ერთი<sup>11</sup>, ისინი ფორმით განსხვავდებიან ყუადაქანებული ცულებისაგან და უფრო ტრანსევირებულნი; მეორე—ჯემდედ-ნასარის და

ურის თიხის მოდელები გაცილებით ადრეულაა (ძვ. წ. V—IV ათასწლეულის), ვიდრე ჩვენი ყუადაქანებული ცულები (მათი ადრეული სახეები თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედით). მათ შორის გენეტიკური კავშირის დასამყარებლად აუცილებელია გარდამავალი ფორმის ცულები. ასეთები კი დღეისათვის ჩვენთვის არ არის ცნობილი, პირიქით აღნიშნული ცულები იქაც ვერ განვითარებულა და მათ ადრე შეუწყვეტიან არსებობა. ჯემდედ-ნასარის ცულის ფორმის თიხის მოდელების ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენს ზემო-ავჭალისა და სევანეთის (ტაბ. XI.V, სურ. 1) ადრეული ცულები, რომლებიც ძვ. წ. III



სურ. 44. ყუადაქანებული ცული. ყუაზ ორნამენტით (ემგრიდან)

ათასწლეულის I სახეარს შეიძლება განეკუთვნოს, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ო. ჯაფარიძე, ცულის ამ ფორმამ ჩვენში სათანადო გავრცელება ვერ მოუვა<sup>12</sup>. საქართველოში გავრცელებული ადრეული ყუადაქანებული ცულების ერთგვარ ანალოგიას ვხვდებით ჩრდილო კავკასიაშიც<sup>13</sup>.

სახეების რაიონის ადრეული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყუამილიან ცულებს. პირველ ყოვლისა.

<sup>11</sup> A. A. Мартиросян, დასახ. ნაშრ., სურ. 9.  
<sup>12</sup> ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.  
<sup>13</sup> ტ. ზედაქანებული, ამიერკავკასიის, თბილისი, 1953 წ., გვ. 28.  
<sup>14</sup> ი. გ. ჩხენიბერიძე, ზემო-ავჭალის თიხის სახეების აღწერა, ნაშრ.ში გამოქვეყნებული ნაშრომების კრებული, რომელიც ყუადაქანებული ცულების შესახებ თიხის მოდელები ჯემდედ-ნასარის დროიდანაა ცნობილი (გვ. 58).

<sup>11</sup> B. A. Куфтин, დასახ. ნაშრ., სურ. 2.  
<sup>12</sup> ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.  
<sup>13</sup> E. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии до Кобальского периода, МИА, № 2,3, 1951, სურ. 7, 8.


ყუარდლებს იმსახურებს ყუამილიანი, ტანში რამდენადმე მოხრილი, რკალურშებლიანი ის ცული, რომლის პირი ფხისაყენ ოდნავ ფართოვდება და მცირედ მომრგვალებული პირით მთავრდება (სურ. 46). ეს ცული, ბ. კუფტინის თანახმად, აღმოჩენილი ყოფილა ცარცის გორაზე არქაულ კომპლექსში<sup>14</sup>. აღნიშნულ ცულს რამდენადმე უხასლოვდება კარაღეთის ცული (სურ. 46). საჩხერეშივე დიდი რაოდენობით მოიპოვება ყუამილიანი ცულების უფრო განვითარებული ფორმები (სურ. 46 ა - გ) ამ ცულებს საკმაოდ გრძელი, მილისებრი სატარაკვესი, რომელიც ზოგჯერ დამრეცი ღარებითაა შექმნილი (სურ. 46<sup>ა</sup>). ტანი მაღალი, წელში ვიწრო, ფხისაყენ თანდათან გაფართოვებული, პირი კი თხელია და სოლური.

კოლხეთის ყველაზე მაღალ მთიან ზოლში, სვანეთის ტერიტორიაზე ყუამილიანი ცულები საკმაოდ რაოდენობითაა ნაპოვნი (მესტიის მუზეუმი ინვ. 227, 359, 360, 382, 397). ისინი უხასლოვდებიან საჩხერის განვითარებული ფორმის ყუამილიანი ცულებს. იგივე უნდა ითქვას ჭიათურის მადამოებში (საქ. სახ. მუზეუმი, ინვ. 11—32/33. სურ. 47), სამეგრელოში სოფ. მახარაიში (ზუგდიდის მუზეუმი<sup>15</sup>), აფხაზეთის დოღმენებში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სოფ. გუფთაში, და ბოლოს, სურმალინის რაიონში (ყარსის ყოფილი ოლქი; ინახება ბორჯომის მუზეუმში სურ. 48), აღმოჩენილი ყუამილიანი ცულების შესახებ<sup>16</sup>. ყუამილიანი ცულების თავისებური სახეები ნაპოვნია ჩრდილო კავკასიაში სოფ. ვალიათთან „ფასკაუს“ სამაროვანზე<sup>17</sup>, ლენინჯანში და სეევანთან<sup>18</sup>, ვოლგა-კამას აუზში<sup>19</sup>, ლუმიწისა და უნგრეთში<sup>20</sup>. აღრეული, ოღონდ საკმაოდ განსხვავებული ფორმების ყუამილიანი ცულები ცნობილია წინა აზიაში, კერძოდ კიშში, ურის მეფეთა სამაროვანზე, ლურისტანში და სხვა<sup>21</sup>. ისინი განსხვავდებიან ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყუამილიანი ცულებისაგან, უმთავრესად ტანისა და ფხის მოყვანილობით.

საჩხერის აღრეული ცულების ერთი ჯგუფი განსხვავდება დანარჩენი ცულებისაგან იმით, რომ სრულიად გამორიცხულია მათი სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულება. ამ ცულებს საკმაოდ გრძელი ტანი, გრძელი, მილისებრი და ზედაპირ-

დაღარული სატარე, ფხისაყენ სწრაფად გაფართოვებული ტანი, ფხა კი შესამჩნევად დამრეცი და ვერტიკალურად გადაკვეთილი აქვთ, ამგვარი ცულების ანალოგიები ჩვენთვის არ არის ცნობილი.

როდესაც აღნიშნული იარაღების წარმოშობაზეა ლაპარაკი, არ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული ის ფაქტი, რომ ჩვენი ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულები ძირითადად



სურ. 45. ყუადაქანებული ცული, ნაოპარადიან ხელის რანი (ბათუმის მუზეუმი)

დამზადებულია დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან და რაც მეტად საინტერესოა, თითქმის ასეთივე ქიმიური შემადგენლობის ყუამილიანი, ყუადაქანებული და ზოგჯერ ოვალურხვრელიანი ცულები შეაბრინჯაოს პერიოდშიც გვხვდება ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში<sup>22</sup>. ე. ი. აღრე ბრინჯაოს პერიოდში ადგილობრივ შემუშავებული ტექნოლოგიური პროცესი (ლითონის

<sup>14</sup> Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция, 1945. таб. VI.  
<sup>15</sup> Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, таб. II, სურ. 1, 2  
<sup>16</sup> იქვე.  
<sup>17</sup> Е. И. К р у п н о в, დასახ. ნაშრ., გვ. 39, სურ. 76.  
<sup>18</sup> А. А. М а р т и р о с я н, დასახ. ნაშრ., სურ. 11, 12.  
<sup>19</sup> Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ., გვ. 304, სურ. 81.  
<sup>20</sup> იქვე, სურ. 87-8.


<sup>21</sup> იქვე, გვ. 304, სურ. 1—5.  
<sup>22</sup> ი. აბეცაძე, რ. ბაბტაძე, თ. დვალის, თ. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, იბ. ცხრილი 3, 4, 6, 7, 8, 9.



შემადგენლობაში მინარევის შეტანის მიხედვითაც კი) დღემდე ინარჩუნებს იმ ადრეულ ხერხებს. რაც აშკარად მოწმობს ამ ტექნოლოგიის ადგილობრივი ტრადიციის არსებობას. რაც შეეხება ლითონის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს. კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს თითქმის ყოველ მხარეში იყო სხვადასხვა სიმძლავრის სპილენძის საბადოები (აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი). ამჟამად დროს ადრეობრივად ხანაში<sup>3</sup> ძვ. წ. 111 ათასწლეულის მეორე მეოთხედში მის

ბილი და შემდეგ განვითარებული. ეს სრულადაც არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აქ გავრცელებული ლითონის იარაღ-სამკაულის ზოგიერთი სახეობის წარმოშობა-ჩამოყალიბებაზე თავდაპირველად ერთგვარი ზეგავლენა მოეხდინა წინააზიურ ცივილიზებულ სამყაროს, იქ ადრე გავრცელებულ ზოგიერთ ტექნიკურ სიასლეს.

ყუამილიანი და რამდენადმე ყუადაქანებული ცულების მსგავსი, ოღონდ უფრო განვითარებული, მოგვიანო პერიოდის ცულები ნაპოვნია და-



სურ. 46. ყუამილიანი ცულები: 1) სახზრე—ცარციის გორა, ბ. კულტინის მიხედვით 2) კარაღეთიდან, კულტინის მიხედვით, 3, 4, 5) სახზრეიდან

მეორე ნახევარსა და 11 ათასწლეულის დამდეგს საქართველოს ტერიტორიაზე და მის მოსაზღვრე რაიონებში ნმარებაშია ყუადაქანებული ცულების ისეთი ადრეული სახეები (მათი ყალიბებიც), რომელთა უახლოესი შესატყვისები თითქმის არ არის ცნობილი არც წინა აზიაში, აუც სხვაგან სადმე. რაც შეეხება ჩვენთან გავრცელებულ ყუამილიან ცულებს—მათი ფორმების ზუსტი დამხვევა წინააზიურ ადრეულ ან დუნაისპირეთის ერთგვარად მსგავს ცულებთან არ შეიძლება. ცალკეული ნაწილები თავისებურებითა და გაფორმების ხერხებით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს. დაუკავნათ, რომ ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულები ადგილობრივ არის წარმოშო-

სავლეთ საქართველოს როგორც მთიან, ისე შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ურეკის განძისეულ 23 ცულს შორის 7 ყუამილიანია (ტაბ. 1, სურ. 1—4). მათთვის დამახასიათებელია ყუადაქანებულობისა და ყუამილიანობის შერწყმა. იარაღის აღნიშნული ჯგუფის აღნაგობაში უთუოდ შეინიშნება ერთგვარი ტექნიკური სიასლე: სამუშაო ნაწილის გაფართოება მარტო ილიის (უკანა მხარის) ხარჯზე კი არ ხდება არამედ თითქმის თანაბრად, როგორც შუბლის, ისე ილიის ხარჯზე; ამჟამად დროს, ორივე ფრთაზე ჩანს ფხის განაპირა ნაწილების ნიღრად ქცევისაკენ—ზოგიერთ ცულზე კი—ტანის ექვსად დაწანაგებისაკენ მისწრაფება. რამდენიმე ეგზემპლარის ყურისა და სატარის ზედაპირზე შეინიშნება ერთგვარი უსწორობა, რაც გამოიხატება შუბლის

<sup>3</sup> აღნიშნულ ცულს (სურ. 49). ბ. კულტინი უკავშირებს ცულს ადრეულ ე. წ. ენეოლითურ ხანის კერამიკას. ე. ი. მის დასაშვებად მოაჩნდა ისეთი ცულების არსებობა ენეოლითს ხანში. იხ. მისი Археолог. маршрутная экспедиция, გვ. 36. არქეოლოგი ე. ლენინი მათ ზედადად შეტყობავთ განვითარების ადრეულ საფეხურს აქოვენებს (В. П. Лис-


6 и и, Археологическая разведка в окрестностях города Сталинири, КСИИМК, вып. 60, 1955, стр. 32.  
ო. ჟ ა დ რ ი ძ ე ი ლბუზის ცულს ძვ. წ. 2600—2400 წლებით ათარიღებს... (იხ. მისი მონოგრაფია, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 120).



ბა ერთ მათგანს (ტაბ. XLV, სურ. 8), ყუიდან და-  
უყვება რელიეფური წიბური და მისი მუშევრებით  
ლრეები ორორ წახნავადა დაყოფილი, ილია და  
შუბლი კი მომრგვალებულია. მეორე ცალზე (ტაბ.  
XLV, სურ. 6.) წიბური წელთან წყდება. მესტიის  
მუზეუმში დაცულია ორი ცული, რომელთაგან ერ-  
ი:ა<sup>28</sup>, ზუსტად ისეთია როგორც ზემოხსენებული.  
მეორე კი (ტაბ. XLV, სურ. 7) უახლოვდება ურე-  
კის შოკლე მილხერლიან ცულებს (ტაბ. I, სურ. 3,  
4). მსგავსი ცულები აღმოჩენილია კუმბულთის სა-  
მაროვანზე<sup>29</sup>, რამდენაღმე განსხვავებული სახეობა-  
სა კი ვალიათში „ფასკაუს“ სამაროვანზე<sup>30</sup>. ურე-  
კის, ბრილის და სვანეთის აღნიშნული ცულების  
ანალოგიები, თუ კი ქრონოლოგიურ სხვაობას არ  
მივიღებთ მხედველობაში (თარიღდება ძვ. წ.  
2200—2000 წწ.), აღმოჩენილია ელ-ამასა და ტელ-  
ამარში<sup>31</sup>. მაგრამ მათი ტანი, პირის ჩათვლით, თით-  
ქმის თანაბარი სიგანისაა, ილიისა და შუბლის ხა-  
ზი სწორად ეშვება, პირიც ერთ მათგანს (ტელ-ამა-  
რის ეგზემპლარს), სწორხაზობრივად აქვს ვიდე-  
ვითილი, მეორეს მცირედ მორკალური.

ბრილის შუაბრინჯაოს პერიოდის სამარო-  
ვის მასალებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭი-  
რავს ისეთ ცულებს, რომლებსაც ძირითადად და-  
უყარვავთ სამეურნეო და საბრძოლო ფუნქცია და  
უმთავრესად საეულტო-სარიტუალო-სახეობო ხა-  
სიათი შეუძენიათ<sup>32</sup>. ასეთი იარაღის ერთ ჭგუფს  
ძალზე ვიწრო და გრძელი, მილისებრი, ზოგჯერ  
ცხვრის თავების სკულპტურული გამოსახულებით  
შემკული სატარე უსწორო, შეზნევილ-ამოხნე-  
ქლნაპირებიანი ტანი და უნიღო ნახევარმთვარე-  
სებურად მომრგვალებული პირი აქვს (ტაბ.  
XLI, სურ. 4, 7); ზოგიერთს ვიწრო მილისებრი  
სატარე აქვს, მრედე შუბლი, წვეტიანი დაბოლო-  
ებით, პირი კი უსწორო (ტაბ. XLI, სურ. 6); როდ-  
ესაც საჩხერულ ე. წ. სარიტუალო პარადულ ცუ-  
ლებს ვუყვარდებით, გვებადება აზრი, ხომ  
არ არის ეს უკანასკნელი უადრესი სახე ბრი-  
ლის პარადული ცულების ერთი ნაწილისა (ტაბ.

XLI, სურ. 3, 5, 6), რომელიც ყუისა და წელის  
მოყვანილობით ახლო დგას საჩხერულ პარადულ  
ცულებთან? ამგვარად საკითხის დასმის უფლებას  
გვაძლევს, არა მარტო ამ იარაღების ცალკეული  
ნაწილების მსგავსება არამედ ისიც, რომ მათ უშუ-  
ალო ანალოგია არსად მოუძებნებათ, თუ არ მივი-  
ღებთ მხედველობაში უფრო მოკვიანო პერიოდის  
(ძვ. წ. 1500—1200 წწ.) და თავრეხებული ხასიათის  
ცულებს ლურისტანიდან<sup>33</sup>; მეორე მხრივ, პირისა  
და წელის მოყვანილობით ისინი საჩხერის პარ-  
ადულ ცულებს უახლოვდებიან, კიდევ უფრო სავა-  
რაულებელია საჩხერის ხსენებული ცულების გენე-



სურ. 50. ცულები მესტიის მუზეუმიდან

ტიკური კავშირი მესტიის მუზეუმში დაცულ ცუ-  
ლებთან (სურ. 50)<sup>34</sup>. თუ ზემოთ მოტანილი მოსაზ-  
რება რამდენაღმე გასაზიარებელი იქნება, მაშინ  
ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სარიტუალო და

<sup>28</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები  
საქუთაო სარაიულში, ტაბ. XIII, სურ. 4.

<sup>29</sup> МАК, вып. VIII, Москва, 1900, ტაბ. I, IX, 2, 3, 5.

<sup>30</sup> Е. Я. Крупнов, Материалы по археологии  
Северной Осетии дохобанского периода, სურ. 81<sub>1</sub>-11.

<sup>31</sup> Claude E. A. Schaeffer, დასახ. ნაშრ.,  
სურ. 79 და სურ. 82<sub>1</sub>-21.

<sup>32</sup> გ. გობეჯიშვილი, ქართული ექველეხი ბალ-  
თები, გვ. 121—123.

<sup>33</sup> Claude E. A. Schaeffer, დასახ. ნაშრ.,  
ტაბ. 266, სურ. 1, 2, 3.


<sup>34</sup> აღნიშნულ ცულებს, როგორც ჩანს ფართო გავრ-  
ცელებს არ ჰქონია არც ჩვენს ტერიტორიაზე და არც სხვაგან

საღმე. მესტიის მუზეუმში 1 მთელი და 2 ნაკული ასეთი  
ცულია დაცული, ორი კი საქ. მუზეუმის ფონდებში. მათ-  
გან ერთი ურუმში ყოფილი ნაპოვნი და გამოქვეყნებული აქვს  
ა. იესენს. (Прикубанский огаг металлургии и мета-  
лообработки, გვ. 85, სურ. 8).

ა. იესენი ამ სახის იარაღს — Сикиრა-ის უწოდებს. ჩვენ  
საეველო მთავანია, რომ ცულების ეს ჭგუფი, საბრძოლო იარა-  
ღი „ჩრდულევი“ იყო, რადგან მას ძალზე ვიწრო (1, 2 სმ)  
და გრძელი სატარე ზერელი აქვს და მასასაღმე მასზე დაგე-  
ბული მუცისმეტად წვრილი ტარი სუსტი იქნებოდა, ხოლო  
საბრძოლო და სამუშაო ცულისათვის კი ასეთი სუსტი ტა-  
რის დაგება გამორიცხვლია. ასე, რომ ეს იარაღები სარიტუ-  
ალო ან სახეობო ხასიათის უნდა ყოფილიყო.

პარადული ცულები განვითარების ერთგვარი (სურათი), სადაც ადრეული სახე საჩხერული შე-სატყვისი ცული იქნება, ხოლო მისი განვითარებული ფორმა ბრილისა და სენანეთის დასახელებული ცულები.


ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულების გვირდით, რომელიც ეს ეს არის გავიცანით, დასა-



სურ. 51. ცულები: 1) ღრმა-დელიდან (თბილისი), (2-3) ურეკიდან, 4, 5, 6) გმავრიდან, ბიჭვინთიდან, პილენკოვიდან, 7, 8, 9) ვრგედან, მახუნციეთიდან, ქობულეთიდან

ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამავე პერიოდში გავრცელებული ყოფილა ცულების რამდენიმე სახეობა (სურ. 51). (მათი აღწერილობა იხ. გვ... 8. 9). ამჟამად ჩვენთვის, პირველ რიგში, საინტერესოა ურეკის განძის ორი ცული, ოვალური სატარე ჯერელით (ტაბ. I, სურ. 5, 6). მათ ახლო ანალოგიას წარმოადგენს ერთი მხრივ 1917 წ. ერზერუმის მახლობლად აღმოჩენილი ცული (სურ. 52), ხოლო მეორე მხრივ—ცულები ჭოროხიდან (ტაბ. V, სურ. 10), ვრგედან (ტაბ. V, 14, 15), მახუნციეთიდან (ტაბ. V, სურ. 9) და სხვა. მხოლოდ ზემოთ ჩამოთ-

ვლილ იარაღებს ურეკის ცულებთან შედარებით კობტად გამოყვანილი, მაღალი, განიერი, კორდა და ასიმეტრიული პირი აქვს. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ცულებთან ტიპოლოგიურად ახლოს დგას ბიჭვინთის განძის (ტაბ. V, სურ. 1), ლიხნეს განძის (12 ცალი), პილენკოვის (ტაბ. V, სურ. 6, 7) და ვაგრის (ტაბ. V, სურ. 8) ცულები. პირის მოყვანილობით, ტანის დაწანავებითა და სატარის ბოლოზე წარმოქმნილი ქიმიისებრი შევრთვებით ისინი მეტნაკლებად უახლოვდებიან კობტეთის სამხრეთ-



სურ. 52. ცული აღმოჩენილი 1917 წ. ერზერუმის მახლობლად (დაცულია ვრმიტეში)

ში გავრცელებულ ცულებს (ურეკიდან, ჭოროხიდან და სხვა). მაოი განმასხვავებელი ის არის, რომ პილენკოვ-ვაგრისა და მესთანა ცულებს მრგვალი სატარე ხერხელი აქვს, ხოლო ურეკის, ჭოროხის, მახუნციეთისა და ვრგეს ცულებს—ოვალური ან წვეტიან ოვალური. ეს განსხვავება მათ შორის უნდა აიხსნას არა ქრონოლოგიური სხვაობით, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, არამედ იმით, რომ ეს ცულები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა საწარმოო რაიონშია დაშვადებული. ამრიგად, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის სამხრეთ და ჩრდილო ნაწილში გავრცე-

ლებული ერთი ტიპის, მაგრამ ერთმანეთისაგან რამდენადვე განსხვავებული სახის ცულუბი. ცულუბის ეს ჯგუფი კი, როგორც ცნობილია, აღიარებულია. კოლხური ცულუბის პროტოტიპად<sup>25</sup>, აღნიშნული ცულუბის უშუალო პროტოტიპი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თოქშის არა ჩანს; სამკვეთოდ ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი შუა ბრინჯაოს პერიოდის ე. წ. საპარძოლო პარადული ცულუბი<sup>26</sup>. დღევანდის აქ სამი ასეთი ცულუბი ნაპოვნია: თბილისში (ღრმად-ლელო, გურ. 51), ბღორონაში (დუშეთის რაიონი) და სოფ. ჭუმბათთან (წალკის რაიონი); ორი ამგვარი ცული ნაპოვნის სომხეთის ტერიტორიაზე სოფ. პაურში (შამ-შადის რ-ნი)<sup>27</sup>. თბილისისა და მისთანა ცულუბა აღნაგობით ახლოა ურტყის, მახუნცეთის, ვაგრაბიჭვინოსა და მისთანა ცულუბთან. ეს პირველი ორგანი ვლენდება ტანის ექვსად დაწახნაგებაში, რაც ოროვე ჯგუფის ცულუბისათვისაა დამახასიათებელი; ამავე დროს ილიისა და შუბლის წახნაგებს მცირედ ამოღარელობაში. სატარის ძირთან, ზოგჯერ კი მთელ სიმაღლეზე ამ იარაღების ერთ ნაწილს რაღიფურტი სწორხაზობრივი ან წრიული ორნამენტები ამკობს; ჩვეულებრივ ძირთან შუბლის ან ილიის მხარეზე შეტანალები სილიდის ქიმიკებრივი შევრდებიან; დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს ცულუბი თბილისის პარადულ და მისთანა ცულუბთან შედარებით გემარტივებულია და ტექნიკურად რამდენადმე გაუმჯობესებულია (უფრო პატარა და სამუშაოდ ადვილად გამოსაყენებელი). მარაის მაგვარი გაშლილი პირის ნაცვლად, რომლის მხოლოდ წინა ნიღბის შეუძლოა მუშაობაში მონაწილეობის მიღება, მათ შედარებით მომრგვალებული და ნიღბებიანი პირი გაუქმდა და სხვა. აღნიშნული მონაცემების მიხედვით სავარაუდებელია ცულუბის ამ ორი ჯგუფის გენეტიკური კავშირი, მათ უფრო, რომ ჩვენს ბელთ არსებულ მასალებს მიხედვით, თანადროულ არ აღარებულ ჰქვამდნენ შორის მსგავსი იარაღები სხვაგან არაა და ჩანს. ზემოთ ჩვენ მოკლედ განვიხილეთ იარაღის წმენდის სახეს—ცულის განვითარებამ გზებზე საქართველოს ტერიტორიაზე ლიონის წარ-

მოების ჩასახიფრადან. შუაბრინჯაოს ხანის მიწურულამდე. ე. ო. იმ ხანამდე, რომელსაც განეკუთვნება კოლხური ცულუბი.

ეს ხანა ხასიათდება ლიონის წარმოების უღლესი აღმავლობითა და ერთიანი დასავლურ-ქართული კულტურის ფარგლებში. მეტალურგიის წარმოების შედარებით დიდ-პატარა სწარმოთა რაიონის არსებობით (ამ საკითხზე იხილეთ ქვემოთ), რადგანაც კოლხური კულტურისათვის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ იარაღს ცულუ წარმოადგენს, ჩვენ საქაროდ მივგაჩნია უურადლებების შეჩერება მისი განვითარების საკითხზე. როგორც ცნობილია, კოლხური ცულუბის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის თავისებური სქემა შედგენილი აქვს რ. ვირხოვს<sup>28</sup>, ე. შანტრას<sup>29</sup>, პ. უვაროვას<sup>30</sup>, ფრ. ანარას<sup>31</sup> და ზოგიერთ სხვა მკვლევარს. ჩვენ მასზე აქ არ შევიჩერდებით, რადგან აღნიშნულ საკითხს სპეციალური შრომა მიუძღვნა ო. ჯაფარიძემ<sup>32</sup>, რომელმაც საკმაოდ ვრცლად და კრიტიკულად მიმოიხილა წინამორბედ მკვლევართა მისახარებები და მოგვცა კოლხური ცულუბის ტიპოლოგიური დანაწევრების შედარებით მარჯვე სქემა; მანვე დაადგინა კოლხური ცულის თითოეული სახეობის გავრცელების არეალი. იარაღის ამ ჯგუფიდან სხეულებშია მკვლევარმა გამოჰყო სამი ტიპი და ორი ქვეტიპი: პირველი ტიპი ხასიათდება შევტილი, ექვსად დაწახნაგებული ტანით, ორფერდა (მახვილი) ყუთი და მაღალი, გორდა, ასიმეტრიული პირით. პირველი ქვეტიპი განირჩევა I ტიპისაგან, მხოლოდ სატარის ძირზე შექმნილი ქიმიკებრივი შევრილებითა და შედარებით პატარა პირით. II ტიპის ძირითად თავისებურებად ავტორი მიიჩნევს ყუის დაწახნაგებას შევტილი შუბლსა და გორდა, ძლიერ ასიმეტრიულ პირს, II ქვეტიპის არსებით თავისებურად II ძირითად ტიპთან შედარებით—მისი მახვილყუთანობაა მიჩნეული. III ტიპში ავტორის მიერ გაერთიანებულია კოლხური ცულუბის ის სახეობა, რომელსაც მრულად, არასწორი, ორგზის მოღუნული ტანი აქვს<sup>33</sup>; გ. ვობევიშვილი ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის საგრძნობლად გაუმ-

<sup>25</sup> Б. А. Кухтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 17.  
<sup>26</sup> ი. ჯაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 79.  
<sup>27</sup> ი. ჯაფარიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, 1, გვ. 77.

<sup>28</sup> Б. А. Кухтин, დასახ. ნაშრ., გვ. 17.  
<sup>29</sup> ი. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ.  
<sup>30</sup> ი. ჯაფარიძე, შტ. ბრინჯაოს პერიოდის საქართველოს პარადული ცულუბი აღმოსავლეთ საქართველოში, მათი დ. თბილისი და გენეზისის საკითხისათვის (იბეგვდეს).  
<sup>31</sup> А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., გვ. 106—108, სურ. 13.

<sup>28</sup> R. Virchow, Das Graberfeld, von Koban in Lande der Osseten, Berlin, 1883.  
<sup>29</sup> E. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris, 1885.  
<sup>30</sup> П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, Москва, 1900.  
<sup>31</sup> F. Hantzsch, Die Belle aus Koban in der Sammlung Kaukasische Altertümer, Wiener Prähistorische Zeitschrift, XXXI, Wien, 1934.  
<sup>32</sup> ი. ჯაფარიძე, კოლხური ცული, საქ. საბ. მეზღუების მოამბე XVI—B, 1950.  
<sup>33</sup> ი. ჯაფარიძე, გვ. 59, 71, სურ. 1.

ჭრბესებულად თვლის, მაგრამ იგი კოლხურ ტუ-  
 ლებს მიიჩნევს ერთი ტიპის ანალოგი, მისი ქვეტი-  
 პებითა და სახეებით. მისი აზრით, ამ ტიპის ტულს  
 ძირითადად ახასიათებს ორი ნიშანი—წახანაგოვანი  
 ტანი და ბოლოებშივეწრებულობა, ოვალური მოყ-  
 ვანილობის სატარე ზვრელი; მათ შორის ტანა-  
 მოყვანილობის მიხედვით ის გამოარჩევს სწორტა-  
 ნიან და ორმხრივ მოხრილტანიანს. პირის მოყვანი-  
 ლობის მიხედვით ორფრთიანებს, ცალფრთიანებს  
 და სოლურ პირიანებს, უყის მოყვანილობის  
 მიხედვით ყუაყვერიან და ორფერდაყუანი ტუ-  
 ლებს<sup>44</sup>. ე. კრუპნოვი კოლხურ-ყობანური ტუ-  
 ლების თავისებურ ტიპოლოგიურ დანაწევრე-  
 ზას იძლევა: I ტიპად ის გამოყოფს ყუბანის-  
 პირითში გავრცელებული ტულების იმ სახე-  
 ობას, რომელსაც დაწახანაგებულები ყუა, წვე-  
 ტიან-ოვალური სატარე ზვრელი, ოდნავ გაგა-  
 ნივრებულები, თითქმის სწორად გადაკვეთილი  
 პირი და ექვსად დაწახანაგებულები ტანი აქვს; II  
 ტიპად მიჩნია ტული, რომელიც ო. ჯაფარიძის  
 კლასიფიკაციით I ტიპადაა მიჩნეული (ამ იარაღს  
 კოლხურს უწოდებს); III ტიპში ის ორმხრივ მოხ-  
 რილტანიან ტულებს აერთიანებს (ამ უკანასკ-  
 ნელს ყობანურ ტულად მიიჩნევს), ხოლო IV ტიპ-  
 ში აერთიანებს ყუაყვერიან ტულებს, რომლებიც  
 ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით II ძირითად ტიპშია  
 გაერთიანებული (მას იგი ატიპიურს უწოდებს)<sup>45</sup>.  
 როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი კლასიფიკა-  
 ციიდან არც ერთში არ არის გათვალისწინებული  
 კოლხური ტულების ქრონოლოგია; ეს კი ჩვენის  
 აზრით, როდესაც მასალა ამის შესაძლებლობას იძ-  
 ლევა, უთუოდ საჭიროა და აუცილებელი. რო-  
 გორც განვების დათარიღების დროს დავინახავთ.  
 კოლხური კულტურა აშკარად ისახება ჭერ კიდევ  
 ძვ. წ. XIV საუკუნეში (არა უგვიანეს ამ საუკუნის  
 მიწურულსა) და თითქმის 7—8 საუკუნის განმავ-  
 ლობაში არსებობს. ამ დიდი პერიოდის განმავლო-  
 ბაში კოლხური ტულების განვითარებაში შეინიშ-  
 ნება ერთგვარი გარდატეხა. როდესაც ტულის ად-  
 რეული სახეები იცვლება ამავე ფორმის. მხოლოდ  
 უფრო განვითარებული და ჩამოყალიბებული ტუ-  
 ლებით. როგორც მასალებიდან ჩანს. ეს „გარდა-  
 ტეხა“ ხდება ძვ. წ. XII საუკუნის ბოლოს ან XI  
 საუკუნის დამდეგს. ყოველ შემთხვევაში კოლხურ-  
 ი ტულების ის სახეები. რომლებიც ძვ. წ. XIV—  
 —XII საუკ. განმავლობაში ჩანს, თითქმის აღარ  
 გვხვდება ძვ. წ. XI საუკუნეიდან (ან თუ გვხვდება  
 ძალზე იშვიათად. გადმოწაშვების სახით) და პირი-  
 ქით ის ტულები, რომლებიც II ათასწლეულის მი-

წურულსა და I ათასწლეულის საწყის პერიოდში  
 ჩანს ასე მრავლად, არ გვხვდება ძვ. წ. XIV—XII  
 საუკუნის ნივთიერ ძეგლებს შორის. ამ გარემოე-  
 ბას უთუოდ უნდა გათვალისწინება კოლხური ტუ-  
 ლების კლასიფიკაციის დროს; ამით, ერთი მხრივ,  
 ხაზგასმით გამოარჩევა ამ ტულების ხანგრძლივი  
 ევოლუციის პროცესი, მეორე მხრივ—საშუალება  
 მოგვეცემა დაავადებით ტულების ადრეული ფორ-  
 მების გავრცელების არე და. მაშასადამე, ჩამოყა-  
 ლიბების ძირითადი ადგილი.

თუ დავუკვირდებით კოლხურ ტულებს, უთუ-  
 ოდ აღარაშუენდებით. რომ ერთგვარი სხვაობის  
 მიუხედავად. ისინი არსებითად ერთი ტიპის  
 იარაღს წარმოადგენენ; ერთგვარია მათი ზოგადი  
 ხასიათი. გარეგნობა, დამზადებისა და შექმობის  
 ხერხები; ძირითადად ერთნაირია მათი განმსაზღვ-  
 რელი ნაწილები.

პირველი, რაც აუბრუნა ამ ტულებისათვის,  
 ეს არის. გ. ვიბეჩივილის სამართლიანი შენიშე-  
 ით<sup>46</sup>. ტანის ექვსად დაწახანაგება. ტულის ტანის  
 ექვსად დაწახანაგების ტრადიცია მომდინარეობს  
 დასავლეთ საქართველოს სამხრეთი და შავი ზღვის  
 სანაპირო ზოლიდან ჭერ კიდევ შუაპირიწაოს ხანი-  
 დან (სურ.51).

მეორე გამერთიანებელ თავისებურებას წარ-  
 მოადგენს სატარე ზვრელის წვეტიან-ოვალური  
 მოყვანილობა, რაც ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეში  
 უკვე ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს. ხოლო  
 ადრე.—შუაპირიწაოს ხანაში დასავლეთ საქართვე-  
 ლოში გავრცელებული ტულების ერთი ნაწილი  
 სათვისაა იგი დამახასიათებელი. მესამე, ასევე სა-  
 ერთო ხასიათის თავისებურება მყდვენდება ტულის  
 პირის მოყვანილობაში — მის გორდა, ასიმეტრ-  
 ულ ხასიათში. ნიღრების სხვადასხვა სიმართლეში.  
 ეს თავისებურება შუაპირიწაოს ხანის დასავლურ-  
 ქართული ძეგლების ტრადიციიდან მომდინარეობს.

ყოველწვე ზემოთქმულიდან გამოდინარე.  
 ჩვენ მიგვაჩნია. რომ კოლხური ტულები განხი-  
 ლულ უნდა იქნეს. როგორც იარაღის ერთი ტიპი.

კოლხური ტულების განვითარებაში ჩვენ ორ  
 ძირითად ეტაპს ვამჩნევთ: I—ეტაპს. რომელიც  
 ქრონოლოგიურად ძირითადად ძვ. წ. XIV—XII  
 საუკ. შემოიფარგლება და II ეტაპს, რომელიც  
 ემთხვევა ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელ სა-  
 უკუნეს (მიწურულს) და I ათასწლეულის I მეო-  
 თხელს.

I ეტაპის კოლხურ ტულებში ჩვენ გამოვეყოფთ  
 ორ ძირითად სახესა და ერთ ქვესახეს კარაიცი-  
 ებით (ი და II სახეობას და II—პირველ ქვესახეს,  
 ხოლო II ეტაპის ტულებში—ორ სახესა და ორ ქვე-


<sup>44</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 133.  
<sup>45</sup> Е. И. Крупнов, О происхождении и датировке  
 Кобанской культуры, САИ, № 1, 1957, გვ. 62, სურ. 4.

<sup>46</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 133—134.

სახეს (III და IV სახეობა, IV პირველი და IV მეორე ქვესახე)<sup>47</sup> (იხ. სქემა).

კოლხური ცულის I სახეობა. კოლხური ცულის I სახეობის არსებით თავისებურებას წარმო-

ადგენს: მევეთრად დაშვებული წინა ნიღრი; გორდა. მაგრამ ძალზე ასიმეტრიული პირი, უმთავრესად დაბალი და სქელი, ექვსად დაწახანგებული წელი; წვეტიან-ოვალური სატარე ხერელი; შახვი-



სურ. 53. ცულები: 1, 2) ურგვიდან, 3) ზენითიდან, 4) ერგვიდან, 5) მეღვეტდურიდან, 6) სვანეთიდან, 7) ბიქვინთიდან, 8) სოჭიდან, 9-10) მეღვეტდურიდან, 11) ბათუმის ნუხუფიდან, 12) ქვემო სასორეთიდან, 13) ხეშთაშენის № 11 სამარხიდან


<sup>47</sup> როდესაც კოლხური ცულების სახეობრივად დანაწევრებას შეუძლებოა, ნებისმიერად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდეთ: კოლხური კულტურის განვითარების სახეობრივი პერიოდის მანძილზე გამოყენებული, ამ კულტურის ერთერთი განსაზღვრელი ელემენტის, ცულებისათვის ერთიანი ტიპოლოგია მოგვიცა; თუ განვითარების საფეხურების მიხედვით, თვითნაირი განსაზღვრელი პერიოდისათვის წარმოვედგინა კლასიფიკაცია—მათი სახეობრივი დალაგება.

ჩვენ აღვადგინებთ ცულების განვითარების ცალკეულ ეტაპებს, რომელთა თითქმის მევეთრად იმეორება ერთი მხრივ, მოკლე ცალკეული დამოკიდებული კლასიფიკაცია. აღრუელი ეტაპის კოლხურ ცულეებს შორის გამოიყვანო 2 ძირითადი და ერთი ქვესახე, ხოლო შედარებით გვიანდელი II ეტაპისათვის 2 ძირითადი და 2 ქვესახე.

მაგრამ ამავე კლასიფიკაციაში თითქმის აღარ ჩაის კოლხური ცულების სახეობრივად დანაწევრების სურათი, ისე, რომ ისინი თითქმის მოწყვეტილია ერთმანეთისაგან და სხვადასხვა ეპოქებისა თუ კულტურული პერიოდის შემოქმედებად გვევლინება.


ამიტომ გადაწყვიტეთ კოლხური ცულები დაგველაგებინა კრონოლოგიურად და აქვს საფუძველზე თანმიმდევრულობით მოგვეცა მათი კლასიფიკაცია, ამით კი ზეგნის აზრით თვით კოლხური კულტურის დარგებში ერთის მხრივ წარმოჩინდა თვით ცულების განვითარების ამაყარა სურათი და ამავე დროს მივხვდეთ აღნიშნული ცულების კლასიფიკაცია, მათი სახეობრივად დალაგება; თუმცა ეს კლასიფიკაცია არ მიგვანჩნა სავსებით სრულყოფილად და შენიშვნებს იწვევს.

I სურათი




I სასა. მს. XIV-XV-XVI-XVII-XVIII საუკუნეების


II სურათი



II სასა. მს. XVII-XVIII საუკუნეების




III სურათი



II სასა. მს. XI-VIII საუკუნეების

IV სურათი




V სურათი





ლი ყუა: შებღისა და იღლის მხარეზე. სატარის ძირზე. მეტნაელები სიღლის ქიძისებრა შეერი-  
ლები (სურ. 53). აღნიშნული ცულების ერთი ნა-  
წილის შებღისა და იღლის წახნაგები შედარე-  
ბით განიერია და ოდნე ჩაღარული. ამავე დროს,  
სატარის ზედაპირის ზემო ნაწილი—სადა. იღლის  
წახნაგები წარმოქმნილა იღლიდანე მომდინარე  
წიბურების მეშვეობათ, რომლებიც ჯერ მალაში-

ემართება. შემდეგ უხევეს პირისაენ და უკანა წიღ-  
რამდე აღწევს (სურ. 54)<sup>48</sup>. ცულების მეორე ნა-  
წილის უკანა წახნაგების წიბურები იწყება შუა  
უღისაგან და უკანა წიღრამდე აღწევს (სურ. 54)<sup>48</sup>,  
საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ სახეობის  
ცულებს პოვნის შემთხვევები ძლიერ იშვიათია<sup>49</sup>.  
კოლხური ცულების I სახეობას თავისი პროტო-  
ტაბი კოლხეთის ტერიტორიაზე მოეძებნება ურე-



სურ. 54. 1—4) კოლხური ცულების I სახეობა, რიანი ცულები; 5) კოლხური ცულის II სახეობა,

შერიტანიანი, გარდა. კსიმეტრიული-  
6—8) კოლხური ცულის II პირველი ქუსახე

<sup>48</sup> ამგვარი ცულები აღმოჩენილია: ურგეში 3 ცალი (სურ. 54 ა—გ); ზენიში (სურ. 54), ერგეში 2 ც. (სურ. 54), მელქედურში (სურ. 57), სეახეთში (სურ. 54), ღიშში (ტაბ. IX, სურ. 8), ბიჯინთში (სურ. 57), სოქში (სურ. 57), ლახენში (12 ცალი), ლახენში (ტაბ. XLIII, სურ. 6), სამ-  
ღრეთისაში (ტაბ. XLVI, სურ. 1), სურამში (სურ. 55) და  
სადავალში.

<sup>49</sup> ცულების ეს გარ. ტიპი ნაპოვნია: მელქედურში (ტაბ. VII, სურ. 1, 2, 3), ერგეში (ტაბ. VI, სურ. 4, 5, 7, 9), ღიშში (ტაბ. IX, სურ. 1—7, 9, 10, 12), სლორეთში, მახარაში (ზედგილის მუზეუმი, ინვ. № 4), საქარში (სურ. 17), ს. სირეთში (ტაბ. X, სურ. 7), აღმზარში (სურ. 56), ვაიფ-


ვარში (ტაბ. VIII, სურ. 1) და სხვაგან ამ აღრეულ ცულებს შორის არის ისეთი ცულებიც, რომლებიც დიდებია (მასიური), შედარებით უხეშად ნაკეთები. მათი პირი არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული, ზოგიერთზე არ შემჩნევა მკვეთრად გამოყოფილი წიბურები. ამგვარი ცულებია ერგეს (ტაბ. VI, სურ. 8, 10), ზემო-კოქოს (ერგეს სხვა უბანია, სურ. 3), მელქედურის (ტაბ. VII, სურ. 5), განძების შემადგენ-  
ლობაში.

<sup>49</sup> ასეთია ორდეს (სურ. 10) და ართინის (სურ. 13) განძისეული ცულები და ერთადერთი ცული ჩრდილო კავკასიაში—გალითში; (იხ. ო. ჯ. ა. ი. ძე, კოლხური ცული, გვ. 60).


კის, მახუნცეთისა, გაგრისა და მისთანა ცულების სახით; მათ შორის ახლო კავშირი შეინიშნება, როგორც პირის, ისე ტანის, წელისა და წახნაგების აღნაგობაში, სატარის ზოლოზე წარმოქმნილი ქიმისებრი შევრილების ერთგვარობაში და სხვა.

ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში კოლხური ცულის I სახეობის გვერდით აქარის ტერცტორიაზე ხმარებაში ყოფილა სწორტანიანი ცულის კიდევ ერთი ვარიანტი. მისთვის დამახასიათებელია: შა-


ლი, გორდა და თითქმის სიმეტრიული პირი, თხელი ტანი, და სწორადგადაკვეთილი, ოდნავ გამსწვილებული ორწახნაგა ყუა, სატარის ძირზე ქიმისებრი შევრილები<sup>50</sup>.



სურ. 55. I სახეობის კლხური ცული სურამიდან



სურ. 56. I სახეობის ცული აღამბარიდან



სურ. 57. სწორტანიანი და გორდა სიმეტრიულპირიანი ცულები: 1) კოროხიდან; 2—4) ზენითიდან

<sup>50</sup> ასეთი ცულები აღმოჩენილა ზენითში 3 ცალი (სურ. 57<sub>2-4</sub>) და კოროხში (სურ. 57<sub>1</sub>).

ამ ჯგუფში (სურ. 58) ექვევა ისეთი ცულები რომელთა დამახასიათებელ თვისებებურებას წარმოადგენს: მრგვალი ან ოვალური სტარე ზვრელი, სტარისაგან ყელით გამოყოფილი უხეშად ნაკეთობი დაბალი, გამსხვილებული (ზოგჯერ ჩაქუჩისებრი) ყუა. სტარის ზედაპირზე დამეხებული წიბურები, სწორხაზობრივი ან ოდნავ მომრგვალებული შუბლი; პირის გაფართოება იწყება წელის

პირი (ფხა)—მცირედ მომრგვალებული. ამ ჯგუფის ცულები შედარებით მაღალია, ზოგჯერ მასიური და საკმაოდ მძიმე<sup>51</sup>.

I ეტაპის კოლხური ცულის II სახეობის პირველი ქვესახე ძირითადი სახეობისაგან განსხვავდება იმით, რომ მათ ორფერდა მახვილი, ზოგჯერ გადაკვეთილი და სიბრტყით დაბოლოებული ყუა აქვთ (სურ. 59)<sup>52</sup>.

არც II სახეობა და არც II<sup>1</sup> ქვესახე უობანის სამაროვანზე არ არის. ტიპოლოგიურად მსგავსი,



სურ. 58. კოლხური ცულების II სახეობა: 1) სოხუმის შთის განძიდან აღ. კალანდაძის მიხედვით, 2, 3) სვანეთის, მესტიის მუზეუმიდან (იხვ. 209, 390), 4,5) ბიჭვინთის განძიდან ა. იესენის მიხედვით

ქვემო ნაწილიდან და თათქმის ყოველთვის პირის უკანა ნაწილის ხარჯზე ხდება. ამ ცულების ერთ ნაწილს აქვს ბრტყელი შუბლი; ზოგჯერ მათ ემჩინება წელის ექვსად დაწახნაგებრსაკენ მიდრეკილება; ზოგიერთს ექვსად დაწახნაგებული ტანი აქვს;

<sup>51</sup> II სახეობის ცულები ნაპოვნია ბიჭვინთაში 2 ც. (სურ. 58 კ. ე); ლხენში (10 ცალი), სოხუმის მთაზე (სურ. 58კ) და სვანეთში (სურ. 58გ-დ).


ოღონდ რამდენადმე მოგვიანო პერიოდის, ცულები ყუბანისპირეთშია აღმოჩენილი. ა. იესენი, როდესაც ყუბანისპირეთის იმ ცულების წარმომავლობის საკითხს იხილავს, რომლებიც ყუაქვერიათა,

<sup>52</sup> ამგვარი ცულები აღმოჩენილია ლალიაში (სურ. 59გ-დ), ლეგში (სურ. 59ე), სოხუმის მთაზე (სურ. 59კ), სვანეთში (სურ. 59გ) და გოდოვანში (სურ. 59ე).

ოვალური სატარე ხვრელი, სატარის ზედაპირზე წიბურები, სწორად ან ოდნავ მორკალურად დაშვებული შებლი და მცირედ მორკალური პირი აქვს<sup>53</sup>, ყურადღებას ამაჩვილებს იმაზე, რომ ამ მხარეში ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი (27 ცალი); ის იხსენიებს ამგვარი ცულის ყალიბსაც, რომელიც კავკასიის ნაყრძალში ყოფილა ნაპოვნი და დატულია მაიკოპის მუზეუმში<sup>54</sup>. ამ უკანასკნელს კი აქაურ ცულეებთან შედარებით აღრეულად მიიჩნევს. ა. იესენი აქვე იხსენიებს ბიჭვინთის განძის იმ ორ ცულს (ტაბ. V, სურ. 4, 5), რომ-

ონის ქედის ჩრდილო ფერდობიდან. ავტორის მითითებით, ამგვარი ცული თითქმის არ არის ცნობილი ავსაზეთიდან აჭარამდე და იმერეთში. სოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლს. სოქსა და გზიფს შორის, თელის სასაზღვრო შერეულ ზონად; სადაც თურქე გამოიყენებოდა მომიჯნავე კოლხური და ყუბანისპირეთის ბრინჯაოს ნაწარმი<sup>55</sup>.

ახალი მასალებისა და სხვა მონაცემების მიხედვით ა. იესენს ზემოთ მოტანილი ზოგერთი მოსაზრება გადასტედასა და დაზუსტებას მოითხოვს. ჭერ ერთი, მას შემდეგ რაც პატეცემული



სურ. 59. კოლხური ცულების II საუბობის პირველი ქვესახე: 1) სოხუმის მთის განძისეული ცული ალ. კალანდაძის მიხედვით, 2) ცული მესტიის მუზეუმიდან, 3-4) ლიალუშის ცული, 5) დვადის ცული, 6) ცული გოდოგინიდან

ლებიც თავისი ფორმით რამდენაღვე უახლოვდება, ყუბანისპირეთში გავრცელებულ ზემოთ მოხსენებულ ცულებს და რადგან აფხაზეთის შავი ზღვისპირა ზოლში, თითქოს მხოლოდ ორი ასეთი ცულაა ნაპოვნი, ეძიებს ცულების ბიჭვინთის განძის შემადგენლობაში მოხვედრის მიზეზს. ხსენებული მკვლევარი ბიჭვინთის განძის აღნიშნულ ცულებს, სამართლიანად, ტიპოლოგიურად უფრო აღრეულად მიიჩნევს. ვიდრე ყუბანის ოვალურხვრელიან ცულებს და დასძენს, რომ აღნიშნული ცულების სატარე ხვრელის მოყვანილობა აღრეული და შეუაბრიოდის ჩრდილო-კავკასიურ ბრინჯაოს შესაბამისი იარაღებისათვისაა დამახასიათებელი; მაგრამ იგი მაინც ვარაუდობს ბიჭვინთის განძის ცულების აქ შეღწევას კავკასი-

მკვლევარის აღნიშნული შრომა გამოქვეყნდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ამგვარი ცულის რამდენიმე სერიაა აღმოჩენილი; ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთის მხრივ გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნაში აღმოჩენილი განძი, რომლის შემადგენელი 35 ცულიდან 10 ცული ზუსტი ანალოგიაა ბიჭვინთის აღნიშნულ ცულებისა; მეორე მხრივ — სოხუმის მთის განძისეული ცულები<sup>56</sup>, რომლებიც ძირითადად ამ სახეობის იარაღებისაგან შედგება.

ეს განძი საინტერესოა იმითაც, რომ მასში ერთდროულად გვხვდება მრგვალ და ოვალურ სატარე ხვრელიანი. სწორად ოდნავ მორკალურ-შუბლიანი, მცირედ მომრგვალებულ და სეგმენტურად ჩამოყალიბებულპირიანი და ბოლოს, წინანღორ ოდნავ წამოწეული ცულები. გ. ი. განძში

<sup>53</sup> A. A. Иессен, Прикубанский очаг металлургии и металлообработки..., სურ. 15, 16, 18, 20, 37, 38

<sup>54</sup> იქვე, სურ. 35. ყაიბის ყუა ავლა, ივი ძოკუა და როგორც ჩანს, მასში სქელი ცული უნდა ჩამოსხულიყო, სწორად გადაკეთაპირიანი და შედარებით განიერტახიანი.

მართალია, სატარის ზედაპირზე შეინიშნება წიბურები, მაგრამ ერთიანად იგი საკმაოდ განსხვავებული თავისი ფორმით ამ მხარეში ფართოდ გავრცელებული ცულებისა და ბიჭვინთის ცულებისაგან.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 100, 104, 109.

<sup>56</sup> ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. I.

ერთადე ცულის არქაული ფორმა და მისი შემდგომი აღნაგობით რამდენადმე განვითარებული ცულები. უთუოდ საინტერესოა ისიც, რომ განძის შემადგენლობაშია როგორც ცულების II სახეობა, ისე III ქვესახე, რაც იმის მუშყყებელია, რომ ერთი მეორის გვერდით იქმნებოდა ყუაქვრიაინი და ორფერადყუაინი (II სახეობისა და III ქვესახეობის) ეს ადრეული ცულები. დაახლოებით ამგვარია ცულები. ოღონდ რამდენადმე განვითარებული ფორმები (ბირთაილი სახე და ქვესახე), ოვალურხვრელაინი ცულები სვანეთის ტერიტორიაზე-დაცაა ნაპოვნი (მესტიის მუზეუმი ინვ. 208, 209, 390 და სხვა სურ. 58, 59). ამრიგად, ბიჭვინთისა და ლხინის ცულები და ცულუბის სოხუმის მთის განძი-დან უფრო ადრეულია (პირველი ორი დაახლოე-ბით ძვ. წ. XV—XIV საუკ. თარიღდება, ხოლო III დაახლოებით ძვ. წ. XIII საუკ.). ვიდრე ოვალურ-ხვრელაინი ცულები ბორჯესტანის, გილიაჩის და ავღურის განძებდან<sup>57</sup>. ამავე დროს, აღნიშნული ცულების ზოგიერთი ეგზომპლარის პირის მოვე-ნობაზე უკვე შევტრიალ სეგმენტურია (იხ. გილი-აჩის ცული). ამგვარი ცულები დღეისათვის ათე-ულშია ადმოჩენილი არა ბზინსა და სიკის ში-რის. არამედ უფრო სამხრეთით ლიხნისა და სო-ხუმის მისი ტრამაოებში. ასეთივე ცულები ნაპოვ-ნი სვანეთის ტერიტორიაზედაც, ხოლო აღნიშნუ-ლი ადრეული ქვესახე. გარდა აფხაზეთისა და სვა-ნეთის ტერიტორიისა. ნაპოვნი აგრეთვე ლეჩხუ-მისა და იმერეთის ტერიტორიაზე.

ა. იესენი არ უარყოფს ბიჭვინთის განძის არ-ქაულობას ბორჯესტანის, გილიაჩის, ავღურისა და სხვა ამ ხასიათის განძებთან შედარებით, ოღონდ მერყეობს კოსტრომისა და ბიჭვინთის განძების თარღის თანფარდობის საკითხის დადგენისას<sup>58</sup>. მაგრამ კოსტრომის განძის შემადგენლობაში ხომ ჩვენი საკვლევი ცულების მსგავსი ცული არ არის? ასე, რომ ყველა საბუთი, რომელიც ჩვენს მიერაა ზემოთ წარმოდგენილი, უარყოფს მოსაზრებას, თოქოს ბიჭვინთის განძის ყუაყვრიაინი ცულები კუბანპირეთიდან არის შემოტანილი, ისინი უდა-ვოდ ავღიობობრივ უნდა იყოს დამზადებული.

ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში გამოყენებული ჩანს კიდევ ერთი ვარიანტია სწორტანიანი ცულისა. ეს არის ყუაყვრიაინი ცულები საღორეთიდან და ჩიხუნდისა (ტაბ. XI, სურ. 10), რომლებ-საც დაბალი, მაგრამ გორდა და სიმეტრიული პი-რა აქვს. ერთი ამგვარი ცული უდეს განძის შემად-გენლობაშიცა (სურ. 11ვ). სხვაგან მსგავსი ცულის აღმოჩენის ფაქტი ჩვენთვის არ არის ცნობილი.

კოლხური ცულების III სახეობას (სურ. 6v) ადრეულ ფორმებთან შედარებით, მაღალი, გორ-და ასიმეტრიული პირი აქვს; წინა ნიღრთან შედა-რებით, უკანა ნიღრი ყოველთვის უფრო მაღლა (დაახლოებით 0.3-დან 0.6 სმ-მდე), მაგრამ ცუ-ლებს იმდენად მაღალი პირი აქვს, რომ ეს მცირე ასიმეტრიულობა თითქმის შეუშინგველია. ნაწილე-ბის პროპორციულობა ცულის მშვენებას შეად-გენს. იარაღის სილამაზის აძლიერებს შემეკულობის სხვადასხვა ხერხები, რომლებიც ამ ეტაპზე გამო-ყენებულია როგორც ყუის, სატარის ზედაპირისა და წელის, ისე ზოგჯერ ლოყების მოსართავად. შემეკულობის ხერხები მრავალფეროვანია. შედარე-ბით იშვიათად გვხვდება პლასტიკური, ცხოველუ-რი სახეებით შემეკული ცულები; უმთავრესად-კი ისინი გრადიული ორნამენტითაა გაფორმებული<sup>59</sup>.

წიბურების განლაგება იარაღის ზედაპირზე ზოგჯერ ისეთივეა როგორც I ეტაპის პირველი სა-ხეობის ცულებზე: მაგრამ შეიძინევა ასალო ხერ-ხებიც და, რაც მთავრია, უშუალოდ წიბურების კეთებაშიც საკნაო სიახლეა შეტანილი. თუ ადრე-ულ ეტაპზე წიბურები წახანაგების პორიზონტალ-ურ წყდებოდა, ამ პერიოდში ისინი ზოგჯერ რელიე-ფურია და ცილდება წახანაგის სიბრტყეს სიმაღ-ლეში; ამის შედეგად, ისეთ ცულებზე, რომლის წი-ბურები ყუიდან იწყება და ნიღრებამდე აღწევს, ლოყების ასწორევი წიბურების შორის წარმოქმნი-ლი ზოლი წახანაგ კი არ წარმოადგენს, არამედ ჩაღარულია (იხ. ცული ინვ. 2—46: 1; სურ. 36v ან 11—32, 31). ზოგჯერ აღნიშნული წიბურები გრე-ხილს წარმოადგენს და საკმაოდ ამაღლებულია. (ტაბ. XLIV, სურ. 1, 2, 3, 4 ან ტაბ. XXVI, სურ. 8, 9). ზოგჯერ შემთხვევაში სატარის ზედაპირზე ყუიდან მაღლინარე ექვსი წიბურია განლაგებული და, შესაბამისად, ექვსი ღარია წარმოქმნილი (ტაბ. XXIV, სურ. 9). არის ერთეული შემთხვევა, რო-დესაც სატარის ზედაპირი გეომეტრიული რელიე-ფური (სამკუთხედიანი, კუთხეები და სხვა) სახეე-ბითაა გაფორმებული (ტაბ. XIX, სურ. 3).

ამ სახეობის იარაღები, ისევე, როგორც I ეტაპის I სახეობის ცულები, მრავლადაა ნაპოვნი კოლხეთის თითქმის ყოველ კუთხეში (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი, რაჭა, ლეჩ-ხუმი, სვანეთი და სხვა). 1930 წ. მდ. ენგურის მარ-ჯვენა სანაპიროზე სოფ. თაგილონში აღმოჩენილია შევეტილტანიანი, გორდა და ასიმეტრიული ცულების ორი ერთმანეთისაგან მცირედ განსხვა-ვებული ფორმის ყაღებიც (სურ. 24v—ა).

57 A. A. Иессен, *დ.ს.ხ. ნაპოვნი*, სურ. 37, 16, 18. 58 იქვე, გვ. 116.


59 პირველ ეტაპზე შემეკული ცულები თითქმის სრულა-ად უცნობია.

ასეთი ცულები საკმაო რაოდენობითაა ნაპოვნი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (შოდა ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი). მისი გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთი უკიდურესი საზღვარია ყარსის ოლქი (მეჩხის-ციხე, ფოცხოვთან. სურ. 30).

ჩრდილოეთით, საქართველოს ფარგლებს გარეთ, კოლხური ცულების ეს ვარიანტი შედარებულად იდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაში — ხეშო ყობანის სამაროვანზე<sup>60</sup>. ამავე

კი მათ შორის შედარებით მოგვიანო პერიოდის ცულუბზე რაიმე ტექნიკური სიასლე შეინაშნება, ეს უმთავრესად შეეხება ორნამენტული მოტივების ერთგვარ ცვლას.

II ეტაპის კოლხური ცულის IV სახეობა. კოლხური ცულის ამ სახეობის დამასასიათებელ თავისებურებას მის აღრეულ სახეებთან (II სახეობასთან) შედარებით წარმოადგენს: გირდა და ძლიერ ასიმეტრიული პირი (წინა ნიღ-



სურ. 60. კოლხური ცულების III სახეობა ვარიაციებით

დროს, კოლხეთის ტერიტორიაზე და ყობანში გავრცელებული აღნიშნული ცულების უბრალო ტიპოლოგიურ მსგავსებაზე კი არ შეიძლება ლაპარაკი. არამედ მათი ფორმების სრულ იდენტურობაზე იარაღის კეთების ტექნიკისა და გაფორმების თიაკმის სრულ ერთგვაროვნებაზე. ამიტომ, როდესაც II ეტაპის III სახეობის კოლხურ ცულუბზეა საუბარი (ყობანშია იგი ნაპოვნი თუ კოლხეთში), ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია მათი ერთი კულტურული სამყაროდან მომდინარეობა და გავრცელება (აღნიშნულ საკითხზე იხ. ქვემოთ). ეს ჩამოყალიბებული იარაღი, როგორც მასალებიდან ჩანს, დიდი ხნის განმავლობაში ხმარებაში და თუ

რი უფრო დაბლაა, ვიდრე უყანა); გამსხვილებულია. დაწასნ კეხული, საკმაოდ მაღალი, ზოგჯერ ტანიდან ეულით გამოყოფილი ყუა (ყუის წახანგების რიცხვი ორიდან ექვსამდე აღწევს): სატარის კედლებს აკრედან სამი ან ხუთი მკვეთრი წიბური დაუყუება. შუბლი უმთავრესად შეეტილია, მაგრამ ზოგჯერ წინა ნიღრი არეკლილია—წინ ვაშვერილი და ამის გამო შუბლი მრულდება. ტანი ექვსწახანგავა. სატარე სვრილი წვეტიანოვალურა (სურ. 61). მათ შორის ექვდება როგორც დიდი ზომის, მკიმე და მასიურა, ისე შედარებით პატარა ცულები. ასეთი ცულების ერთი ნაწილი ორნამენტორებულა. იგი მრავლად ვეხვდება როგორც კოლხეთის, ისე შიდა ქართლი-

<sup>60</sup> МАК, VIII, таб. IV, VI, VII, VIII.

სა და მესხეთ-ფაშახეთის ტერიტორიაზე<sup>61</sup>: საკმაო რაოდენობითაა ავრეთვე ყოზანის სამაროვანზე. საქართველოს ტერიტორიაზე სოფ. თელოვანში, აღმოჩენილია ავრეთვე ამ სახეობის კოლხური ცულის სამსხმელო ყაღობი (სურ. 24ჟ). რომელსაც ავრეთვე ერგება სოფ. შიტარბაში აღმოჩენილი ცუ-ლი.

#### მოლდოვი ელვის IV პირველი მისხაბი

IV პირველი ქვესახის არსებითი მცირე თავი-სებურება, რითაც იგი განსხვავდება ძირითადი სახეობისაგან, არას ტანის ორგანოს მოღუნულობა. (ყულის, სატარე ზეგრის, სატარის კედლების ზე-დაპირზე დაშვებული ვერტიკალური წიბურებით, ტანის დაწახანებით, პირის მოყვანილობით, იგი იდენტურია IV სახეობის ცულისა. სურ. 62ჟ, ა, 3ჟ).

<sup>61</sup> აქვარი ცულები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აფხაზეთში (ი. ჟაბაძე, კოლხური ცული, გვ. 63). ათეულობითაა ავრეთვე ნაპოვნი ლეჩხუმში ლაქობის ძირის განძის შემადგენლობაში 7, ლაღაშის 11 (ერმატაშვილი და-ტელი), ლეჩხანის 5, ერმილაშვილის ინახებში, ლეჩხანის 5 (ქუ-თაისის მუზეუმის კოლექცია); სინათლის განძის შემადგენ-ლობაში (რაქე) 5 ასეთი ცულია, ქვიშარის განძის შემადგენ-ლობაში კი 1. მუტაბისა და საქ. სხ. მუზეუმში დიდი რა-ოდენობითაა დაცული სეანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ სახეობის კოლხური ცულები; ზუგდიდის მუზეუმში ინახე-ბა. სოფ. ყვარში, წაღვინებში, თავიღონში და ახლ. სოფელ-ში ნაპოვნი IV სახეობის კოლხური ცულები სოფ. კურუმში აღმოჩენილ ამდევარი ცულზე გვევლინება მუზეუმში ინახე-ბა; ფოთის მუზეუმში კი დაცულია ორი ცული აღმოჩენილი დატარისა და ნაქაღვში. ამ ორი ასეთი ცულის წინაა და-საყვით საქართველოს ისეთ მხარეებში, როგორცაა აჭარა, იმერეთი და წაწილობრივ გურია, არ ფიქსირებული IV სახე-ობის კოლხური ცულია მდინარე ვარკეთილის ი. ჟაბაძე-მის შემოწვევითაა აღმოჩენილი სხნდა და სამაროვანდაც (იხ. შიპი ნაშრომი—კოლხური ცული, გვ. 64). დღეისათვის საქართველოში რა-ოდენობითაა ასეთი ცულების აღმოჩენის ფაქტები სხეზეულ მხარეებში გვითხრობს IV სახეობის კოლხური ცული აღმოჩენი-ლია ურჯეთ, ლაუბურში (მხარაძის მუზეუმში ინ. 131ა, 131ბ), დანა-ტარის (იოსებაშვილის მუზეუმში), ზეგში (საქ. სხ. მუზეუმში). ბათუმის მუზეუმში დაცულია ერგესი, მახუბეთისა, ხუტუნასა და სხვა ადგილებში აღმოჩენილი IV სახეობის კოლხური ცული. იმერეთის ტერიტორიაზე ასეთი ცულები ნაპოვნი აღმოჩენილია (ქუთაისის მუზეუმში 2/1), პერეკში (ინ-ახე: საქ. სხ. მუზეუმში), ჩხარში (ნაქაღვში, ინახება ქუთა-ისის მუზეუმში) და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერი-ტორიაზე რამდენიმე ამდევარი ცულია ნაპოვნი: ჩახატეშში — 2. ილში—2 (ინ. 64—14:10, 11), ტიანეთში—2 (საქ. სხ. მუზეუმში). ტიანეთის მუზეუმში ინახება წოისნი აღ-მოჩენილი 3 ცული. დიდი რაოდენობითაა ასეთი ცულები აღ-მოჩენილი თოის სამაროვანზე და სხვა.

კოლხური ცულის IV სახეობისა და მისი ქვესახეების შორისეულ პარატიპის ჩვენ ვგოვლობთ იდენტურობას პე-რიოდის უწყაღმებულ და უწყაღმედი ცულებში სასხარა-დის და სხვა ადგილებშიდან. ამ იარაღების თანდათან გან-ვითარების შედეგად დასაყვით საქართველოს ტერიტორიაზე შეპირიწიანს პერიოდში, როგორც წინ გვეჩინა აღნიშნული,

ჩალუნულობა შეიმჩნევა ყუიდან სატარეში გადას-ვლის ადგილას და წელთან (მისი ილია ავრეთვე რკალურ ფორმას იღებს, ისე, როგორც იარაღის IV ძირითადი სახეობისათვისაა დამახასიათებელი). მაგრამ ზოგჯერ იმდენად უმნიშვნელოა სატარეს-თან ჩალუნულობა, რომ მწვლდება ძირითადი სა-ხისაგან IV პირველი ქვესახის ვარკეზე. ამიტომ არ იქნებოდა მაართებული ამ იარაღის განცალკევება, ცალკე სახეობად გამოყოფა. ძირითადი სახეობა და ეს ქვესახე, როგორც ჩანს ყაღობდებოდა ერთი წინაპრის კვალზე, გვერდი-გვერდ და ამდენად ძი-რითადად ერთნაირი ფორმა მიუღიდა<sup>62</sup>.


ამ სახეობის იარაღის თითქმის ყველა ეგზემ-პლარი შემგუქლია გეომეტრიული და ცხოველუ-რი სახეებით. გაფორმება კი ძირითადად იარაღის მთელ ტანს მოიცავს<sup>63</sup>.

რამდენიმე სახის ცული კეთდებოდა, მათ შორის ტანსრულ ცულის რამდენიმე ვარიანტი, ასეთია ქვიშარის მდ. იოსებლას ნაპირზე აღმოჩენილი ცულები (ტაბ. IV, სურ. 1—4), რომელსაც პრ. გ. ნაშრომზე საერთოდ კოლხური ცულებს პარატიპად მიიხსენებს (იხ. შიპი ნაშრომი—ქვიშარის ავრეთ-ლოგორი ძეგლები, გვ. 5), და არა მხოლოდ კოლხური ცუ-ლის I სახეობის პარატიპად, როგორც ე. კრუმჰოლი აღ-ნიშნავს (იხ. ე. კრუმჰოლის დისკ. ნაშრომი, გვ. 77), აღნიშ-ნული ცულები IV სახეობისა და მისი ქვესახეების კოლხური ცულის ერთ-ერთი შესაძლო წინაპარი უნდა იყოს და არა I სახეობისა, რომლის ავრეა პარატიპებში საქართველო-ნობითაა ნაპოვნი ჩვენს ტერიტორიაზე (სურ. 53). ჩვენ გგო-ვნი, რომ კოლხური ცულების IV სახეობისა და IV პირველი ქვესახის ცულების პარატიპი უნდა იყოს ავრეთვე სეანეთის, რაჭის (ტაბ. XLI, სურ. 1, 2), პლენციის (ტაბ. V, სურ. 6, 7) და ურჯეთის (ტაბ. I, სურ. 1—4), შეპირიწიანის პერიოდის ცულების ცგფი. მათთვის დამახასიათებელია: მრგვალი სატარე ზეგრე, ცალკეულ შემთხვევაში სატარის ზედაპირზე დაშვებული წიბური, დაქნებული ყუა, შეტარე-ლებად მრგვალი შუბლი, მცირედ გაფართოებული პირი, რკალური ილია და ა. შ. ასე, რომ ისინი მთელი რიგი ხიშ-ნებით უახლოვდებიან II და IV სახეობის კოლხურ ცულებს და მათ ქვესახეებს. II და IV სახეობის კოლხური ცულების ჩამოყალიბებაში შესაძლოა გარკვეული როლი ითამაშა ავ-რეთვე ურჯეთის განძის ამ ცულებმა, რომლებსაც მილისებრი სატარე ზეგრე, სწორად დაშვებული შუბლი, სწორად გა-დაყვეთული და ირეან მობრტყული ყუა აქვს. ხოლო პი-რის გაფართოვება იქნება წელიდან და თანდათანობით სერ-ბა—უცნა მხარის სარჩე (ტაბ. II).

<sup>62</sup> IV სახეობისა და IV პირველი ქვესახის ცულების ურთიერ შედარების დროს შეიმჩნევა, რომ რამდენსაეუ ადრეულია აღნიშნული ცულები, იმდენად თითქმის ყმბეჯე-ვა მათი ფორმები ერთნაირის, უფრო გვიანდელ პერიოდში კი უფრო მკვეთრი ხდება IV პირველი ქვესახის ცულის ტა-ნის ორგანოს მობრტყობა.

<sup>63</sup> საქართველოს ტერიტორიიდან II ეტაპის IV პირე-ული ქვესახის კოლხური ცული ნაპოვნი: სოფ. სინათლში (ამბროლაურის რაიონი)—5 ცალი; ორი ცული სურამში (ლეჩხუმი), ერთი ინახება საქ. სხ. მუზეუმში (ინ. 11—37; 51. ტაბ. XLIV, სურ. 7), მეორე ქუთაისის მუზეუმში სოფ. ცხეთში (ლეჩხუმი) ტაბ. XLIV, სურ. 6), სოფ. მექენაში, აღმოჩენილი ცული გამოქვეყნებული იქვს 2.

IV შორე ქვესახე, IV სახეობისაგან მსოლოდ იმით განსხვავდება, რომ გააჩნია მახვილი და არა დაწახნაგებული ყუა; ამით იგი წააგავს III სახეობის კოლხურ ცულს<sup>64</sup>.



სურ. 61. IV სახეობის კოლხური ცულები ვარიაციებით

ე. კრუპნოვი IV სახეობის კოლხურ ცულებს ატიპურად თვლის იმის გამო, რომ იგი თითქმის ერთნაირად გავრცელებული ჩანს როგორც ყუბანისპირეთის და ყუბანის, ასე კოლხურ კულტურაში. ამ ცულების უმრავლესობას ის სამუშაო იარაღად მიიჩნევს, რის ერთ-ერთ საბუთად თვლის იმას, რომ ჭერ ერთი ისინი თითქოს არ არიან ორ-

ნამენტირებული და შემდეგ ასეთი ცულების დიდ ნაწილზე შეიმჩნევა მათი გამოყენების კვალი. ამასთანავე ავტორის აზრით აღნიშნულ ცულებს თითქოს შუალედი ადგილი უკავია ყუბანისპირეთისთვის დამახასიათებელ და ტანში ორგზის მოლულულ ცულებს შორის; ხოლო ტანმრუდე ცუ-

ივარჩენოს (იხ. დასახ. ნაშრ., სურ. 30). ორი ცული ცაგერას განძის შემადგენლობაშია და დაცულია ცაგერის მუზეუმში (სურ. 22), სოფ. ოჯოლაში (წყალტუბოს რაიონი) (ტაბ. X & III, სურ. 2), ერთი ამგვარი ცული გულდათში უფილა ნაპოვნი და ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (A<sub>6</sub>), II 6, III 6 / XXVIII, № 96877 (...აღნიშნული ცულის ირგვლივ ცნობები მოგვეწოდა საქ. სახ. მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ლ. ფანცხავამ, რომელმაც შეიქცაჟა შიპოკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული კოლხური ცული). ცულის მთელი ტანი დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით. ერთი ცული ინახება ახალი ათონის მუზეუმში, რომელიც ნაპოვნია აფხაზეთში 1918 წ. იგი საინტერესოა იმით, რომ უორსამენტოა, ისე როგორც სინათლის განძისეული ერთი ამდგვარი ცული. ასეთი ცულების დიდი რაოდენობა აღმოჩენილი სამხრეთ-ოსეთში თლის სამაროვანზე და გამოქვეყნებულია ქეგლის გამთხარდის ბ. ტუხოვის შიერ (63<sub>გ-13</sub>). ამგვარი ცულის ერთი ეგზემპლარი ცხინვალის განძის შემადგენლობაშია (ტაბ. XIV, სურ. 9). სოფ. ფსანანურში (დუშეთის რაიონი) ორგზისაა აღმოჩენილი ასეთი ცუ-

ლებს იგივე მკვლევარი უყოყმანოდ ყუბანურად თვლის<sup>65</sup>.

ხსენებული მკვლევარი არ ეთანხმება ა. იესენს, რომელიც ცენტრალური კავკასიის რაიონში გავრცელებული ახალი ფორმებისა და ტექნიკური ხერხების წარმოშობის პირველად კერას დასავლეთ საქართველოში ნახულობს<sup>66</sup>. იგი თითქოსდა ზოგადად ყუბანური კულტურისათვის დამახასიათებელი ცულების საწყის ფორმებს ხედავს ქვისა და სპილენძის იმ სხვადასხვა ფორმის ცულეში, რომლებიც ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა მხარეშია

ლი, ორი ცალი ჩაბარუხის განძის შემადგენლობაშია (1961 წ. აღმოჩნდა). მხოლოდ ერთი ეგზემპლარია სამოაეროს სამაროვანზე სამარხის ნაპოვნი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ სახეობის იბარლი ჩრდილო კავკასიაშია აღმოჩენილი, კერძოდ ზემოყუბანის სამაროვანზე (დიდი რაოდენობით), ფასკაუსა და გალიათში, ერთი კამენოში (ო. ჭ ა თ ა რ ი ძ ე, კოლხური ცული, გვ. 73).

64 IV2 ქვესახის ცულეში უშთაერესად იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი. კალანის განძის შემადგენლობაში 3 ასეთი ცულია, ს. დუბრეში ერთი (ინახება საქ. სახ. მუზეუმში), ქვიშარის განძის შემადგენლობაში 2. აკარაში 1 და მესტიის მუზეუმში რამდენიმე ასეთი ცულია.

<sup>65</sup> Е. И. Крупнов, О происхождении и датировке Кобанской культуры, СА, № 1, 1957, стр. 63.  
<sup>66</sup> ი ქ ვ ი, გვ. 67, 113.




გავრცელებული (ყაბადროში, დიგორიაში, ურუხში, ლესკენსა „ზემო-რუტას“ სამაროვანზე და თვით ყობანში)<sup>67</sup>.

ე. კრუპნოვი მართალია იმაში, რომ საზოგადოდ ყობანის კულტურა ჩრდილო კავკასიაში შხადორში არ არის შეტანილი სხვა მხარედან<sup>68</sup>. ვანა ვინზე უარყოფს იმ კვებარტებას. რომ ამა თუ იმ მხარის უძველესი კულტურული აღმავლობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ვარე ფაქტობებით?

წარმოიშვა და განვითარდა კოლხეთის ტერიტორიაზე. ხოლო აქედან გავრცელდა სხვა მხარეში, ეთქვათ იმავე ყობანში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ელაპარაკობთ საერთოდ ყობანური კულტურის კოლხურ წარმოშობილობაზე.

ე. კრუპნოვი, კოლხური ცულის IV სახეობის (დიდი და მცირე ზომის), პროტოტიპს ხედავს შუაბრინჯაოს პერიოდის ე. წ. ყაბადრო-პიატიგორსკის ტიპის ქვის ცულში (ათარიღებს ძვ. წ. II ათასწლეულს).



სურ. 62. კოლხური ცულების IV სახეობა, IV პირველი და IV მეორე ქვესახე

მაგრამ არ უნდა იყოს დავიწყებული ის ვარემოებანი, რომ ესა თუ ის ტექნიკური სიახლე გზას ადვილად და სწრაფად იყავად. ამიტომ არ არის გამორიცხული კულტურული ზეგავლენები და სანაპირო მნიშვნელოვანობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სწორედ ცალკეული ფორმების შეღწევა სხვა მხარედან აქა თუ იმ დამოუკიდებელ კულტურულ სამყაროში. და როდესაც ზოგჯერ ამ ცალკეული ფორმების (ამ შემთხვევაში ცულების) წარმოშობა-გავრცელებას ლაპარაკი, როდესაც ლაპარაკი კოლხური ცულების გენეზისის საკითხზე. მისი განვითარების გზებზე და იმაზე, რომ ისინი


ულის შეახანები, ხოლო ამ ევოლუციური რიგის შუალედ რგოლად მას მიაჩნია იმ სახეობის ცულეები, რომელიც ზილგის ყალობიდან ჩამოსისხმებოდა<sup>69</sup>, ხოლო IV ქვესახის (ტანზრედ) ცულის შორეულ პროტოტიპად იგი თვლის 1940 წ. ს. კუმბულთის „ზემო რუტას“ სამაროვანზე № 16 ქვის სამარხში აღმოჩენილ ქვის ცულს (ათარიღებს ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის საწყისი პერიოდით). აღნიშნული ცულის უშუალო წინამორბედად მას მიაჩნია ლესკენში (სოფ. დიგორია) შემთხვევით ნაპოვნი ცული (ათარიღებს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულთ). ე. კრუპნოვი ეთანხ-

<sup>67</sup> Е. И. Крупинов, *დასბ. ნაშრომი*, გვ. 68, სურ. 6.   
 <sup>68</sup> იქვე გვ. 62.

<sup>69</sup> იქვე გვ. 72, სურ. 6<sub>2</sub> და 6<sub>3</sub>.

მება ფრ. პანჩარს ტანში ორგზის მოღუნული ცუ-  
ლის ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების  
ერთი ნაწილისაგან შესაძლო განვითარების თაობა-

ლი ცული, რომელსაც მომრგვალებული შუბლი,  
სწორად გადაკვეთილი, დამრეცი პირი და მრგვალ  
სატარე სერელი აქვს<sup>10</sup>. ძნელია დავეთანხმეთ II



სურ. 63. კოლხური ცულები თლის სამაროვანიდან ბ. ტეზუის მიხედვით. 1—2) III  
სახეობა, 3—5) IV სახეობისა, 6—13) IV პირველი ქვესახეობისა

ზე. ასეთ იარაღად კი მას მიაჩნია ვენის მუზეუმში  
დაცული ყოზანიდან წარმოშობილი ყუადაქანებუ-

ეტაპის კოლხური ცულის IV სახისა და IV<sup>1</sup> ქვე-  
სახის გენეზისის ამდაგვარ სქემას. ჯერ ერთი, მას-

<sup>10</sup> Е. И. Крупнов, *იქვე*, გვ. 73—74, სურ. 67, 68  
და 64.

ში არა ჩანს ცულებს ევოლუციის რაიმე ნიშანი<sup>71</sup> და. შედეგ. უშუალოდ ზემო ყობანნი. სადაც ავტორის აზრით უნდა მოხდარიყო ამ ცულების ფორმირება თითქმის არა ჩანს მათი გარკვეულად ჩამოყალიბებული პროტორტიპები ან უშუალო წინამორბედი ფორმები.



სურ. 64. სამთავროს № 121 სამარაში აღმოჩენილი IV სახეობის პითეკი კვესახის კოლუმბი ტულა

როდესაც II ეტაპის კოლუმბი ცულების სახეობრივად დანაწევრების საკითხს ვეჩილავედით, მაშინ უნარდებდა გავამახვილოთ იმაზე, რომ IV სახეობის ან IV<sup>1</sup> კვესახის ცულების ცალკე ტიპებად თუ სახეებად გამოყოფა არ არის მართებული. ამის საფუძველს ჩვენ ვხედავთ იმაში, რომ ისინი ძირითადად ერთი ფორმისაა. ყუის დაწახნაგება და გაჩემობაზეობება. სატარე ზვრელის მოყვანილობა სატარის კედლების წიბურების განლაგება, ტანის

დაწახნაგება, შუბლისა და ილიის გარემოხაზულობა, პირის მოყვანილობა და ნიღრუბს განლაგება სავესებით იდენტურია.

იგივე შეიძლება ითქვას დეკორატიულ გადორმებზე<sup>72</sup>. IV<sup>2</sup> კვესახე განსხვავდება IV ძირითადი სახისგან მხოლოდ იმით, რომ მას მანვილი ყუა აქვს და არა დაწახნაგებული. მათი დანარჩენი ნაწილები კი ზუსტად ერთნაირია. ყოველივე ზემოხსენებულის გამო ჩვენ მართებულად მივიჩნით მათი გაერთიანება ერთ სახეობაში. ამავე დროს არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ამ სახეობის ცულები (IV სახეობა, მისი კვესახეობით) საერთო პროტორტიპიდან მომდინარეობს; ასეთად ჩვენ მივიჩნით კოლუმბი ცულები ბიჟეინტისა (სურ. 58 1-2) ასეთივე ცულები ლინნიდან (10 ცული), სოხუმის მთისა (სურ. 58მ), ლაილაშისა (სურ. 59 2-4) და სხვა. მათი აღწერილობა იხ. წინ.

აქ დამატებით ხაზი გვირდა გავუსვით იმ გარემობას, რომ სოხუმის მთის ვანძი იქვე აღმოჩენილ სახელოსნოს პროლექტის წარმოადგენს. განძი აღრეულია (დაახლოებით ძვ. წ. XIII საუკუნისა) და მისი ცულებიც შედარებით არქაულია, ვიდრე აფხაზეთისა და საერთოდ კოლხეთის ტერიტორიასა და ყობანში გავრცელებული კარგად ჩამოყალიბებული კოლხური ცულის IV სახეობა, მისი კვესახეობით.

ასე რომ, ეს იზარლები აშკარად აქაური ტრადიციების შედეგად, აქ ჩამოყალიბებული ცულებია.


ასევე უეჭველია ლინნეს განძის (ძვ. წ. XV—XIV სს.), ბიჟეინტის განძის, ლაილაშის, ლედიისა და გოლოვანის ცულების ადგილობრივი წარმოშობა. სწორედ, ამ უდავოდ, ადგილობრივი ცულების მიხედვით ჩანს II ეტაპის IV სახეობის (კვესახეობის) კოლხური ცულების თანდათანობითი განვითარება. აღსანიშნავია, რომ საკმაო რაოდენ

71 ე. წ. ენაბრლო-პიატიგორსკის ტიპის ქვის ცულისათვის დამახასიათებელია ძალზე მალაო, უკანა პირისაქვე მევერად დაბრლი მრგვა-ღანგრევეთიანი ყუა, მრგვალი სატარე ზვრელი. რომელიც მოთავსებულია იარაღის წელის ზემო ნაწილზე. პირი ფხისკენ საქმიოდ გაჩერდება და ფხა მყარდება მონგრეალებული. ე. წ. „შუალოდ ზეენოს“ სატარე ზვრელი ჩვეულებრივ, წელის ზემო ნაწილშია წვეტიანო-ღერძი და სატარის კედლებზედაც განლაგებულია რელიეფური წიბურება, ტანი დაბალია, პირი თითქმის თანხაბრი სკანისი (ოდნავ გაფართოებული ფხისკენ), ხოლო ფხა სწორადაა გადაკეთალი. იმ უკანასკნელს შემდეგირი საფუძერი (გაწვითარებული ფორმა) დიდად სცილება შეაუღეს ე. წ. გარდამავალ ფორმას. მისი პირი მევერთადა მომრგვალებული და სინეტრულია, მისი გაფართოება იწყება წელდან და აწარმოვ ხეობა, ხოლო ყუა მაღალია და დაყვანილია. ასე რომ პირის მოყვანილობით იგი ავტორის ძირითადი მოთავსებულ პროტორტიპს უფრო უახლოვდება, ვიდრე შეაუღელ გარდამავალ რგოლს. საერთოდ კი ისინი ძალზე

განსხვავებულია ერთმანეთისაგან და ერთდროული ცულების სხვადასხვა სახეობის და უნდა წარმოადგენდეს. სრულიად შორსაა პროტორტიპისა და შეშუალო წინამორბედის შემოთავაზებული ვარიანტისაგან IV<sup>1</sup> კვესახის ცული. არაფერი რომ არ ექვეტა იმაზე, რომ აღნიშნულ ცულებს როგორც პროტორტიპს უფრო კი შეუღელ რგოლს, თითქმის თანხაბრი სკანის ტანი და ოდნავ მომარგვალებული პირი აქვს, ისინი თავისი გარემოხაზულობით ძალზე სცილებიან ერთმანეთს, ამიტომ ჩვენ არ ვგვირბა ეს იზარლები ერთმანეთთან გვეტეოკრად იყენენ დაკავშირებულნი. სხვათაშორის ავტორის შრომის სხვა ადგილს აღნიშნული აქვს, რომ თითქმის II სახეობის კოლხური ცულის შეაუღელი ადგილი უკავია ყუბახისპირეთისათვის დამახასიათებელ და ტანში ორგზის მოღვეული ცულებს შორის.

72 ჩვენ მხედველობაში გვაქვს IV სახეობის ის ცულპი, რომლებიც გარკვეულია გეომეტრიული და ევოლუციური სახეებით, ასეთი კი საკმაოდ ბევრია, ხოლო IV<sup>1</sup> კვესახის ცული თითქმის ყველა ორნამენტირებულია.

ნობითა ცნობილი IV სახეობისა და IV პირველი ქვესახის ისეთი ცული, რომლებსაც წინა წარი მკვეთრად აქვს წინ გაშვებული, რითაც პირის მოკვანილობით სრულიად ემსგავსებიან I სახეობის კოლხურ ცულებს (სურ. 61). გარდა ამისა აქვე უნდა მოვიხსენიოთ ე. წ. პიბრიდები, რომლებიც წარმოქმნილია ან III სახეობისა ან IV პირველი ქვესახის ცულების (სურ. 65), ან III სახეობისა და IV შერეუ სახეობის ცულების ცალკეული ნაწილების ურთიერთშერწყმის შედეგად. უთუოდ საყუ-



სურ. 65. IV სახეობის პირველი ქვესახის კოლხური ცულები ერთგვარადან (ოლშუესკის კოლექციიდან, ინვენტ. 1731) და სინათლის განძიდან (პიბრიდი?)

რადლებოა ისი. რომ IV სახეობის ცულები (ათუ-ულობით) მელითონის ან მოვაკის ე. ი. ადგილობრივი წარმოშობის განძებში გვხვდება; ზოგჯერ ერთდროულად IV სახეობისა და IV პირველი ქვესახის ცულები.

ასევე ანგარიშგასაწევია ის ფაქტი. რომ IV სახეობის ცულის ჩამოსახსნელი ყალიბი თელოვანშია აღმოჩენილი. მეორე მხრივ. გასათვალისწინებელია, რომ ყობანის სამაროვანზე მოპოვებული

არ უნდა იყოს IV შერეუ ქვესახის ცული, რომელიც IV სახეობის ცულებად უნდა იყოს განვითარებული, მის განშტოებას უნდა წარმოადგენდეს.

ამრიგად, უდაოდ უნდა იქნეს ცნობილი, რომ IV სახეობისა და მისი ქვესახეობის ცულები წარსაველთ საქართველოს კულტურულ კერაში წარმოშობილია და განვითარებული იარაღია; მათი გავრცელება სხვა მხარეში სავსებით დასაშვებია; დასაშვებია მათი ფორმების გამეორებაც; მაგრამ ასეთ შემთხვევაში უთუოდ უნდა შეინიშნებოდეს იმ მხარისათვის დამახასიათებელი თავისებურებანიც, სადაც შედის ეს ფორმა. კოლხეთსა და ყობანში გავრცელებული IV სახეობის, IV პირველი ქვესახის ცულები-კი სავსებით იდენტურია და, მაშაადამე, ისინი ან კოლხეთში უნდა იყვნენ დამაბუდეული და ყობანში გავრცელებული, ან პირიქით.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მრავალრიცხოვანი მასალა ცხადყოფს, რომ ეს იარაღები კოლხეთშია შექმნილი და მეზობელ მხარეში ვაცელის გზით უნდა იყოს გავრცელებული. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყობანური კულტურა თვითმყობადი არ არის; მას, ისევე, როგორც კოლხურ კულტურას, გააჩნია მთელი რიგი სპეციფიკური და დამახასიათებელი თავისებურებანი—სამკაულები, ზოგიერთი სახის ბალთები, ფიბულები, კერამიკა, აბოლოს, დაკრძალვის წესი და სხვა. თუ ცულები აქ მეზობელი მხარიდან—კოლხეთიდან შეღწეულად მიგვაჩნია, ეს ვიმეორებთ, სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ამ მოსაზრებით ავტორი უარყოფს ყობანური კულტურის ადგილობრივობას.

ამრიგად, თუ შევაცამებთ შრომაში წარმოდგენილ ფაქტობრივ მასალას, რაც კოლხური ცულების წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და გავრცელების საკითხს შეეხება, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ა) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. X IV—X III საუკუნეში, წინამორბედი მეტალურგიული წარმოების გამოციდლების საფუძველზე მძლავრად იღვამს ფეხს პროგრესული ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს; ეს კულტურა უპირველესად წამყვანი ტიპის იარაღს—ცულების ერთგვაროვანი ფორმების გავრცელებაში ვლინდება. ამ ეტაპზე, როგორც მასალებიდან ჩანს, დასავლეთ საქართველოში ძირითადად ცულების ორი სახეობა და ერთი ქვესახეობა (I და II სახეობა და II პირველი ქვესახეობა) დამკვიდრებული (სურ. 53, 58). მასალების მიხედვით აღნიშნული პერიოდი ის მოსაზრებნი პუნქტია, როდესაც ყალიბდება საყოველთაოდ ცნობილი, ერთიანი დასავლურ-ქართული-კოლხური კულტურა. ეს პერიოდი შეიძლება მივხედულ იქნას საკუთრივ კოლხური კულტურის ადრეულ ეტაპად.


ასე რომ, კოლხური კულტურის ადრეული საფეხური, მისი ჩამოყალიბების (საწყისი) ეტაპი უნდა ვივარაუდოთ ძვ. წ. XIV საუკუნიდან. მისი მიწურულიდან მაინც. ამ მოსაზრებას კოლხური კულტურის განმსაზღვრელი სხვა ელემენტებიც (თოხები, ბართოხები, სეგმენტური იარაღები და სხვა) უჭერს მხარს. ბ) კოლხურ ცულებს თავისი განვითარების უმაღლესი საფეხურისათვის, როგორც მასალებიდან ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში უნდა მიეღწია, როდესაც მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდება აარაღის ერთი ტიპის უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ორი სახეობა, ორი ქვესახე (III და IV სახეობა და IV პირველი და IV მეორე ქვესახე); გ) კოლხური ცულების აღნიშნული სახეობისა და ქვესახეობების შექმნა ძირითადად ერთგვაროვანი ხასიათის ტექნიკურ ხერხებს ემყარება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ერთი კულტურული წრის წიაღშია წარმოშობილი. ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ამ იარაღების როგორც უშუალო, ისე შორეული პროტოტიპები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარეობს ე. ო. აშკარად შეინიშნება ცულების თანდათანობითი განვითარების პროცესი, არ მიგვაჩინია საუკვოდ ამ ტიპის იარაღის კოლხური წარმოშობა; აქედან ისინი, როგორც ჩანს, გავრცელდა როგორც ჩრდილო კავკასიაში, (ყობანში), ისე სხვაგან.

## § 2. თოხი

როგორც მასალებიდან ჩანს, გვიანი ბრინჯაოს პერიოდის მთელ მანძილზე და უშუალოდ მის მომდევნო ხანაში, დასავლურ-ქართული კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე ასულა. ბრინჯაოს მეტალურგიისა და მესაქონლეობის ვვერდით აქ უნდა არსებულიყო მეტად განვითარებული მიწათმოქმედება, სადაც თოხნით მიწათმოქმედებას წამყვანი ადგილი უნდა ეკუთვნოდა. არც ერთ სხვა კუთხეში არ არის ნაპოვნი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ომდენი იარაღი, რამდენიც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, სადაც დაახლოებით შეაბრინჯაოს პერიოდის მოყოლებული, შეუწყვეტელი მოჩანს თოხის გამოყენების ტრადიცია, მათი თვისობრივი და რუცხობრივი ზრდა.

მოუხედავად იმისა, რომ დაახლოებით ამ ათი-ოლე წლის წინათ ო. ჯაფარიძემ სპეციალური შრომა მოუწოდნა დასავლურ-ქართული კულტურის სა-

მიწათმოქმედო იარაღებს<sup>1</sup>, ჩვენ მაინც მიგვაჩინია საჭიროდ ამ საკითხზე შეჩერება, რადგან მას შემდეგ დაგროვდა მრავალრიცხოვანი ახალი მასალა. როგორც ცნობილია, ლითონის სამკეთხაპირიანი სამიწათმოქმედო იარაღები ჩვენში შეუაბრინჯაოს პერიოდისაა ჩანს ურეკში აღმოჩენილი იარაღის სახით, მისი ლითონის პროტოტიპი დღეისათვის ჩვენთვის არ არის ცნობილი; მაგრამ ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში საჩხერეში<sup>2</sup> და ქვაყნულაზე<sup>3</sup> ადრე ბრინჯაოს პერიოდის სამარხებში აღმოჩნდა სპილენძის საკიდები, რომლებსაც წელში მოხრილი თოხის მოყვანილობა აქვთ, ცმაზე მეტყველებს, რომ ამ ადგილებში შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მსგავსი იარაღი, რომელთა იმიტაციისაც ეს საკიდები წარმოადგენენ. ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში მიწის და-



სურ. 66. ცული და ბართოხი მახუნციოდან (ბათუმის მუზეუმი)

სამუშაებლად უკვე მრავალფეროვანი იარაღი ჩანს გამოყენებულ.

რადგან განძებში შემავალი თოხები ვახშების დახასიათების დროს უკვე აღვწერეთ, აქ ჩვენ შევეხებით ცალ-ცალკე აღმოჩენილ თოხებს. აქარის ტერიტორიაზე განძების გარეშე თოხი და სავსად მიწის დასამუშაებელი იარაღი სულ ორ პუნქტ-

<sup>1</sup> ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები და საღებავ-ქართულ ენციკლოპედიაში, თბილისი ს.ბ. უხვეერსტრეტის შრომები, ტ. 49, თბილისი, 1933, გვ. 173—213.


<sup>2</sup> ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომების ისტორიისა

თვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 179—180.  
<sup>3</sup> ო. ჯაფარიძე, ლ. დლონტი, ურბნისი, I. ქვაყნულის (ტელეოპოლის) ნაშთსაღებზე, 1954—1961 ნატარებული ვითარებები, ტაბ. I X XIV, სურ. 6,

შია ნაპოვნი: 1) ბათუმის მუზეუმში დაცულია სოფ. ხუტუბანში ნაპოვნი სამი თონის ყუის ნატეხი<sup>4</sup>, მათი ფორმების გარკვევა ძნელდება დაზიანების გამო 2) იქვე ინახება მიწის დასამუშავებელი იარაღი, აღმოჩენილი 1954 წ. სოფ. მახუნეთში (ინვ. 16947/766); იარაღი დაზიანებულია, მაგრამ ჩანს, რომ მას ჰქონია სამკუთხა მხარამორგავლელბული პირი და მილისებრი სატარე ხერელი. რომელიც უშუალოდ ტანის გარშემოწერილობაშია ჩართული. იარაღს დიდი ნაწილი აკლია (წვეროსაკენ). მასთან ერთად სწორმუბლანი და მრგვალხვრელიანი ტულია აღმოჩენილი (სურ. 66).

სურ 67); იგი თსელპირიანია, პირი დეფორმირებულია, მაგრამ ჩანს რომ იგი თავის დროზე სწორტანიანი უნდა ყოფილიყო.

სამეგრელოს ტერიტორიაზე ვახშის გარეშე თონის აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი: 1) ერთი მოზრდილი თონი აღმოჩენილია წალენჯიხაში და ინახება ზუგდიდის მუზეუმში (ინვ. 44)<sup>5</sup>. 2) იმავე მუზეუმშია დაცული ძალადი, წელში მოსრილი, განიერპირიანი თონი (დაზიანებულია). რომელიც ხეთაში ყოფილა ნაპოვნი (სურ. 68). 3) სოფ. კურხუში (გეგეპკორის რაიონი). აღმოჩენილია სუთი თონი, რომლებიც სამართული



სურ. 67. I სწორტანიანი თონი ხიდისთავიდან (ჩოხატაურის რაიონი)

გურიის ტერიტორიაზე ვახშის ვარეშე თონები და ბართონები აღმოჩენილია: ურეკის მდამოებში, განიერ-პორიონტალურმხრებიათი და დაბალსამკუთხაპირიანი მიწის დასამუშავებელი იარაღი<sup>6</sup>. 2) 1961 წლის აპრილში, ბელოჯნურ მიწაყრილ (ნახურგი) სეფისთვალასთან (სადაც მდ. სეფა შეერთვის ზღვას), მდ. სეფას მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა განიერპირიანი და მკვეთრქედიანი, წელში ძლიერ მოხრილი და სეგმენტურპირიანი თონი (ტაბ. XXVI, სურ. 12). 3) აქვე იყო ნაპოვნი სწორტანიანი თონის ფრაგმენტი. 4) ერთი თონი შემთხვევით ნაპოვნია სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონში) და ინახება საქ. სახ. მუზეუმში (ინვ. 4—38 : 2,

კომპლექსის შემადგენლობაშია<sup>7</sup> (ტაბ. VIII, სურ. 15—18). თონები ერთნაირი ფორმისაა, ტახვიწრო. მაგრამ ფხასთან სწრაფად გაფართოებული (ტრაპეციის ფორმას უახლოვდება) და წელში მოხრილი. 4) ზუგდიდის მუზეუმში დაცულია სოფ. ჭვარში აღმოჩენილი რომბისა თუ ფოთლისებრი შოყვახილომის მიწის დასამუშავებელი იარაღის ორი ევხემპლარი. რომელიც მკვეთრდაა წელში მოხრილი (ტაბ. XXVII, სურ. 1). 5) ზუსტად ასეთივე, ოღონდ რამდენადმე ვიწროპირიანი თონი ნაპოვნია ზემო სვანეთში (ტაბ. XLV, სურ. 16). 6) ზუგდიდის მუზეუმში ინახება აგრეთვე 5 თონი, რომელთა წარმოშობის ადგილი უცნობია (ინვ. 26—28),

<sup>4</sup> ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, მიწათმოქმედების იარაღები დასაუღურ-ქართულ კულტურაში, გვ. 182.


<sup>5</sup> Н. Хоштарпиш, დასახ. ნაშრ., სურ. 12, ტაბ. XIV, სურ. 13.

<sup>6</sup> ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

<sup>7</sup> დ. ქ ო რ ი ძ ე, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. კურხუში, საქ. სახ. მუზეუმის მუამბე, XX—B, გვ. 55—61, სურ. 2, ტაბ. 1, სურ. 2—5.

მათგან ოთხი დაზიანებულია (ყველას პირის დიდი ნაწილი აკლია). ერთი ტრაპეციის ფორმისაა.

იმერეთის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობითაა განძების გარეშე აღმოჩენილ თოხები: 1) ერთი თოხი 1925 წელს სოფ. ქვემო ნოლაში (სამტრედიის რაიონი). შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს შორის არს (კომპლექსი შედგება შვეტრტანინი და გორდაპირიანი ცულის ფრამენტებსა და სეკმენტური იარაღებისაგან)—თოხი დაკლულია ქუთაისის მუზეუმში<sup>8</sup>. 2) საქ. სახ. მუზეუმში დაკლულია სოფ. კინხხაში (წულუყვის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილი თოხი (იხ. 14—32 :



სურ. 68. წელში მოხრილი სქელი თოხი სოფ. ხეთადან (ბოძის რაიონი)

ნ. სურ. 69); იგი დეფორმირებულია. მაგრამ ჩანს, რომ სწორტანინი და თხელპირიანი ყოფილა: 3) ვანის რაიონის სოფ. ძელუხში ორი თოხია შემთხვევით ნაპოვნი; ისინი დაკლულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში<sup>9</sup> (სურ. 34<sub>გ</sub> - 4). ერთი მათგანი განიერპირიანია და წელში მოხრილი. ძეორე—ტრაპეციისმაგვარი (იარაღები დაზიანებულია). 4) საქ. სახ. მუზეუმში დაკლულია ერთი კოლექცია ხანიდან (მაიაკოვსკის რაიონი) (იხ. 8—38 : 1—

—5)<sup>10</sup>. იგი შედგება I სახეობის კოლხური ცულე-ბისა და 3 თოხისაგან (ტაბ. XXVI, სურ. 14—16). თოხებს შორის ერთი განიერპირიანია და სწორტანინიანია, ორი კი ტრაპეციისმაგვარი. 5) ქუთაისის მუზეუმში დაკლულია კოლექცია (იხ. 3578), ნაპოვნი 1938 წ. ჩხარში. რომელსაც შედის წელში მკვეთრად მოხრილი, პირნაკლული თოხი და ნაკლული IV სახეობის ცული. 6) ერთი თოხი ნაპოვნი ყოფილა 1927 წ. სოფ. ძეგრში (თერჯოლის რაიონი), ინახება ქუთაისის მუზეუმში (იხ. 2261, სურ. 70). იგი განიერპირიანია და წელში მოხრილი. 7) სოფ. ბოროთში (ზეესტაფონის რაიონი) 1925 წ. ნაპოვნი ყოფილა ორი თოხი (ქუთაისის მუზეუმის კოლექცია 1224)<sup>11</sup>, 8) საქ. სახ. მუზეუმში დაკლულია სოფ. ჩრდილოში (ზეესტაფონის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილი ნაკლული თოხი (იხ. 14—32 : 7). იარაღს პირის დიდი ნაწილი აკლია, მაგრამ უკან პირზე აშკარად შეინიშნება წიბურები. 9) ქუთაისის მუზეუმში დაკლულია სოფ. ღვედში 1926 წ. ნაპოვნი სწორტანინი და მარგებდაშეკებული თოხი (იხ. 1761, სურ. 71); საინტერესოა, რომ სატარე ხვრელი დამრეცია პირის მიმართ, რაც არ არის დამახასიათებელი სწორტანინი თოხებისათვის, პირი დაზიანებულია. 10) იქვეა დაკლული წყალტუბოს მიდამოებში აღმოჩენილი თოხი და სეკმენტური იარაღი (იხ. 6859). თოხი სწორტანინია და ვახიერპირიანი (სურ. 72). 11) ერთი თოხი აღმოჩენილია ზემო იმერეთის უკიდურეს მთიან ზოლში, მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე, საჩხერის რაიონის სოფ. ჭრის მახლობლად<sup>12</sup>. იგი დიდაა, წელში მოხრილი და განიერპირიანი (ტაბ. XXVII, სურ. 7). 12) ქუთაისის მუზეუმში დაკლულია რამდენიმე თოხი, რომელთა აღმოჩენის ადგილი და ვითარება არ არის ცნობილი: ერთი მათგანი (იხ. 2901) მაღალია და სწორტანინი, მეორე წელშია მოხრილი, მესამე (იხ. 221/5561) მაღალტანინია და წელში მოხრილი, ერთი (იხ. 5419/5) ტრაპეციისებრია და წელში მოხრილი.

რაქა-ლენჩხუმიდან განძის გარეშე აღმოჩენილი რამდენიმე თოხია ჩვენთვის ცნობილი: 1) ერთი მაღალტანინი, მოზრდილი, წელში მოხრილი თოხი სოფ. ორბელში ყოფილა 1932 წელს აღმოჩენილი; დაკლულია საქ. სახ. მუზეუმში (იხ. 12—37 : 1)<sup>13</sup>, 2) ერთობაშია დაკლულია სოფ. ლეგვარში აღმოჩენილი პირფართო თოხი<sup>14</sup> (იხ. 1727/31—32).

<sup>8</sup> М. М. Ивашенко, Материалы к изучению культуры колхов, Мასალაზი საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის შესახებ, ნაკვთი II, თბილისი, 1941, გვ. 19. ი. ქაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

<sup>9</sup> Н. В. Хоштария, Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 г., ტაბ. IX, სურ. 2.

<sup>10</sup> ი. ქაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 52, სურ. 7.

<sup>11</sup> ი. ქაფარიძე, მიწათმოქმედების ძარღვის დისკალურ ქართულ კულტურაში, გვ. 182—183.


<sup>12</sup> ი. ქაფარიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, გვ. 41, ტაბ. VII, სურ. 4.

<sup>13</sup> ი. ქაფარიძე, დასახ. ნაშრ., 187.


<sup>14</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

3) ერმიტაჟში დაცულია აგრეთვე მთა ლესეროზე აღმოჩენილი თოხი (ინვ. 1727/83), ისეთივე. როგორც ლეგეროში აღმოჩენილი თოხია<sup>15</sup>; 4) სოფ. ლატაროში აღმოჩენილი თოხი საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული (ინვ. 68—39 : 51, ტაბ. XXV, სურ. 17); იგი ტრაპეციისებრია და წელშია მოხრილი; 5) ერთი თოხი სოფ.

XXVII, სურ. 6, 8 ან 73<sub>კ,ვ</sub>). ორივე თოხი წელშია მოხრილი, განიერპირიანია და მკვეთრად გამოკვეთილი ფრთებით მთავრდება. 3) საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში დაცული ერთი თოხის (ინვ. 9—27 : 3) შესახებ საინვენტარო წიგნის სათახად გრაფაში მიწერია: „ახალციხის მუზეუმის კოლექცია“. რაც გეგავარაუდებინებს ამ იარაღის შესახებ-ჭავახეთის ტერიტორიიდან მომდინარეობას; სატარე ოდნავ ქვემოთ, წელშია მოხრილი და განიერპირიანია.



სურ. 69. თოხი კინხიდან (ინვ. 14—30 : 8)



სურ. 70. თოხი ძვერიდან

ახალსოფელშია (ამბროლაურის რაიონი) ნაპოვნი და დაცულია ქუთაისის მუზეუმში<sup>16</sup>.


მესხეთ-ჭავახეთის ტერიტორიაზე განძის გარეშე თოხის აღმოჩენას ფაქტი რამდენიმე პუბლიკაცია დადასტურებული: 1) ერთი თოხი ხაოვხია სოფ. თელოვანში; ინახება საქ. სახ. მუზეუმში (ინვ. 102—14 : 2 ტაბ. XXVI სურ. 3 ან სურ. 73)<sup>17</sup>. თოხი წელშია მკვეთრად მოხრილი; პირი გამოკვეთილი ნიღბებით მთავრდება. 2) ორი თოხი აღმოჩენილია სოფ. ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი); დაცულია საქ. სახ. მუზეუმში (ინვ. 78—13, ტაბ.

მის ზურგზე წვერი თხისაყენ მემართული, გრძელყუნწიანი ისრის რელიეფური გამოსახულებით გამოკვეთილი; მესხეთე (ინვ. 64—14 : 9)—ტრაპეციის ფორმისაა და წელში მკვეთრად მოხრილი. 2) ხხაურის რაიონის სოფ. ჩურისხევეში აღმოჩენილია ერთი თოხი (ინვ. 4—33 : 6)<sup>18</sup>; მას პირის დიდი ხა-

<sup>15</sup> A. A. Hecceh. იქვე, გვ. 128.  
<sup>16</sup> თ. ქაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.  
<sup>17</sup> გ. ნიოჩაძე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI11—B. გვ. 192, ტბ. I.  
<sup>18</sup> თ. ქაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 193, სურ. 7.



წილი ავლია. დარჩენილი ნაწილი ტრაპეციის ფორმისაა. 3) სოფ. ახუნდაში (სოფ. ღვეწს მახლობლად) ნაპოვნია ერთი თოხა. ჩომელიც შოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია დაცული<sup>19</sup>. 4) სოფ. შოჩისში აღმოჩენილ თოხს<sup>20</sup> ტრაპეციის ფორმა აქვს და წელშია მკირვლ მოხრილი. 5) სოფ. კოდისწყაროსთან ნაპოვნია ორი თოხი (?)<sup>21</sup> (რნგ. 10—29 : 2.3), ორივე მაღალია და ვიწრო, ფხასთან ოდნავ განივრდება და მკირვლ მომრგვალებული პირით მთავრდება (ტაბ. XXVI, სურ. 4, 6). 7) ქვემო-ქართლში. მარალ-დერესის სამაროვანზე (თრიალეთი), ერთადერთი თოხია აღმოჩენილი; იგი ტანში მკირვლადა მოხრილი და ფხასთან ოდნავ განივრდება<sup>22</sup>.



სურ. 71. თოხი ღვედიდან

ამრიგად, საკუთრივ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაანსოებით 6 ათეულზე მეტ პუნქტშია აღმოჩენილი თოხები და „ბართოხები“. მეტნაკლები რაოდენობით იგი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველ მხარეშია ნაპოვნი; გაშობაკურსს წარმოადგენს აფხაზეთისა და სვანეთის ტერიტორია. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მასალები თოხების რაოდენობის შესახებ არ შეიძლება იყოს საბოლოო და ზუსტი. რადგან ჩვენ არ გვქონდა საშუალება ადგილზე შეგვესწავლა ყველა სამ-

ხარეთმცოდნეო და ე. წ. სასკოლო მუზეუმების მიერ ახლად შეგროვილი მასალები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მხედვით კი შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: აპარის ტერიტორიაზე 14 პუნქტში 52 თოხი და ბართოხია ნაპოვნი (მათ შორის 4 ცალი ბართოხი); გურაბის 11 პუნქტში—18 თოხი და 11 ბართოხი; სამეგრელოს 7 ადგილიდან—15 თოხი (სავარაუდოა, რომ ზუგდიდის მუზეუმში დაცული 5 უპასპორტო თოხი აღმოჩენილი იყოს სამეგრელოს ტერიტორიაზე).

ყველაზე მეტი რაოდენობით თოხები იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი—63 ცალი 21 პუნქტიდან, ამას ემატება 6 ცალი უპასპორტო თოხი, რომელიც ქუთაისის მუზეუმშია დაცული და შესაძლოა იმერეთის ტერიტორიაზე იყო აღმოჩენილი: რაჭის 5 პუნქტიდან 31 თოხია ნაპოვნი. ლენხუმის 5 ადგილიდან—7 თოხი; მესხეთ-ჭავჭავთში 5 თოხია აღმოჩენილი (3 ადგილიდან); შიდა ქართლში 12 თოხია ნაპოვნი (7 პუნქტში), ქვემო ქართლში მხოლოდ თრიალეთშია ნაპოვნი 1 თოხი; და საქართველოს ფარგლებს გარეთ 3 ადგილიდან 3 თოხია ჩვენთვის ცნობილი.


ამრიგად, დასავლეთ საქართველოს 64 ადგილიდან 208 თოხი (მათ შორის 15 ბართოხი და 3 ფოთლისებრი იარაღი) მომდინარეობს; აღმოსავლეთ საქართველოს 10 პუნქტიდან—18 ცალი; საქართველოს ფარგლებს გარეთ 3 პუნქტში 3 ცალია ნაპოვნი. სულ 77 აღმოჩენიდან ჩვენთვის ცნობილია 229 თოხი და ბართოხი.

თოხებისა და ბართოხების, მათი სახესხვაობის დადგენას, მათი დანიშნულების გარკვევას, შრავალი არქეოლოგი შეხებიან<sup>23</sup>. მეკვლევართა მოსაზრებებში, რომლებიც ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ არის აზრთა სხვაობა და წინააღმდეგობაც. ჩვენ შევეცდებით დავაზუსტოთ იარაღის ამ ჩუგუფის ტიპოლოგიური სქემა და მის ცალკეულ სახეებს მიახლოებით მივნიც მოუენახოთ ადგილი ადრეულ მიწათმოქმედებაში. თოხების ტიპოლოგიური სქემის შედგენის დროს ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნება იარაღის საერთო, ძირითადად ფორმა პირის საერთო მონახულობა; მხრების დაქანება, სამუშაო ნაწილის მოყვანილობა, წელში


<sup>19</sup> თ. ქ ა თ რ ი ძ ე, დასახ. ნ.შ.რ., გვ. 193.  
<sup>20</sup> ბ. ა. კ უ ფ თ ი ა, Археологическая маршрутная экспедиция, 1945 წ., ტ. VIII, სურ. 4.  
<sup>21</sup> თ. ქ ა თ რ ი ძ ე, დასახ. ნ.შ.რ., გვ. 192, სურ. 8.  
<sup>22</sup> ბ. ა. კ უ ფ თ ი ა, Археологические раскопки в Тrialeti, გვ. 52, სურ. 50.

<sup>23</sup> ბ. ა. კ უ ფ თ ი ა, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII—B თბილისი, 1944.  
თ. ჯ ა თ რ ი ძ ე, დახვედრითი ექსპედიცია გურაბში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—B თბილისი, 1950.

მ ი ს ი ც ე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლეთ-ქართულ კულტურაში, თბილისი, სახ. უნივერსიტეტის შრომები. 49, თბილისი, 1953.  
გ. ნ ი რ ა ძ ე, არქეოლოგიური დახვედრები მტკვრის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XI—B, თბილისი, 1944.



სურ. 72. სეგმენტური იარაღი და თოხი წყალტუბოს მიდამოებიდან  
(ქუთაისის მუზეუმი)



სურ. 73. თოხები: 1 თელოვანიდან (ინვ. 102—14 : 2), 2—3 ხიზაბაგრაძე (ინვ. 78—13 : 2, 1)  
4, 5 თერეგვანიდან (ინვ. 66—14 : 5, 5)


მოხრილობის ხარისხი და საერთოდ მოხრილობის ადგოლა. ფრთებისა და ნიღბების სიმკვეთრე, და ბოლოს სატარის კონსტრუქცია და სატარე ზვრელის ზომა. და არა ყოველი წვრილმანი სხვაობა, რადგან ეს უკანასკნელი არსებობდა იმდენია, რამდენი ცალკეული ეგზემპლარი არსებობს. მათთვის ანგარიშის გაწევა მხოლოდ გაართულებდა საქმეს.

I ტიპი

სამიწათმოქმედო იარაღებში პირველ რიგში განვიხილავთ სამკუთხა პირიან და სწორტახიან იარაღს: ისინი შეიძლება ჩავთვალოთ ცალკე ტიპად. რადგან აღნაგობისა და გამოყენების ხასიათის შიხედვით დიდად განსხვავდებიან ფართოდ გავრცელებულ ბრინჯაოს პირფართო თოხებისაგან.

გრგვალა და უკანა პირზე სიგრძივი წიბური დაუყვება. საყურადღებოა, რომ იარაღს სწორი ტახი აქვს, ე. ი. მისი დარტყმის ცენტრი ვერტიკალურია იარაღის უფრო აღრეულ ცალკეს (შუაბრინჯაოს პერიოდის თოხები ურეკიდან) მხრები ოდნავ აქვს მომრგვალებული ისე, რომ მხრებისა და ტახის ქვემო ნაწილის შეერთების ადგილიც მომრგვალებულია; ამ იარაღის საშუალო სიმაღლე 13,5-დახ 14,5 სმ აღწევს, ხოლო პირის უდ. სიგანე 8-დახ 9,5 სმ-დე, ე. ი. სიმაღლე უდიდეს სიგანეზე 1 1/2-ჯერ მეტია (სურ. 74).

მელექედურის ცალის ტახი უფრო დაეწროებული და დაგრძელებულია, სიმაღლე 15,0 სმ აღწევს, ხოლო უდ. სიგანე—6,1 სმ; პირიც მცირედაა მომრგვალებული (სურ. 74). მახუნცეთის თოხი



სურ. 74. ბართოხები 1) ურეკიდან, 2) მელექედურიდან, 3) ზენითიდან

ამ ტიპის იარაღებისათვის დამახასიათებელია სამკუთხა მოყვანილობა; იარაღის წვეტი საშუალო ნაწილის დაბოლოებებს წარმოადგენს. ხოლო ვახიერ ნაწილში სატარე ზვრელია მოთავსებული; სატარე ტახისაგან არ არის გამოყოფილი, იგი ვახიერი ნაწილის საერთო მოხაზულობაშია ჩართული,

ნაკლებია. ასეთი იარაღის გავრცელების არე არ ცილდება გურია-აჭარის ფარგლებს (მელექედური, ურეკი, მახუნცეთი).

ამ იარაღის ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს ზენითის ეგზემპლარები და ასეთივე ეულებია ურეკიდან და შრომის განძიდან; აღნიშნული იარა-

გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. საბ. მუზეუმ-ს მომბე. ტ. XV—B, თბილისი, 1948.

Н. В. Хоштариа, Об одном бронзовом оружии из Коляды, КСНИИМК, вып. 36, 1951.

Н. В. Хоштариа, Археологические исследования Уреки, Мასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, 1955.

Н. В. Хоштариа, Археологическое исследование в Вани и Ванском районе в 1952 г., მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 11, 1959.

გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1951.

А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва, 1935.

ლები ურეკის ზემოგანწილული იარაღებისაგან განსხვავდება იმით, რომ მათი სიმაღლე და უღიდესი სიგანე (სატარე ხვრელთან) დაახლოებით თანაბანია; რა; თუ მათი სიმაღლე 9—10 სმ აღწევს. უღ. სი-  
განე საშუალოდ 9 სმ უდრის, ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირის ზემო ნაწილის გაგანვირებთან და ამავე დროს არა მომრგვალებულ მხრებთან. არამედ სწორხაზობრივად განშტოებულ დაბოლო-  
ვებასთან (სურ. 74ა). ამ იარაღის გავრცელებას არეალად ერთ სცილდება აჭარა-გურჯისტანის ტერიტორიის (ზენით, ურეკი, შრომა).

ამრიგად, ამ ტიპის იარაღში ჩვენ ორ სახე-სხვაობას გამოვყოფთ—ერთი მხრივ სამკუთხაპირიან და ეოფროტარიან თოხებს, რომელთაც მხრები მომრგვალებული აქვთ და მეორე—სამკუთხაპირიან. მაგრამ შედარებით დაბალტანიან, პირიზობტა-  
ლურ განშტოებულ, განიერ მხრებთან იარაღებს (სურ. 74).

პროფ. ბ. კუფტინი, თოხების მის მიერ შემუ-შავებული კლასიფიკაციის მიხედვით. ზენითში აღმოჩენილ თოხს თვლის მაგარი, კენჭიანი ნიად-  
გის დასამუშავებელ იარაღად. და აღარებს დასაე-  
ლეთ საქართველოში ერთდროულად გავრცელებული თოხების ერთ-ერთ ტიპად<sup>24</sup>. ო. ჭაფარიძე აღნიშნავს, რომ ის სრულიად განსხვავებულია და-  
საეღურ-ქართლ კულტურაში გავრცელებული ბრინჯაოს თოხებისაგან; ურეკის თოხის თავისებუ-  
რებას იგი, სიმართლიანად იმაში ხედავს, რომ მას პირი სამკუთხა მოყვანილობისა აქვს და თითქმის წაწვეტებული; გვიანბრინჯაოს ხანის თოხის პირი კი უკვე ფართოა. ავტორი მართალი ჩანს როდესაც აღნიშნავს, რომ ეს პირიფორ იარაღი წინ უსწრებს პირფართო თოხს; მაგრამ, ჩვენ არ მიგვაჩნია საე-  
სებო მართებულად მისი მოსაზრება თოხის პირის თანდათანობითი გაფართოების შესახებ. ამის ერთ-  
ერთ საბუთად ავტორი მიიჩნევს ბათუმის მუზეუმში დაღუპულ ზენითურ თოხებს. რომლებსაც პირის ზედა ნაწილი ფართო აქვს. ქვედა კი უფრო ვიწ-  
რო; „ეს თოხები, აღნიშნავს იგი. ერთგვარ გარდა-  
მავალ ფორმას უნდა წარმოადგენდეს პირიფორი და პირფართო თოხებს შორის“ და დასძენს „უეფიკ-  
რობთ არ უნდა იყოს სწორი ბ. კუფტინის მიერ თავის ერთ-ერთ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრე-  
ბა, რომ თითქმის საქართველოში ერთდროულად თოხების სრულ კოტა სამი ტიპი მაინც არსებობდა და, რომ პირიფორი თოხები უფრო მაგარი მიწის

დასამუშავებლად იყო განკუთვნილი. ამ პერიოდში ჩვენში, ჩანს, რომ ვიწრო პირიანი თოხი უკვე ხმა-  
რებიდან გამოდის და მრ; ადგილს მთლიანად უფ-  
რო განვითარებული ტიპი, პირფართო თოხი იკა-  
ვებს“. და ბოლოს, თოხის თანდათანობითი განვითა-  
რების სურათის დადგენა ზემოთქმულის მიხედვით. მას დასაშვებად მიიჩნია<sup>25</sup>. ნ. ხოშტარია სპეციალუ-  
რად იხილავს რა სამკუთხაპირიან თოხებს. მიუთი-  
თებს იმაზე, რომ ურეკში არ არის აღმოჩენილი კლასური კულტურისათვის დამახასიათებელი ჩვე-  
ულებრივი თოხი; იმ დროს, როდესაც იქ ნაპოვნია სამკუთხაპირიანი (ახალი ტიპი კლასური კულტუ-  
რისათვის) და „ბრტყელი თოხი“ (სეგმენტური იარაღი). სამკუთხაპირიან თოხების შესახებ იგი მიუთითებს, რომ ისინი ჩნდება ძვ. წ. II ათას-  
წლეულს და მეორე ცვლილებებით განავრცობს არსებობას I ათასწლეულის დასაწყისამდე. რად-  
გან ურეკსა და ზენითს გარდა ამგვარი თოხი არ-  
სად იყო აღმოჩენილი, ავტორი ვარაუდობდა, რომ აქ მცირე ზღვიანობა რაიონში უნდა გვეცნა ნი-  
ადგის სამკუთხაპირიან და აგრეთვე შეუცნობის თავისებურება<sup>26</sup>.

ზემოთ მოტანილ მოსაზრებებში რამდენიმე განსხვავებული მომენტია. ამასთან დაკავშირე-  
ბით ჩვენ მოვიხილავთ ზოგიერთი საკითხის გარკვე-  
ვა: ა) შეიძლება თუ არა სამკუთხაპირიანი ეს იარა-  
ღები პირფართო თოხების წინამორბედი იყოს და წარმოადგენს თუ არა ზენითური „თოხები“ გარ-  
დამავალ ფორმას ურეკის თოხებისა და პირფარ-  
თო თოხებს შორის; განავრცობენ თუ არა ამგვარო-  
ბას სამკუთხაპირიანი თოხები პირფართო თოხებ-  
თან ერთად. სათხიანად არის განკუთვნილი ეს იარა-  
ღი. თუ სხვა სახის სამუშაოსათვის?

როგორც აღნიშნეთ, ჩვენ არ მიგვაჩნია საე-  
სებო მართებულად ის მოსაზრება, რომ სამკუთხა-  
პირიანი იარაღი პირფართო თოხების უშუალო  
პროტოტიპია, რომ ზენითური სამკუთხაპირი-  
ანი თოხები გარდამავალი ფორმაა ურეკის სან-  
კუთხა და უფრო გვიანდელ პირფართო თოხებს  
შორის; ამის საწინააღმდეგე რამდენიმე მომენტზე  
შეიძლება მივუთითოთ: ჭრ ერთი. უნდა გავითვა-  
ლისწინოთ იარაღის აღნაგობა. ადრეული ურეკის  
შუა ბრინჯაოს პერიოდისა და მეღუქედურის სამ-  
კუთხაპირიანი იარაღები უფრო ვიწროპირიანია.  
ვიღრე უფრო მოგვიანო პერიოდის ზენითის სამკუ-  
თხა—„თოხები“; ამასთანავე, ურეკის თოხებს თუ  
ზემო ნაწილ (მხრები) ოდნავ მაინც მორკალური

М. И. Ивашенко, Материалы к изучению культу-  
туры кохов, Мასალები საქართველოს და კავკასიის ის-  
ტორიისთვის, ნაკვ. II, თბილისი, 1941; ავტორთა კოლექ-  
ტივი, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1961 წ. და  
სხვა.

<sup>24</sup> ბ. კუფტინი, კავკასიაში ქართული კულტურის  
შეკვლევი ფესვების საკითხისათვის, გვ. 317, სურ. 15ა.

<sup>25</sup> ო. ჭაფარიძე, დახვეწილი ექსპლორაცია გურ-  
ჯი, გვ. 116—117

<sup>26</sup> ნ. ხოშტარია, Археолог. исследования Уреки,  
გვ. 48, 49.

და მხრებუდან პირზე გადასვლის ადგილზე მოძრავალბული აქვს. ზენითის თოხებს ფართო მხრები გააჩნიათ. თუ ისინი გარდამავალი ფორმა პირვიწრო და პირფართო თოხებს შორის, ე. ი. ურეკის თოხების შემდგომი განვითარებზეა და ეს გახვითარება პირფართო თოხების შექმნისა და მასთან დაახლოვების გზით წარმართა. მაშინ ზენითურ თოხებს მხრები კი არ უნდა გაფართოვებოდა. არამედ დაწვილებოდა და გაფართოება სამუშაო ნაწილისა მისი წვეტიდან უნდა დაწყებულიყო. ტუქნიკური მისიხლ ამ შემთხვევაში უშუალოდ იარაღის სამუშაო ნაწილს თითქმის არ შეხებია. მხრებმა განიცადა ვაგანიერება. მაგრამ არა იმ მიმართულებით. რომ იგი ურეკულ თოხებთან შედარებით უფრო დაახლოვებოდა პირფართო თოხებს. არამედ კრდე უფრო დასცილდა მათ. ასე რომ, როგორც ურეკის. ისე ზენითის იარაღები ფორმით დიდადა დაცილებული პირფართო თოხებისაგან და ჩვენის აზრით, არავითარი გენეტიკური კავშირი მათ შორის არ უნდა იყოს.

ჯერ ურეკისა და შემდეგ მელექედურის განძე დაკვირვებამ. მათი სავარაუდო თარიღის განსაზღვრამ. ჩვენ საშუალება მოგვცა ასაკით დაგვეპირისპირებინა შედარებით ვიწრო სამკუთხაბირიხი და მხრებომრგვალებული მიწის დასამუშავებელი იარაღები („ბართოხის“ I სახეობა), შემდგომ ფართოდ გამოყენებული თოხებისათვის. მელექედურის განძის დაფლების მომენტში (აღარას ვაძმობთ ურეკის განძზე. რადგან იგი თარიღით აშკარად უფრო ადრეთელია). არ ჩანს ხმარებაში ფართომბირიხის ნიხები. ხოლო ზენითის აღნიშნული იარაღის გერდით უკვე გამოყენებულა ჩვეულებრივი თოხები. მაგრამ. როგორც ჩანს. „ბართოხის“ ეს ძეორე სახეობაც კი რდენება ყოფიდან ძე. წ. XII საუკუნედან მანც. ასე რომ, მომდევნო პერიოდში იგი აღარ გვხვდება.

აღნიშნული იარაღის გავრცელების არე აშკარად სკრდება ვიწრო ზღვისპირა ზოლს—ზენითისა და ურეკის. იგი ზღვისპირა უბნებიდან საქმარად დაცილებულ აღმოსავლეთ უბანში. მელექედურშიაც აღმოჩნდა. ასეთი იარაღის აღმოჩენის ფაქტს ადგილი აქვს აგრეთვე შრომასა და მახუნცეთში.

ჩვენ ამ გარემოებას იმიტომ ვაუხვსვით ხაზი, რომ ადრე ამ იარაღების აღმოჩენა მხოლოდ ზღვისპირა ვიწრო ზოლში. როგორც წინ აღვნიშნეთ, ზოგიერთ მკვლევარს აძლებდა უფლებას მათი აქ ვაგ-

რცელების მიზეზი ემია ნიადაგის სპეციფიურობასა და მელქენობის თავისებურებაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურეკის, მელექედური-სა და ზენითის მიწის დასამუშავებელი სამკუთხაბირიანი იარაღი აღნიშნულებით არ უნდა იყოს ჩვეულებრივი თოხი.

როგორც ცნობილია, პირფართო თოხის დაწნიშნულება მრავალმხრივია. მისი საშუალებით ხდება და ხდება მიწის პირველადი დამუშავება (მაშინ, როდესაც მიწის დასამუშავებელი იარაღის უფრო განვითარებული სახეობა არ არსებობდა, ან იქ, სადაც უფრო განვითარებული სამეწათმოქმედო ტექნიკის გამოყენება არ შეიძლება), ხათესის მარგვლა, მეორადი გათოხნა და ა. შ. სწორტახიან სამკუთხაბირიან (წვეტიან) იარაღს კი ყველა ამ სამუშაოს შესრულება არ შეუძლია. გამოირცხულია ამ იარაღით ნათუსის შემდგომი დამუშავება (ძარგვლა, მეორადი გათოხნა) და მიწის მოთოხნაც კი.

სამკუთხაბირიანი იარაღი, როგორც უხვთო გექონდა აღნიშნული, ფორმით სრულიად დაცილებულია პირფართო თოხების ყველა ვარიანტისაგან და უახლოვდება მიწის დასამუშავებელი იარაღის იმ ჯგუფს, რომელთა ძირითადი ფუნქცია იყო და არის ახლად ასაღები მაგარი და ხრიოკი ხიადაგის „გარღვევა“—„გადაბრუნება“. ამიტომ. ჩვენის აზრით, სამკუთხაბირიანი და წვეტიანი ამ იარაღის ორივე სახეობა უნდა მიეკუთვნებოთ წერაქვების, წალკატების, თოხ-წალკატების, ბარების და სხვა ამგვარი იარაღის ჯგუფს, როგორც სწორედ ამგვარი სამუშაოებისათვის განკუთვნილი იარაღი. დასავლეთ საქართველოს თანამედროვე ყოფაში ზემოხსენებულის მსგავსი იარაღები გვხვდება. ერთადერთი ცალბირა იარაღი, რომელსაც იმერეთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში იყენებენ მიწის პირველადი დამუშავების დროს, არის სწორკუთხა, ვიწროტახიანი, პერპენდიკულიარული დარტემის ცენტრის მქონე იარაღი, რომელსაც ადგილობრივად თოხ-წალკატს უწოდებენ. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — მთიანეთში და ჩრდილო კავკასიაში, როგორც სათანადო ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ხმარებაშია წვეტიანი იარაღები, ოღონდ პირის მონაზულობით განსხვავებული ჩვენი იარაღისაგან (მათ დაახლოებით რომბული ფორმა აქვთ). ეთნოგრაფი ნ. რეხვიაშვილი მათ „ბართოხს“ უწოდებს და დასძენს, რომ ეს იარაღი წარმოადგენს ჩვეულებრივი სახის მიწის საბარავი იარაღის „ბარის“ მსგავს ქარჩას. მის


თავისებურებას წარმოადგენს მაღალი, განიერი და „მწეზარი“ მხრები; სამკუთხა მოყვანლობის ტანი და წამასული პირი (შეადარეთ ჩრდილო-კავკასიური წერაქვი, სპ. სს. მუზეუმის ეთნოგრაფ. განუკოლექცია № 232—ბ, 89)<sup>27</sup>. ეთნოგრაფი გ. ჭალაბაძე რომისმაგვარპირიან იარაღს, რომელიც გავრცელებული ყოფილა ხევში. თოხების შესაძენ სახეობას მიაკუთვნებს და მის დანიშნულებაზე მიუთითებს, რომ ამ იარაღით სრულდებოდა წერაქვის მომდევნო მუშაობა: ქველორდის ამოყრა, კარტოფილის ბუდეებს შორის ბალახის გათონა და ა. შ. რაც შეეხება ურეკიდან მომდინარე სამკუთხაპირიან ბრინჯაოს „თოხებს“, მათ გენეტურად უკავშირებას ხევში გავრცელებულ ფოთლისებრპირიან თოსებს<sup>28</sup>. ჩრდილო-კავკასიიდან მომდინარე ორსხეთ იარაღს, რომლებიც დატულია ეთნოგრაფიის განყოფილებაში (ინვ. 232—89: 90) და გამოქვეყნებული აქვს ეთნოგრაფ ნ. რევაიაშვილს, ბართო-

ლური იარაღი იყო. რომელიც უშუალოდ მკარი მიწის დასაბარად, გადასაბრუნებლად გამოიყენებოდა. ამიტომ არ შეეცდებით, თუ ამ იარაღებს ბართოხებს ეწოდებთ და განვასხვავებთ ფუნქციონალურად ფართოდ გავრცელებული ფართოპირიანი თოხებისაგან.

## II ტიპი. შარტოვიანი თოხი

### I სახეობა—სწორტანიანი თოხი (სურ. 75)

პირფართო თოხებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სწორტანიანი თოხებს. მათთვის დამახასიათებელია დაბალი, სწორად აღმართული ტანი და პერპენდიკულარული დარტყმის ცენტრი. სხვაგვარად რომ ვთქვათ. სატარე ხერელი მშასადამე. ტარის პირის მიმართ პერპენდიკულარულია და აქ სწორი კუთხე წარმოიქმნე-



სურ. 75. სწორტანიანი თოხები: 1) თურგვიდან, 2) ოჯოლადან

ნის ტიპის იარაღად მიიხსენებს. რაც მართებულად გეგნებდა. ჩვენს საკვლევ იარაღებში—უშუალოდ—სამუშაო ნაწილის მიხედვით, თითქმის ზუსტად ემსგავსება ზემოთ მოხსენებულ ბართოხს. იმავე სამუშაო ნაწილის მიხედვით, ისინი ყველაზე მეტად ბარს უახლოვდება. ბარსა და ჩვენს იარაღს მხოლოდ ტარის დაგების სერხის განასხვავებს. მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს იმას, რომ მას ბარის ფუნქცია შეესრულებინა; იგი წერაქვის მაგიერობდაც წევდა. რადგან ლითონისაგან ნაკეთები ერთადერთი უხივერბა-

ბა. სატარე ხერელი. ისე როგორც ბართოხებზე. მრგვალია და მიღობურად უკან გამოშვერილი; სოლო თუ ბართოხების სატარე ჩარსულია მსრების საერთო მოხაზულობაში და ყუაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია, პირფართო, სწორტანიანი და წელში მოხრილ თოხებში უკვე დაწყებულია სატარის ტანისაგან გამოყოფის პროცესი.

მხრების დაქანება და მოყვანლობა ყველა შემთხვევაში ერთნაირი არ არის. ზოგიერთ ვეზემალარს მცირედ დაქანებული მხრები აქვს. ზოგიერთს—მეტად; მხრების დაქანება ზოგჯერ სწორბა-

<sup>27</sup> ნ. რევაიაშვილი, ქართული სამეურნეო იარაღი, სპ. მუზეუმის მოამბე, XVI, 1954, გვ. 99—100.

<sup>28</sup> გ. ჭალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მითი-


ნეთის სამოწამოქმედო იარაღება, სპ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 1, 1959 წ., გვ. 111—112, სურ. 4.

ზობრავია. ზოგიერთ შემთხვევაში—მცირედ მორკალური. ზოგიერთი ცალბის. ფრთები მკვეთრი ნიღრებით მთავრდება. მაგრამ არ არის შემთხვევა, რომ სწორტანიანი თოხის რომელიმე ცალს მხარები მცირედ ან მეტად მომრგვალებული ჰქონდეს. უთუოდ საინტერესოა. რომ იშვიათად ვხვდებით ისეთ ცალს, რომელსაც თანაბრად დაქანებული მხრები ჰქონდეს. რაც ალბათ იარაღის ჩამოსხმა-გამოკვდილობის ტექნიკურ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო ნაწილის მოყვანილობა თითქმის ყველას მეტ-ნაკლებად მომრგვალებული — სევმენტური აქვს. ფხის მოყვანილობაზე ლაპარაკს აძნელებს ის. რომ ყველა თოხზე შეიძინევა მუშაობის კვალი და მეტ-ნაკლებად ყველას მოკვეთილი აქვს პირი. ასეთი იარაღების სიმაღლე 8 სმ-დან 10,5 სმ აღ-

სოფ. ხევსა და ხილისთავში. აჭარის ტერიტორიაზე მხოლოდ ორი ცალია (ციხისძირის განშში) ნაპოვნი, სამეგრელოს ტერიტორიაზე აღდაგვარი თოხი არ არის აღმოჩენილი. აღმოსავლეთ საქართველოში თერგვეანის განძის შემადგენლობაში ორი სწორტანიანი თოხია, აღნიშნული იარაღები ჩხდება დაახლოებით ძვ. წ. XII საუკუნის დან, მაგრამ მათი ფართო გამოყენება შეინიშნება ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის პერიოდში.

## II სახეობა ფართობიანი, წელში მოხრილი თოხი

იარაღის ეს სახეობა მკვეთრად ჩამოყალიბებული, მტკიცედ დაღვენილ ფორმას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ მიერ ამ სახეობაში გაერთიანე-



სურ. 76. წელში მოხრილი თოხი თერგვეანიდან

წევს. ხოლო პირის უდ. სიგანე 11,5 სმ—14,6 სმ-მდე. ე. ი. ძირითადად პირის სიგანე ჰარბობს მას სიმაღლეს; რაც შეეხება სატარე ხერხლის დიამეტრს. იგი საშუალოდ 2,6 — 3 სმ შორის მერყეობს, თანაც უმეტეს შემთხვევაში სატარე ხერხლის წინა და უკანა პირის დიამეტრი თანაბარია. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებს მიხედვით (იგი არ. ზუსტია). სწორტანიანი და ფართობიანი თოხების გავრცელების სფერო ძირითადად ემთხვევა საერთოდ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თოხების გავრცელებს არააღს. მაგრამ ამგვარი თოხები რიცხობრივად ყველაზე მეტი რაოდენობით იმერეთსა და რაჭაში აღმოჩენილი განძების შემადგენლობაშია (ოჯოლოს განშში 18 ცალია, თხმორისაში—9 მ ცალი); გარდა ამისა. სწორტანიანი თოხები იმერეთის რამოდენიმე პუნქტშია ნაპოვნი (სოფ. სოფ. კინჩხში. ძღუტხში. ხანში). გურიაში ერთი ცალი ნაპოვნია ზღვისპირა რაიონში (ურკეში), ორი კი

ბული იარაღებისათვის დამახასიათებელი ფართობიანი. (პირის სიგანე ჰარბობს სიმაღლეს და ზოგჯერ სავარძლობადაც) და წელში მოხრილობა წელში მოხრილობა და მოხრილობის ადგილიც ყველა ცალისათვის არ არის ერთნაირი: ზოგიერთი მკვეთრადაა წელში მოხრილი, ზოგი კი მცირედ; ზოგჯერ იარაღი მოხრილია უშუალოდ სატარის ქვემოთ, ზოგჯერ—წელის ზემო ნაწილში, ან უშუალოდ შუა წელში. თითქმის ყველა ცალს მრგვალი (მილისებრი), უკან გაშვერილი სატარე ხერხელი აქვს. სატარე ხერხლის დიამეტრი წინ ყოველთვის მეტია, ვიდრე უკან და შესაბამისად, საშუალოდ 2,5 — 3 და 2,3—2,8 სმ შორის მერყეობს.


ამ იარაღებზედაც შეიმჩნევა სატარის ტანისაგან გამოყოფის ტრენდენცია. მხრების დაქანება ყოველთვის ერთნაირი არ არის, მხრებს უშირად რკალური მოყვანილობა აქვს, ზოგჯერ მკვეთრი, წელთან ერთბაშად ჩაღუნული. ასეთ შემთხვევაში მხრები წელამდე თითქმის ვერტიკალურად ეშვება

და წელთან ერთბაშად იშლება. ზოგიერთ ცალზე მხრების დაქანება უფრო თანდათანობითია. არის ძალზე დაბალპირიანი ცალებიც, მკვეთრად გაშლილი ფრთებითა და ამოდუნული ნიღრებით; ასეთი იარაღის ზოგიერთი ცალის უკანა პირზე ერთი ან ორი წიბურია დაშვებული. სამუშაო ნაწილის მონახულობაც არ არის ევოლუციის ერთნაირი. ზოგჯერ იგი მკვეთრადაა მომრგვალებული, ზოგჯერ მცირედ (სურ. 76).

იარაღების ეს სახეობა, როგორც მასალებიდან ჩანს, ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული; რაოდენობრივადაც ის ყველაზე მეტია. განი-

### III სახეობა. ტრაპეციისებური თოხები

მიწის დასამუშავებელი იარაღების შემდეგ სახეობას წარმოადგენს ტრაპეციის ფორმის თოხები. მოყვანალობით ის განსხვავდება თოხების ზემოაღწერილი ორივე სახეობისაგან. ამ იარაღის გვერდები უმთავრესად თითქმის სწორხაზობრივად მეტნაკლები დაქანებით ეშვება; არის ოდნავ მოკალებური მხრებიანიც. ამ სახეობის იარაღებისათვის არ არის დამახასიათებელი არც ტანის მკვეთრი მოხრილობა, არც სამუშაო ნაწილის (ფსის) მკვეთრად მორკალევი; მათ ძირითადად სწორხაზობრივად



სურ. 77. მაღალტანიანი, წელში მოხრილი თოხები: 1) ზენითიდან, 2) გუთურიდან, 2) ბუგუულიდან

ერპირიანი, წელში მოხრილი თოხები აღმოჩენილია: მახინჯაურსა და ურეკში, ვაკიჯვარსა და შრომაში, ღიდ ვანსა და გუთურში, წალენჯიხასა და ძეგრში, გორასა და საქარაში, თოლასა და ჯრიაში, დნორისასა და ქალაში, ლეგორასა და ლეზგროზე, თელოვანსა და ხიზაბევრაში და თერგვანში. მაგრამ აქარის ტერიტორიაზე ისინი იშვიათად ჩნდებიან.

ამ სახეობის თოხის ქვესახეს წარმოადგენს საგრძნობლად მაღალტანიანი ისეთი თოხები, რომელთა ტანის ზემო ნაწილი დიდ მანძილზე თევზარა, ხოლო პირის გაფართოვება მხოლოდ ტახის ქვემო ნაწილში ხდება; მათი წელში მოხრილობაც საგრძნობია (სურ. 77). ამგვარი თოხები აღმოჩენილია: ზენითსა და გუთურში, მახარასა და ხეოაში, ბუგუულსა და ორბელში. ამ სახეობის იარაღების გამოყენება; როგორც ეს ჩანს სათანადო მასალების მიახლოებითი დათარიღებიდან, ძვ. წ. XIII—XII საუკ. იწყება და ფართო ხასიათსღებულობს ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში, რის შემდგომ მათ მსგავსი რკინის თოხები ცვლის.

გადაკვეთილი ან მცირედ მორკალური პირი აქვთ. ზოგიერთ ეგზემპლარზე შეიმჩნევა ჰექსაგონი გამოყოფილი ნიღბი; მაგრამ არის ისეთი ცალი. რომლის გვერდისა და ნიღბის შეერთების ადგილას კუთხე წარმოიქმნება. ამ იარაღების ერთ ნაწილს ზურგზე წიბურები დაუყვება. ამ ჯგუფის იარაღებს უმთავრესად ვიწრო და მაღალი ტანი აქვს, ისე რომ უმეტეს შემთხვევაში ტანის სიმაღლე ჰარბობს პირის უდიდეს სიგანეს. მაკალითად: სიმაღლე საშუალოდ 10-დან 13,2 სმ-ს აღწევს. პირის უდ. სიგანე კი 7,6 სმ-დან 11,5 სმ-მდეა. სატარე ხვრელი, ზუსტად ისეთივეა, როგორც II სახეობის თოხებისა. ხვრელის წინაპირის დამატრი უფრო დიდია, ვიდრე უკანა პირისა (განსხვავება 2—3 მმ აღწევს) და საშუალოდ 2,5-დან 3,3 სმ-მდეა (სურ. 78).


ამგვარი თოხები ყველაზე მეტი რაოდენობით აქარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი; შედარებით ნაკლებად გვხვდება ის გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის ტერიტორიაზე. ტრაპეციისებრი თოხე-



ბი აღმოჩენილია: ციხისძირსა და ყარადერეში, ბათუმსა და ერკვეში (ეკალაური). ჩანსუბანსა და ბოზოყვათში. ვაკიჯვარსა და ჯვარში, კურზუსა და და ძელუქში. გორასა და ზონში. ცავერსა და ლაცაროში. ოკრუკვანში და სხვა. აღნიშნული იარაღებს გამოჩენა უკავშირდება ძვ. წ. XIII საუკუნეში და XIV საუკუნეს. შავრამ. როგორც მასალეზიდან ჩანს. ფართე გამოყენება შემდგომ პერიოდში არ უნდა ქონოდა...

ცალკე ტყავდ უნდა გამოიყოს თხისმავარი. შავრ. პ. როგორც ჩანს. სხვა დანიშნულების ის

ბის სიმაღლე დაახლოებით 7-დან 10,7 სმ-მდე აღწევს. ხოლო პირის უდ. სიგანე 4,0-დან 6,0 სმ-მდე; რაც შეეხება სატარე ხერელის დიამეტრს, აქ შესამჩნევად განსხვავებული სურათი გვაქვს თოხებთან შედარებით; თუ ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი თოხის სამი სახეობის სატარის დიამეტრი მერყეობს 2,5-დან 3,3 სმ-მდე, ამ იარაღების სატარის დიამეტრი 1,8-დან 2,0 სმ-მდე აღწევს, ე. ი. ამ ტიპის იარაღებს თოხებთან შედარებით ძალზე ვიწრო ტარი უნდა დაგებოდა (ტაბ. XXVI, სურ. 4—9 ან სურ. 79).



სურ. 78. ტრაპეციისებრი თოხები: 1) ციხისძირიდან, 2) ქუთაისის მუზეუმი

იარაღი. რომლისათვისაც. დამახასიათებელია სატარისა და. სურათოდ, ყუის ჩართვა ტანის მოხაზულობაში ისე, რომ მთელი ტანი სამუშაო ნაწილამდე დაახლოებით ოთხკუთხა მოყვანილობისაა. მისი ტანი ვიწროა და მაღალი, პირი ზოგჯერ სქელი. წელში მტარდება მოხრილი. სამუშაო ნაწილი ოდნავაა გაფართოებული, ზოგჯერ ერთბაშად უშუალოდ ფხასთან, ზოგჯერ კი თანდათანობით, უფრო ზემოდან. ასეთ იარაღს, უმეტეს შემთხვევაში. უკან პირზე წიბურები დაუყვება, ზოგჯერ კი თვით იარაღი სქელტანიანი. სამუშაო ნაწილი ითქმის ყველა ცალს მომოგვალეული აქვს; ნიღურები ბასრია, მაგრამ უმეტესად არ არის გამოშვებული, როგორც ეს ზოგიერთი თხისათვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთ ცალზე, განსაკუთრებით ისეთებზე. რომლებსაც სქელი პირი აქვს, გარკვევით შეიძინება ლევის კვალი. ამ ჯგუფის იარაღ-


ამგვარი იარაღები აღმოჩენილია ციხისძირში, ხანში, ოჯოლასა და მოხისში, ხანდაცა და კოდის წყაროში, სოფ. ტოლაში, ხენჯკარასა და შუახევიში, სოფ. თერეგვანში და სხვაგან. ვითვალისწინებთ რა ეთნოგრაფიულ მონაცემებსა და იარაღის აღნაგობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იარაღი ხოტურთბასთან და სადურგლო სამუშაოებთან უნდა იყოს დაკავშირებული და ხელეჩოს წარმოადგენს. ნოსტარია ჯერ კიდევ ადრე მოუთითებდა, რომ თოხს ჩვეულებრივ უწოდებენ ორ სხვადასხვა დანიშნულების იარაღს — თოხსა და ეჩოს. ერთი სამიწათმოქმედო, ხოლო მეორე ხის დასამუშავებელი იარაღია. ლიტერატურაში არ არის საბოლოო დაყოფა თოხისა და ეჩოსი, თუმცა ასეთი გამოიყენა შეიძლება. თოხი განირჩევა ეჩოსგან უფრო დიდი ზომით. ეჩო უფრო პატარა ზომისაა, უფრო ვიწრო ფორმისა და მხოლოდ მცირედ ფართოვდება ქვე-

შოთ. გვერდები მას სწორხაზობრივი აქვს. პირი მკირედ მოღუნული. ამას გარდა, ჩნის პირზე დამატებითაა ვატარებულა, რადიალურად განშტოებული მილისაგან მომდინარე რელიეფური წიბურით<sup>29</sup>. გ. ვობეჯიშვილი ტოლა-ტეანქკარაში აღმოჩენილი ორა მსგავსი იარაღიდან. ერთს—განიერ პირიან თხს უწოდებს, ხოლო მეორეს, მალა, ვიწრო ტანიან იარაღს — ხელჩრის<sup>30</sup>.

პროფ. გ. ნიორაძე ერთ შრომაში თელოვანში აღმოჩენილ თხს ხელჩრად მიიჩნევს და არ მიაჩნია სწორად იმ მკვლევართან მოსაზრება, ვინც მას თხს უწოდებს. ამის სასურხად ის ასახელებს იარაღის წელში ძლიერად მოხრილობას; წიბურების არსებობას უკანა პირზე, რომელიც თითქმის ხელსაკე უშუშლიდა თხს მუშაობაში; ანონისაგან ნიღრების მკვეთრად გამოყოფას, რაც ხის ამოთლისათვის ყოველა საჭირო; ამავე დროს, იგი სპეციალურად განიხილავს სატარის კონსტრუქციას და მი-

სოდაც თხს ტარი წამებრებოდა<sup>31</sup>. ქვიშარში აღმოჩენილ თხისმაგვარ იარაღებს (თხი ცალია), რომლებიც რამდენადმე განსხვავებულია თელოვანში აღმოჩენილი თხისაგან, პროფ. გ. ნიორაძე ხელჩრებს უწოდებს და მიუთითებს, რომ ანგვარი იარაღები საქართველოს ფარგლებს გარეთაც არის აღმოჩენილი<sup>32</sup> (?).

ჩვენ საკვებით ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც თხისმაგვარი იარაღების საერთო ჯგუფიდან გამოყოფს იარაღის განსხვავებულ სახეებს და ეძიებს მათში ფუნქციონალურ სხვაობას. ძნელია დავეთანხმოთ იმათ, ვინც იარაღების მთელ ამ ჯგუფს მხოლოდ თხებად მიიხევის, ან პირიქით—სრულად გამორიცხავს მათგან ძიწის დასამუშავებელ იარაღებს და მხოლოდ ბის დასამუშავებელ იარაღად—ხელჩრებად მიიჩნევს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ წელში ძლიერად მოხრილი, შედარებით განიერპირიანი იარაღები, რომ-



სურ. 79. ხელჩრები: 1) შუახვიდან (ინგ. 11—28:3), 2—3) კლის წყაროდან (ინგ. 10—25:3, 2), 4) თერგვანიდან (ინგ. 93—07:23)

უთითებს იმაზე, რომ მილისებრი სატარის წინა და უკანა მხარის დიამეტრი არ არის ერთნაირი, რომ წინა პირის დიამეტრი უფრო დიდია, ვიდრე უკანასი, რაც საშუალებას იძლეოდა ხელჩრის მაკრად დაგებოდა ტარი, და ბოლოს, დასძენს—ხის მოსაპრელსა და ხის გასათლელ-ამოსათლელ იარაღს დღესაც ისეთნაირად აქვს სატარე მოწყობილი, როგორც ჩვენს ხელჩრის... ასე აქვს მაგალითად ნაქანს, წალდს და ხელჩრის.—რაც უთუოდ მართლდება ტექნიკური თვალსაზრისით. რაც უშეხება თხის სატარეს, ის კი სხვანაირადაა მოწყობილი და ტარიც შიგნითა მხრიდან ეკება. თხის სატარეს სხვანაირად მოწყობა, ყოველთვის როგორც წესი, იწვევს, ტარის დაგების დროს სოლის გაყვების ტარის თეში, ურთმლი-


ლებსაც გამოკვეთილი, თხელი და განიერი ნიღრები აქვთ, თხებია და ისიც არა მარტო მიწის პირველადი დამუშავებისათვის, არამედ ნათესის გასამაგრებლად და, საერთოდ, მსუბუქი სამუშაოებისათვისაა განკუთვნილი. ცნობილია, რომ ხის დასამუშავებლად (ბის მოსაპრელად, გასაპობად, გასათლელად და ა. შ.) ვაცილებით მაგარი იარაღია საჭირო, ვიდრე მიწის მოსათხნად. მიუთუმეტეს საქმე თუ გვაქვს რბილ ნიადაგთან ან ნათესის შემდგომ დამუშავებასთან. ისიც ცნობილია, რომ ძიწის დასამუშავებლად ხისა და რქის იარაღებს იყენებდნენ. ამიტომ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ სპილენძის ან ბრინჯაოს იარაღს, რომელსაც განიერი, თხელი და სუსტი ნიღრებიანი პირი აქვს, ამოეთალა ვთქვათ

<sup>29</sup> Н. В. Хостария, Об одном бронзовом оружии из Колхиды, КЕИИМК, АН СССР, вып. 36, 1951, стр. 177.  
<sup>30</sup> გ. ვობეჯიშვილი, დასახ. ნაწი, ტომ. X, 4—5.

<sup>31</sup> გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები შტყარის ხეობაში, გვ. 192.  
<sup>32</sup> გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 13, სურ. 10.

იგივე საწინახელი, ხის გობი, ან მისთანა კურკველი. ვფიქრობთ, ამგვარი იარაღი ვერ შეასრულებდა ხელჩრის ფუნქციას. განსხვავება ამ ორ იარაღს შორის, როგორც ზემოთ ვთქვით, სატარე ხერხელის დიამეტრისა და მოყვანის დაშლამდე ტარის სიკრტისა და სისქემით არის: თონს გრძელი და მახვილი ტარი ეგებოდა, ხელჩრის—კი მოკლე და წერტილი.

აქ რომ, ყველა მონაცემი მის საფუძველს იძლევა, რომ თონების ჩვეულის იარაღებიდან გამოყვით ხის დ.სამუშაოებელი სახელოსნო იარაღი—ხელჩრები<sup>23</sup>.



სურ. 80. თონისმაგვარი სადურგლო იარაღი ციხისძირიდან (ინვ. 93—06:23)

არ შეიძლება სპეციალურად არ შევჩერდეთ ციხისძირის განძის ერთ მეტად თავისებურ იარაღზე (ინვ. 93—07 : 23), რომელიც პროფ. ბ. კუფტის მიწის დასამუშაოებელი იარაღების ჩვეულებაში აქვს შეტანილი და მას მიწის გასაფხვრებელ თონად თვლიან<sup>24</sup>. ამ იარაღს ფრთები ნიღბებითურთ ამოღუნულია ისე, რომ „თონის“ პირს დაახლოებით ღარივებრი ფორმა მიიღია. მხრები სატარე ხერხელის ბოლოდან იწყებს გაგანიერებას. შუა ნაწილის შემდეგ კი წარუად იშლება, პირი მომრგვალებულია. მაკრამ არაწესიერად. სიმაღლე 9,5 სმ, პირის სიღ. სუანე—(გარშემოწერილობის მიხედვით) 14,0 სმ, სოლი ამოღუნულ ნიღბებს შორის მანძილი

12,0 სმ უდრის (სურ. 80). ამგვარი თონები არ არის ცნობილი არც არქეოლოგიური და არც ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. მისი გამოყენება მიწის დასამუშაოებლად საეჭვოა ტექნიკური თვალსაზრისითაც. მით უფრო, რომ საერთოდ იმ პერიოდში, როდესაც ეს იარაღი იყო გამოყენებული მიწის დასამუშაოებელი მრავალგვარი იარაღი ჩანს ხმარებაში (თვით ციხისძირის განძში, რომლის შემადგენლობაშიც ეს იარაღია, რამდენიმე სახეობის თონია—პირფართო-სწორტანიანი, ტრაპეციისებრი და სხვა). ამავე დროს ხის დასამუშაოებლად სხვადასხვანაირი სათულ-სახეწი იარაღი იყო საჭირო,

მათ შორის—მომრგვალებული და ღარისებრიპირიანი იარაღიც, რომელსაც პირმრგვალს ან ღორეჩოს უწოდებენ.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ფოთლისებრი თუ რომისებრიპირიანი თონი. ორი ასეთი იარაღი აღმოჩენილია წალენჯიხის რაიონში, სოფ. ჭვარში (დაცულია ზუგდიდის მუზეუმში (ინვ. № 52, 53, ტაბ. XXXVII, სურ. 1), ერთიც—სვანეთის ტერიტორიაზე (დაცულია მესტიის მუზეუმში, ტაბ. XLV, სურ. 16). ამ იარაღისათვის დამახასიათებელია მილისებრი, საქმაოდ განიერა სატარე ხერხელი, მაღალი და ვიწრო, უფრო ფოთლისებრი ტანი და წელში შეკეთრად მოხრილობა.

<sup>23</sup> არქ. ა. ა. მარტროსიანმა გამოკვეყნა ლეხიკაჯის მ.ქლოლად აღმოჩენილი მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალები (О древнем поселении и могильнике близ Ленинкана, КСИИМК, вып. 55. 1954, სურ. 46), რომელთა შორის 111 სახეობის კოლხური ცული, ორი ბრტყელი ცული და თონისმაგვარი იარაღია. აქ აღმოჩენილ თონს ავტორი განსაჯობებელი ტიპის თონს უწოდებს და განსხვავებულად თვლის კოლხური თონებისაგან. იგი ა. მარტროსიანის აღწერაში მისხედვით პირმრგვალებულ კოლხურ

ცულს ჰგავს. სურათზე დაკვირვება ამაზე მიუთითებს. სატარე ხერხელი ოვალური ჩანს. წვენ გვერდია, რომ ეს ზოოთი ხის დასამუშაოებელი იარაღია და იგი როგორც ხის ხელჩრის ფუნქციას ასრულებდა. ნივთების ზემოთ ნაპოვნი ცული ჩვეულებრივი პირიდან დასისრულს და აღწერაში მისი მანის მიაკუთვნებს (გვ. 113).

<sup>24</sup> Б. К у ф т и, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, სურ. 15.

მისი ანალოგიები თანადროულ მასალებში არ გვხვდება. ერთგვარაფერულ სინამდვილეშიც ზუსტად ასეთი იარაღი არა ჩანს. გ. ჯალბაძე ამ იარაღს ამსგავსებს ხევში გავრცელებულ რომბულპირიან თოხს<sup>35</sup>; მაგრამ იგი სურათო მუყეანილობით იმავე ხევში გავრცელებულ ფოთლისებარ თოხებთან<sup>36</sup> უფრო ახლოა, ვიდრე რომბულს; თუმცა მათ შორის განსხვავებაა. რაც ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ბრინჯაოს ფოთლისებრი თოხი წელში ძლიერაა მოხრილი, ხოლო ხევის რომბული და ფოთლისებრიანი თოხები სწორტანიანია და უფრო სქელი; რა თქმა უნდა, მათ შორის ფუნქციონალური სხვაობაც შეიძლება იყოს.

რომბულპირიანი „თოხები“ (თუ ისინი თონებია და არა წურაქვები, როგორც ზემოთ გვკონდა აღწერულ) გამოსადეგა მაგარი მონთ პირველადი დამუშავების დროს.—მიწის მოსათონად და სხვა ამგვარი სამუშაოებისათვის, ხოლო ფოთლისებრიპირიანი იარაღი, იმის გამო, რომ რე თხელია. სუსტი და წელში საკმაოდ მოხრილი. მიწის პირველადი დამუშავებისათვის—მაგარი მიწის მოსათონად, ალბათ. არ იქნებოდა გამოსადეგი. მ-ს პროფ. ბ. კუფტინი დომის სამარგლავ იარაღად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ რეი სისუსტის გამო მოითხოვდა დიდ სიურთხილეს მუშობაში<sup>37</sup>. ჩვენ ამ მოსაზრებას დავუმატებთ იმას, რომ ალბათ, მათ არა მარტო დომის სამარგლად იყენებდნენ, არამედ ბალ-ბოსტნების დასამუშავებლად. მოთუქტეს ისეთ პირობებში, როდესაც მიწის დასამუშავებელი იარაღების ასორტიმენტი ძალზე შეზღუდული იყო.

### § 3. სეზმენტური იარაღი

ეულებისა და თოხების შემდეგ კოლხური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სეგმენტური იარაღი. მისი გავრცელების არეალი ემთხვევა დასავლურ ქართული კულტურის გავრცელების სფეროს. თონებისაგან განსხვავებით. ის აფხაზეთის ტერიტორიაზედაც არის აღმოჩენილი.

განჩებში შემავალ სეგმენტურ იარაღებზე. მოკლედ. უკვე გვეყონდა საუბარი; ამჟამად აღწერთ მხოლოდ იმ იარაღებს, რომლებიც შრომის 1 თავში არ არის მოხსენიებული. განჩების გარეშე აჭარის ტერიტორიაზე თითქმის არ არის აღმოჩენილი სეგმენტური იარაღი, თუ არ მივიღებთ ჩხედველობაში სოფ. სუეუბნის მონაძრეში. წ.დ. კონტროლის მარჯვენა ნაპირზე, 1944 წ. არქეოლოგიური სა-

მუშაოების დროს აღმოჩენილი აღმოჩენილი 3 სეგმენტური იარაღს, რომლებიც ბათუმის მუზეუმშია დაცული. მუზეუმიდან დაზიანებისა ჩანს, რომ ორ ცალს ქორიზონტალურად გაშვერილი მხრები ჰქონდა, ერთს კი—დაქანებული, მორკალური.

გურიის ტერიტორიაზე ამგვარი იარაღების აღმოჩენის ცალკეული ფაქტი მხოლოდ ურეკა მიდამოებშია დადასტურებული. დიდი ზომის ერთი სეგმენტური იარაღი 1961 წ. აღმოჩენილია მდ. სეფას მარცხენა სანაპიროზე, ხელოვნურ მიწაყრილ ე. წ. სეფისთვალასთან (ინახება მახარაძის მუზეუმში; ინვ. 1447); მისი მხრები ქორიზონტალურად გაშვერილი, პირი მაღალია, ცალი მხარე დამრეცი, სიგრძივი კდეებითაა შემკული (ტაბ. III, სურ. 9). მეორე მსგავსი იარაღი 1949 წელსაა აღმოჩენილი (ინვ. 881, ტაბ. XXX, სურ. 4), მესამე და მეოთხე—იმდროვან ზემოაღწერილი ცალკების ფორმას, ოღონდ რამდენადმე პატარებია (ტაბ. III, სურ. 10).

სამეგრელოს ტერიტორიაზე განჩების გარეშე აღმოჩენილი სეგმენტურ იარაღებს შორის ყურადღებას იმსახურებს სოფ. კურაში სამარხებში შემთხვევით ნაპოვნი ამ ტიპის 5 იარაღი (ტაბ. VIII, სურ. 19—23). ფოთის მუზეუმში დაცული ერთადერთი სეგმენტური იარაღი (ინვ. 80) ნაპოვნია შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე ქციის შესართავთან, ფოთისა და ყულეჯის შორის; მას ქორიზონტალურად განშტოებული მხრები და მაღალი პირი აქვს; მისი ერთი მხარე რომბული კლდეული სახეებითაა შემკული (ტაბ. XXXVII, სურ. 2).

იმერეთში განჩის გარეშე. სეგმენტური იარაღი აღმოჩენილია რამდენიმე პუნქტში: ქუთაისის მუზეუმში ინახება სოფ. ნოლაში (სამტრედიის რაიონი) 1925 წ. აღმოჩენილი სამი სეგმენტური იარაღი (ინვ. 1373). ყველა ქორიზონტალურ-მხრებიანი და მაღალტანიანი. მათ შორის ორი დაზიანებულია; ერთის ცალი მხარე ვერტიკალური, სიგრძივი კდეებითაა შევსებული (ტაბ. XXX, სურ. 10). ს. ს. ჭარაში 1924 წ. აღმოჩენილია ერთი სეგმენტური იარაღი (დაცულია ქუთაისის მუზეუმში, ინვ. 833. სურ. 17). ნ. ტრუბნიკის გამოქვეყნებული აქვს სეგმენტური იარაღი საქარდან. რომელიც დაცული ყოფილა მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში; იარაღი მხრებდაშვებულა და ოდნავ მორკალური პირით მთავრდება. სოფ. ინაშოურში აღმოჩენილი

<sup>1</sup> ა. იოსელიანი, საქართველოს მეტალურგიული ცენტრების საკითხისათვის. ფერხალი, ამეცნიერება და ტექნიკა, № 2, 1950, გვ. 22.

<sup>2</sup> დ. კორძია, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. კურაში. სურ. 3.

<sup>3</sup> Н. В. Трубникова, К вопросу о назначении Кобанских сечек, КСИИМК. вып. XVIII, 1947, сур. 10.

<sup>35</sup> გ. ჯალბაძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>36</sup> იქვე, სურ. 2.


<sup>37</sup> ბ. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319, სურ. 15.

სეგმენტური იარაღი (ქუთაისის მუზეუმში ინახება, ინვ. 1652) ტრაპეციისებრი მოყვანილობისაა (დაზიანებულია). სოფ. კახიანოურში, ნაციხვარზე 1926 წ. შემთხვევით ნაპოვნი სეგმენტური იარაღი (ქუთაისის მუზეუმში ინახება, ინვ. № 2352) საინტერესოა იმ მხრივ, რომ მხრებდაშვებულ ასეთ იარაღებს შორის თითქოს ყველაზე დიდია და ლამაზად მომრგვალებული. სიმეტრიული სეგმენტური პირო აქვს; „ყუნწი“ მოტეხილია (სურ. 81). ქუთაისის მუზეუმში დაცულია ერთი კოლექცია წყალტუბოდან (ინვ. 685 9<sub>1-4</sub>). რომლის შემადგენლობაში სეგმენტური იარაღიცაა (სურ. 72); იგი მა-

კედებითა გაფორმებული (სიმაღლე 14,5 სმ, სიგანე 16 სმ; ტაბ. XXVIII, სურ. 6).

ცხინვალის მუზეუმში დაცულია სეგმენტური იარაღი (ინვ. 837), რომლის წარმოშობის ადგილი უცნობია, მუზეუმის დირექტორის ცნობით იგი შიდაქართლის, სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზეა ნაპოვნი<sup>8</sup>.

ურბნისის სამაროვანზე 1961 წ. გვიანი ბრინჯაოს პერიოდის № 219 სამარხში თიხის კურკელში ჩაწყობილი განძი აღმოჩნდა, მასში ზოდებთან და შუბის პირის ნატეხთან ერთად ოთხი ცალი სეგმენტური იარაღი იყო (ტაბ. XXI X, სურ. 4, 5, 7,



სურ. 81. კახიანოურში აღმოჩენილი სეგმენტური იარაღი

დალ და გორდაპირიანია (მისი ცალი ფრთა მოტეხილია). ქუთაისში ბაგრატი ტაძრის ნანგრევებთან შემთხვევით აღმოჩენილია ბრინჯაოს 2 სეგმენტური იარაღი (ინვ. 3728); ერთი მათგანი მაღალი და შედარებით ეიწროპირიანია, ცალი მხარე დამრეცი ქვებითაა შემკული (ტაბ. XXI X, სურ. 9). მეორე ცალ მორკალური მხრები და მცირედ მომრგვალებული პირი აქვს (სურ. 81).

ქუთაისის მუზეუმში დაცულია სოფ. გონში (ლუჩხუმი) 1926 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სეგმენტური იარაღი (ინვ. 1536—5201) მორკალური მხრებით და ოდნავ მომრგვალებული პირით (სურ. 82).

საქ. სახ. მუზეუმში დაცულია დიდი ზომის სეგმენტური იარაღი (ინვ. 64—14 : 12), რომლის წარმოშობის ადგილის შესახებ გარკვევით არაფერია ნათქვამი კატალოგში, მაგრამ პროფ. გ. ნიორაძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ეს „ნიჩაბი“ სოფ. თერგეჯანშია აღმოჩენილი<sup>9</sup>. მას მხრები ჰორიზონტულად აქვს გაშვერილი; მაღალია, ერთი მხარე ვერტიკალური და დამრეცი

10). ამ იარაღებს დაახლოებით ტრაპეციისმაგვარი მოყვანილობა აქვთ (ორი ცალი დაზიანებულია).


ამრიგად, სეგმენტური იარაღების აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (სვანეთის გამოკლებით). ამ იარაღის გავრცელების უკიდურესი საზღვარი სამხრეთით ართვინია, აღმოსავლეთით—შიდა ქართლი (ურბნისი). ჩვენს ხელთ არსებული მასალები სეგმენტური იარაღების აღმოჩენების რაოდენობის შესახებ შეძლებს სურათს იძლევა: აჭარის 9 პუნქტიდან დაახლოებით 43 სეგმენტური იარაღია ჩვენთვის ცნობილი, მათგან უმრავლესობა განძისეულია, მხოლოდ სამი იარაღია სამარხში აღმოჩენილი; გურიის 6 პუნქტიდან (უმთავრესად ზღვის პირა ზოლიდან)—31 ცალი; სამეგრელოს 5 პუნქტიდან—30, მათ შორის 5 ცალი სამარხეული; აფხაზეთის სამი პუნქტიდან—მხოლოდ 12 ცალი; იმერეთში (უმთავრესად ქვემო იმერეთში) 13 პუნქტიდან—67. (ამას უნდა დაემა-

<sup>8</sup> გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დახვერვები მტკვრის ხეობაში, სურ. 3 ა.

<sup>9</sup> თ. ჯაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 55.

ტოს ქუთაისის მუზეუმში დაცული 7 სეგმენტური იარაღი, რომლის წარმოშობის ადგილი უცნობია; რაჭა-ლეჩხუმის 5 პუნქტში 42—სეგმენტური იარაღია ნაპოვნი; აღმოსავლეთ აჭართველოს 5 პუნქ-

ამ ტიპის იარაღის დანიშნულების საკითხს მრავალი მკვლევარი შეხებია. მაგრამ ერთი გარკვეული აზრი მათ შესახებ არ არსებობს. ყველა ამ მოსაზრებას ჩვენ სათანადო ადგილს ვაწეხილავთ.



სოფ. გონში (ლეჩხუმი) აღმოჩენილი სეგმენტური იარაღი

ტში—11; საქართველოს ფარგლებს გარეთ—2 ცალი (1 განძიდან). აულ. დასავლეთ საქართველოს 41 პუნქტში დაახლოებით 232 სეგმენტური იარაღია აღმოჩენილი; საერთოდ კი 47 პუნქტიდან ამ ტიპის იარაღის 246 ეგზემპლარია ჩვენთვის ცნობილი. რა თქმა უნდა, ზემოთ მოტანილ ცნობებს სიზუსტის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ იგუ მანიც უნდა გვაძლევდეს ძირითად წარმოდგენას სეგმენტური იარაღების გავრცელების არეალისა და რაოდენობის შესახებ.

ჩვენ ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სეგმენტური იარაღის კლასიფიკაცია და გამოვეყოთ მათში რამდენიმე სახეობა.

### I სახეობა

თუ თვალს მივადევნებთ დასავლურ-ქართული კულტურის ძეგლების იმ ქრონოლოგიურ სქემას, რომელიც განძების დათარიღების შედეგად მივი-

© А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК, вып. 120, Москва, 1935; М. М. Ивашенко, Исследование археологических памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси, 1935; М. М. Ивашенко, Материалы к изучению культуры Колхов, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ნაკვეთი II, თბილისი, 1941.

ქ. ბიტელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგანს გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენციკლის შოაბე, ტ. II, თბილისი, 1938.

გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის შოაბე, ტ. XII B, 1944.

გ. ნიორაძე, ქვესარის არქეოლოგიური ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის შოაბე, ტ. XV B.

Б. А. Кувшин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии..., საქ. სახ. მუზეუმის შოაბე, XII B.

Б. А. Кувшин, Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949.

Н. В. Хоштария, Об одном бронзовом орудии из Колхиды, КСНИИМК, вып. 36, 179—180, 1951.

Н. В. Хоштария, Археологические исследования Уреки, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1955.

Н. В. Хоштария, Археологические исследования в Ване и Ванском районе, 1952 год, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბილისი, 1959; Н. В. Трубинкова, К вопросу о назначении „Еобанских сечек“, КСНИИМК, вып. XVIII, 49—53, 1937.

ლეთ, დაჯწყმუნდებოთ, რომ სეგმენტურ იარაღებში ყველაზე ადრე ჩნდება ტრაპეციის ფორმისთან დაახლოებული სახეობა. რომელიც შემდგომ დიდი ხნის განმავლობაშია ხმარებაში. ამდენად, სეგმენტური იარაღების პირველ სახეობად ჩვენ მივიჩნევთ ისეთ იარაღებს, რომლებშიცოსაც უმთავრესად დამახასიათებელია მხრების დაქანება, მცირე გამრუდებები ან სწორხაზობრივად ისე. რომ სატრაპეციულ მკვეთრად არ არის გამოყოფილი ტრანსაგანი; ფხა არ არის მკვეთრად მომრგვალებული. ასეთი იარაღი მეტწილად ღია ყალიბშია ჩამოსხმული, მაგრამ ორმხრივი ლესვის გამო სამუშაო ნაწილი (ფხა) სოლერი აქვს. ამ ჯგუფის იარაღის სიმაღლე არასდროს არ ჰკარბობს ჰორის უდიდეს მიგანეს; სიმაღლე საშუალოდ—8—11 სმ შორის პირველობს, ხოლო შორის უდიდესი სიგანე—8,5, 14,5 სმ შორის (ტაბ. XXX, სურ. 1—3 ან ტაბ. XXVIII, სურ. 7, 9, 10). იარაღის ამ სახეობის დანიშნულება არ არის საბოლოოდ დადგენილი; შესაძლოა ისინი გამოყენებული ყოფილიყო ხის დასამუშავებლად. სადურგლო სამუშაოების შესრულების დროს, იქნებ ხის ჭერქის ასაჭრელად. ნ. რეხევიშვილის განმარტებული აქვს რკინის ორფარიანი თოხის სეგმენტური იარაღების პირველ სახეობას. რა თქმა უნდა ჩვენ არ მივახსენია გამორიცხულად ამ ტიპის იარაღის გამოყენება ნიდაგის დასამუშავებლად (სათონს-სამარგლ იარაღად) თუ კი მას ტარი დაეგებოდა იმეკარად. რომ იარაღი ტანის მიმართ იქნებოდა გარბი-ვარდმო, -ესე როგორც ეს ნახევნები აქვს ეთლოუს ლიპს კამერუნული რკინის თოხის მაგალითზე. შრომაში „Προисхождение вещей“ სეგმენტური იარაღის ეს სახეობა აღმოჩენილია: მელქედურსა და ვაიკვარში, იხისძირსა და შრომაში, გორასა და ფარცხანყანევიში, ოფშკვიითსა და კახრნაურში, ურბინისა და სხვა ადგილებში. ე. ი. დღევანდელი შესწავლილობის მიხედვით მათი კარკელების არეალი ძირითადად შემოვარდნულა კოლხეთის ბარით და ნაწილობრივ ზენჯებში. ამ სახეობის იარაღების გამოჩენა, როგორც მასალურიდან ჩანს, დაახლოებით ძვ. წ. XI V საუკუნეებში.

სეგმენტური იარაღების მეორე სახეობად ჩვენ მივიჩნევთ იარაღების იმ ჯგუფს, რომლებსათვისაც დამახასიათებელია: ოთხკუთხა, ტანთან შედარებით სქელი, უმთავრესად ტრაპეციისმაგვარი ტარდასაგები, ძირითადად სწორხაზობრივად და პორიზონტულად გაშვებული, ზოგჯერ დაწახხავებული მხრები და სატარის ნაპირები (სეთი იარაღები საკმაოდ მაგარი და გამძლე უნდა ყოფილიყო); პირი ზოგიერთს წესიერად მომრგვალებული, თითქმის ნახევარწრიული აქვს (ტაბ. XXX, სურ. 4, 8); ზოგიერთს—მაღალი უწესოდ მომრგვალებული და წვერისავე შედარებით სწრაფად შევიწროებული (ტაბ. XXX, სურ. 5, 9); ზოგს—კი—დაახლოებით ნიშბის ფორმისა (ტაბ. XXX, სურ. 16). ერთ ეგზემპლარს (თელოვანის ხეობიდან) მაღალ-ოთხკუთხა ტარდასაგებზე გვერდითი შვერალები აქვს; პირი შედარებით მასიური და „ყუნწის“ შუა ნაწილზე (ერთ მხარეზე) სატარის ბოლოდან მომდინარე წილური დაუყვევა, რომელიც პირის ქვემო ნაწილზე ქრება, პირი კი სეგმენტურია (ტაბ. XXX, სურ. 5).

ამ ჯგუფის იარაღების ქვესახეობად დანაწევრებას ჩვენ ადარ გამოყოფდებით, რადგან მცირედი თავისებურება ფორმის მხრივ ღიდად არ განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის თითქმის ერთნაირი ფორმის იარაღებს შორის სიდიდე-სიმატარაის მხრივ ღიდა სიჭრელა, გვხვდება ისეთი ცალები, რომელთა სიგანე 14 სმ-მდე, ხოლო სიმაღლე 16 სმ-მდეა და გვხვდება ისეთებიც, რომელთა სიმაღლე 10 სმ-მდე, სიგანე 9 სმ-მდეა. აღნიშნული იარაღები (თითქმის ყველა) ცალმგ ყალიბშია ჩამოსხმული. როგორც აღვნიშნავდით, ტარდასაგები სქელია, პირი კი შედარებით თხელი. მუშაობის კვალი იარაღების უმრავლესობაზე შეიმჩნევა; ზოგიერთი იმდენად გაცვეთილია, რომ ვერც კი ვაარჩევთ ორმხრივ ნალესია თუ არა. ცალკეულ დაუზიანებულ ცალზე აშკარად შეიმჩნევა, რომ ზოგიერთი ცალ მხარეზეა ნალესი, ზოგი კი ორმხრივ ულესიათ, ამდენად ფხა სოლურია კორსიებრივ გვერდითი შვერსალები მხოლოდ ამ სახეობის იარაღთა ტარდასაგებზეა.

იარაღის ეს სახეობა რიცხობრივად ჰკარბობს დანარჩენს, ისინი აღმოჩენილია: ურეკსა და თავი-

1. ა. კ. ან დამე, სოხეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხეთი, 1954.  
 2. ჩიტიანი, თოხის ენდურბა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში). ივ. ქავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 2, საქართველოს არქეოლოგია—გვრითა კოლექტივი, თბილისი, 1959.

3. ნ. ი. ტაია, თოხის ენდურბა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში).  
 4. ნ. რეხევიშვილი, ქართული ცულა, საქ. საზ. პუნქუების მოამბე, ტ. XV, გვ. 113, სურ. 16.  
 5. И. Липс, Происхождение вещей, Москва, 1954 год, გვ. 110.

ლონში, სოხუმსა და კაპარიაში, ზემო სომხეთსა და თელოვანის ხეობაში.

შედარებით პატარა ზომის ასეთივე იარაღები აღმოჩენილია ციხისძირსა და ვაკოჯვარში, შრომასა და ურეკში, კურზუსა და ოფშკეთში, ქვემო ნოლსა და ინაშოურში, ოჯოლასა, ცავერსა და სხვა ადგილებში.

საინტერესოა ის გარემოება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ამ სახეობის იარაღებია და ისე დიდი ზომისა; ასევე ბორჯომის ხეობაში.

გურიაში, კერძოდ ურეკში. აღმოჩენილია როგორც დიდი, ისე პატარა ზომის იარაღები, ხოლო იმერეთში დიდი ზომის ცალები მხოლოდ ზემო სიმონეთშია აღმოჩენილი, პატარები კი—ქვემო იმერეთის ბევრ პუნქტში.

აჭარის ტერიტორიაზე, ისე როგორც რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთის მთიან ზოლში, დიდი ზომის ამ სახეობის იარაღები არ არის ნაპოვნი.

მკვლევართა დიდი ნაწილი<sup>10</sup> დიდი ზომის იარაღებს აფხაზეთის ტერიტორიიდან, თელოვანის ხეობიდან, თერეგვანიდან და სხვა, ბარის ტიპის იარაღად მიიჩნევს; ზოგიერთი მათ ნიჩხასაც კი უწოდებს. ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებებს; მართლაც, ფორმით ეს ჩვეული იარაღისა ყველაზე მეტ მსგავსებს ბარჯომს ან ხინჯბეთს ავლენს და ისინი ბარის ან ბარ-თოხის ფუნქციის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. ისინი, ალბათ, გამოიყენებოდა როგორც მიწის პირველადი დამუშავების, ისე სხვა უფრო მსუბუქი სამუშაოს შესრულების დროს.

თელოვანის ცალებსაგან პროფ. ბ. კუფტიხი ორ სახესხვაობას გამოყოფს; ორ მათგანს<sup>11</sup> საჩხესაქებს (Тяжкий) უწოდებს, ხოლო ორს ბარისმაგვარს<sup>12</sup>. ეს იარაღები დიდი ზომისაა: ერთს—შალაო ტარი და განიერი პირი აქვს (სიმაღლე 12,0 სმ. პირის უღ. სიგანე—14,0 სმ), მტარები სწორხაზობრივად და პორიზონტალურად გაშვებული, პირი კი სემემენტური, წესიერად მომრგვალებული ზუსტად ამ ფორმისა და ზომის ან ოდნავ პატარა იარაღება საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით კოლხეთის დამლობ ზოლში; ზოგიერთ ცალზე ცალმხრივი ლესვის კვალი შეინიშნება და, რაც მთავარია, ხშირად დაბლაგველი ცალები გვხვდება. ამიტომ ჩვენ აი იარაღს საკმა-საჩხებად ვერ მივიჩნევთ, მოთუქტეს. რომ მკვეთრად მომრგვალებულიპირიანი იარაღით ეკვება და ჩიხვა მოუხერხებელი და უფეფქტო იქნებოდა. რაც შეეხება ბარს, როგორც ცნობილია, იგი

წვერისაგან შედარებით ვიწროა და მხრებისაგან თანდათან ვანირდება, ამის გარეშე ამ სახეობის იარაღით მიწის კრა-გადაპრუნება ძალიან ძნელი იქნებოდა, თითქმის შეუძლებელიც. აღნიშნული მოსაზრებების გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს და ამის მსგავსი სხვა იარაღები მიწის დასამუშავებელი, ბარის ფუნქციის მქონე უნდა ყოფილიყო. მით უფრო საევერა საკვებად ყოფილიყო განკუთვნილი თელოვანის მეორე ეგზემპლარი: ჭერ ერთი, იგი ნამდვილად ცალმხრისაა, მეორე მალაპირიანი (სიმაღლე 14,0 სმ. პირის უღ. სიგანე 15,0 უღ. რის). ფორმით ის ძალიან უახლოვდება ხინჯს. ასე რომ, იარაღებს მთელი ეს ჩვეული მიწის დასამუშავებელი უნდა ყოფილიყო. მათ ალბათ იყენებდნენ როგორც მძიმე სამუშაოს შესასრულებლად (დიდ და სქელ ლინიერ ცალებს), ისე ბალახბოსტენებსა და სხვა მსუბუქ სამუშაოებზე, თოხებთან ერთად.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას. რომ იარაღის ეს სახეობა უმთავრესად კოლხეთის ბარში ან ზუგნებზე ყოფილა გამოყოფილი, იქ, სადაც სწორედ მიწათმოქმედება იყო წამყვანი დარგი მეურნეობისა; კოლხეთის შთიანეთში, კი სადაც მესაქონეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო მეურნეობისა, ის იწვევდა გვეხვება, ზოგან სრულებითაც არა (მაგ. სვანეთში); ხოლო, ეს იარაღი ხორციის საჩხესა-საკეპი და ტყავის დასამუშავებელი კორა ყოფილიყო, მაშინ სწორედ საწინააღმდეგო სურათი უნდა ექცეოდა. სავარაუდოდგანია, რომ ასეთ იარაღებზე ძირითადად ტარის დაგების ორი წესი არსებულებოდა: ერთი, ვერტიკალურად, ბარის მსგავსად და მეორე თოხისმაგვარად. და მაშინ იარაღი მოჩიჩხება-მოთოხისა და ნათესების გამარჯვლის ფუნქციებად შესასრულებდა.

ხევის ყოფაში ამჟამადაც დამოწმებულია ისეთი ბარი, რომელსაც სატერფული არ ვაჩიხა და. გ. ჯალაბაძის მიხედვით. მას ან ძალზე ვიწრო და აღნიშნულებით იყენებდნენ. ან სწორი ტარის ხაყულად 90° მოხორცი ტარს უყენებდნენ; ასეთ ბარს როგორც ფორმა. ისე სახელური ეცვლებოდა და მას ბართოსს უწოდებდნენ<sup>13</sup>. ამრიგად, ამ ჩვეულის იარაღებიდან დიდი ზომის იარაღები ძირითადად,

10. კ. ა. ლ. ა. მ. მ., სოხუმს მთის არქეოლოგ. ძეგლები, გვ. 7.

11. ავტორთა კოლექტივი—საქართველოს არქეოლოგია, გვ. 144, 158.

12. Б. А. К у ф т и х, დასახ. ნაშრ., ტბ. VI, სურ. 1, 2.

13. იქვე, ტბ. XVI, სურ. 3, 4.

13. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამიწათმოქმედო იარაღები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIIII, № 1; 1959, გვ. 111.

10. Б. А. К у ф т и х, კავკასიაში ქართული კულტურის ურველები ფესვების საკითხებისათვის, გვ. 318, 319.

გ. ნ. ო. რ. ა. მ., არქეოლოგიური დაკვრებები შტატრის ხეობაში, გვ. 191.

Н. В. Хоштария, Об одном бронзовом оружии из Кожлима, 179—180.



აღბთ. პარის ფუნქციას ასრულებდა; მცირე ხაწილი, რომელსაც სამუშაო ნაწილი გავაროვებულნი და სუსტად მომრგვალებული აქვს. შესაძლოა, ნიჩბის ფუნქციას ასრულებდა; მესამე, უზრავლესი ნაწილი—უფრო პატარა ზომის იარაღები—შესაძლოა თონის ან ბართონის, ფუნქციის შემსრულებელი იყო. ასეთი იარაღების გამოჩენა, არსებულ მასალების მიხედვით. ძვ. წ. X III საუკ. მიწვერულსა და X II საუკ. ემთხვევა.


### III სახეობა

სეგმენტური იარაღის III სახეობად ჩვენ მივიჩნევთ იმ ცალკეს, რომლებიც ძირითადად ვაძიორჩევა სემეტრულად მორკალური სეგმენტური პირით. დამახად აწვდილი ნიღრებით (ოთხსუთხა ტარდასავეთით). არის ისეთი ცალკები, რომლებსაც სწორხაზობრივი და პირიზონტალურად გაშვებული მხრები აქვს და პირის მომრგვალება შედარებით ნაკლებია (იქნებ მოცეითილია მუშაობის შედეგად?).

ამ იარაღისათვის ძირითადად დამახასიათებელი მარცხის არის, რომ მათ გააჩნიათ ძალზე დაბალი, განიერი და თხელი სამუშაო ნაწილი. ისე რომ საკუთრივ პარის სიმაღლე 4-დან 4.2 სმ შორის მერყეობს. იმ დროს, როდესაც პარის უღიღესი სიგანე დაახლოებით 13.0-დან 13.5 სმ-მდე აღწევს. ხან კი უფრო განიერია; ე. ი. პირის სიმაღლე (სატარის გარეშე) პირის სიგანეზე სამჯერ და მეტად პატარაა. პირზე შეიმჩნევა როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი ლესვის კვალი (ტაბ. XXX, სურ. 10, 11, 12, ან ტაბ. XXVIII, სურ. 1—3).

ამ სახეობის იარაღის გავრცელების საზღვრების ზუსტად შემოფარვლის პრეტენზია არა გვაქვს. მაგრამ, ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ყველაზე მეტი რაოდენობით კარგად დაცული ასეთი იარაღები ციხისძირისა და ოილსამების განძების შემადგენლობაშია (15 ცალი). ასეთივე იარაღები აღმოჩენილია ზენისთა და ყარაღორუში, მახინჯაურსა და ართვინში. შრომასა და რეშკვიტში და სხვა. რაც შეეხება ზემო იმერეთს, რამზაღჩიშში და კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. ზუსტად ამგვარი იარაღების აღმოჩენის დაქტო აქ ვერაქრობით არ არის დადასტურებული. მასსადასე, ეს ფორმა სეგმენტური იარაღისა კოლხეთის სამხრეთ ნაწილში, უმთავრესად ზღვისპირა ზოლში, ჩნდება და ამ მხარისათვისა უმთავრესად დამახასიათებელი. ამ სახეობის იარაღის დაწინაურებაზე გადაწყობით რისისე თქმა ვკიდებულა. პროფ. გ. ნოორაძე, ბ. კუფტინის და სხვების აკრიტიკებდნენ კ. ბიტულს, რომელიც ართვინის

კანძის სეგმენტური იარაღებს წველ(ულის ორ გეტეხილ ნაწილად თვლიდა<sup>14</sup> და მათ ცალკეულ დამოუკიდებელ იარაღებად მიიჩნევს. მართლაც, როგორც მასალებიდან ჩანს, წინააზიურ ე. წ. ორპირა ალებარდს ჩვენთან არ ჰქონია გამოყენება. ორპირა ალებარდის ტიპის იარაღი ვერაქრობით არ არის აღმოჩენილი არც დასავლურ და არც აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავრცელების სფეროში. თუმცა არ არის გამოირცხული, რომ ასეთ იარაღს იცნობდნენ ქვემო ქართლში, სადაც (წინწყაროში) ნაპოვნია ორპირი ალებარდისმაგვარი ბრინჯაოს საკიდები. ავგაროხები (სურ. 83).



სურ. 83. ორპირა—ალებარდისმაგვარი ავგაროხები თრიალეთიდან ბ. კუფტინის მიხედვით

შეიძლება თუ არა იარაღის ეს სახე მივიჩნიოთ საომარ ცულად, როგორც ამას გვთავაზობს პროფ. გ. ნოორაძე<sup>15</sup>? წინააზიური არქეოლოგიური მასალების გათვალისწინება და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყვირება ჩვენ საშუალებას გვაძლევს მიახლოვებით მინც ვიკარაულოთ ამ იარაღის დაწინაურება. შესაძლოა პროფ. გ. ნოორაძე მართალი იყოს, როდესაც მას საომარ ცულად თვლის. მართლაც, ჩვენც შესაძლებლად მიგვაჩნია ერთი ნაწილი ამ იარაღისა, რომელიც ორმხრივ ნალსია. ცული ყოვლიყო, მაგრამ არა მარტო საბრძოლო. გ. ნოორაძეს წიომში „არქეოლოგიური დახვერვები მტკვრის ხეობაში“ მოტანილი აქვს წინააზიური საომარი ცულის შესანიშნავი ნიმუში (სურ. 3). რომელიც პირის მოყვანილობით ძლიერ ემსგავსება ციხისძირისა, ვაჯეჯრისა და ართვინის ცულებს. თუ გავითვალისწინებთ წინააზიურ ბრინჯაოს თანადროულ იარაღებს, რომლებიც, რომლებიც ახლო პარალელებს პოულობენ ჩვენ მიერ გამოყვირილ ძესამქ სახეობის ბრინჯაოს სეგმენტური იარაღებთან დაამვე დროს, თვალს გავადევნებთ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მსგავსი იარაღების დანიშ-

<sup>14</sup> კ. ბიტული, დასხ. ნაშრ., გვ. 260.

<sup>15</sup> გ. ნოორაძე, დასხ. ნაშრ., გვ. 191.

ნულებას, შეეციოლია ვიგარადობა, რომ სეგმენტური იარაღის ეს სახეობა ძირითადად კულის ფუნქციას ასრულებდა<sup>16</sup>. ეს შეხებება ძირითადად იმ ცალგებს, რომლებზეც ორმხრივ ნაღესია. ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ამგვარი ცული, ერთსა და იმავე დროს, შესაძლოა სამხროლოდ. ხის დასაშუშავებად და ზოგჯერ მიწის დასაშუშავებადაც გამოიყენებოდა<sup>17</sup>.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ციხისძირის განძის ის იარაღი (ინვ. 93—07 : 7, სურ. ნ4), რომელიც ჩვენს მიერ გამოყოფილი შესაძე სახეობის სეგმენტისებრი იარაღის მსგავსია. მხოლოდ ნიღრებისა და ფრთების ამოღების შემდეგაც სამუშაო ნაწილი დაახლოებით დარისებური აქვს. ხის იარაღი ხის დამუშაებასთან დაკავშირებული ჩანს და ვანკეთილი უნდა ყოფილიყო კასრისებრი ხის ქურტლუის ამოსათვლად; მსგავსად ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული პირველისა<sup>18</sup>, მას ტარი ვერტიკალურად უნდა დაგებოდა. პროფ. გ. ნიორათე მას ღარქჩოს უწოდებს<sup>19</sup>.

ზემოთ მტანალი მასალების განხილვის შემდეგად. სეგმენტური იარაღის შესახებ ზოგიერთი მკვლევარის მიერ ადრე გამოთქმულ ცალკეულ უზუსტობაზე ჩვენი დამოკიდებულებანი თავისთავად გამოთქმულია; მაგრამ ოროდ სიტყვიით მაინც გვიდა შევეხებოთ ზოგიერთ მათგანს. პირველი რიგში მოვახსენიებთ ნ. ტრუბნიკოვის შეხედულებას, რომლის მიხედვით სეგმენტური იარაღები საერთოდ, ყოველგვარი დამუშავების გარეშე, ტყავის დასაშუშაველ იარაღს წარმოადგენს და რომ მეჭოროების (მეცხრადღობის) განვითარება კავკასიის მთიანეთის პირიბებში თითქმის და პირიბებებს ქმნიდა გამოყოფით სპეციალური—სავსებით განსაზღვრული ფუნქციის მატარებელი იარაღი

<sup>16</sup> Проф. Фридрих Ратцель, Народноведение С.-Петербурга, 1902, т. II, стр. 624.

<sup>17</sup> იქვე, ტ. II, გვ. 117.

<sup>18</sup> აღმოსავლეთ ევროპის მთიანეთში. სადაც ამაჟამად ფართოდ აწარმოებენ ხე-ტყის დამუშავებას. აზნადუნ — რიკეჯეს ერთიანი ხისაგან, ფეილის ან მარცვლეულის შესახებ და ასეთი ერთიანი ხის ამოსთვლად (რომლია შუაგული დახიანებულია, ფულდროიანი). იუნებენ იარაღს, რომელსაც პირველს უწოდებენ. მას სამუშაო ნაწილი დარისებური აქვს. ე. ი. მომრავალებული ფხა, ხოლო ვერტიკალურად ედება გრძელი ტარი, ეთნოგრაფმა გ. ჩალაბაშე ჩუხე გვიჩვენოა, რომ ამგვარი იარაღს ქართლში ჩუხეს უწოდებენ.

<sup>19</sup> გ. ნიორათე, არქეოლოგიური დაწვერვები შტტერის ხეობაში, გვ. 191, სურ. 3.

<sup>19</sup> А. В. Трубников, დასახ. ნაშრ., გვ. 53. ნ. ტრუბნიკოვა, როგორც ჩანს ან იცნობდა ან არ თვალისწინებდა დასავლეთ საქართველოს რელიეფს, გარემო პირობებს და ამასთანავე სეგმენტური იარაღების აღმოჩენას ფარგლებსა და რაოდენობას, როგორც ზემოთ ირაერთებულ

ტყავის დასაშუშაველად (მხედველობაში აქვს რა სეგმენტური იარაღი—ვარიანტებით)<sup>20</sup>, სრულიად არ ასახავს სინამდვილეს, არ მტკიცდება აგრეთვე ე. პახომოვისა და მ. ივანჩიკოვის შეხედულება, რომელსაც ნაწილობრივ იზიარებენ ა. იესეხი და ბ. კუფტინი. და რომლის თანახმადაც სეგმენტური იარაღები ვასაცვლელ ერთეულს წარმოადგენს. სეგმენტური იარაღების წონის შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ არავითარი დაახლოებებითი კანონზომიერება—კი არ არის, რაც თავისთავად გამორიცხავს საცულე ერთეულზემად იმ გამოყენებას. მეორე მხრივ. ვასთვალისწინებელია ისიც. რომ განძებში მოპოვებული სეგმენტური იარაღები აშკარად ატარებს მუშაობის კვლას და სრულიად არ გამოიჩინებენ იმ თვისებებით (მტკიცედ ჩამოყალიბებულ ვიარაღს. ზომა-წონას), როგორც საცულე ერთეულს გაანია. როგორც ეს ჩანს ე. წ. კავკასიური სიცილების მავალითზე.

#### § 4. ბრინჯაოს წაღლი


კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები ჩვენი განკუთვნიება კიდევ ერთი მტვრად სინტერესო სამუშაო იარაღი—ბრინჯაოს წაღლი. დღისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, წაღლები ძირითადად კოლხური კულტურის გავრცელების სამხრეთ-დასავლეთ ხონაში და ქვემო იმერეთშია ნაპოვნი. ერთი ცალი კი კოლხური კულტურის გავრცელების უქცადეუქ; სამხრეთ-დასავლეთ პუნქტში, ორდეს განძის შემადგენლობაშია.

ყველაზე მეტი რაოდენობით (8 ცალი) წაღლები აჭარის მხარეშია ნაპოვნი. მათ შორის: ორორი—ყარადრეცს, ერთგესა (ეკალური) და ზეხით-

გქონდა აღნიშნული, სეგმენტური იარაღის გავრცელების არეალი ძირითადად კოლხეთის დაბლობს ზღვისპირა ზოლის და ქვემო იმერეთის რაიონებს ემთხვევა, სადაც ზეობიოქას წამყვანი დარგი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო, ხოლო კოლხეთის მთიანეთში, სადაც უმთავრესად მეტოვლეობა უნდა ყოფილიყო განვითარებული ამგვარი იარაღები არ გვხვდება. ან თითქმის არ გვხვდება (თუ არ მიუღებთ მხედველობაში რაკ-ლახხუმის ორ-სამ პუნქტს (ცავერა, ოხმორი, ქვიშა). ამრიგად, კოლხეთის მთიანეთში სადაც მეტონების წამყვანი დარგი მეტოვლეობა უნდა ყოფილიყო, ისეთი იარაღი, რომელიც ნ. ტრუბნიკოვის ტყავის დასაშუშავებად მოიხილა, თითქმის არა ჩანს, ხოლო იქ სადაც მეურნეობის წამყვან დარგად მიწათმოქმედებას ვარაუდობენ, სეგმენტური იარაღის დიდი რაოდენობა აღმოჩენილია, რაც სრულიად ეწინააღმდეგება პატრიულეული მკვლევარის მოსაზრებას, ალარის ვამბოზთ ტრეწიურ თვისებებებზე და სხვა სპეციფიკურ მხარეებზე, რომლებიც აგრეთვე ეწინააღმდეგება ამ იარაღის დანიშნულების ამგვარად განსაზღვრას, რასაც ნ. ტრუბნიკოვა გეთვალბობს.

ში. ერთ- ბობოყვათში. ერთი უბასპორტო წალდი კი დაცულია ბათუმის მუზეუმში. 5 წალდი ხაპოვხია გურიის ტერტორიაზე; მათგან ორი ხევის გახდის შემადგენლობაშია. ხოლო თითო ევზემპლარი აღმოჩენილია ურეკსა. ვაკიჯვარსა და მელექედურში. ორი წალდი ნაპონრა იმერეთში. დაბლა გომსა და ზემო სომონეთში. ხოლო ერთი ცალი. როგორც წინ აღვნიშნეთ. ორდეს განძის შემადგენლობაშია. წალდების აღნაგობაში შეინიშნება ერთგვარი განმასხვავებელი თავისებურებანი. რაც მათ მოყვანილობაში მელადგენება. ამის მიხედვით ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ამ იარაღის სამი სახეობა.

ნისკარტთან წარმოქმნილი რკალი არ არის მკვეთრი. მაგრამ თვით ნისკარტი წვეტით ბოლოვდება; გამონაკლის წარმოადგენს ყარადერეს ეგზემპლარი (ტაბ. XXXII, სურ. 3). ის ფორმით რამდენადმე განსხვავებულია დანარჩენი წალდებისაგან, გორდა და ასომეტრიული პირი აქვს, მაგრამ ცალი ფრთა მარცხ წაგრძელებულია და ნისკარტით დამთავრებული. ასეთი წალდები აღმოჩენილია ხევში (2 ცალი, ტაბ. XXXII, სურ. 1. 2) და დაბლა გომში (ტაბ. XXXII, სურ. 4) და ბოლოს წალდების სხვა სახეს უნდა წარმოადგენდეს ის იარაღები (მთელი არც ერთი ცალი არ გადარჩენილია), რო-



სურ. 84. სემენტური იარაღი, ლარსებში მოხრილობიანი (ცინისძირის განძი)

პირველ სახეობაში გავაერთიანეთ ისეთი წალდები. რომელთა წინა ნახარისა და სატარის ვარე მოხაზულობას. ყუის წინა წვერიდან დაწყებული. ვიდრე ნისკარტამდე. დამრეცი მიმართულება აქვს, მაგრამ სატარისა და ყულის შეერთების აოგილას მეტ-ნაკლები სიმკვეთრის რკალია წარმოქმნილი; სატარე და ყუა დაბრლია უკანა მხარისაკენ. წვეტ-ტიან ნიღრებიანი მეტად მოკლე უკანა ფრთა სწორ-საზობრივია. ყუა გადაკვეთილია (გამონაკლისს წარმოადგენს ორი ევზემპლარი. ტაბ. XXXI). სატარე ხერხლის ზედაპირზე დაშვებულია წიბურენი. ნისკარტი მეტ-ნაკლები სიმკვეთრისაა და ფხა ოდნავ ან ზოგჯერ შესაძინეად არის მორკალური. ამ რიგის წალდები აღმოჩენილია ზენითში (ტაბ. XXXI, სურ. 1. 2). ყარადერესა (ტაბ. XXXI, სურ. 3). ერეკსა (ტაბ. XXXI, სურ. 4). ბობოყვათსა (ტაბ. XXXI, სურ. 5). ურეკსა (ტაბ. XXXI, სურ. 6) და ორდესში (ტაბ. XXXI, სურ. 7).

წალდების მეორე სახეობაში გავაერთიანეთ ისეთი წალდები. რომელთა სატარე ტანის მიმართ ენტრეკალურადაა აღმართული. ყუა და სატარე I სახეობისებურია. ზოგიერთ ცალზე უკანა ფრთა საკმაოდ წაგრძელებულია (ტაბ. XXXII, სურ. 1, 2). ზოგზე კი ძალზე მოკლე (ტაბ. XXXII, სურ. 3, 4).

მელთა პირის მოყვანილობა უახლოვდება მცირედ მორკალურპირიან ნამგალს, მაგრამ ამ იარაღებს ტარდასაგები ზუსტად ისევე აქვს მოწყობილი, როგორც ზემოვანხილული წალდების ორივე სახეობას. ამგვარად მოწყობილი სატარე და მასზე დაგებული ტარი ნამგლის ფუნქციის შესრულებისათვის გამოსადეგი არ იქნებოდა. ამიტომ, საჯარაუდებელია, მას წალდის ან სასხლავის ფუნქცია შეესრულებინა. ამგვარი, ნაკლები იარაღი ბათუმის მუზეუმშია დაცული (რევ. 13487 1682, ტაბ. XXXII, სურ. 6). მაგრამ მისი წარმოშობის ადგილი არ არის ცნობილი. მეორე ასეთივე ზრგმეხტი მელექედურის განძის შემადგენლობაშია (ტაბ. XXXII, სურ. 5).

რა შეიძლება ითქვას ბრინჯაოს წალდების დანიშნულების საკითხთან დაკავშირებით? ჩვენ წინამორბედ არც ერთ მკვლევარს, რომელიც შეხებია წალდის დანიშნულების საკითხს, არ უარუყვია, რომ იგი ახოს ადებისა და ყამირის გატეხის დროს გამოსაყენებელი, ეკალბარდებისა და ბუნქხარის საკათე იარაღი იყო. იმაღება კითხვა: თუ კი მარდ-კვლებისა და წერილი ბუნქების ამოძირკვას იარაღის წინა ნაწილი—ნისკარტი ასრულებდა, რატომაა წალდის პირის დიდი ნაწილი სემენტური და

ზოგჯერ საკმაოდ მკვეთრად? ან რა საქირო იყო პირის ამ ნაწილის მომრავლება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ იარაღის პირის ამგვარ მოწყობა ნაყარხევი უნდა ყოფილიყო იმით, რომ მის მომხმარებელს შეძლებოდა მოზრდილი ხეების გადამორგვა. ახლა მოჭრა, თუ იგი იმდენად მსხვილი არ იქნებოდა, რომ ნისკარტს შეეშალა ხელი მისი მოჭრისა და ჩეხვის დროს. რაც შეეხება ყარა-დერეში აღმოჩენილ გორდაპირიან წაღს, იგი შეიძლება გაცივებულიყო ყოფილიყო საკმაოდ მსხვილი ზის როგორც მოსაჭრელად და დასამარად, ისე პარალელის მოსაკვეთად და ამოსაძირკვად. აწრიგად. სამუშაო ნაწილის უკანა მხარის (დღი ნაწილის) მეტნაკლებად მომრავლება წაღის სხვა ფუნქციონაზედაც მიუთითებს. ასე რომ, ფართო გაგებით. წაღი, შეიძლება ითქვას, კომპინირებული იარაღი იყო.

რაც შეეხება წაღების მესამე სახეობას, რომლებსაც სტარე ზერული წაღისმაგვარი აქვს, როგორც წინ აღვნიშნეთ. მათაც ფუნქციით ვუთხაბარებთ წაღებს; ბრანჯაოს წაღის სრულყოფილ. სამუშაო თვისებებმა ამ იარაღს თავისი უძველესი ფორმები თაობიდან თაობამდე შეუნარჩუნა და ამის შედეგად ის, რომ დაახლოებით ამ ფორმის წაღი დღესაცაა შემორჩენილი ყოფნაში (ოღონდ სხვა ლითონისაგან. რკინისაგან ნაკეთები). ოდნავ შეცვლილი ფორმით, როგორც მთელ რიგ სამუშაოებზე გამოსაყენებელი იარაღი.

#### § 5. მირტიპალურხმრამლიანი იარაღები

პირის სახელმწიფო მუზეუმში დატულია ამ უკანასკნელ პერიოდში (1954—1957 წწ.) ყარა-დერესა (დღევანდელი ვანთაიდი. ბათუმის რაიონი) და ჩაისუბანში (ჩაქვის რაიონი) აღმოჩენილი დაახლოებით ერთნაირი ფორმის ევრტიკალურხერელოანი იარაღები, რომლებიც ჩვენ ცულების ერთერთ სახესხვაობად მიგვაჩნია. ერთის მხრივ. პირის გორდა—კონტა გარშემოწერილობითა და ტანის ექვსად დაწახანვებით. იგი ახლო ანალოგიას პოულობს კოლხურ ცულებთან, ხოლო მეორე მხრივ (ხერელოს კონსტრუქციით)—კულებთან.

ერთი ასეთი ცული ბათუმის მუზეუმში 1957 წელს შესულა; ის აღმოჩენილი ყოფილა 1896 წელს, არქიტექტორ სინიცინის სახლის მშენებლობის დროს, ყარა-დერეში (ტაბ. XXXII, სურ. 7). იარაღის სიმაღლე 10.6 სმ უდრის; პირის უდიდესი სიგანე 5.5 სმ, იარაღს ტანი ექვსად აქვს დაწახანებული; სტარე ზერელი ჭრილში ოვალურა მოყვანილობისაა, იგი ბოლოსთან უფრო ვახიერია.

პირისავე თანდათან და თანაზომიერად ეწიროვდება. პირი სეგმენტურია, მაგრამ ნიღრები ზუსტად ერთ პირიზონტზე არ არის განლაგებული. მეორე ცული (ინვ. 16980—511) ჩაისუბანში ნაპოვნი (ტაბ. XXXII, სურ. 8). იარაღის ტანი არ არის დაწახანებული ზემოაღნიშნული ვერტიკალურხერელოანი ცულის შიგნით. მისი კვერდები მომრავლებულია; სიმაღლე 11.0 სმ უდრის, პირის უდ. სიგანე კი 5.0 სმ. იარაღის ვერტიკალური ზერელი განივკვეთში ოვალურია. მაგრამ ზეით უფრო განიერი და პირისავე თანდათან შევიწროებული. პირი მაღალია. გორდა და სოლური: ისიც უახლოვდება შევტიტანის და გორდაპირიანი კოლხური ცულის პირის მოყვანილობას. როგორც ცნობილია, ამგვარი ცულის ერთი ეგზემპლარი ართივის განმის შემადგენლობაშიც არის. იარაღი გორდა და სოლურპირიანია, ტანი ექვსწახანავა ჩანს. მილი ოვალური, ბოლოსკენ უფრო ვანიერი, პირისავე თანდათან შევიწროებული; პირის მოყვანილობა უახლოვდება I ტიპის კოლხური ცულის პირის მოყვანილობას. სიმაღლე—10.9 სმ, პირის უდ. სიგანე—5.7 სმ (ტაბ. XXXII, სურ. 9). ბ. კუფტინი, როდესაც ართივის აღნიშნულ კელტის მაგვარ იარაღს<sup>1</sup> იხილავდა, მიუთითებდა, რომ ართივის განმის შემადგენლობაში ერთადერთი ხივითა, რომლის მაგვარი იარაღი არ არის ხაზოვნი კავკასიაში. იგი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ ამ იარაღის რამდენადმე მსგავსი იარაღი დღემდე ცნობილია მხოლოდ ცენტრალური ევროპიანია (ინვ. გლისი, უნკაეთი). მაგრამ იქვე დასძენდა. რომ რიგი მონაცემებით ეს იარაღი ემსგავსება სტარეს-მაგვარ იარაღებს ლეჩხუმის ვანშიდან და დასავლეთ საქართველოს სხვა კომპლექსებთან. რომლებსაც იყენებდნენ ხის ამოსაჭრელად. ართივის იარაღი კი ბ. კუფტინს საჭრელად მიაჩნდა. რომელსაც კელტის მსგავსად მუხლიან ტარს ავებდნენო.<sup>2</sup> არქეოლოგი ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ართივის ეს იარაღი პირის მოყვანილობით I ტიპის კოლხურ ცულს უახლოვდება. ოღონდ სტარე ზერელი მას ვერტიკალური აქვს. ისე როგორც კელტებს; და დასძენს. რომ სხვა ამგვარ ცულს ჩვენ არ ვიცნობთ<sup>3</sup>. მართლაც. პირის მოყვანილობით და ზოგჯერ ტანის ექვსად დაწახანვებით ვერტიკალურხერელოანი ცულები ანალოგს პოულობენ კოლხურ ცულებთან, პირის მოყვანილობით კი უშუალოდ ე. წ. III სახეობის კოლხურ ცულებთან. ამას გარდა, უთუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ კოლხეთის სამხრეთ ნაწილში. ბოზოყ ვათსა და ზუგდიდის მიდამოებში აღმოჩენილი ბრტყელი ცულების პირის მოყვანილობა თითქმის ემთხვევა ჩვენს საკვლევი იარაღების პირის მოყვა-

<sup>3</sup> ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 56.

<sup>1</sup> ბ. კ. ტელი, ართივის აღმოჩენილი ბრანჯაოსაგან კავკასიური არქეოლოგიური ნაშთები, გვ. 258—259, სურ. 5.  
<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, გვ. 224.

ნილობას მასსადამე. განსხვავება მოკლედ ტარდასავები ნაწილის სხვადასხვადასად მოწყობამ ვლინდება. ჩვენს ვერტიკალურხვრელიან ცულებს დაეგებოდა ბოლომობრილი თუ მუხლიანი ტარა. ამ შემთხვევაშიც ტარი შესაძლოა ვერტიკალური ყოფილიყო იარაღის ტანის მიმართ ან რამდენადმე დამრეცი. იარაღზე ტარი აქაც მყარად იქნებოდა დაკეხული. ასე რომ, მთელი ეს ჯაჭუფი იარაღებისა კოლხური ცულები, ბრტყელი ცულების კოლხურა ჯარიანტი და ვერტიკალურხვრელიანი ეს იარაღები (ცულები) პირით და ზოგჯერ ტანის ექვსად დაწანაგებით ერთმანეთს იმეორებენ, ერთი ჰეორიდან გამომდინარე იარაღებია და აქაური ხელოსნების მიერაა ნაკეთები; არ მოეპოვებათ რა რაეული, ზუსტად მისი მსგავსი ფორმები სხვაგან. ამრიგად, როგორც ვხედავთ. უკანასკნელი პერიოდის აღმოჩენის შედეგად კოლხური კულტურის გავრცელების სამხრეთ-დასავლეთ ზონაში. საკუთრივ კოლხურ კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთიერ ძეგლებს იარაღის კიდევ ერთი ახალი სახე შეემატა. რომელიც, დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი არქეოლოგიური მასალების მისედევით, მხოლოდ ამ კულტურისთვისაა დამახასიათებელი.

აღნიშნული იარაღის დანიშნულების საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ბევრი არაფერია სათქმელი. ისინი ხმელთაშორისთან, სადღერგლო სამუ-

შაობის წარმოებასთან არის დაკავშირებული. რადგან. როგორც წინ გვქონდა აღნიშნული, უღრანი, გაუვალი ტყეებით დაფარულ კოლხეთის ტერიტორიაზე. მისი სამხრეთი ზღვისპირა ზოლის ჩათვლით, ტყის გაკაფვას, ხე-ტყის დამუშავებას, ხის მასალით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას თუ საოჯახო საჭურველის დამზადებას, ზღვაზე ახ მდინარეზე სამიმოსვლო საშუალების გაცემებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა მიწათმოქმედების გვერდით. აღნიშნული სამუშაოს წარმოებისათვის კი ძლიერი საჭრეთელი იარაღების (კოლხური ცულების გვერდით) სხვადასხვა სახის მსუბუქი და ზოგჯერ ფაქიზი სახელოსნო იარაღიც იყო საჭირო. ერთ-ერთი ასეთი იარაღის სახით კვესახება ვერტიკალურხვრელიანი ცული. აღნიშნული იარაღის სახეობრივად დანაწევრებაზე ჩვენ არაფერს ვამბობთ იმის გამო, რომ დაახლოებით ერთმანეთის მსგავსი ამ იარაღის სამი ეგზემპლარია დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ნაპოვნი იარაღებიდან ორს (ყარადერესა და ართვინში აღმოჩენილ ცულებს) ტანი ექვსად აქვს დაწანაგებულია, ზოგიერთს (ჩარსუბნის ეგზემპლარს) გვერდები მომრგვალებული აქვს. ამავე დროს ყარადერეში აღმოჩენილი ვერტიკალურხვრელიანი ცულის ნიღბები არაა ზუსტად ერთ ჰორიზონტზე, ერთი რამდენადმე დაბლაა მდებარეობს შედარებით.

განძმების ღათარძლებნსათმის

განძმების ღათარძლება ურთულეს ამოკახაზ წარმოდგენს, რაც აბხსნება ორი გარემობით: 1) თითქმის ყველა განძის შემთხვევითი აღმოჩენითა და 2) მათი შემდგომი ხშირი დატაცებით, რის გამოც ისინი საცავებამდე არასრული სახით აღწევენ. ამიტომ, ჩვენ ზოგჯერ იძულებული ვართ გამოვიჩინოთ სიფრთხილე და ზოგჯერ: ეგელი, ახ ძეგლების ჭკუფი, დაგათარძლოთ მხოლოდ ძიახლოებით.

ზემოაღწერალ განძებს შორის ყველაზე ადრეული ჩანს ურეკის განძი (ტაბ. I—II და III 1—7). აღნიშნული ძეგლის ღათარძლების საკობთა: დაკავშირებით გამოთქმულია ორი, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული მისაზრება: ერთი ეკუთვნის ო. ჭაფარძეს, რომელიც ურეკის განძს, ძე. წ. II ათასწლეულს I ნახევრით ათარძლებს. მეორე—გ. გობეჯიშვილს. რომელიც მას ძე. წ. II ათასწლეულის ბოლო საუუენებეს აკუთხეხს<sup>1</sup>.

ურეკის განძის თარძლის განსაზღვრისათვის დასაყრდენად ცულები უნდა მივიჩნიოთ. საყურადღებოა, რომ ამ განძის ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული აღნაგობის ადრეული ცულების სამი ჭკუფიდან. ყუამილიანი და უუადაქანებული

ცულები. ადრებრძნაოს უქანასკნელ საფეხურზე გამოყენებული ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების უშუალო განვითარებად შეიძლება ჩაითვალოს<sup>2</sup>. პროფ. ბ. კუფტინს მიაჩნია. რომ ყუამილიანი ცულების ნარისახეობათა გავრცელება ჩვენში ძე. წ. II ათასწლეულის I ნახევარში ხდება<sup>3</sup>. საჩხერის ადრებრძნაოს პერიოდის ყუამილიანი და უუადაქანებული ცულების შემცველი ყორღანულა სამარხების ზედაქრონოლოგიური საზღვარი ო. ჭაფარძეს დაჰყავს ძე. წ. 1900—1800 წწ.<sup>4</sup> ამ იარაღების მიახლოებითი ანალოგიები ელამისისა ტელამარის (სირია) ძე. წ. III ათასწლეულის მიწურულის ცულებს შორის გვხვდება<sup>5</sup>. პირის, ტანისა და მილისებრი სატარე ხვრელის აღნაგობით. ჩვენი საკვლევი ცულების ერთგვარ ანალოგიას წარმოდგენს ცული ლურისტანიდან. რომელიც ძე. წ. 1900—1700 წწ. თარძლებს<sup>6</sup>; ამგვარადვე აღნიშნული ცულების ერთგვარ ანალოგიას წარმოდგენს ბრლის შუაბრძნაოს პერიოდის № 12 სამარხში აღმოჩენილი ცული<sup>7</sup>, თუმცა იგი რამდენადმე განვითარებულ ფორმად გვესახება, ცალკეული ნაწილების დახვეწისა და სრულყოფის გამო; ბრლის სამაროვნის აღნიშნულ უძველეს ფენას არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი ძე. წ. II ათასწლეულის შუახანებს მიაკუთხეხს<sup>8</sup>. ამრიგად. თუ გავიოვალისწინებთ, რომ: ა) ურეკის აღნიშნული ცულები ადრებრძნაოს პერიოდის ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულების იმ ვარიანტის უშუალოდ განვითარებული ფორმაა, რომლებსაც ამ ეპოქის და-

<sup>1</sup> О. М. Дж а п а р и д з е, Краткий отчет об археологических разведках в Грузии (Гурия), 1948 г. КСИИМК, вып. XXXIX, 1951, გვ. 101.

<sup>2</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 116.

<sup>3</sup> შეადარეთ საჩხერასა და საქართველოს სხვა ადრეულში აღმოჩენილი ვიწროტანიანი, ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების ერთი ნაწილი (იხ. არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტაბ. 11, სურ. 1, 3).

<sup>4</sup> Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, გვ. 306.

<sup>5</sup> ო. ჭაფარძეძე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 195.

<sup>6</sup> Claud a F. A. Schaeffer, Stratigraphie comparee et chronologie de G'Asie Occidentale..., London, 1948, გვ. 271, სურ. 79D და 82<sub>1</sub>.

<sup>7</sup> ი კ ე ვ, სურ. 264.

<sup>8</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გახსნაყთა საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, ტაბ. X, სურ. 9.

<sup>9</sup> ი კ ე ვ, გვ. 59.

სასრულს აკეთებენ და ძირითადად ძვ. წ. II ათასწლეულის I მეოთხედით თარიღებენ; ბ) რომ აღნიშნული ცულებს მიახლოებით ანალოგიურ წინაზიური მასალების მიხედვით მიეკუთვნება II ათასწლეულის დასაწყისს, მას I მეოთხედის (ლურისტანის ტყის); რომ ამ ცულების ქიმიურ შედგენილობა უახლოვდება. ან ზოგჯერ იმეორებს, ადრეპრინჯაოს პერიოდის ყუაბილიანი და ყუადაქანებული ცულების ქიმიურ შედგენილობას (დაპრინჯაოს მინარევი მთიორი—1.68-დან 2.26%-მდე, ხოლო სრულებით არ არის კალა); რომ ჩვენში ყუაბილიანი და ყუადაქანებული ცულების კლასიფიკაცია ფორმები ძირითადად არსებობას წყევტენ უკვე შეპარინჯაოს პერიოდში, მის დასასრულს მისი და ასეთი ფორმები თითქმის აღარ გვხვდება გვიანპრინჯაოს პერიოდში. მისი ადრეული საფეხურიდან დაწყებული<sup>10</sup>. მაშინ აღნიშნული ცულებისა და. შანსადამ. თვით განძის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი შეიძლება განსაზღვრის დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის I მეოთხედის დასასრულს—უფრო ზუსტად ძვ. წ. XVIII საუკუნით.

ზემოთ განხილული ცულებსაგან თავისი აღნაგობით სრულიად განსხვავებულია ურეკის განძის ორი ცელი (ტაბ. 1. სურ. 5, 6) ოვალური სატარე სერულითა და ექვსკად დაწინაგებული ტანით. აღნიშნული ცულის ერთერთ ასლი ანალოგიას წარმოადგენს ჩვენ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ურეკის მახლობლად 1917 წ. აღმოჩენილი ცელი (ინახება ერმიტაჟში № 242, სურ. 52). მკამ. საუბედროდ. ამ იარაღს თანხმობები სივთები არ ვაჩნია. ამიტომ იგი ვერაფრით გვეხმარება მის ანალოგიური ცულების დათარიღებაში. აღნიშნულ ცულებთან მეტ-ნაკლებად ანალოგიას პოულობს ირანისა და ე. წ. რუსულ ტალიშში ნაპოვნი ცულები: პირველი თარიღდება ძვ. წ. 1550—1450 წწ. მეორე—ძვ. წ. 1500—1400 წწ<sup>11</sup>. ურეკის აღნიშნული ცულისა და მისთანა ცულების პარტიკულად ბ. კუბტინისა და ჩვენს მიერ მიჩნეულია თბილისში, ღრმა-ლეღეში. აღმოჩენილი სამხრეთი პარადელა ცული<sup>12</sup>. რომელიც მის შესაბამის ცულებთან ერთად ჩვენ დაეთარიღეთ ძვ. წ. XIX XVIII საუკუნე. ურეკის აღნიშნული ცულების შედარებით ახლო ანალოგიას წარმოადგენს კოლხეთის სამხრეთ რაიონებსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცულების ერთი ჩველი, რომელთანაც ზოგიერთი კომპლექსების შემადგენლობაშია. სხვათა შორის, ასეთი ცულების ერთი ნაწილი გვიანპრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის ცულებთან ე. ი. პარტიკულად „ნაშეერთან“—მათგან განვითარებულ სახეებთან გვხვდება; ეს ამავე დროს, იმის მომასწავებელიც უნდა იყოს, რომ ამგვარი ცულები შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყოფილია ხმარებაში. როგორც წინ აღვნიშნეთ, ურეკის განძის აღნიშნული ცულები ანალოგიას პოულობს ერთის მხრივ აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში აღმოჩენილ გაგრა-პილენკოვო-ბიჭვინთა-ლიხნის ცულებთან. ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ზოლში გავრცელებულ ქობულეთ-ერგამ-მასტენეთის ცულებთან. ცულების ამ ორ ჩვეულ შორის მსგავსების მიუხედავად არსებით კონსტრუქციულ თავისებურებას ვამჩნევთ. ამგვარად, ერთგვაროვანი გამაერთიანებელი მომენტების გვერდით ამ ორი ჩვეულის ცულებს შორის ტექნიკურად საკმაოდ განმასხვავებელი მომენტებიც შეიმჩნევა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ეს ფაქტი ქრონოლოგიური მონაცემებით კი არ უნდა იხსნას, როგორც ამას ბ. კუბტინი გვთავაზობს კოლხური ცულების პირველი სახეობის განვითარების შედარებით მახვილგონივრულად დალაგებულ სქემაში<sup>14</sup>, სადაც მას მახვნიცეთის ცული წარმოდგენილი აქვს პილენკოვის ცულის შემდგომ განვითარებად. გარდაამავალ ფორმად პილენკოვის ცულსა და ჩვეულებრივი პირველი სახეობის კოლხურ ცულეს შორის. არამედ იგი უნდა იხსნას მეტალოგურული დამოუკიდებელი საწარმოო კერების არსებობით ერთის მხრივ კოლხეთის სამხრეთის შავი ზღვისპირა ზოლში, მეორე მხრივ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (აფხაზეთის ტერიტორიაზე). რომ ეს ცულები ერთდროულია, ამის საბუთი თვით ჩვენს განკარგულებაში არსებული კომპლექსების ერგეს. ბიჭვინთის, ლიხნის კოლექციებში აღნიშნული პარტიკულების გვერდით I სახეობის კოლხური ცულების ზუსტად ერთნაირი ფორმებია. ცულების სატარის მრავალხერხეულობა საზოგადოოდ იარაღის არქაეოლოგიის მანიშნებელია; მაგრამ ჩვენ ვითვალისწინ-

თის სამხრეთ რაიონებსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ცულების ერთი ჩველი, რომელთანაც ზოგიერთი კომპლექსების შემადგენლობაშია. სხვათა შორის, ასეთი ცულების ერთი ნაწილი გვიანპრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის ცულებთან ე. ი. პარტიკულად „ნაშეერთან“—მათგან განვითარებულ სახეებთან გვხვდება; ეს ამავე დროს, იმის მომასწავებელიც უნდა იყოს, რომ ამგვარი ცულები შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყოფილია ხმარებაში. როგორც წინ აღვნიშნეთ, ურეკის განძის აღნიშნული ცულები ანალოგიას პოულობს ერთის მხრივ აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში აღმოჩენილ გაგრა-პილენკოვო-ბიჭვინთა-ლიხნის ცულებთან. ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ზოლში გავრცელებულ ქობულეთ-ერგამ-მასტენეთის ცულებთან. ცულების ამ ორ ჩვეულ შორის მსგავსების მიუხედავად არსებით კონსტრუქციულ თავისებურებას ვამჩნევთ. ამგვარად, ერთგვაროვანი გამაერთიანებელი მომენტების გვერდით ამ ორი ჩვეულის ცულებს შორის ტექნიკურად საკმაოდ განმასხვავებელი მომენტებიც შეიმჩნევა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ეს ფაქტი ქრონოლოგიური მონაცემებით კი არ უნდა იხსნას, როგორც ამას ბ. კუბტინი გვთავაზობს კოლხური ცულების პირველი სახეობის განვითარების შედარებით მახვილგონივრულად დალაგებულ სქემაში<sup>14</sup>, სადაც მას მახვნიცეთის ცული წარმოდგენილი აქვს პილენკოვის ცულის შემდგომ განვითარებად. გარდაამავალ ფორმად პილენკოვის ცულსა და ჩვეულებრივი პირველი სახეობის კოლხურ ცულეს შორის. არამედ იგი უნდა იხსნას მეტალოგურული დამოუკიდებელი საწარმოო კერების არსებობით ერთის მხრივ კოლხეთის სამხრეთის შავი ზღვისპირა ზოლში, მეორე მხრივ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (აფხაზეთის ტერიტორიაზე). რომ ეს ცულები ერთდროულია, ამის საბუთი თვით ჩვენს განკარგულებაში არსებული კომპლექსების ერგეს. ბიჭვინთის, ლიხნის კოლექციებში აღნიშნული პარტიკულების გვერდით I სახეობის კოლხური ცულების ზუსტად ერთნაირი ფორმებია. ცულების სატარის მრავალხერხეულობა საზოგადოოდ იარაღის არქაეოლოგიის მანიშნებელია; მაგრამ ჩვენ ვითვალისწინ-

<sup>10</sup> როგორც ცნობილია, შეპარინჯაოს პერიოდის მონაცემული ადგილობრივი და ყუადაქანებული ცულების გვეხმარება ოვალური და წვეტიანოვალური ტარის უფრო მარტივი, ტანჯიერად გათქმობსებული, პარტიკულად უკვე განსაზღვრული ფორმები, ვიდრე ყუაბილიანი ცულები.

<sup>11</sup> Claude F. A. Schaeffer, დასახ. ნაშრ., სურ. 222, 226.

<sup>12</sup> Б. А. Купфин, Археологические раскопки в Триалетии, стр. 16, 17.  
დ. კორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, წიგნი I, გვ. 77.

<sup>13</sup> დ. კორიძე, შეპარინჯაოს პერიოდის სამხრეთი პარადელა ცულები აღმოსავლეთ საქართველოდან, შავი დათარიღების და გენეზისის საკითხისათვის, (იბეჭდება).

<sup>14</sup> Б. А. Купфин и Материалы к археологии Колхиды, I, სურ. 49.

ნებთ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის, ლეჩხუმის, სვანეთისა და იმერეთის ლოკალურმა მეტალურგიულმა საწარმოო რაიონებმა მრავალხერხიანი ცულები შემოინახა არა მარტო შუაბრინჯაოს პერიოდისათვის. არამედ გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურებისათვის და ისინი წვეტრან-ოვალურ სატარებელიანი I სახეობის კოლხური ცულების გვერდითაა კომპლექსებში. მეორე მხრივ, კი ურეკის აღნიშნულ ცულებსა და დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ზოლში გავრცელებულ ტრიპოლიურად მსგავს ცულებს შორის რამდენადმე განსხვავებული ფორმების არსებობა (იგი შეინიშნება უმთავრესად იარაღის ცალკეული ნაწილების დახვეწვა-გაუმჯობესებაში) უთუოდ ერთგვარი ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას. ის, რომ ურეკის აღნიშნულ ცულებს განიერი, დაბალი და ოდნავ მომრგვალებული პირი, ხოლო ჩიღრები მტკრედ განსხვავებულ დონეზე აქვს განლაგებული, მასუნიცეთ-ერგე-ქობულეთ-ქორაოხის ცულებს მათთან შედარებით უკეთრად ჩამოყალიბებული და კობტე გამოყვანილი მძალი, განიერი, გორდა და ასიმეტრიული, ნიღრებგამოკვეთილი პირა აქვს. უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ისინი ურეკის ცულებისაგან უშუალოდ თანამოდვერულად არიან განვითარებული და ასაკეთა მთ მომდევნო პერიოდს განეკუთვნებიან. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ერგე-ქორაოხის, ბიკინთა-ლიხუჯი კომპლექსები თავისი შემადგენელი ნეოთერტი ძისალების მიხედვით უფრო მოგვიანო პერიოდისაა (ურეკის ამ მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემოკველი განძის შემადგენლობაში არც ერთი ნივთი არ არის ისეთი, რომელიც გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურისა იყოს). ასე რომ ამ იარაღების ქრონოლოგიური მონაცელება, რომელიც აგრეთვე მათი განვითარებას ერთგვარ სქესდავ გვესახება, ასე შეიძლება წარმოგვიდგინოთ: ყველაზე ადრეულია (სათვეში ექცევა) თბილისის საბრძოლო პარადული და მისთანა ცულები (ჩვენ ამჟამად უფრო შორს აღარ მივდივართ). ქრონოლოგიურად მას ენაცელება, ე. ი. მისი შემდგომი განვითარებული ფორმა უნდა იყოს ურეკის აღნიშნული ორი ცული. ამ უქანსკენლის განვითარებას კი უნდა წარმოადგენდეს ბიკინთის, ლიხუჯის, ერგეს, ქობულეთის, ქორაოხისა და მისთანა ცულები; ხოლო აღნიშნულ ცულებს როგორც ქრონოლოგიურად, ისე ტიპოლოგიურად ცვლის კოლხური ცულების I სახეობა (იხ. სქემა). მიუხედავად იმისა, რომ ურეკის განძისეული ორი ცული აღხაგობით განსხვავდება ამავე განძის დანარჩენი ცულებისა-

გან, საგულ-სსმთა ის, რომ განძისეული თითქმის ყველა ცულის ქიმიური შედგენილობა დაასლოებით ერთნაირია, ისინი დარწმუნებულად სპილენძისაგანაა დამზადებული (იხ. ცსრალი N. 1); ხოლო ქიმიური შედგენილობის ამგვარი დამთხვევა მათ შორის უთუოდ იმავე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს იარაღები დაასლოებით ერთ განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება იყოს დამზადებული და ცალკეული ნივთები ქრონოლოგიურად დიდად განსხვავებული არ იყოს ერთმანეთისაგან. ასე რომ, ამგვარად ზენთავის ნაინტერესო ოვალურხერხიანი ცული შესაძლოა ქრონოლოგიურად არ იყოს დიდად დაცილებული ამავე განძის ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულებისაგან. რაც შეეხება ურეკის ცულებს მისევე ჭკუფს (ტაბ. II); რომელიც ტახის აღნაგობით თითქმის განცალკევებულ დავს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შუაბრინჯაოს პერიოდის ცულებისაგან (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთადერთ ზუსტ ანალოგიას მახუნიცეთიდან) ბართოხის I სახეობასთან ერთად (სურ. 66), რომელსაც დამთარიღებული მასალა თან არ ახლავს. მათ უახლოესი ანალოგია არც სხვა მხარის თანადროულ ძეგლებს შორის მოიძებნება. მაგრამ ვითვალისწინებთ რა იარაღების ანაგობასა და ამავე დროს; მათ ქიმიურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით ისინი ანალოგიურ განსხვავებულობას განძისეული დანარჩენი ცულებისაგან, შეიძლება ვივარაუდოთ მათი თანადროულობა განძის დანარჩენი ინვენტართან. ამრიგად, ერთიანად განძის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი შეიძლება დავუკავშიროთ ადრებრინჯაოს პერიოდის დასასრულს; მის უშუალო მომდევნო პერიოდს—ხოლო მისი ზედა ქრონოლოგიური საზღვარი იმ მრავალრიცხოვანი განძების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრებს უკავშირდება. რომლებიც დასავლეთ საქართველოს სასიკრეთ ზოლიდან (ერგეს, ქობულეთს. ქორაოხის) და აფხაზეთის ტერიტორიიდან (ბიკინთის, ლიხუჯის, პილენეთის) მომდინარეობენ; უფრო ზუსტად ეს თარიღი შეიძლება განისაზღვროს ძე. წ. XVII—XVI სს.

ცულების აღნაგობის მიხედვით ადრეული პერიოდის ძეგლი ჩანს აგრეთვე ქვიშარში (მდ. ობი-ნელას ნაპირზე აღმოჩენილი განძი). აღნიშნული განძის დათარიღება ძალზე ძნელდება იმას გამო, რომ როგორც არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, ასეთი ცულები ჭრეჭრებობით კომპლექსებში არ არის ნაპოვნი<sup>15</sup>. პროფ. გ. ნოროძე ქვიშარის განძის სავარაუდო თარიღად ძე. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიჩნევს<sup>16</sup>. აღნიშნული ცუ-

<sup>15</sup> გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უღეუღესი ბალთები, გვ. 164.

<sup>16</sup> გ. ნოროძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 5.



ლებს ზესტი ანალოგია ურეკიდან (სურ. 1) და სვანეთიდან<sup>17</sup> შემოხვევითაა ნაპოვნი თახმბლბი ინვენტარის ვარეშე და ვერაფრით გვეხმარება ძეგლის ფოტოგრაფიაში ტიპოლოგიურად მათთან ახლო ცანს ბრ-ლის № 12 სამარხში აღმოჩენილი ერთი კულსი და ურეკის განძის მოკლე უკუმიმდებარე ტულები (ტაბ. 1. სურ. 2, 3); მაგრამ ბრ-ლის № 12 სამარხის ცელი რამდენიმე განვითარებულ და ჩოქოყალბებულ ფორმად გვესახება, ვიდრე ქვეშაონის. ისინი ხმოვანებია. აღბათ. ურეკის განძის ზეპით დასატულებულ ტულებთან უფრო ახლო უხდ. აუენენ და ჩვენი აზრით. მათი თარიღიც ძახლოვებით შეიძლება განისაზღვროს ძვ. წ. XVII-XV საუკ.

დასკოპით ერთდროული ჩანს დასავლეთ საქართველოს განძების დიდი ჯგუფი, რომელიც უმთავრესად ერთი დანიშნულების იარაღებისაგან—ტულბისაგან შედგება. ასეთი განძებია: ერგეს, ჰოროხის, ჭობულეთის, მელექედურის, ზემო კოქოს, პილენკოვოს, გაგრის, ბიჭვინთის, ლიხნეს, ლაილაშის, დიშის და სხვა. ერგეს, ჰოროხის, ჭობულეთის, პილენკოვოს, გაგრის, ბიჭვინთის, ლიხნეს განძები ტაძრისათვისებლად ჩვენ მიგვაჩინა ე. წ. კოლხური ცულეების პროტოტიპები. ერგეს, ბიჭვინთის, ლიხნის, მელექედურის, ლაილაშის, ერგეს (ზემო-კოქოს), დიშის, ფარცხანაყანევის განძები ერთმანეთთან აკავშირებს I სახეობის კოლხური ცულეებში მათი ვარიაციებები; ბიჭვინთის, ლიხნეს, სოჯინის მთის, ლაილაშის განძები დამაკავშირებელი კი II სახეობის კოლხური ცულეებია. ხოლო მელექედურის, ფარცხანაყანევისა და გორას განძებს გამეორიანებელია I სახეობის ცულეებთან ერთად. I სახეობის სევმენტური იარაღი, ამავე დროს პილენკოვოს, გაგრის, ბიჭვინთის, ლიხნეს, ერგეს, ჭობულეთის, ჰოროხის განძები კოლხური ცულეების პროტოტიპების მეშვეობით უკავშირდება ზრეკის განძს; ურეკის განძი ბართოზის მეშვეობით უკავშირდება აგრეთვე მელექედურის განძს. ასე, რომ აღნიშნული ცულეების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი შეიძლება დავუკავშიროთ ურეკის განძის თარიღს. მის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს, რადღაც როგორც წიხ ადენინებთ. ურეკის განძის ოვალურხებრვლიანი ცულეები რამდენიმე ადრეულ ფორმად გვესახება, ვიდრე დანარჩენი „პროტოტიპები“. ამრიგად, ზეპით ჩამოთვლილი განძები ერთდროს, ლიხნედაც, პილენკოვოდან, ბიჭვინთოდან, მელექედურიდან, ჭობულეთოდან, გაგრიდან და სხვა ურეკის განძის უშუალო მომდევნო პერიოდს შეიძლება დავუკავშიროთ

ა. იესენი კოლხეთის შავი ზღვისპირა ჩრდილო-აღმოსავლეთ სასაზღვრო რაიონის ბრინჯაოს შესწავლის დროს აღნიშნავს, რომ იქ ჯერჯერობით საპოვნია მხოლოდ ერთი ცული კოლხური ვარიანტისა (ლაპარაკია I სახეობის კოლხურ ცულეზე). ამავე დროს. იგი ჩვენს უფრადლებას მიაქცევს პილენკოვოს ტიპის ცულეების ჯგუფზე, რომელთა მსგავსი ცულეები მხოლოდ სამხრეთითაა (ავარაში) საპოვნის; ეს კი უფლებას აძლევს მას სამხრეთის კოლხური ლითონის ნაპოვობათა გავრცელების საზღვარი გადაიტანოს ბზიფსა და სოქს შორის არსებულ რაიონში არა მარტო განვითარებულ კოლხუ-კოლხური მენტურების დროს, არამედ უშუალოდ მის წინამორბედ პერიოდში<sup>18</sup>. იგი ზემო ყოთახის სამაროვნიდან მომდინარე ძირითად მასალას ძვ. წ. IX—VII საუკუნეებზესად მიიჩნევს და დასძევს, რომ ყობანურისა და კოლხური ლითონის ადრეული ფორმები აშკარად ვარკვევითაა გამოვლენილი დასავლეთ საქართველოში, სადაც იგი ეძიებს შემდგომ ცენტრალური კავკასიის რაიონში ფართოდ გავრცელებული ახალი ფორმებისა და ტექნიკური სურხების პირველ საწყის კერას. ამ ადრეულ დროს. მად ა იესენი თვლის ბიჭვინთის განძის შევტრტანიან ცულს და ასეთივე ცულს სოჯინას (სურ. 53r, მ); მათი თარიღის შესახებ კი ა. იესენის შრომაში აღნიშნულია, რომ ისინი არ შეიძლება მოთავსდეს ძვ. წ. უკანასკნელი ათასწლეულის ფარგლებში და უნდა მიეკუთვნოს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს—XI საუკუნეს და ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა ძვ. წ. XII საუკუნესაც კი. ასე რომ, ა. იესენს ბიჭვინთის განძის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი აქყავს ძვ. წ. XI საუკუნემდე. ან უკეთეს შემთხვევაში, XII საუკუნემდე. რათქმა უნდა, ჩვენ ვერაფრით შევძლებთ ვერ გავზარაბთ ბიჭვინთის განძის მიმართ აღნიშნულ თარიღს; მაგრამ, საესებით მისაღება ძეგლების თანმიმდევრობით დადაგებით ავტორიტეტული სქემა. ამის მიხედვით კი, ზემო-ყობანის სამაროვნის ძირითად მასალასთან შედარებით, ბიჭვინთის განძი 2—3 საუკუნით ადრეულადაა მიჩნეული. ანდენად იგი დროით საკმაოდ წინ უსწრებს ფართოდ გავრცელებულ კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს ცულტურას. ბიჭვინთის, ლიხნეს და მელექედური საზღვრის დადგენის დროს ერთგვარ საძსახურს ვაკვირვებს სოხუმის მთის განძი. განძი სხვა ნივთებთან ერთად 13 ერთეულ II სახეობის კოლხურ ცულს შეიცავს; ამ ცულეების ერთი ნაწილიან მეშვეობით განძი უკავშირდება ბიჭვინთა-ლიხნეს განძს. სოხუმის განძის შესწავლის დროს აღ. კა-

<sup>17</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები სსრეთს საქართველოში. ტაბ. XIII.

<sup>18</sup> იქვე. ტაბ. Xp

<sup>18</sup> A. A. Иессен, Прикубанский оазис, . . გვ. 81, 20 იქვე, გვ. 119—120.

ლანდაძე ყურადღებას ამახვილებდა ამ ცულების არქაულობაზე. ცულების არქაულობის მოპოვებაზე ზრუნავდა მიჩნეულია: ჩამოსხმის შედეგად წარმოქმნილი ნაკლი და დეფექტები, ცულების სიმარტივე, მათი მასიურობა, სატარე ხერხის სიდაბლობა, ან მისი სიმრგვალე, ან სიმრგვალესთან მიახლოებული ოვლობა. აღნიშნული შობაცემების საფუძველზე, ა. კალანდაძე პილენკოვ-ბიჟინისა და სოხუმის მთის ერთიმეორის მომდევნო ცულა რიგს აქცევს კოლხურსა და ყობანსში გავრცელებულ ბრინჯაოს კოლხური ცულების ადრეულ ქრონოლოგიურ კვლეში, და ამდენად შესაძლებლად თელის სოხუმის განძის ცულებს განვითარებული კოლხური ცულების წინამორბედად მიჩნევს<sup>21</sup>.

მართლაც, სოხუმის მთის განძისეული კოლხური ცულები აღნაგობით მარტივია და უხეში, ვიდრე ფართოდ გავრცელებული IV სახეობის კოლხური ცულები. ჭერ ერთი, განძში შემავალი ცულების ერთ ნაწილს მრგვალი სატარე ხერხი აქვს. არის ისეთებიც, რომელთა სატარის ფორმას ოვალისაყენ აქვს მიღრეკილება, მაგრამ ჭერ კიდევ სავსებით არ არის წვეტანოვალური, პირის მომრგვალებაც არ არის სავსებით დახვეწილი და სხვა. ო. ჭაფარიძე ზენითურ გორდა, მაღალ და სიმეტრიულპირიან ცულებს მიიჩნევს ერთგვარ ჯარდაშავალ ფორმად და დასძენს, ეგებ კოლხურა ცულის I ტიპი ყველაზე არქაული იყოსო<sup>22</sup>. ალ. კალანდაძე კი ეთანხმება ო. ჭაფარიძეს. სოხუმის მთის განძის ცულებს შესწავლის დროს იგი მივიდა იმ სავარაუდო დასკვნამდე, რომ თუ კოლხურ ცულებს შორის რომელიმე ადრეულ უფრო ძველ ტიპზე შეიძლება იყოს მსჯელობა. ასეთ ტიპად ჭაფარიძისეული II ტიპი გამოდგებოდა<sup>23</sup>. ჩვენ კი აღნიშნული საკითხი სხვაგვარად გვესახება: I და II სახეობის კოლხური ცულები. როგორც III და IV სახეობის ცულების ადრეული ფორმები გვერდი-ვევრდ არსებობენ, მათ თავისი განვითარების საკუთარი გზები აქვთ; რომ ეს განსხვავებული სახეობა ცულებისა ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ერთიმეორის გვერდით, გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურდას მაინც, ამის ერთ-ერთი საბუთის სახეობა "შიქლი"-ა იყოს ბიჟინისის, ლინეს და ლაილაშის გახდის შემადგენლობაში I და II სახეობის ცულების, სხვა არქაულ ცულებთან ერთად, ერთიმეორის გვერდით არსებობა.

I სახეობის ცულების ადრეული განძების შემადგენლობაში თავის პროტორტიპებთან ერთად მოხვედრა მათ არქაულობაზე მიუთითებს, ხოლო

იმ განსხვავებულ თავისებურებებზე, რომლებიც I და II სახეობის კოლხურ ცულებს შორის შეინიშნება, უკვე წინ გვექონდა ლაპარაკი; ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ თითქმის არ არის შემთხვევა I და II სახეობის ცულების ერთ კომპლექსში აღმოჩენისა, ისე რომ კოლხური კულტურის აყვავების პერიოდში I სახეობის კოლხურ ცულებს ვეღარ ვხვდებით. სამაგიეროდ, იმ პერიოდში, რომელსაც ბიჟინისის, ლინის, ერგეს, მელექედურისა და მისთანა განძები ეკუთვნის, ჭერ კიდევ არა ჩანს III სახეობის კოლხური ცულები.

II ეტაპზე, როგორც აღვნიშნავდით, აშკარად შეინიშნება ცულების ტექნიკურად გაუმჯობესება (ლაპარაკია III სახეობის ცულებზე), ხოლო მათი მხატვრული გაფორმება უმაღლეს წერტილს აღწევს.

ამრავად, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი განძების შემადგენლობაში I სახეობის კოლხური ცულების არსებობა აშკარად კანონზომიერ მოვლედ გვეჩვენება, როგორც პროტოტიპისა და მისგან განვითარებული ძეგლების ერთად არსებობა, ერთი მეორის შემცველი ნეოთიერი მასალების ერთად მოხვედრა როგორც ქრონოლოგიურად ერთი მეორის უწელოდ მომდევნო ძეგლებისა-ერთის მხრივ პროტოტიპებსა და მეორეს მხრივ კოლხური ცულების პირველ სახეობას შორის არ ჩანს ქრონოლოგიური წყვეტილი. ისინი ერთი განსაზღვრული პერიოდის ძეგლები უნდა იყოს. მაგრამ განძების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი მაინც ე. წ. პროტოტიპების მეშვეობით უნდა დავადგინოთ და, რადგან ისინი ურეკის განძს უკავშირდებიან ოვალურხვერდოვანი ცულების მეშვეობით, ჩვენ ვფიქრობთ რომ აღნიშნული განძების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი უნდა მივიტანოთ და დავაკავშიროთ ურეკის განძის ზედა ქრონოლოგიური საზღვართან; ხოლო მათი ზედა ქრონოლოგიური საზღვარი არ შეიძლება ვასცლადეს ძვ. წ. XVII საუკუნეს, მის მიწურულს მაინც (I სახეობის კოლხური ცულების დათარიღების საკითხზე კვლავ მოვიხილავთ საუბარს).

ასე, რომ ერგეს, ქობულეთის, ბიჟინისის, ლინეს, გერგის პილენკოვოსა და ერგე (ზემო-კოქო)—ქობოხის განძები შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. XVII-XIV საუკუნეებით. დიდ ყურადღებას იმსახურებს მელექედურის განძი (ტაბ. VII), როგორც მრავალფეროვანი ინვენტარის შემცველი ერთ-ერთი შედარებით ადრეული ძეგლი. მასში შერდის ერთი მხრივ ისეთი ნივთი (ბოლომომრგვალებული და ვიწროპირიანი ბართოსი), რომელიც მას აკავშირებს ურეკის განძთან და მახუნცეთის კოლექცი-

21 ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 21.

22 ო. ჭაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 80.

23 ალ. კალანდაძე, დანახ. ნაშრ., გვ. 21.

ასთან (სურ. 66), მეორე მხრივ ისეთი შედარებით დაბალპოლიანი და შევტილტანიანი ცულები, რომელითაც იგი უკავშირდება და ახლო ანალოგიას პოულობს ერეკეს, ბუკვიზიის, ლინხესა და ლალოაშის განცხადება; ან ამავე დროს, მასში არის განსახლდერული ჩვენთვის სეგმენტური იარაღების (ტრაპეციის-მაკვალა ან ფორმით მასთან ახლო მდგომი). რომლებიც, როგორც მასალამდინდან ჩანს, ხანგრძლივი ეპოქოდის განმავლობაში ყოფილა სპარებაში. ცნობილი არქეოლოგიურ ძეგლებს შორის მართობი ნაოლოდ ურეკის განძის მახუნცეთის ორნივითანი კოლექციისა და მელექედურის განძის შემადგენლობაშია: აბრეტრესო ის არაა. რომ მახუნცეთის კოლექცია ცულის მიხედვით ზუსტად ურეკის განცხადებასთანადასაბუთდება. ამგვარი „ბაზოთხები“ უფრო გვიანდელი განცხადების შენადკენლობაში არ არის ნაპოვნი. უფრო მოგვიანო პერიოდში ვაგრეკლებული ბართხები, როგორც აღნიშნული გვერდული, საკონსტრუქციო განსხვავდება ზემოთ დასახულებული იარაღებ-საგან. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ. „ბაზოთხის“ მეშვეობით მელექედურის განძის თარიღი რაღაცნაირად დაუკავშიროთ ურეკის განძისა და მახუნცეთის კოლექციის თარიღს. ყოველ შემთხვევაში, არ შეგვიძლია დიდად დაუცადოთ მელექედურის განძის ქვედა ქრონოლოგიური სახლვარი ურეკის განძის დაფლვის დროს ანუ ძვ. წ. XVII ს-უც. ამ შემთხვევაში ვითე-ღისწინებთ იმასაც, რომ განხში მისა დაფლვის დროს წეიძლებობა მოხვედრილიყო ოდნავ ადრეული პერიოდის ნივთიც.

განძის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსახლვარი-სათვის ძირითად მასალად ჩვენ მაინც ცულები მოგვანია. მელექედურის ცულების ზუსტი შესატყვისი ფორმები ერეკეს ცულებში მოიპოვება (თუ ვა-მოურეკსავთ ძვ. წ. პროტოტიპებს). მელექედურის განძი დაბალპოლიანი, შევტილტანიანი და წვეტიან-ოვალარხურულიანი ცულების მეშვეობით უკავშირდება აგრეთვე ბუკვიზიისა და ლინხეს ცულებს, ხოლო მელექედურის მომხლარიანი ასეთვე ცულის მეშვეობით—ლალოაშის განძს. ასე რომ, ჩვენთვის ცნობილი კომპლექსების მიხედვით, მელექედურის განძის ცულებს ფორმები ძირითადად ადრეული პერიოდის ძეგლებს შორის—არის ისეთ მასალათა შორის, რომლებიც, ნაწილად ნივთების მიხედვით, შეუბრუნებას პერიოდისავე იხრება. ნაწილი კი ოდნავ მოგვიანო პერიოდისაა; ამდენად ისინი შეუ-დან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი ხანისა უნდა იყოს.

მელექედურის განძის ნივთების მესამე ჩვენთვის სეგმენტური იარაღებისაგან შედგება: წინასწარ უნდა აღვნიშნოთ. რომ სეგმენტური იარაღების თანამდევრული განვითარების სურათის დადგენა.

მათი ასაკობრივი დალაგება თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ზოგიერთ განძზე და სამარხულ კომპლექს-ზე დაკვირვება უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ტრაპეციისებრი, ან ფორმით მასთან ახლო მდგომი სეგმენტური იარაღები სხვა სახეობებთან შედარებით უფრო ადრე ჩნდებიან. ამავე დროს, აშკარად ჩანს ისიც, რომ ეს იარაღი გამოყენებაშია დიდი ხნის განმავლობაში, სხვა სახის ამგვარი იარაღების გვერდით. განხში შემავალ სეგმენტური იარაღებში არ არის არც ერთი ისეთი ცალი, რომელსაც ტანისაგან გამოყოფილი დამოუკიდებელი ტარდასავები ჰქონდეს ან ზედმიწევნით პროპორციულად ჩამოყალიბებული ცალკეული ნაწილები. აღნიშნულ იარაღებს თავისი უახლოესი ანალოგია ურბნისის № 219 სამარხის ინვენტარში ნივთსახება (ტაბ XXIX, სურ. 4. 5. 7. 10) 1961 წ. ურბნისის XXV უბანზე მიკვლეული იყო ბრინჯაოს პერიოდის საკონსტრუქციო მდიდარი სამარხი; მასში აღმოჩნდა თიხის ოცი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელი. ტარმურჩეხელი, განიერქვედიანი სატევერისპირი ტრაპეციისებრი ტარდასავებით, მასრა-გახსნილი და ფოთლისებრიანი ხელშეშის პირი, სამი საკინძი (თავხევი, კონუსურთავიანი და რკველთავიანი), ბრინჯაოს უმბონი, ძვლის ლახტისთავი, ოთხუთხა ფორმის ძვლის ნივთი რაც მთავარია, სამარხის ცენტრში, თიხის ჭურჭელში მოთავსებული იყო ბრინჯაოს ნივთების განძი. განძი შედგებოდა: უკვე ხსენებული 4 სეგმენტური იარაღისა, ურბნისის ფრაგმენტისა და ზოდების ნატეხებისაგან. სეგმენტური იარაღიდან ორი შეე-ლია, ერთს მარჯვენა ფრთა აკლია, ერთი კი „და-კეცილია“ (ორივე ფრთა თითქმის სპეციალურად გადმოუღუნიათ და ერთმანეთზე დაუკრავთ). ამ იარაღების ტარდასავები ნაწილიც არ არის გამო-ყოფილი ტანის საერთო ვარშემოწერილობისაგან, მაგრამ მხრებს მაინც მორკალური მოხაზულობა აქვს; მათშეო ნაწილი მცირედაა მორკალური და შედარებით სიმეტრიულად. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არც მელექედურის განძისა და არც ურბნისის № 219 სამარხის კომპლექსის შემადგენლობაში არ არის ამ ტიპის იარაღის არც ერთი სხვა სახეობა. ურბნისის № 219 სამარხის ინვენტარის შემადგენლობაში არის ისეთი ნივთები (სატევეარი, საკინძები), რომლებსაც საკმაოდ ბევრი ანალოგია მოეძებნება შიდა და ქვემო ქართლის შედარებით უკეთ შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის.

არქეოლოგი ე. ლომთათიძე სატევერისპირებს სემ ქვეტილტანის მკვლევარს პირველ ქვეტილტანში იგი უქე-ლი. ბრეტევილიზიანი ცულებს აერთიანებს; მეორე-ზე— ვიწროქვედიანი სატევერის პირებს, მესამე ქვე-

ტიპში კი—განიერქედინანებ<sup>24</sup>. არქეოლოგი ტ. ჩუბინაშვილი იხიარებს ვ. ლომთათიძის სქემას, მხოლოდ მას მიაჩნია, რომ განიერქედინან სატევრისპირთა უმრავლესობა ტიპობრივად ბევრად უფრო განვითარებული და სრულყოფილი ჩანს, ვიდრე სატევრის წინა ორი ჯგუფი. სამაგალითოდ იგი მიუთითებს სასირეთისა და მეტეხის სატევრებზე, რომლებიც უფრო მოგვიანო პერიოდის ნივთებთან ერთად კომპლექსებში<sup>25</sup>. ავტორი შესაძლოა მართალი იყოს იმაში, რომ თვით განიერქედინან სატევრისპირებს შორის შემოჩნევა განვითარების ერთგვარი სურათი, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით, ტარშეურჩენელი სატევრები ვიწროქედინანი სატევრების გვერდით ჩანან, ერთდროულად უნდა ყოფილიყო ისინი გამოყენებულნი. ამის მავალითები მრავლად არის სამთავროს სამაროვნზე: 1947 წ. № 267 სამარხში განიერქედინან სატევრისპირთან ერთად ნაპოვნი იყო მასრავასნელი შუბისპირი. თავზეა საკინძი და სხვა ინვენტარი: 1940 წ. სამთავროს სამხრეთ უბანზე № 281 სამარხში განიერქედინან სატევრისპირთან ერთად აღმოჩნდა მასრავასნელი ხელშუბისპირი, პრინცაოს თავსეთი საკინძი და სხვა; 1940 წ. სამთავროს ჩრდილო უბანზე № 155 სამარხში ასეთივე სატევრისპირთან ერთად იპოვეს მასრავასნელი ხელშუბისპირი, ორი თავსეთი საკინძი და სხვა არქაული იერის ნივთები. სამაგიეროდ. იმავე სამაროვნის მასალებიდან ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ სერია მაგალითებისა. როდესაც ვიწროქედინან სატევრისპირთან ერთად კონუსური ან მრგვალთაფიანი საკინძები ან სხვა ისეთი ნივთები, რომლებიც რამდენადმე მოგვიანო პერიოდში გვხვდებიან. ჩვენ შეგვიძლია ისეთი კომპლექსების წარმოდგენა. როდესაც ვიწროქედინან სატევრისპირთან ერთად ისეთივე ინვენტარია, როგორც განიერქედინან სატევრის შემცველ კომპლექსებში. სამთავროს № 263 სამარხში ვიწროქედინან სატევრისპირთან ერთად ნაპოვნი თავსეთი და კონუსურთაფიანი საკინძი, თხელფირფიტოვანი ისრისპირები და სხვა. № 180 სამარხში ასეთ სატევრისპირთან ერთად აღმოჩენილია მასრავასნელი შუბისპირი, თხელფირფიტოვანი ისრის პირი, ლამის საყბურთი, მრგვალთაფიანი

საკინძი და სხვა ნივთები; № 261 სამარხში ვიწროქედინან სატევრისპირთან ერთად ნაპოვნი კონუსებრთაფიანი საკინძი, ქამრის აბზინდი, თხელფირფიტოვანი ისრისპირი და სხვა. ამრიგად, ვიწროქედინანი სატევრისპირები ისევე, როგორც განიერქედინანი სატევრისპირები სამთავროს გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის სამარხებში გვხვდება. მაგრამ ამ განსაზღვრული ვიწრო დროის ფარგლებშიაც გამოიყოფა უფრო ადრეული და გვიანდელი მონაკვეთები, რომლის მთელ მანძილზე არსებობს განაჯრობის როგორც ვიწროქედინანი სატევრისპირები, ისე განიერქედინანები, ე. ი. როგორც მასალებიდან ჩანს, ვიწროქედინან ფთობისპირ სატევრისპირებს თავისი განვითარების გზა უნდა ჰქონოდა, ხოლო განიერქედინან წელში რამდენაღმე გამოყვანილ (ალისებარ) სატევრისპირებს კი განვითარების თავისი გზა, ერთდროულად გამოყვანების პირობებში. არქეოლოგი ტ. ჩუბინაშვილი სამთავროს გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის ძეგლებს ათარილებს ძვ. წ. XV—XIV სს.<sup>26</sup>

განიერქედინანი სატევრისპირი ვიწროქედინან სატევრისპირთან ერთად ნაპოვნია ბეშთაშენის № 4 სამარხში<sup>27</sup>, აღნიშნული სამარხის დათარიღების საკითხს ვრცლად გვხვდა არქეოლოგი რ. აბრამიშვილი და მას № 11 სამარხის კომპლექსთან ერთად ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეს აკუთვნებს<sup>28</sup>. ურბნისისა და სამთავროს სამაროვნებზე აღმოჩენილი განიერქედინან სატევრისპირებთან შედარებით უფრო განვითარებული ფორმა ჩანს მეტეხის განიერქედინანი სატევრის პირი<sup>29</sup>. ურბნისის № 219 სამარხში აღმოჩენილი განიერქედინანი სატევრისპირი უახლოეს ანალოგიას სამთავროს ჩრდილო უბნის N 267-სა და სამხრეთ უბნის № 281 სამარხებში აღმოჩენილი განიერქედინან სატევრისპირებთან პოულობს, რომლებიც, როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული. სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა ჯგუფს განეკუთვნება. ჩვენ უფლება გვაქვს ურბნისის № 219 სამარხის ინვენტარის ძირითადი ნაწილი სამთავროს უძველეს ორმოსამარხების თანადროულად ვივარაუდოთ და ძვ. წ. XIV საუკ. დაეთარილოთ. სამარხში ნაპოვნი მრგვალი და მაღალქედინანი შუბისპირის ნამტკრევის (წვერის მხარე) აღმოჩენა შედარებით დაბლა წეხს აღნიშნულ თარიღს. მართალია, ძნელია გარკვევით რაიმე თქმა აღნიშნული იარაღის ფორმაზე, მაგრამ ერთი კი ცნობილია: მრგვალი და მაღალქედინანი შუბის-

<sup>24</sup> ვ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1944, ხანდასტრუქციო ნაშრომი, ხელნაწევი.

<sup>25</sup> ტ. ჩუბინაშვილი, მცხეთის უძველესი კარგად დაცული ძეგლები, თბილისი, 1957, გვ. 75.

<sup>26</sup> ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

<sup>27</sup> В. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалетин, Тбилиси, 1941.

<sup>28</sup> რ. აბრამიშვილი, რყენის ათისების საიხთხათის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ.

XIV—XI სს.) საქართველის სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. XII B 1961, გვ. 232.

<sup>29</sup> დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან, (ნათელა), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XVIII, B, თბილისი, 1959, ტაბ. XII, სურ. 3.

პირები ნაპოვნია ისეთ ძეგლებში, რომლებიც ძვ. წ. XIII საუკუნით თარიღდება. მასარზე სამანველე ნახევრების ირგვლივ ორსაღტიანი, მთლიანმასრანი და მადამორგავაქედინი შებუსპირი ნაპოვნია საგარეგნოში გოგრაფურში სამაროვნის I უბნის № 1 სამარხში (რგ. 8—54:31). კომპლექსი შებუსპირის გარდა შეიცავს შედგენილტარიანი სატევარს (რგ. 8—54:21). რ. აბრამიშვილმა თავის ერთ ნაშრომში შედგენილტარიანი და მთლიანად-სტელი დაბალქედინი სატევარის თარიღი ძვ. წ. XIII—XII საუკ. განსაზღვრა. უფრო მოკვირანებით კამოქვეყნებულ ნაშრომში იგი აზუსტებს ამ მოსაზრებას და დასძენს, რომ მას უფრო მართებულად მიაჩნია დაბალქედინი სატევრები-დან უფრო მოკვირან სატევრები (მათ აქვთენებს დანშირ და სამთავროს 240 სამარხში აღმოჩენილ სატევრება) ძვ. წ. XII საუკ. I ნახევრით დათარიღოს. მანამდე შედგენილ ტარიანი სატევრების თარიღი რამდენიმე ადრეულია და იგი შეიძლება განისაზღვროს ძვ. წ. XIII საუკუნით. ამ მოსაზრებას სისწორეს მხარს უჭერს ნავთლუდის № 1 ამათიანი ინვენტარი და სხვა ასე, რომ, გოგრაფიურში ნაპოვნია სამაროვნზე აღმოჩენილი ზემოთ დასა-თვლებული კომპლექსი ძვ. წ. XIII საუკ. ძველად შეიძლება მივიჩნიოთ. ნავთლუდის № 2 სამარხში ასეთი შებუსპირია ნაპოვნი. ასეთვე მასარაშე-ტელი, მასარზე რელიეფური კონცენტრული ორ-რგოლიანი შებუსპირი შემთხვევით აღმოჩენილია იმავე სამაროვნზე 1955 წ. ნავთლუდის სამარო-ვნზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები დაახ-ლოებით ერთდროულად ჩანს და მასში შემავალი პიუთები მკვლევართა უმრავლესობის მიერ ძვ. წ. XIII—XII საუკუნითაა დათარიღებული. რ. აბ-რამიშვილმა ბეთანენის № 13 სამარხის დაახლოე-ბით სინქრონულ ძეგლებზე მიაჩნია სასარკეთის გან-ბი. 1955 წ. ნავთლედში აღმოჩენილი კომპლექსი და ლ. შენის № 2 უორღანები. ხოლო ბეშ-თანენის № 1 სამარხს იგი დაახლოებით ძვ. წ. XIV—XIII მ.ჩ.წ. ახლო ხანებით ათარიღებს. სე რომ, ზემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასა-ლებს მიხედვითაც კი მაღალი და მრგვალქედინი შებუსპირები ზოდა ქართლში ძვ. წ. XIII ს. ჩანს გამოყენებული და განავრცობს არსებობას უფრო მოკვირან პერიოდში. ამასთანავე, თუ მხედველო-ბაში შეივლებთ ურბნისის № 219 სამარხის დანარ-ჩენ არქეულ ინვენტარს, მაშინ ამ ძეგლის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი მიახლოებით ძვ. წ. XIII ს. შევიძლია განვსაზღვროთ. მთლიანად ურბ-

ნისის № 219 სამარხის ინვენტარი შეიძლება და-თარიღდეს ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებით. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემობას, რომ № 219 სამარხში მოხვედრილი სეგმენტური იარა-ღები დასავლეთ საქართველოდან უნდა შემოეტა-ნაო, მაშინ ისიც უნდა ვფიქროთ, რომ ურბნისში აღმოჩენილი სეგმენტური იარაღები მას შემდეგ მოიტანეს აქ, რაც კოლხეთში ის უკვე საკმაოდ გავრცელებული იყო; ისე რომ, იგი რამდენიმე გვიანდელი შეიძლება იყოს, ვიდრე მელექედურის განძისეული სეგმენტური იარაღებია, რომლებიც თავის მხრივ, კომპლექსის მიხედვით, ყველაზე ად-რეული უნდა იყოს დღემდე მოპოვებულ ამ ტიპის იარაღთა შორის. მელექედურის განძი I სახეობის კოლხური ცულისა და ფთოლისებრი, მასრაგასნი-ლი შებუსპირის მეშვეობით უკავშირდება ს. დღეირისში (ცხინვალის მახლობლად) 1957 წ. აღ-მოჩენილ სამარხეულ კომპლექსს, რომლის შემად-გენლობაში გარდა ცულისა, მასრაგასნილი შე-ბუსპირისა და თხისი კურკლისა, შედის მრგვალგა-ნივკეთიანი, მოკლე, თავგია შეიწიძი, რომელიც აღნიშნულ კომპლექსს აკავშირებს სამთავროს უძ-ველეს ორმო-სამარხების ჩვეულებას. მანამდე მელექედურის განძი ბართოხის მეშვეობით ურეკის განძთან და მის თანდროულ მახუნციეთის კოლქ-ციასთანაა დაკავშირებული, დაბალპირიანი და შეე-ტრტანიანი ცულების მეშვეობით კი ერგეს, ბიკ-ვინთის, ლიხნის, ლილაშის განძებთან, ხოლო სეგ-მენტური იარაღების მეშვეობით ურბნისის № 219 სამარხეულ კომპლექსთან; ეს კი ძველს უფროდ სანტერესოდ ხდის, რამდენადაც იგი აკავშირებს შუა და გვიანი ბრინჯაოს პერიოდებს. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ მას ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძვ. წ. XV—XIV ს. ძველად მივიჩნევთ; უოველ შემთხვევაში, მისი ზედა ქრონოლოგიური საზღვარი არ უნდა გასცილდეს XIV ს. გასულს.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შე-ლექედურის განძის თანდროული რამდენიმე განძია აღმოჩენილი. პირველ რიგში უნდა დავსა-ხელოთ დიშის განძი, რომლის შემადგენლობაში 12 ცულია (ტაბ. IX). ისინი ზუსტად იმეორებენ შე-ლექედურის განძის ცულების ფორმებს. ამიტომ ჩვენ მათ ერთდროულობას არ ვთვლით საუკვოდ. მელექედურის განძის თანდროული შეიძლება იყოს სხვ. ერგეში (ზემო-ოქოკი) 1960 წ. აღმოჩენილი განძი (სურ. 31-ა.). აღნიშნული ცულების ერთი ნაწილი ერგესა, მახუნციეთისა და მელექედურის

30 რ. ტყეშელაშვილი, არქეოლოგიური დაზვერ-ვები თბილისში და თბილისის მდ.მოხეობში, მოკლე ახვარში, იქვედება.

31 რ. აბრამიშვილი, დასა. ნაშრ., გვ. 326.

32 იქვე. დასა. ნაშრ., გვ. 318—319.  
33 Б. В. Тихов, К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви, Тбилиси, 1963, სურ. 30.

ცულებს უკავშირდება. ეს კი უფლებას გვაძლევს აღნიშნული ძეგლი ასაკით გვეუთანაბროთ მეღვე-  
დურის განსს და დავათარილოთ ძვ. წ. XV—XIV  
საუკუნით. მეღვედურის და ღმის განძებს I სა-  
ხეობის კოლხური ცულის მეშვეობით უკავშირდ-  
ება ლაღაშის განძი (სურ. 2), ხოლო ეს უკასახე-  
ლი II<sup>1</sup> ქვესახის (მრგვალსერელანო) ცულებს  
მეშვეობით—ბიკვინთის, ლიხნესა და სოსუმის  
მთის განძებს და ღვედის კოლექციას (სურ. 85).  
როგორც ვხედავთ. ამ განძის სავარაუდო თარიღი  
გმოსიყვეა ზემოაღნიშნული კანძების თარიღს ძვ. წ.  
XV—XIV საუკუნეებს.



სურ. 85. ცული ღვედიდან  
(წულგვიძის რაიონი)

რაც შეეხება სოსუმის მთის განძს, როგორც  
ზემოთ აღვნიშნეთ, მის შემადგენლობაში ბიკვინ-  
თისა და ლიხნეს იმ ცულების მსგავს ფორმებთან  
ერთად, რომლებიც II სახეობის კოლხურ ცულებს,  
განეკუთვნება, არის რამდენადმე განვითარებულ  
ცულიც. ამიტომ ეს განძი ოდნავ მოგვიანო პერიო-  
დისა შეიძლება იყოს, ვიდრე ბიკვინთისა და ლი-  
ნეს განძის ზედა ქრონოლოგიური საზღვარია; მ-  
ახლოებით იგი შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. XIII;  
საუკუნით.

მომდევნო პერიოდის, ე. ი. ძვ. წ. XIV საუ-  
კუნის და XIII—XII საუკ. ძეგლებს კაცი-

ლებით მეტი ჩაოდნობითაა აღმოჩენილი ჩვენს  
ტერიტორიაზე, ვიდრე წინა რე ხანისა.

ამ რიგის ერთ-ერთ ძეგლად ჩვენ მცვახხია  
ზენითში 1935 წ. აღმოჩენილი მასალები (სურ. 7)<sup>2</sup>  
აღნიშნული განძი ცულს მეშვეობით უკავშირ-  
დება, ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ცუებს. ძე-  
ღვედურის, ღმის, ლიხნესა და ბიკვინთის გახ-  
ძებს; განძის შემადგენელი სამკუთხა დაბალირა-  
ხი მჭრის დასაშუალებელი იარაღების (ნართოხე-  
ვის) სახესებზე, ვადკრით არაფრის თქმა არ შევიძ-  
ლია. აქეთ იარაღები ძვ. წ. II ათასწლეულის ძეა  
ხანების ძეგლებში არ არის ნაპოვნი. იგი ერთგვარ  
განვითარებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს  
უჩუკს და მეღვედურს ვაწროპირიან. ბო-  
ლომორგვავებულ ბართებებსა.

სხვათა შორის, ზენითური ბართისის მსგავს  
ნაკლები იარაღი შრომის განძის შედგენილობა-  
შია. ხოლო ეს განძი, როგორც ქვემოთ დავინახეთ,  
ძვ. წ. XIII ს-ით თარიღდება. რაც შეეხება განძისე-  
ულ წალღს. იგი კოლხეთის სამხრეთ ზონში გავ-  
რცელებული ამ ტიპის იარაღების მსგავსია. დღე-  
ისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედ-  
ვით კი ამგვარი იარაღები ძვ. წ. XIII ს-ით  
ადრეულ ძეგლებში არ გვხვდება. ასე რომ ვახძის  
სავარაუდო თარიღი ძვ. წ. XIII ს. შეიძლება იყოს.  
ყოველ შემთხვევაში მისი ზედაქრონოლოგიური  
საზღვარი XII ს. საწყის პერიოდს არ უნდა გას-  
ცილდეს.

თანადროული შეიძლება იყოს განძები ფარ-  
ცხანაყანევიდან (სურ. 4) და ს. გორადან (სურ. 5, 6).  
აღნიშნულ განძებს ერთმანეთთან აკავშირებს ცუ-  
ლები და სეგმენტური იარაღები; ორივე განძის  
შედგენილობაში სეგმენტური იარაღის მხოლოდ  
ერთი ტრაპეციისმაგვარი სახეობაა. ისინი აღხა-  
ვობით უახლოვდებიან მეღვედურის განძისა და  
ურბნისის 219 სამარხის შენატვის იარაღებს. რო-  
გორც ადრე ვეკონდა აღნიშნული, სეგმენტური ი-  
არაღის ეს სახეობა შედარებით ადრე ხახს ვა-  
მოყენებულ. მაგრამ არსებობს განაგრომის დღე-  
ხნის განმავლობაში ამიტომ ძნელია ან განძების  
უათარიღების დროს ამისაველად ისინი გავიხადოთ.  
რუმცა ის ფაქტი, რომ განძების შენადგენულ შრა-  
ქარისებრი სეგმენტური იარაღებს შორის ამ ტი-  
პის იარაღის რომელიმე სხვა სახეობა არ შედის.  
კვაარაუდებინებს მის შედარებით ადრეულობას.  
იგივე განძის შემადგენლობაში შესტად ერთხაირი  
ცულია. ცულები აღნაგობით უფრო I სახეობის  
კოლხური ცულებსავე იხებება. მაგრამ მისი უფ-  
რო მეტად განვითარებული ფორმა ჩანს და შე-

<sup>2</sup> Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших кор-  
нях грузинской культуры на Кавказе..., ტაბ. VIII  
სურ. 1—5.

ლება ვარაუდო, მათი უშუალოდ განვითარება იყოს. არტომ ჩვენ უფლება გვაქვს ეს განმეობი შევსაღეღრისა და მისი თანადროული განმეობის შობდეუხი საფეკიურს დავეკვეზიროთ და დავთარიღოთ იე. წ. XIII საუკუნით.

ამ პერიოდის ძეგლებს შორის მეტად საყუარა: ღლები და ანგარიშგანსაწევა ქვემო-სასიროთის განძი (ტაბ. X). სასიროთის განძის ცალკეული ხეგთები ახლოა მთელ რიგ ისეთ ძეგლებთან. რომლები უშდარებით უფთ თარიღდება. ნავთლული: № 1 სამარხის კომპლექსი ყუბაშე შვირილიახი დაღი ზომის აღმოსავლურ ქართული ცულის მეშეურობით უკვეშობრდება სასიროთის განძს<sup>34</sup>. სასიროთის განძის ლაგმებთან დაკავშირებულ კავიან რკთვლებთან უახლოეს ანალოგს პოულობს იმავე ნავთლულის სამაროვანზე 1955 წ. არქეოლოგ ო. ტუეშელაშვილის მიერ გათხრილ სამარხში აღმოჩენილი ლაგმების შესატყვისი ნაწილები<sup>35</sup>. ნავთლულის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი ერთი ვანაზღერული პერიოდისა ჩანს და წვენს მიერ დათარიღებულია იე. წ. XIII—XII საუკუნით<sup>36</sup>. იე. წ. XIII—XII საუკუნეებზე რვავე სამაროვანზე 1955 წ. გათხრილი სამარხის ინვენტარს ო. ტუეშელაშვილი და რ. აბრამიშვილი<sup>37</sup>. პირველ გ. ნორაძე სასიროთის განძს სამთავროს სამაროვანის ძველი (ორბუ) სამარხების თარიღოვლად მიიჩნევს. ხოლო სამთავროს აღნიშნული სამარხების კვედა ქრონოლოგიურა საზღვარი იე. წ. XII საუკუნემდე აყავს<sup>38</sup>. სასიროთის განძს ახლო შეხვედრბი აქვს ლქაშენის (სომხეთის სსრ) ყორღანულ სამარხებთან; ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთის მხრივ ლაგმები და მასთან დაკავშირებულ: საყუბურებო თუ კავიანი რკოლები და მეორე მხრივ ტულები (ჩეგუღეგები). ლქაშენის ყორღანულ სამარხების ინვენტარი თავის მხრივ შეხვედროება პოულობს რკოვრც 1950 წ. ჩვენს მიერ ნავთლულში გათხრილი № 1 სამარხის ინვენტარის გარკვეულ სახებებთან, ისე იმავე სამაროვანზე 1955 წ. გათხრილ სამარხთან და ბეშთაშენის № 13 სამარხის ზოგერთ ნოვთან. ა. მნაკაიანი-რამდენჯერმე განხილავს ლქაშენის ყორღანებთან მომდო-

ნარე არქეოლოგიურ ძეგლებს და მათ თარიღს. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლქაშენის ყორღანები შეიკლება დათარიღდეს იე. წ. XIII—XII საუკუნეებში<sup>39</sup>.

სასიროთის განძისა და მისი თანადროული ძეგლების თარიღი ვრცლად აქვს განხილული არქეოლოგ რ. აბრამიშვილს. მკვლევარი ბეშთაშენის სამაროვანზე გათხრილი № 13 სამარხის სინქრონულად მიიჩნევს ერთის მხრივ სასიროთის განძის და ნავთლულის სამაროვანზე 1955 წ. აღმოჩენილი კომპლექსს, ხოლო მეორე მხრივ ლქაშენის № 1 და № 2 ყორღანში აღმოჩენილ მასალებს. ბეშთაშენის № 13 სამარხის, სასიროთის განძისა და ნავთლულში აღმოჩენილი კომპლექსების ურთიერთდაკავშირებულად მას მიანჩნია ლაგმებთან დაკავშირებული კავიანი რკოლები; სასიროთის განძისა და ლქაშენის № 2 ყორღანის დამაკავშირებლად წარული საყუბურებიანი ლაგმები. შესადაგებელი მასალების გათვალისწინებით ბეშთაშენის № 13 სამარხის კომპლექსის თარიღად დაახლოებით იე. წ. XIV—XIII სს. მიჩნის ახლო ხანებს მიიჩნევს, ხოლო ბეშთაშენის № 13 სამარხი გარკვეული ნიშნებით რამდენადმე აღრეულად მიანჩნია ლქაშენის № 1 და № 2 ყორღანებთან შედარებით<sup>40</sup>. ამრიგად, დღეისათვის მკვლევართა უმრავლესობა ლქაშენის № 1 და № 2 ყორღანს იე. წ. XIII ს. ათარიღებს. ლქაშენის აღნიშნული ყორღანების ინვენტარის ნაწილი, რკოვრც წინ აღენიშნეთ, ახლო ანალოგიას პოულობს სასიროთის განძის ნოვთების ნაწილთან.

სასიროთის განძის შემადგენლობაში არის განიერქედიანი სატევრისპირი. განიერქედიანი სატევრისპირების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ისინი ძირითადად გვიანბრინჯაოს პერიოდის აღრეულ საფეხურზე ან მის უშუალო მომდენო პერიოდში ჩანს ხმარებაში, შემდეგ კი არა.

სასიროთის განძის კოლხური ცულის (ტაბ. X, სურ. 6) ანალოგიაა (მეგრამ უფრო განვითარებული ფორმა) ბეშთაშენის სამაროვანის № 11 სამარხში აღმოჩენილი კოლხური ცული<sup>41</sup>. № 11 სამარ-

<sup>34</sup> ი. ნორაძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, წიგნი 1, გვ. 170—171, სურ. 51.

<sup>35</sup> რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 318.

<sup>36</sup> ი. ნორაძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლების ნიშნულისათვის, საქ. საბ. მეზუემის მოამბე, ტ. XX II, 1952, გვ. 47.

<sup>37</sup> ო. ტუეშელაშვილი, 1955 წ. თბილისში წარმოებულ არქეოლოგიურ დაზვერებებს ანგარიში.

<sup>38</sup> რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 318—319.

<sup>39</sup> G. Nioradze, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

<sup>40</sup> A. B. Mnačakiazi, Древние повозки из Курганов бронзового века на побережья оз. Севана, СА, № 2, 1962, გვ. 152.

<sup>41</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის თვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 318—319. ა. მნაკაიანიჩანს ჩვენთან პირადი საუბრის დროს გამოთქვა მოსაზრება, რომ № 2 ყორღანი თითქმის რამდენადმე მოთქვამს ნაწი ვიდრე № 1 ყორღანი. აღნიშნული მოსაზრების მხარი დღეისათვის რ. აბრამიშვილმა № 2 სამარხში შეღებულ ტარაინ სატევრისა და სხვა ზოგერთი ძეგთი ნოვთს არსებობის გამო, რომლებიც შედარებით აღრეულად ჩანს

<sup>41</sup> B. A. Kuyubidi, დასახ. ნაშრ., სურ. 11.

ხის ინვენტარის ერთი ნაწილი (შუბისპირი, საბდონის ექვსწახაგა მძივეები და ბრინჯაოს სარდღირდებოვანი სარტყელი) უახლოეს ანალოგიას პოულობს № 13 სამარხის შესატყევის ინვენტართან. ხოლო იმავე სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს სფერული ლახისთავი და შუბისპირი № 19 სამარხის შესატყევის ინვენტართან. ასე რომ, აღნიშნული სამარხები სინქრონული უნდა იყოს; სამარხების ამ ქვეყნს კი რ. აბრამიშვილი ძე. წ. XIV—XII საუკუნეებით ათარიღებს, ხოლო კონკრეტულად № 11 და № 19 სამარხების ინვენტარს ძე. წ. XIII და XII ს. I ნახევრით<sup>42</sup>. ამრიგად, ბეშთაშენის № 11 სამარხის ინვენტარს დაახლოებით ძე. წ. XIII ს. და XII ს. I ნახევრით ათარიღებენ. მაგრამ სასირეთის განძის კოლხური ცული ბეშთაშენის № 11 სამარხის კოლხურ ცულთან შედარებით ზოგიერთი ნიშნით რამდენადმე არქაული ჩანს. რაც შეეხება ბრტყელ ცულებსა და განძის ზოგიერთ სხვა ნივთს, მათ შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა შეუძლია. იმიტომ, რომ კომპლექსებში მათი უახლოესი ანალოგია არ გვაქვანია. სასირეთის განძი შეიძლება დათარიღდეს ძე. წ. XIII საუკუნითა და XII ს. საწყისი პერიოდით.

ამვე პერიოდით (ძე. XIII—XII სს. მიჯნით) შეიძლება დათარიღდეს დიდძალ განძი, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ აღმოსავლურ-ქართული დიდი ზომის, ყუაზე შევრილიანი ცულები შედის. მსგავსი სასირეთის განძის, ან ნავთლუდის № 1 სამარხში აღმოჩენილი ცულებსა.

ძე. წ. XIII ს. II ნახევრისა და XII ს. საწყისი პერიოდისა უნდა იყოს საინტერესო განძი ორდულდან (სურ. 10). ორდულს განძის დათარიღების დროს პირველ რიგში ბრტყელი ცულის ასაკს ვაეარკვევთ. ორდულს ბრტყელი ცულის ახლო პარალელურია ბოლასკეის III ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი ბრტყელი ცული, რომლებიც თარიღდებიან ძე. წ. 1500—1200 წწ.<sup>43</sup>. უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება ორდულს ბრტყელი ცულის ანალოგია მერსინიდან. რომელსაც გამთხრელი ამ ძეგლის IX ფენას მიაკუთვნებს და ამ უქანსკენს ათარიღებს ძე. წ. 1600 წ. მიახლოებული დროით<sup>44</sup>. „განიერქუსლიანი“ და კოტსებრი. შევრილიანი ბრტყელი ცულები ხმარებაში დიდი ხნის ვანმავლობაში ყოფილა, მაგრამ მათი ზედა ქრონოლოგიური საზღვარი XIII ს. მიწურულსა თუ XII ს. საწყის პერიოდზე დაბლა აღარ მიდის. როგორც

ჩანს, ძირითადად ბოლასკეის ბრტყელ ცულს ითვალისწინებდა პოლონელი არქეოლოგი სტ. პრევერსკი. როდესაც ორდულს ვანით დათარიღდა ძე. წ. XII საუკუნით<sup>45</sup>. როგორც აღვნიშნეთ, ბოლასკეის ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ბრტყელ ცულებთან ორდულს ბრტყელი ცულის ახლო ანალოგია გვეს არ უნდა იქვეყნდეს; და თუ აღნიშნული ცულების ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძე. წ. XIII—XII საუკ. მიჯნას ემთხვევა. ორდულს განძის ზედა ქრონოლოგიური საზღვარიც. ბრტყელი ცულის მეშვეობით ამ პერიოდით უნდა განვსაზღვროთ. ჩვენის აზრით. ამას განძის სხვა ნივთებიც არ უშლის ხელს. განძის შემადგენლობაში კოლხური ტიპის 5 ცულია რომელთაგან ერთი უახლოვდება ფარცხანაყანევის და გორას, სასირეთისა და რამდენადმე დიდის ცულებს; ასე რომ, იგი კოლხური ცულების იმ ვარიანტის უშუალო განვითარებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებსაც ზედმიწევნით დაბალი და გორდა, მკვეთრად ასიმეტრული პირი აქვს. დანარჩენი ცულების ერთი ნაწილი კოლხური ცულის II სახეობის იმ ვარიანტს მიეკუთვნება, რომელსაც მახვილი ყუა აქვს; ჩვენ მხედველობაში გვაქვს გოდოგანის ცულების ერთი კვლევი (სურ. 86, 1, 2), ხოლო გოდოგანის ცულებიდან ერთი ვაგზემლარი (შვეტილტანიანი და გორდა ასიმეტრიულპირიანი) ახლო ანალოგიაა ფარცხანაყანევისა და გორას ცულების (სურ. 52). რაც შეეხება ორდულს განძის იმ ცულს (სურ. 102). რომელსაც მახვილი ყუა, თითქმის თანაბარი სიგანის ტანი. შევტილი შუბლი აქვს, ის ანალოგიას პულობს ლილშისა და ლევიდის (სურ. 85) ადრეულ ცულებთან. მაგრამ ამ უქანსკენს, მათგან განსხვავებით. ოვალური სატარე ხეილი აქვს

წალი თავის ფორმით მსგავსია ზენითორი და მსგავსი იარაღებისა; ასე რომ, მთელი ეს მონაცემები ძეგლს განსაზღვრავს ძე. წ. XIII—XII ს. მიჯნით.

ძე. წ. II ათასწლეულის II ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის თავისი შემადგენლობით უწარადლებს იმსახურებს უღეს განძი: მის შემადგენლობაში ბრინჯაოს ნივთებთან ერთად. რკინის ადრეული ნივთებიცაა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღმოჩენილია კოლხეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. განძის შემადგენლი ნივთების ურთიერთ შედარებებიდან ჩანს, რომ ამ კომპლექსის უდიდესი ნაწილი კოლხური კულტურ-

<sup>42</sup> Claude F. A. Schaeffer, დასხ. ნაშრ., გვ. 274.

<sup>43</sup> J. Garstang, Prehistoric Mersin, Oxford, 1953, სურ. 129, გვ. 212.

<sup>44</sup> S. V. Przeworski, Die Grottenfund von Ordu, გვ. 58—62.



ოის წრეს განეკუთვნება<sup>46</sup>. რომ ზემო ქართლის ეს ნაწილი ადრეული რკინის ხანაში უდეს განძის მსალებს მიხედვით ე. წ. დასავლურ-ქართული კულტურის წრეში შედიოდა<sup>47</sup>. აღნიშნული განძის დათარიღებასთან დაკავშირებით არ არის აზრთა ზუსტი ერთობა. ტ. ჩუბინაშვილი განსს თავდაპირველად ძვ. წ. XI—IX სს. ათარიღებდა<sup>48</sup>. უფრო მოვლიანებით გამოქვეყნებულ სპეციალურ ნაშრომში ძველის ქვედა ქიროლოგიური სახლ-ვარი უკვლავადაა დატოვებული. ხოლო დასხვებულბა მისი ზედა ქიროლოგიური ზღვარი და იგი განსაზღვრულია ძვ. წ. X საუკუნით<sup>49</sup>.

არქეოლოგი რ. აბრამიშვილი ძვ. წ. XI—X ს. უფრო ადრეულად მიიჩნევს უდეს განძს. იგი თვლის, რომ გრძელი ე. წ. პირამიდისებრი საკრძები ძვ. წ. XIII—XII სს. ძველბერსათოს არის დამახასიათებელი. ხოლო რაც შეეხება გრძელუენწიან ე. წ. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტ-პის ისრისპირებს, მათი სახესხვაობები. ავტორის აზრით. დიდი დროის მანძილზე გვხვდება. ძვ. წ. XIV—XIII ს-დან (მაგ. ბუმისშენის სამაროვნის № 4 და II ორმოსამარხები) ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებამდე (იხ. მაგ. სამთავროს სამაროვნის №№ 38, 121, 202 და სხვა ორმოსამარხები). ავტორი უდეს განძის დათარიღების დროს საყრდენ მასალად მიიჩნევს სოფ. დვანში (გორის რაიონი) 1952 წ. აღმოჩენილ სამარხულ კომპლექსს. რომელიც პროფ. ს. მავალიათას აქვს გამოქვეყნებული<sup>50</sup>. არ ეთანხმება რა სამარხეული კომპლექსისთვის. ს. მავალიათას მიერ განსაზღვრულ თარიღს (ძვ. წ. VIII—VII სს.). იგი მასში შემავალი ზოგიერთი ნივთის (ბრინჯაოს სატყვარი, მასრაგახსნილი შუბისპირი და სხვა) მიხედვით ძველს ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულითა და XII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს<sup>51</sup>. ჩვენ ძირითადად ანათებულად გვეჩვენება აღნიშნული მისაზრება. განძის შემადგენლობაში ბრინჯაოს ოთხი ცულია, მათგან ორი კოლხური ცულების I სახეობას წარმოადგენს. ერთს სწორი ტანი და ჩაქუჩისმავგვარად მოწყობილი სატარისაგან ყელით გამოყოფილი ყუა. მეორედ ჩაღრული სატარის ზედაპირი. შედარებით დაბალი და სქელი წელი და გორდა პირი აქვს. აღნიშნული ცული ჩვენთვის ხელმისაწვდომი არქეოლოგიური მასალების მიხედვით არ უნდა

იყოს ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისზე გვიანდელი. აღნიშნული ცულის (სურ. 11) ზუსტი ანალოგიაა ქედის რაიონის სოფ. სალორეთში (პირველი მისი) 1961 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ცული (იხ. !6391). ამის საფუძველს გვაძლევს მასთან ერთად ნაპოვნი I სახეობის კოლხური ცული (იხ. 18392). აღნიშნული ცულის ახლო ანალოგის წარმოდგენს ფარცხანაყანევის განძის ცული (სურ. 4) და ცულები გორას განძიდან (სურ. 5), რომლებიც ჩვენს მიერ ძვ. წ. XIII ს. დათარიღებული. ასე რომ. სალორეთის ცულები შეიძლება ძვ. წ. XIII—XII ს. მივნით დათარიღდეს. ამავე თარიღით შეიძლება განისაზღვროს უდეს განძის ჩაქუჩისებრყუინი ცული. რა შეიძლება ითქვას იმავე განძის დანარჩენი ცულების შესახებ. ისინი. ჩვენის აზრით, XII ს. საწყისით, მისი პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს. ეს ცულები (სურ. 11ა) უახლოვდება ორდეს განძში შემავალ შევტილტანთან და გორდაპირთან ცულს (სურ. 10ა), ხოლო მეორე მხრივ—მეორეულტანის განძისეულ იმ ცულს. რომელსაც შედარებით მაღალი და ვანიერი პირი აქვს, მაგრამ წელი შედარებით დაბალი და სქელი.

უდეს განძის შემადგენლობაში ბრინჯაოს 12 შუბი და ხელშუბისპირია; მათგან ერთი ნაწილი გრძელი და გახსნილმასრიათა (სურ. 11<sub>ა-ბ</sub>)<sup>52</sup>; ერთი ნაწილი ამ შუბისპირებისა ყურადღებას იმსახურებს პროლორციულობითა და გაფორმებით (ზოგიერთი ცალის მასრა გრავირებულია ფანტასტიური ცხოველების გამოხატულებით). აღნაგობით და ზოგჯერ გაფორმებითაც მსგავსი იარაღები გვხვდება როგორც შიდა ქართლის, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. უდეს განძის შუბისპირების ახლო ანალოგია ს. დვანში აღმოჩენილ სამარხულ კომპლექსში შემავალი საკმაოდ კარგი სახელოვი—გრძელი და გახსნილმასრიათი შუბისპირი, რომლის მასრის ზედაპირი შემკულია ცხოველური და სპირალური სახეებით, ხოლო პირზე გატარებული ქედის ამაღლებულ ნაწილზე დარბეია გავლებული. რის შედეგად წიბურება წარმოქმნილია<sup>53</sup>. უდეს განძის ფრთებმორაკულურ. გრძელი და გახსნილმასრებიან შუბისპირებთან ახლო ანალოგის პოულობის თბილისში, ნაძალადეგში აღმოჩენილი შუბისპირი,

<sup>46</sup> იხ. ქავახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი, უდეს განძი, გვ. 61.

<sup>47</sup> რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 347, სქილი.

<sup>48</sup> ტ. ჩუბინაშვილი, გ. ი. ტატიშვილი, ო. ს. გამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>49</sup> იხ. ქავახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>50</sup> С. И. Макалатна, Погребение эпохи поздней бронзы из сел. Двани, КСИИМК, вып. 69, 1957, гв. 143.

<sup>51</sup> რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 324—326.

<sup>52</sup> იხ. ქავახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

<sup>53</sup> С. И. Макалатна, Погребение эпохи поздней бронзы из сел. Двани, КСИИМК, вып. 69, 1957.

რომლის პირზე გატარებული ქედის ამდლებულ ნაწილზე ორი ღართი წიბურება წარმოქმნილი. ნაძალადევისა<sup>54</sup> და დვანის სამარხეულ კომპლექსები ერთმანეთს უკავშირდება აგრეთვე კახური ტიპის დაბალქუდიანი სატევრებით. ხოლო როგორც ნაძალადევის, ისე დვანის კოლექცია კახური ტიპის დაბალქუდიანი სატევრების მიხედვით უკავშირდება სამთავროს № 240 სამარხს. აბრამშვილის ერთ ადრეულ ნაშრომში სამთავროს № 240 სამარხიდან მდინარე სატევარი ქრონოლოგიური ტაბულის იმ სვეტშია მოქცეული, რომელსაც ძვ. წ. XIII—XII სს. ათარილებს<sup>55</sup>. უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებულ ნაშრომში ის რამდენადმე აზუსტებს აღნიშნულ მოსაზრებას და მართებულად მიიჩნევს დაბალქუდიანი სატევრებიდან შედარებით უფრო მოგვიანო სატევრები (რომელთა რიცხვს დვანში და სამთავროს № 240 ორმოსამარხში აღმოჩენილი სატევრებიც მიეკუთვნება) ზოგადად ძვ. წ. XII ს-ის I ნახევრით დაათარილოს<sup>56</sup>.

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ნაძალადევიში აღმოჩენილი ზემოთ ხსენებული მასარავასნილი: შუბისპირი და დაბალქუდიანი, მთლიანდსხმული კახური ტიპის სატევარი, რომლებიც სათანადო სააქტივო მასალის შესწავლის შედეგად ერთი სამარხიდან მომდინარე ჩანს და ისინი დავითარილეთ ძვ. წ. XIII—XI საუკუნეებით. ამჟამად კვიზიარებთ ჩვენს მიერ აღნიშნული მასალების დათარიღებისათვის შემოთავაზებულ ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარს ძვ. წ. XIII საუკუნეს. ოღონდ, ახალი მასალების გათვალისწინებით შეიძლება კორექტივი შეიტანოთ წარმოდგენილ ზედა ქრონოლოგიურ თარიღში და იგი განესაზღვროთ ძვ. წ. XII საუკუნით. ნაცვლად XI საუკუნისა.

უფეს განძი, მასარავასნილი ზემოთ დასახელებული შუბისპირების მიხედვით, უკავშირდება ნაძალადევისა და დვანის კომპლექსებს. ხოლო ნაძალადევისა და დვანის კომპლექსები, მთლიანდსხმული და დაბალქუდიანი სატევრების მიხედვით — სამთავროს № 240 სამარხს. სამთავროს 240 სამარხის, დვანისა და ნაძალადევის კომპლექსები ძირითადად ძვ. წ. XIII ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი ნახევრისა შეიძლება იყოს. რაც კიდევ ერთი საბუთია იშვიათი, რომ უფეს განძის თარიღი ძვ. წ. XIII—XII საუკუნით განესაზღვროთ.

განძის რკინის ნივთების ადრეულობას რ. აბრამშვილი იმით ხსნის, რომ ისინი ადრეული რკინის ხანის ნივთების მსგავსად ადგილობრივი ბრინჯაოს ნივთების მიხედვითაა დამზადებული (მასარავასნილი შუბი. ფოთლისებური სატევარი), აქვეა აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძის მიხედვით დამზადებული საკინძი და ბუშთაშენის № 11 და № 19 ორმოსამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლახტის თავების მსგავსი ლახტისთავი<sup>57</sup>. ამრიგად, ყველა ის მასალა, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ, მხარს უჭერს იმას, რომ ძველი დავითარლოთ ძვ. წ. XIII—XII საუკუნის მიწნით.

თანადროულ ძეგლებად შეიძლება მიჩნეულ იქნას ვაკეჯარის, შრომის, ართვინისა და ყარაღერეს (განთიანის) განძები: ვაკეჯარის, შრომისა და ართვინის განძებს ურთიერთდამაკავშირებლად პირველ რიგში მიგვანჩნია კოლხური ცულები. ისინი თითქმის ყველა პირველი სახეობისაა. მათ შორის მხოლოდ შრომის განძის ცული უახლოვდება პირის სიფართოვით III სახეობის კოლხურ ცულს. ოთხზე განძის შემადგენლობაში II სახეობის სეგმენტური იარაღი. II და III-ისა კი თოხებია. გარდა ამისა, ვაკეჯარისა და შრომის განძის ურთიერთდამაკავშირებლად მიგვანჩნია ერთნაირი ფორმის ბრტყელი ცულების ფრაგმენტები, ხოლო ართვინისა და ყარაღერეს განძებს ერთმანეთთან აკავშირებს ერთგვაროვანი ვერტიკალურხერელიანი ცულები. ამ განძების ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის ძიებისათვის უთუოდ ენგარიშვასაწყევია საქარის კოლექცია (სურ. 17-ა). იგი I სახეობის კოლხური ცულის მეშვეობით ახლო ანალოგიას პოულობს საღორეთის კოლექციასთან; ცულისა და სეგმენტური იარაღების მეშვეობით — ვაკეჯარის განძთან; ასევე, ნაკლები ცულის მეშვეობით დარკვეუთის განძი (ტაბ. XIII, სურ. 8) უკავშირდება შრომის განძს.

ლენჩხუთის მიდამოებში აღმოჩენილ განძებს შორის ერთ-ერთ შედარებით ადრეულ ძეგლად ერთრტყევი დაცული (იხე. 127/17—29. სურ. 19) განძი მიგვანჩნია. მის შემადგენლობაში 12 IV სახეობის დიდ-პატარა კოლხური ცულია. განძის შემადგენელი დიდი ზომის I სახეობის კოლხური ცულის ანალოგიები გვხვდება ართვინის და შრომის განძის შემადგენლობაში.

<sup>54</sup> დ. ქ. რ. ი. ძე, ნაძალადევისა და თბილისის სხვა ადგილებში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს პერიოდის ზოგიერთი საბჭოლოდ იარაღები. საქ. სახ. მუზეუმის მოაზებ. XX B. 1959. I და სურ. 4.

<sup>55</sup> რ. აბრამშვილი, სამთავროს სამარხოვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის დარბო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოაზებ.

ამბე, ტ. XIX A და XI B. 1957, გვ. 139; იქვე, იხილეთ აღნიშნული პერიოდის ქრონოლოგიური ტაბულა.

<sup>56</sup> რ. აბრამშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 325—326.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 326.

ანგენტარის მხედვით თანდროული ჩანს ბობოყვაოს (ტაბ. XI, სურ. 6—8) და მახარის განძი (ტაბ. XXXVII, სურ. 15). მათი ურთიერთდამაკავშირებელია ზუსტად ერთნაირი ფორმის ბრტყელი ცულები. მახარის განძს ზემოდსახელებული მთელ რივს განეკუთვნება I სახეობის კოლხური ცული (ზუღადის მუზეუმი № 4). ბობოყვაოს, ზენითის (სურ. 14) და ყაჩაღერეს განძებში ერთმანეთს უკავშირდება მსგავსი წალღების მეშვეობით. ბობოყვაოსა და მახარის განძებში ბრტყელი ცულებს მეშვეობით უკავშირდებიან შრომის, ვაკიჭერის და ოფშვიტის განძებს. ეს იმითაცაა სარტყრესო, რომ განძები, რომელთა შემადგენლობაში შედის ძირითადად კოლხების და მათში გავრცელებული ეს ბრტყელი ცულები. ნაახლოებით ერთდროული ჩანს და ამდენად. მუხლოვებით მაინც ზუსტდება აღნიშნული ცულები თარიღი: ისინი ერთ ვიწრო ქრონოლოგიურ პერიოდს ძვ. წ. XII ს. და XI ს. საწყისს უხდა ურთიერთი ხმარებაში. ამგვარივე ბრტყელი ცულის ფრაგმენტო ციხისძირსამებრს განძის შემადგენლობაშიცაა. აღნიშნული კოლექცია (ტაბ. XII), კი, როგორც წინ გვქონდა აღნიშნული, კრებულია ორა განძისა. ამიტომ ძველდება მისი ზუსტად დათარიღება. თუმცა ერთად აღებული ციხისძირსამებრს განძის უფრო მასალა შესაძლოა ერთდროული იყოს. ასეთი კარგადეს საფუძველს გვაძლევს ის რომ, მასში ქრონოლოგიურად ერთმანეთისავე იღვდა ნაჩვენებელი მასალა თითქმის არა ჩანს. ეს არ მოვლენთ ზედულობაში სწორტანის თარგებს. რომელთა ანალოგები მოგვიპოვა პერიოდის ცულებს შორისაც გვხვდება. განძის ძირითად ნაშთარღებლად მაინც ბრტყელი ცულის ფრაგმენტო და სეგმენტური იარაღები მიგვჩინია.

ბრტყელი ცულის ფრაგმენტების მიხედვით ეს კოლექცია უკავშირდება მრავალრიცხოვან განძებს (შრომის ვაკიჭერის, ბობოყვაოს, მახარის და ოფშვიტის); სეგმენტური იარაღის III სახეობის მეშვეობით. მხოლოდ ანალოგიას პოულობს პირველ რიგში ყაჩაღერის განძისა და ამავე დროს შრომის, ვაკიჭერის განძებს შესაძლებელია ნივთებთან. აღნიშნული განძების ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენის დროს არ შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული შრომისა და ზენითის განძის უფრო ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატყვეები. ისინი თავიდან აღნაგობით შიდა ქართლში გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურზე გავრცელებულ

ბულ ტარშეურჩენელ. ფოთლისებრი სატყვეებს იშვოებებს (სურ. 12) სამთავროს სამაროვნის სათანადო კომპლექსების მიხედვით. ამგვარი სატყვეები თითქმის აღარ ჩანს ძვ. წ. XIII ს. მოგვიანო პერიოდის სამარხებში. ისე რომ, შრომისა და ზენითის აღნიშნული განძების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ამ იარაღის მიხედვით შესაძლოა მიტანილ იქნას ძვ. წ. XIII საუკუნემდე. მაგრამ ცული და სეგმენტური იარაღები კარგდენდემდე უკან წევებს განძის თარიღს. შრომის განძის უფრო შეიძლება მივიჩნიოთ გარდაამავალ ფორმად I და III სახეობის ცულებს შორის, ე. ი. უფრო მოგვიანო პერიოდის ძეგლად, ვიდრე ძვ. წ. XIII საუკუნეა. რაც შეეხება სეგმენტური იარაღებს, მათ შეესაბამება დადარებით ვერაფერის ვაშობით, მაგრამ ერთი კი აღსანიშნავია. II სახეობის პატარა ზომის სეგმენტური იარაღებს ძვ. წ. XIII ს. მწიურულზე ადრეულ ძეგლებს შორის ვერ ვხვდებით.

ზემოთ მოტანილი მასალების მიხედვით აღნიშნული განძების სავარაუდო თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ. წ. XII საუკუნე ან ზოგჯერ XI ს-ის საწყისი პერიოდი.

ნივთიერი მასალების მიხედვით ამავე პერიოდისა შეიძლება იყოს 1926 წ. ზენითში აღმოჩენილი განძი და განძები: საქარაიან, დარკვეთიდან, ლალიანიდან (ერმთიანში და ცული), ბობოყვაითიდან და მახარისიდან.

ზენითის აღნიშნული განძი (სურ. 14) I სახეობის კოლხური ცულისა და ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატყვეის მეშვეობით უკავშირდება შრომის განძს. ვაკიჭერის, შრომის და ართვინის განძს იგი აგრეთვე უკავშირდება III სახეობის სეგმენტური იარაღის მეშვეობით.

ძალიან გვიძნელდება გოგოლისუბნის განძის დათარიღება. ძეგლის პირველი გამოქვეყნებული არქეოლოგიკ ტ. ჩუბინიშვილი განძის აბსოლუტური თარიღზე არაფერს ამბობს; იგი მას გვიანბრინჯაოს ხანის აკუთვნებს<sup>58</sup>. ერთადერთი ნივთი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ განძის თარიღი, ეს კოლხური ცულია (ტაბ. VIII, სურ. 7), რომელიც კოლხური ცულების ადრეული წარუფისავე ინხება და ყველაზე უფრო ვაკიჭერის ცულის უახლოვდება<sup>59</sup>, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს ორი ძეგლი თანდროული შეიძლება იყოს. ქიმიური ანალიზების მიხედვით, ძეგლი ადრეული პერიოდისავე მიიწევს, რადგან შემადგენლობაში ძირითადად სპილენძია.

<sup>58</sup> ტ. ჩუბინიშვილი, გოგოლის ებანში გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიკური კომპლექსის აღმოჩენის გამოცხადება, 269—286, სურ. 1, 2.

<sup>59</sup> ი. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, თბილისი, 1953, სურ. 1.

დიდ ინტერესს იწვევს ქუთაისის მუზეუმში დაცული განძი ზემო სიმონეთიდან (სურ. 18)<sup>59</sup> და ეს ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ მასში თავმოყრილია კოლხური აღმოსავლურ-ქართული და აღმოსავლურ-აქავასიურ-ქედაბეურ კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები. ამ ძეგლის დაზარალება ძნელდება, რადგან მასში თითქმის არ არის კოლხური და იბერიული კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი ნივთი, რომელიც ზუსტად დაზარალებილიდეს. სამაგიეროდ განძის დაზარალებაში ერთგვარად დახმარება ქედაბეური მახვილების ფრაგმენტებმა უნდა გავეციფიონ.

აქტორთა კოლექტივი მინგეჩაურის არქეოლოგიური ძეგლებს შესწავლის დროს იძლევა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოვლენილ გვიანბრინჯაოს პერიოდისა და მისი მომდევნო ხანის მასალების ერთგვარ პერიოდისადაც. გვიანი ბრინჯაოს შედარებით ადრეული ძეგლები (რომელთა შემადგენლობაში მათ მიერ შეტანილია ქედაბეური გრძელი მახვილები) დაზარალებულია ძე. წ. XIII—XI საუკუნეებით, უფრო გვიანდელი ჯგუფი ძე. წ. XI—X საუკუნეებით, იქვე აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის (II პერიოდის) ძეგლებს შორის აღარ ჩანს განივიპირიანი მახვილები, ჩუგლუები და ზოგი სხვა ნივთები<sup>60</sup>. ჩვენ ქედაბეური მახვილის თარიღის ამგვარად განსაზღვრას მხარს ეუჭერთ და მიგვიჩნია, რომ ქედაბეური გრძელი მახვილები არ უნდა უსწრებდეს წინ ჩვენში გავრცელებულ ბოლომომრგვალებულ მახვილებს ან დაბალქუდიანი კახური ტიპის სატყევეჯის მოგვიანო ჯგუფს. ასე რომ, ზემო სიმონეთის განძი ქედაბეური მახვილების მიხედვით შეიძლება დათარიღდეს ძე. წ. XIII—XI საუკუნეებით; მაგრამ, რადგან განძის შემადგენლობაში აღმოსავლურ-ქართული ცულის შედარებით განვითარებული თუ მოგვიანო ვარიანტია, ვიდრე ყუაზე შვერილიანი დიდი ზომის ცულები, მისი ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი შეიძლება რამდენადმე უკან დავეწიო და განძი საერთოდ დავათარილოთ ძე. წ. XII—XI საუკუნით. მტკად საყურადღებოა, რომ ამასთან ერთად ჩვენ საშუალება გვეძლევა სწორად ამ პერიოდს დავეკავშიროთ დიდი ზომის ბაჩის ფუნქციის შემსრულებელი სეგმენტური იარაღები; მათი გამოჩენა ჩვენთან უნდა ეთხვეოდეს ძე. წ. XII საუკუნეს; როდესაც ყოფიდან, როგორც ჩანს უკვე იდენებიდან სამკუთხაპირიანი მიწის დასამუშავებელი იარაღება (ბართოხები).

<sup>59</sup> ა. ო. ქ ა თ ა რ ი ძ ე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, თბილისი, 1953, სურ. 5.

<sup>60</sup> Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур (эпоха энеолита и бронзы), Баку, 1959, გვ. 118, 119).

ზემო სიმონეთის განძი სეგმენტური იარაღების მიხედვით ახლო ანალოგიას პოულობს თელოვანის განძთან (ბორჯომის მუზეუმშია დაცული. ტაბ. XIII, სურ. 1—6). თელოვანის განძის შემადგენლობაშიც ხომ დიდი ზომის ბაჩის ფორმის სეგმენტური იარაღებია; მაშასადამე, თელოვანის კომპლექსიც ძე. წ. XII—XI ს-ით. შეიძლება განისაზღვროს. ამავე პერიოდისა შეიძლება იყოს სოხუმში კეკუბას ნაკვეთზე 1912 წ. აღმოჩენილი დიდი ზომის მასიური სეგმენტური იარაღები (განძის შემადგენლობაში მხოლოდ სეგმენტური იარაღები ყოფილა). რადგან ისინი ახლო ანალოგიას პოულობენ როგორც ზემო სიმონეთის, ისე თელოვანის სეგმენტურ დიდი ზომის იარაღებთან (ბართოხებთან)<sup>61</sup>. ძე. წ. XII—XI საუკუნით შეიძლება დათარიღდეს სოფ. ოფშეკეთის განძი (სურ. 15 და 16)<sup>62</sup>. აღნიშნულ განძს შრომისა და ართვინის განძთან აკავშირებს კოლხური ცულები, შრომისა და ვეიკჯერის განძთან — ბრტყელი ცული, ხოლო შრომის, ვეიკჯერისა და ართვინის განძთან — სეგმენტური იარაღების ერთი ნაწილი. თუმცა ამ განძის შემადგენლობაში არის სეგმენტური იარაღების ისეთი ეგზემპლარები, რომლებიც ადრე ჩნდება. მაგრამ მხოლოდ ეს არ გვაძლევს ამის უფლებას, რომ განძი ჩავთვალოთ უფრო ადრეულად, ვიდრე სეგმენტური იარაღების III სახეობა, რადგან ტრაპეციის ფორმის სეგმენტური იარაღები დიდი ხნის განმავლობაში ჩანს სმარბაშიც და, გარდა ამისა, განძის ძირითადი ინვენტარი თანადროული ჩანს შრომის, ვეიკჯერისა<sup>63</sup> და ართვინის განძისეული ინვენტარისა.

ამავე დროისა შეიძლება იყოს კიდევ ერთი ძეგლი აჭარის ტერიტორიიდან, ჩაისუნბიდან (ტაბ. XI, სურ. 9—16). ეს განძი ართვინისა და ყარაღერეს ძეგლებს უკავშირდება ვერტიკალურხვრელიანი ცულის მეშვეობით. ჩაისუნბის განძის შემადგენლობაში არის კიდევ ერთი სახეობა ცულისა, რომელიც თავისი ფორმით (ცვერიანი ყუთი, სწორი ტანიო, და სიმეტრიული, ოდნავ მომრგვალებული პირით) წააგავს საღორეთის ცულს და მისი შემდგომი განვითარება შეიძლება იყოს. განძის შემადგენლობაშია აგრეთვე ტრაპეციის ფორმის, წელში ოდნავ მოხრილი თოხები, რომლებიც უახლოვდებიან ზემოდასახლებული განძის თოხებს. ძე. წ. XI საუკუნისა ჩანს სოფ. ერგეს (ეკალური) (სურ. 20) განძი. ამ განძის შვეტილტანიანი ცულის ზუსტი ანალოგია სამთავროს № 208 სამარხში აღმო-

<sup>61</sup> Б. А. Куптнн, Материалы к археологии Колхиды, I, სურ. 42.

<sup>62</sup> ო. ქ ა თ ა რ ი ძ ე, დასაბ. ნაშრ., გვ. 181, სურ. 4.

<sup>63</sup> იქვე.

ჩენილ ცულისა. № 208 და მისი თანადროული ბაიერნისეული № 591 სამარხის დათარიღების საკითხს ვრცლად იხილავს არქეოლოგი რ. აბრამიშვილი. იძლევა წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებების კრიტიკულ მიმოხილვას და მრავალრიცხოვანი შესაბამისი მასალების გათვალისწინებით აღნიშნული სამარხის რენვენტარს ერთ შემთხვევაში (უფრო ადრეული პერიოდის ნაშრომში) ქრონოლოგიური სტუმის იმ სვეტში აქცევს, რომლის თარიღი ძვ. წ. XI—X საუკუნეებითაა განსაზღვრული<sup>64</sup>. ხოლო უფრო მოგვიანებით გამოხსულ ნაშრომში აღნიშნულ სამარხებს ძვ. წ. XI ს. თარიღებს<sup>65</sup>. სოფ. ერგეში აღმოჩენილი განძი კოლხური ცულის ზუსტი მსგავსების საფუძველზე სამთავროს № 208 სამარხის თანადროული შეიძლება იყოს და უფლებს გვაქვს დაეთარიღოთ ისინი ძვ. წ. XI საუკუნით, მაგრამ, როგორც წინ გვქონდა აღნიშნული. № 208 სამარხის თანადროული ხომ ბაიერნისეული № 591 სამარხია, ხოლო № 591 სამარხის რენვენტარში ბრტყელი ცულის განსაკუთრებული შესარჩენია. სამკანა ტარდასავებით და გვერდით კოტრსებრი შვირლებით. კომპლექსიდან მხოლოდ ბრტყელი ცული იმართ გამოვყავით. რომ ზუსტად ამკვარა ბრტყელი ცული საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ სამი ცალი აღმოჩენილი განძის შემადგენლობაშია. ერთი კი საქართველ კომპლექსში სოფ. ალაიანიდან, რომელიც რენვენტარის მიხედვით № 591 სამარხის თანადროულია. ერთი ეგზემპლარი ბრტყელი ცულია. რომელიც აღნაგობით ზუსტად იქნებოდა, როგორც № 591 სამარხში აღმოჩენილი ბრტყელი ცული. ლაილასის განძის შემადგენლობაშია (სურ. 21)<sup>66</sup>. ლაილასის განძის შემადგენლობაში გარდა ბრტყელი ცულისა, მეორე ეტაპის კოლხური ცულის თითქმის ყველა ვარიანტია; IV სახეობა ყუაყერიანი და სწორშუბლანი (ერთ მათგანზე საკმაოდ კარგად შეინიშნება წინა ნიღბის. მკვეთრად გამოყოფა) და ბოლოს ე. წ. ტანში ორგზის მოდუნული ცულიც (IV ქვესახე); განძის შემადგენლობაში ორი ცალი ბრინჯაოს სტატეაა. რომლებსაც ვერტეკალური სტარე ზერელი აქვს. ისინი პირის მოყვანილობით ერთი

მეორისაგან განსხვავებულია. ერთს მომრგვალებული, ხოლო მეორეს სწორი პირი აქვს. მომრგვალებულპირიანი და ვერტიკალურხერელიანი სტატეები შედარებით ადრეულ ძეგლებში გვხვდება. ჩვენ ბრტყელი ცული გვაქვს კავთისხევში აღმოჩენილი სტატეი (ინვ. 11—32 : 61), მასთან ერთად კომპლექსში ყუაზე შვირილიანი დიდი ზომის აღმოსავლურ-ქართული ცული და წვრილი (წინა აზიისათვის დამახასიათებელი) მახვილია<sup>67</sup>. ასეთივე მრგვალიპირიანი სტატეი ცხინვალის განძის შემადგენლობაშია. რომელიც როგორც დავიანავთ, სურმულის განძის თანადროული შეიძლება იყოს განძის შემადგენელი უმბონების შესახებ გავაძრით არაფრის თქმა შეგვიძლია, იმის გამო, რომ ასეთი უმბონები გვხვდება როგორც შედარებით ადრეულ (ურბნისის № 219 სამარხი). ისე გვიანდელ ძეგლებს შორის.

განძის დათარიღების დროს ამოსავლად მიიწვება ბრტყელი ცული და კოლხური ცულები მიგვაჩინა. ბრტყელი ცულის მიხედვით განძის სამთავროს. № 591 და ალაიანის სამარხის თანადროული ჩანს. ე. ი. იგი შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. XI—X საუკუნით.

უთუოდ ინტერესს იწვევს ცხინვალის განძის (ტაბ. XIV) თარიღი რადგან ის აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთების ნაკრებს წარმოადგენს. ცხინვალის განძს ო. ჯაფარიძე<sup>68</sup> და ბ. კუტინი<sup>69</sup> გვიანბრინჯაოს პერიოდით თარიღებენ. ბ. ტუხოვი განიხილავს ცხინვალის განძს. მას III სახეობის კოლხურ ცულებს და თლის სამარხის შესატყვისი ცულების მეშვეობით ძვ. წ. VIII—VII ს. თარიღებს; ამავე დროს, განძის აღმოსავლურ-ქართული ცულების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი ჩნდებიან ოდნე გვიან (?), ვიდრე ყობანური და დასავლურ-ქართული ბრინჯაოს ცულები<sup>70</sup>. ბ. ტუხოვის მიერ აქ მოცემული თარიღი და აღმოსავლურ-ქართული და კოლხური ცულების შეფარდებით ქრონოლოგია არაკეთილად შემთხვევით არ უნდა ასახავდეს ქვეშარბიტებს. ვერ ერთი, როგორც ჩანს. ავტორი არ ითვალისწინებს იმას, რომ, საზოგადოდ, კოლხური ცულები გამოიყენებოდა დიდი ხნის (7-8 საუკ.) მანძილზე; ასე მავალითად, III სახეობის ცულები იხმარება 4—5 ს. ვანაზე

<sup>64</sup> რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამარხიდან აღმოჩენილი ეგზემპლარის ხანისა და ტიპის ფართო ათვისების ხნის ადგილის დათარიღებისათვის, საქ. სახ. მეცნიერების ნო. 56, ტ. XIX A და XXI B, 1957, მასალებს ქრონოლოგიურ დასაბუთებას სწავს. სურ. 163, 164, 165 და სხვ.  
<sup>65</sup> რ. აბრამიშვილი, ტყინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლურ საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 32.  
<sup>66</sup> О. М. Джалалыдзе, Бронзовые топоры Западной Грузии, СА № XVIII, 1953, სურ. 2.

<sup>67</sup> დ. ქობიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, წიგნი I, ტაბ. XXXVII, სურ. 3, 4, 6.  
<sup>68</sup> ი. ჯაფარიძე, ცხინვალის განძი, გვ. 106.  
<sup>69</sup> Б. А. Кутини, Археологическая маршрутная эксп., გვ. 18—19.  
<sup>70</sup> Б. В. Тухов, К истории изучения памятников эпохи неолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви, გვ. 51.

ლობაში, ხოლო ზუსტად ისეთი ცულები, როგორც ცხინვალის განძის შემადგენლობაშია, ფართოდ ვრცელდება თუ არა ადრე, ძვ. წ. XI საუკუნიდან მაინც და არსებობს ძვ. წ. VIII ს. მიწურულამდე. ყოველივე ეს ცხინვალისა და მისთანა განძების დათარიღების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას. მეორე მხრივ, როდესაც აღმოსავლურ-ქართული და კოლხური ცულების შედარებით ქრონოლოგიაზე მსჯელობს, ავტორი ასევე არ ითვალისწინებს. რომ ჩუგულები შედარებით ადრეულ პერიოდში იწლება. ვიდრე ცხინვალის განძი (იხ. სასიჩაისის განძი). ნავთულის № 1 სამარხი, მეტეხისა და კვეთისხევის სამარხული კომპლექსები და სხვა) და ღიდი ხნის განმავლობაში იმარება. თვით ცხინვალის განძის ჩუგულები. არ განეკუთვნება ამ იარაღის არც ადრეულს და არც გვიანდელ სახეებს. რამდელ შუალედ რაგოს წარმოადგენს ამ იარაღის განვითარებაში. ცხინვალის განძის დათარიღების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ცალკეული ნივთებისა ან ნივთების ჯგუფის ახლო ანალოგიები. რომლებიც შედარებით უკეთ თარიღდება. ასეთია აღმოსავლურ-ქართული და ბრტყელი ცულები. სატენი და სხვა.

აღმოსავლურ-ქართული ცულების მეშვეობით ცხინვალის განძი ანალოგიას პოულობს ახალქალაქისა და ბეკაეთუნის განძებთან და სამთავროს № 240 სამარხთან. ახალქალაქის განძი კოლხური ცულების ერთი ნაწილის (III სახეობა) მეშვეობით უკავშირდება ლალიაშის (სურ. 21) განძს (მისი დათარიღება იხ. წინ). ხოლო იმავე კოლხური ცულის ზოგიერთი ეგზემპლარის მეშვეობით უფრო ადრეულ განძებს შრომიდან. ართვინიდან და სხვა: სამთავროს № 240 სამარხის საინტერესო კომპლექსს რ. აბრამიშვილი ძვ. წ. XII საუკუნით ათარიღებს<sup>71</sup>. № 240 სამარხისეული სატევრის ზუსტი ანალოგია ჩაძალადეშისა აღმოჩენილი და იგი ჩვენ მეორე დათარიღებულია ძვ. წ. XIII—XI საუკუნით<sup>72</sup>. № 240 სამარხის აღმოსავლურ-ქართული ცული ახლო ანალოგია ცხინვალის და ახალქალაქის განძის ცულებსა. მაგრამ მათთან შედარებით დიდა და მასიურად; ცხინვალის განძის ცულები რამდენადმე განვითარებულ ფორმად წარმოგვიდგება. ასე რომ. ისინი შეიძლება უფრო ახალგაზრდა იყოს. ვიდრე სამთავროს № 240 სამარხის ცული. ცხინვალის განძი, ბრტყელი ცულის იმ ვარიანტის მეშვეობით, რომელსაც სამკაბა დაბოლოება და კოტისებრი

გვერდითი შვერვები აქვს. უკავშირდება სამთავროს № 591. ალაიანის სამარხს და ლალიაშის ზემოდანახელებულ განძს.

№ 591 სამარხი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული. რ. აბრამიშვილის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. XI—X საუკუნით<sup>73</sup>, რასაც ჩვენც ვიზიარებთ; ალაიანის კომპლექსი კი. მასში შემავალი ნივთების მიხედვით (ირმის სკულპტურული გამოსახულებები, მილები, მრგვალთავიანი სკინძი და სხვა) № 591 სამარხის თანადროული ჩანს. ცხინვალის განძის აღნიშნული ბრტყელი ცული უფრო განვითარებული გვეჩვენება, ვიდრე ზემოხსენებული ცულები, რაც გამოიხატება იარაღის ფორმის დახვეწაში (წელში გამოყვანა და პირის მეტად მომრგვალება). ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ცხინვალის განძში შედის საბოლოოდ ჩამოყალიბებული კოლხური ცულების ყველა სახეობა და საკმაოდ გადორმებული კოლხური ცულის IV სახეობა.

როგორც ვხედავთ, ცხინვალის განძში ერთი მხრივ ისეთი ნივთები შედის—რომლებიც ანალოგიას პოულობენ ძვ. წ. XI—XIII სს. ძველებთან (აღმოსავლურ-ქართული ცულები, სატენი), მეორე მხრივ ისეთები, რომლებიც უახლოვდებათ ძვ. წ. X საუკუნის ძველებსაც (ბრტყელი ცული, კოლხური ცულები). ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ განძი უნდა დათარიღდეს ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით—XI—X საუკუნეებით. ამავე პერიოდით შეიძლება დათარიღდეს ახალქალაქის, ბეკათუნისა და ლალიაშის განძები.

ძვ. წ. XI—X საუკუნით შეიძლება დათარიღდეს ცაგერის მუზეუმში დაცული ერთ-ერთი საინტერესო განძი, აღმოჩენილი ცაგერას მახლობლად კოლმუერნეობის ფართობზე მიწის დამუშავების დროს (სურ. 22). განძის შემადგენლობაში შედარებით ადრეული პერიოდის აღმოსავლურ-ქართული ცულის არსებობა მაღლა სწევს ძველის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარს; ამასვე ნაწილობრივ მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ამ განძის მრავალრიცხოვანი სეგმენტური იარაღები შედარებით ადრეული ჩანს. თონები თითქმის ყველა მხრებელაშეებულაა (ტრაპეციის ფორმისა) და წელში მოხრილი. რაც შეეხება წელში ორგანის მოხრილ ცულს. იგი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ძალზე უახლოვდება დაწინადაბულყუიან და შეეტრლშებლიან ცულებს. მასიური, დიდი ზომის რგოლების მეშვეობით ეს განძი ცხინვალის განძს უახლოვდება. ჩვენ

<sup>71</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საქითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 326.  
<sup>72</sup> ი. კორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის, საქ. საბ. მუზეუმის შობამე, ტ. XX B, 1959, გვ. 47.

<sup>73</sup> რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძველების დათარიღებისათვის (იხ. ქრონოლოგ. ტაბ.).

ვერსადღობო. რომ ზემოთ მოტანილი საბუთების მხედველ აკვირას: ვანძის თარიღი ძვ. წ. XI—X საუკუნეა და რაგლებში უნდა მოთავსდეს. ან შეიძლება ოდნავ ადრეული პერიოდისაც იყოს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის საწყის პერიოდს შეიძლება განეკუთვნოს ერთი მხრივ რაქალენხემში აღმოჩენილი ოყურეშის (ლაჯობის ძირზე). ქვიშარის სურათურისა და ლუხვანოს განძები. მეორე მხრივ კი—განძები ყვირილის აუზიდან, პერევის განძი და კოლექცია სოფ. ნოზიდან.

ქვიშარის, ოყურეშისა და სურმუშის განძების ურთიერთდამაკავშირებლად ჩვენ მიგვანინია ზუსტად ერთნაირი ფორმის ბრტყელი ცულებების არსებობა სამივე განძის შემადგენლობაში. ოყურეშის, პერევისა და წოისის განძების ურთიერთდამაკავშირებელია ზუსტად ერთნაირი რგოლები. რომლებიც საცვლელ ერთეულადაა მიჩნეული. ქვიშარის და წოისის განძებს ერთმანეთთან აკავშირებს ნამულები. ქვიშარის, ოყურეშისა და ლუხვანოს განძებში ერთმანეთს უკავშირდება აგრეთვე ბრინჯაოს სიტულებით, ხოლო პერევის განძი ცხრილის განძს—შედარებით მოგვიანო პერიოდის ერთმანეთს დაბალეული და დაბალეულიანი აღმოსავლურ-ქართული ცულის მეშვეობით. ყველა ამ განძების გამაერთიანებელი მაინც ძირითადად კოლხური ცულების სხვადასხვა ვარიანტია; სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ძვ. წ. XI საუკუნეში მკვიდრებული დიდი ხნის განმავლობაში ცალკეული სახეების ცულების თითქმის ერთგვაროვანი ფორმებია ხმარებაში, განძების დათარიღების დროს, ამ რაზმზე, მათ ვეღარ მივიანიკებთ გადაწყვეტ მნიშვნელობას. პროფ. გ. ნოზრაძე, რომელმაც შეისწავლა ორგანის დამოაქვეყნა ქვიშარის განძი, წერდა, რომ ქვიშარის განძი ც. წ. ყომანური ტიპის ცულები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნივთები არ უნდა მიეკუთვნოს ძვ. წ. XII ს. უფრო ადრეულ დროს<sup>74</sup>. არაერთი მკვლევარი შეზება და ჩვენც რამდენჯერმე შევეხეთ საერთო კოლხური კულტურისათვის და კერძოდ, ოყურეშის განძისათვის პროფ. ბ. კუფტინის მიერ შეზოგავებული თარიღს. ჩვენ იძულებული ვართ ვთქვათ დაეუბრუნდეთ ამ საკითხს. რადგან ზოგიერთი მკვლევარის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოყენებულ შრომებშიაც კი ისევე მეორდება, თითქოს უწყე უპრეზიდენტი, მოძველებული მოსახ-

რებიანი კოლხური კულტურის თარიღის შესახებ. როგორც ცნობილია, პროფ. ბ. კუფტინს ერთ-ერთ უდრეულ ნაშრომში გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ რკინა მთიან კავკასიაში უნდა შეჭრილიყო არა უადრეს ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნისა<sup>75</sup>. მოგვიანებით გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში ბ. კუფტინმა სრულიად შეცვალა ადრე გამოთქმული მოსაზრება; მალაქლუს უგარტული პერიოდის ძეგლების შესწავლის დროს ის სპეცი-ალურად ჩერდება კოლხურ-ყომანური კულტურის თარიღზე, რადგან მალაქლუს აღნიშნულ ძეგლებში ბრინჯაოს პურქლოს (სიტულის) ყურბა აღმოჩენილი, ხოლო სიტულა კოლხური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია. იმის გამო, რომ ოყურეშის განძში ბრინჯაოს სამი სიტულაცია, იგი მალაქლუს უგარტუს პერიოდის ძეგლებს და ოყურეშის განძს თანადროულად მიიჩნევს, ხოლო რადგან მალაქლუს აღნიშნული ძეგლები კარგადაა დათარიღებული, ლაჯობის ძირის განძსაც ვანის ეპოქით ათარიღებს. რაკი ოყურეშის განძი კოლხური კულტურისათვის რკინისადათავებული წამყვანი ნივთების კრებულს უარყოფს, ავტორის საერთოდ კოლხური კულტურის დაკავების პერიოდის განის ეპოქის სინქრონულად მიიჩნია<sup>76</sup>.

არქეოლოგი ბ. ტრაპში ყულანურსკის № 1 სა-მარტის ინვენტარის დათარიღების დროს მიმართავს ბრინჯაოს პურქლოს ნატეხებს; რომლებიც ამავე სამარხის კომპლექსში შედის. მოისწავნებს ოყურეშის განძის სიტულებს და ქვიშარის განძის სიტულის ყურს; ამავე დროს, იგი მიუთითებს სკეითური ყორღანებიდან მომდინარე თითქოსდა დათარიღებულ ბრინჯაოს პურქულზე; იმ-წმებზე რა ა. იესენის, რომელიც ნოვოჩერკასკის განძს ძვ. წ. VIII საუკუნითა და VII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს; აგრეთვე, ე. კრუპნოვისა და ბ. პიატროვისკის მოსაზრებებს, რომლებიც ბრინჯაოს პურქულს (სიტულებს) ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებით ათარიღებენ, ავტორი ყულანურსკის № 1 სამარხულ ცულებს ძვ. წ. VIII საუკუნეს აკუთვნებს.

შრომის დასკვნით ნაწილში ბ. ტრაპში ყულანურსკის კოლხურ და სკეითურ სამარხებს მი-აკუთვნებს ადრესკეითურ დროს, ძვ. წ. VIII საუკუნედან VI საუკუნის შუა ხანებამდე; კოლხურ ბრინჯაოს ინვენტარიან სამარხებს ის ათარიღებს ძვ. წ. VIII საუკუნითა და VII საუკუნის I ნახე-

<sup>74</sup> გ. ნოზრაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 27.  
<sup>75</sup> Б. А. К у ф т и н, Археологич. раскопки в Трапезити, გვ. 72.

<sup>76</sup> Б. А. К у ф т и н, Урартский "Колумбарий" у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, საქ. სახ. მეცნიერების ბიულეტენი, XIII—В, თბილისი, გვ. 26, 27, 68.

რით<sup>77</sup>. ავტორი აღნიშნავს აგრეთვე ცულების სიკვდილს და შემკულობას, რაც თურმე არ აძლევს უფლებას ყუღაურებს № 1 სამარხის ცულები დათარიღოს ძვ. წ. VIII საუკუნეზე ადრეული დროით<sup>78</sup>. ავტორი, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კოლხური ცულების შემკობის ტრადიციის საბოლოო ჩამოყალიბება ძვ. წ. XI—X საუკუნეებს უკავშირდება. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ამა თუ იმ პერიოდში შექმნილი და ფართოდ გავრცელებული ესა თუ ის ძეგლი ზოგჯერ მკვიდრდება ყოფილი და დღის ხანა განაგრძობს არსებობას, ვრცელდება მოსახლრე და ზოგჯერ საკმაოდ დამორჩეულ რაიონებში. ყერძოდ, არ უნდა იყოს საუკეთესო, რომ მაღაქლუს ურარტულ ძეგლებში სიტულა იმპორტის-კულტურულ ცულებზეა ურთიერთგანზიარების გზითაა მოხვედრილი, საფიქრებელია, კოლხეთის მთიანეთიდან, სადაც მისი დამზადებისა და გამოყენების ხანგრძლივი ტრადიცია უნდა არსებულებოდა. ამრიგად, ბრინჯაოს სიტულა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ხმაირებაში და ვანის ეპოქაზე გაცილებით ადრეული შეიძლება იყოს, ისევე როგორც მისი გამოყენება უფრო დიდი ხნის განმავლობაში ჩანს, ვიდრე ვანის ეპოქა. რომ განმავლობაში ყუღაურებს № 1 სამარხისათვის შემოკრებილი თარიღი, მ. ტრაპში აზღვრავს ამ კომპლექსის ფურცლოვან და დახვეწილობით-ს სამაქურს, რომლის მსგავსი სამაქურები აღმოჩენილია ბრილის სამაროვანზე და ოყურუმის განის შემადგენლობაში. მ. ტრაპში (ამ შემთხვევაშიც იშველებს ბ. პიატროვსკის) მეთითებს, რომ ასეთი სამაქურები ყობანის სამაროვნის გვიანდელი სამარხებისათვისა დამახასიათებელი და ისინი ძვ. წ. VII—VIII ს. ძეგლებზეა<sup>79</sup>. ჩვენ ვერაუთარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ სამაქურის ავტორისეულ თარიღს, რადგან იგი არ ასახავს რეალურ სინამდვილეს. არქეოლოგი გ. ვობეჩკივილი (ბრილის სამაროვნის II ფენაში აღმოჩენილ ნივთებს, რომელთა შორის ის ასახელებს თავზეა სამაქურს, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგისად მიიჩნევს<sup>80</sup>. ვაწარმოებულ და დახვეწილობითანი, ბრტყელფორმითიანი სამაქური თლის № 14 სამარხის კომპლექსის შემადგენლობაშია. აღნიშნულ კომპლექსს ბ. ტეხოვი ათარიღებს ძვ. წ. X—IX საუკუნეებით<sup>81</sup> და ვფიქრობთ, საესებთ მართებუ-

ლად. მაშასადამე, ბოლოებდახვეული სამაქურები. ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდის კომპლექსში გვხვდება როგორც მთიან კოლხეთში, ისე აქა ქართლის ჩრდილო ზოლში.

ამავე პერიოდისა შეიძლება იყოს ოყურუმის განძის ასეთივე სამაქური. ამასვე მხარს უჭერს ლაქობინის ასეთივე კომპლექსის სხვა ინვენტარიც: ბრტყელი ცული, მასიური რგოლები და სხვა ნივთები. რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ბოლოდახვეული სამაქურები ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდში ყოფილა სმარებაში, არ ნიშნავს იმას, თითქმის იგი უფრო მოგვიანო პერიოდში აო იყო გამოყენებული; ისინი, როგორც მასალებიდან ჩანს, დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილია ყოფას.

ამ ჭკულებს განძებიდან ერთ-ერთი ძეგლის — ლუხვანოს კომპლექსის მთაბლოებითი თარიღი იცნება განსაზღვრა ახლანდელ გამოქვეყნებულ სპეციალურ წერილში. ახასიათებს რა ერმიტაჟში დაცულ ლუხვანოს განძისეულ ინვენტარს (ცულები ზეობის პირები, ბრინჯაოს ჭურჭელი, სვეცი(?), იგი ნივთებს გვიანი ბრინჯაოს პერიოდისად მიიჩნევს და მის თარიღად ვარაუდობს ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებს<sup>82</sup>.

არ შეიძლება არ შევჩერდეთ სურმუმის განძის ბრინჯაოს ლავაზე, რომელიც ჩვენ მასალებში თითქოს არ მოუპოვება ახლო ანალოგია. აღნიშნულ ლავაშ, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთ რაიონებში აღმოჩენილ მსგავს ლავებთან ერთად, ვრცლად განიხილავს ა. იესენი ალავებს მათ ტიპოლოგიურად და მიიჩნევს სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებად. ა. იესენი სურმუმის ლავაში ათავსებს ლავების პირველ ტიპოლოგიურ სქემაში და ნივთების ამ ჭკუფს ათარიღებს ძვ. წ. VIII საუკუნით<sup>83</sup>. ჩვენ ვადაურით არაფრის თქმა არ შეგვიძლია აღნიშნული ლავის თარიღთან დაკავშირებით იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას ახლო ანალოგია არ მოუპოვება ჩვენს ტერიტორიაზე. ერთ ადრეულ ნაშრომში ვრცლად გვაქვს განხილული პერევის განძის თარიღის საკითხი; მაშინ ჩვენ ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა მკვლევარი, კოლხური კულტურის სხვადასხვა საფეხურისათვის დამახასიათებელ ნივთებს შორის (მათგან ცულებშიც) არ ვამოყვოდით ადრეულ და გვიანდელს და ერთიანად განესახლავდით მათ თარიღს. ამიტომ იყო, რომ

<sup>77</sup> М. М. Трапш. Памятники колхидской и скифской культуры в селе Куланурхва Абхазской АССР, Абхазстат, გვ. 40, 76—79.

<sup>78</sup> იქვე გვ. 38.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>80</sup> გ. ვობეჩკივილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 97, ტაბ. X. LI

<sup>81</sup> Б. В. Техов, Могильник эпохи поздней бронзы в с. Тли, гв. 165, 166, სურ. 2. С. № 1, 1960.

<sup>82</sup> А. А. Иессен, Клад из с. Лухвано в Грузии, Сообщения Гос. Эрмитажа, XX, Ленинград, 1962, გვ. 46.

<sup>83</sup> А. А. Иессен, К вопросу о памятниках, VIII—VII вв., 10 н. з. на Юге-Европейской части СССР, СД, XVIII, 1953, გვ. 102.



პრევის განძის ქვედა ქრონოლოგიური სახლვარი (რადგან მასში შევტიტლანაი და გორდაპირიანი ცული იყო) მივიტანეთ ძვ. წ. XII საუკუნემდე, ხოლო ზედა ქრონოლოგიური სახლვარი ძვ. წ. IX საუკუნით განვსაზღვრეთ<sup>44</sup>.

ამჟამად ჩვენს ხელთ დაკრთვილი არქეოლო-  
ლოგი მასალები საწვლელებს გვაძლევს დაგახუს-  
ტოთ პერევის განძის ცულებს ქრონოლოგიური  
ნარი; ვფიქრობთ, რომ პერევის განძის თარიღი  
ძვ. წ. X—IX საუკუნის ფარგლებში ექცევა. ამავე  
თარიღი შეიძლება ძირითადად, განისაზღვროს  
ზემოთ ანალოგი ერთი ჩვეული განძების, უკო-  
ლოკურა შემთხვევაში. ზოგიერთი მათგანის ზედა  
ქრონოლოგიური სახლვარი არავითარ შემთხვევა-  
ში არ უნდა გავალდებოთ ძვ. წ. VIII საუკუნის საწ-  
ვს პერიოდს.

ძალზე ძნელდება გუთურის (ჩოხატურის რა-  
იონი) განძის თარიღის განსაზღვრა, რადგან იგი  
შილოდ თოხებისავე შედგება (ტაბ. XVI, სურ.  
1—6). აღნიშნული განძის მაღალტონიანი, წყლში  
კომპლექსი და განიერპირიანი თოხების ანალო-  
გია. თითოადად, აქარსა და რაქა-ლეჩხუმის ტერი-  
ტორიაზე აღმოჩენილი. ჩვენ მხედველობაში  
გვაქვს ზენითი 1926 წ. აღმოჩენილი განძის თო-  
ხები (სურ. 8) და ბუგეულის კოლექცია. ზენითის  
განძის ასაკი მიხალოებით უკვე განვსაზღვრეთ და  
იგი მოვსაუთვნეთ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწუ-  
რებს. ამავე პერიოდისა უნდა იყოს გუთურის  
განძი და ბუგეულის კოლექცია (სურ. 23). ბუგე-  
ულის განძის (?) დასათარიღებლად დამატებით  
შეველიდა მივმართოთ თხზორის განძს. ეს  
უკანასკნელი ბუგეულის კომპლექსს უკავშირდება  
თოხებისა და სატყერის იმიტაციის (საკიდის) მეშ-  
ვეობით. თხზორის განძი კი ო. ლამაზშიძის მიერ,  
კვლავ და სხვა ზოგიერთი ნივთის ასაკის გათვალ-  
ისწინებთ. დათარიღებულია ძვ. წ. XI—X საუ-  
კუნეებში<sup>45</sup>. ანალოგ. გუთურის განძი, ბუგეულის  
კოლექცია და განძი თხზორიდან ერთდროული  
ჩანს და ისინი მიხალოებით ძვ. წ. II ათასწლეუ-  
ლის მიწურულთი ძვ. წ. XI—X სს-ით შეიძლება  
დათარიღდეს.

დადინტერესს იწვევს თაგილიონის განძის  
დათარიღების საკითხი, რადგან ის ჩვეულებრივ  
ინტენტიანად ერთად კოლხური ცულის ყალიბებს  
შეიცავს. ამ განძის ყალიბის ფრაგმენტის (სურ.  
24, ა) ისეთი ცულის ჩამოსახმელად უნდა ყოფი-  
ლიყო განკუთვნილი, რომლებიც ოყურემის გან-  
ძის შემდგენლობაშია (ტაბ. XLIV, სურ. 1, 4);  
მაგრამ აღნიშნული ცულების ყუა და სატარის ზე-  
დაპირის ზემო ნაწილი გრაფირებულია გეომეტრი-

ული სახეებით. ამგვარი ცულები ნაპოვნი, ოდ-  
ონდ. ისევე გეომეტრიული ორნამენტით შემკული  
ყუთა და სატარის ზედაპირის ზემო ნაწილით,  
გურია-აქარა-სვანეთში და ყობანის სამაროვანზე-  
რაც შეეხება მეორე (მთელ) ყალიბს, იგი საყო-  
ველოთაოდ გავრცელებული კოლხური ცულის იმ  
ვაიანტს განვსაზღვრავთ, რომელიც უკანა წახნა-  
ვის წიბური ყუიდან იწყება და უკანა ნიღამდე  
აღწევს. ასე რომ, ყალიბების მიხედვით, განძი სა-  
ბოლოოდ ჩამოყალიბებული „კლასიკური“ კოლხურ-  
ი ცულები პერიოდს განვსაზღვრავთ. მასში შემ-  
ვალი დიდი ზომის ბარისებური სეგმენტური იარა-  
ღი კი არსებული მასალების მიხედვით, შედარე-  
ბით ადრეული ჩანს; ამგვარი სეგმენტური იარა-  
ღის ფრაგმენტი აღმოჩენილია სოხუმის მთის გან-  
ძში, ხოლო აღნიშნული ძეგლი, როგორც წინ  
გვქონდა ნათქვამი, ძვ. წ. XIII—XII სს-ზე გვი-  
ანდელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს.  
დიდი ზომის მსგავსი სეგმენტური იარაღები ნა-  
პოვნი აგრეთვე სოხუმში (კაუბას უბანზე) თე-  
ლოვანის და ზემო სომონთის განძის შემადგენ-  
ლობაში და ა. შ. აღნიშნული ძეგლების თარიღი  
კი დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკ-  
ნელ საუკუნეებს ემთხვევა (იხ. წინ). თუ გაით-  
ვალისწინებთ, რომ ამ განძის ყალიბისმსგავარი  
ცულები მრავალბა ოყურემისა და მის თანად-  
როულ ძეგლებში, ოღონდ რამდენიმე განვითარ-  
ებული ფორმისა (ეს შეეხება შილოდ იარა-  
ღის ფორმების ხერხებს), ხოლო ეს ძეგლები ძვ.  
წ. II ათასწლეულის მიწურულია და I ათასწ-  
ლეულის საწყისი პერიოდით თარიღდებიან, ჩვენ  
უფლება გვაქვს თავიანთის განძის თარიღი და-  
ახლოებით ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიწით ძვ.  
წ. XI—X საუკუნეებით განვსაზღვროთ.

ზემოგანხილულ განძებზე ოდნავ მოვივიანო  
პერიოდისა შეიძლება იყოს ხევის განძი (ტაბ.  
XIX) და ს. სინათლის განძის კომპლექსი (სურ.  
29). სინათლის განძის 14 ცულიდან, როგორც აღ-  
რე გვქონდა აღნიშნული, ოთხი III, ხუთი IV სა-  
კეობისა, ხოლო ხუთი IV<sup>1</sup> ქვესახისაა. ყველა ამ  
ტიპის იარაღის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ  
ფორმებს წარმოადგენს. ძეგლის პირველი გამოქ-  
ველებელი არქეოლოგი ი. გრძელიშვილი, რო-  
გორც ჩანს, იზიარებს იმ აზრს, რომ ჭერ III სა-  
ხის ცულია (უფრო პრიმიტიული) წარმოშობილი,  
ხოლო შემდეგ მისგან — გუმჭობებულად შე-  
ორე და მეორე მესამე ტიპის ცული. რადგან სა-  
მივე სახის ცული ერთი განძის შემადგენლობაში  
აღმოჩნდა, ამიტომ განძი უნდა დათარიღდეს ფუნქ-

<sup>44</sup> ვ. ჯორჯიძე, მატერიალური კულტურის უძველესი  
ძეგლები (საჩხერის რაიონი), გვ. 77.

<sup>45</sup> ო. ლამაზშიძე, გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა  
მდ. რიონის შუა წელში (გუგუთი რაიონი), თბ., 1963, გვ. 207.

ციურად განვითარებულ მესამე სახის ცულის ხმარების დროით და ავტორი დაასკვნის, რომ თუ კოლხური ცულების გავრცელების ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. VIII საუკუნეა, მაშინ ხევნი სინათლის განძი სწორედ ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს<sup>86</sup>. კერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ კოლხური ცულების განვითარების ამგვარ სქემას. (აღნიშნულ საკითხზე ჩვენ გვქონდა საუბარი, როდესაც საერთოდ კოლხური ცულების გენეზისის საკითხს შევხებთ).

ხევის განძის შემადგენლობაში კოლხური ცულის III სახეობის რამდენიმე ვარიანტია. ერთერთი მათგანის ზუსტი ანალოგია ნაპოვნია აფხაზეთში, ავსტისის სამარხში (ტაბ. XXXVIII, სურ. 17). აღნიშნულ სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე ფორმით ხევის განძის III სახეობის სხვა ცულების ანალოგია (ტაბ. XXXVIII, სურ. 16, 18). ავსტისის აღნიშნულ სამარხს ა. ლუკინი ათარიღებს ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით<sup>87</sup>. ხევის განძის სწორტანინი თოხი ვადაჭრით არაფერს ამბობს ძეგლის თარიღის შესახებ, თუმცა ერთი კი ამკარაა—ძვ. წ. XIII—XII სს. ძეგლებში თითქმის არ გვხვდება ამ ხასიათის თოხები, ისინი ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დასაწყისში, ან ოდნავ მოგვიანო პერიოდში (იხ. ოჯოლის, თხმორისა და სხვა განძები). ხევის განძის წალღები კოლხეთის სამხრეთ ზოლში აღმოჩენილი წალღებისაგან განსხვავებული სახეობისაა. ამრიგად, აფხაზეთის ავსტისის კომპლექსის მეშვეობით, რომელიც ახლო ანალოგიას ამქავენებს ხევის განძთან, ცულების მეშვეობით და სწორტანინი თოხის საეარაულო თარიღის გათვალისწინებით, ჩვენ ხევის განძის მიახლოებით ასაკი შეიძლება განვსაზღვროთ ძვ. წ. X—IX საუკუნეებით; ამავე დროის უნდა იყოს სინათლის განძიც.

ყურადღებას იმსახურებს, როგორც შერეული ხასიათის ძეგლი მუხნისციხის განძი (სურ. 30). მის შემადგენლობაში, როგორც კოლხური III და IV სახეობის ცულები და თოხი, ისე იბერული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები—ჩუგლუვი სატყევის ქელი და რგოლებია. განძის შემადგენლობაში დიდი ზომის აღმოსავლურ-ქართული ცულის არსებობა ძეგლის თარიღს რამდენადმე წინ

წევს, მაგრამ ეს იარაღი მაინც განსხვავებული ჩანს ამ იარაღის უიარქის ფორმებიდან. ძეგლის დათარიღებისათვის მისი დაფლვის თარიღის გასაზღვრისათვის ერთ-ერთ დასაყრდენს კახური ტიპის სატყევის მაღალი კული წარმოადგენს (სურ. 30). რომელსაც ბ. კუფტინი შეცდომით განჯა-ყარაბაულს უწოდებს<sup>88</sup>.

ჩვენ თავის დროზე ამგვარი ქუდიანი მახვილები თილისიდან და მისი შესატყვისი ფორმები საქართველოს სხვა მხარეებიდან უკვე დათარიღებულ ძვ. წ. IX—VIII სს.<sup>89</sup>. ეს თარიღი დათარიღა არქეოლოგმა კ. ფიცხელაურმა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა კახური ტიპის სატყეავარ-მახვილები<sup>90</sup>. ბ. კუფტინმა აღნიშნული განძისა და მისი თანდროული რამდენიმე ძეგლის თარიღი განსაზღვრა ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდით<sup>91</sup>. ამრიგად, განძის მიახლოებითი თარიღი არ უნდა გაიცოდეს ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის პერიოდს—ძვ. წ. X—IX საუკუნეს. ყოველ შემთხვევაში, ამ განძის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი არ უნდა იყოს უფრო გვიანდელი, ვიდრე ძვ. წ. VIII ს. საწყისი პერიოდი.

დაბოლოს, ჩვენ დავგრა განძების კიდევ ერთი დიდი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად ძვ. წ. IX—VIII ს. შეიძლება განეკუთვნოს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოჯოლის განძი (ტაბ. XX—XXIV) და განძები ურეკიდან (კაპაროვინა), ჭალადან, ჭვაროდან, ბუგანიდან, დღნოჩიასდან და სხვა.

ოჯოლის განძი ძირითადად სამიწათმოქმედო იარაღებსაგან შედგება. თოხების დიდი ნაწილი სწორტანინიან და ამ იარაღის მეშვეობით ოჯოლის განძი უახლოვდება ხევისა და თხმორის განძებს. აღნიშნული განძის შემადგენლობაში არის სხვა ხასიათის ისეთი ძეგლები, რომლებიც გვხვდება როგორც ძვ. წ. X—IX ს. ინე VIII ს. ძეგლებს შორის. თხელფირფიტოვანი. სპირალურად დახვეული ბოლოვანი სამაჯური (ტაბ. XXIV. სურათი 1), ამავე პერიოდისა ჩანს აგრეთვე. განძის ეროფილადი ფიბულა, რომლის რკალის შუა ნაწილი გამსხვილებულია. წაწვეპანი ორბამენტოთა შექმული (ტაბ. XXIV. სურ. 8). მავჯასი სამაჯურების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. როდესაც ოყურუმის განძის თარიღს ვარკვევდით. მავჯასი ფიბულები და ბრტყელფირფიტოვანი. ბოლოვანხვეული სა-

<sup>86</sup> ი. ვ. რ. კ. ძეგლი მუხნისციხის, კოლხური ცულების განძი ანტიკალური რაიონიდან, გვ. 570.

<sup>87</sup> А. Л. Лукин, Археология Визбской Абхазии, Труды Института Истории первобытной культуры, I, Ленинград, 1941.

<sup>88</sup> Б. А. Купфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, гв. 329.

<sup>89</sup> დ. ქორბიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, წიგნი II, თბილისი, 1952, გვ. 22—23.

<sup>90</sup> კ. ფიცხელაური, იარაღები, კლასიკური ხანის ხანის ძეგლები, თბილისი, 1961, გვ. 207.

<sup>91</sup> Б. А. Купфтин, დასა. ნაწი. გვ. 323.

მაყურები ე. კრუპნოვს დათარიღებული აქვს ძვ. წ. XI—VIII საუკუნეებით<sup>82</sup>.

ოჯოღის განძის ზედაპირდაბლივლი სამაჯურები (ტაბ. XXIV, სურ. 2, 3) გვიანი პერიოდის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი; ვხვდებით სამთავროს სამაროვნის გვიანდელ (ძვ. წ. VIII ს. და VII ს.) სამარხებში, მაგალითად № 121 სამარხში; მაგრამ ისინი ოჯოღის ეგზემპლარებთან შედარებით დაქიზად ნაყეთებია. აღნიშნულ სამარხს რ. აბრამიშვილი ძვ. წ. VIII ს. და VII ს. I ნახევართ ათარიღებს.

ამრიგად, ოჯოღის განძის თარიღი თოხებისა და სეკემენტური იარაღების მეშვეობით ძვ. წ. X—IX სს. შეიძლება განისაზღვროს; მაგრამ, იმის გამო, რომ მასში არის უფრო მოკვიანო პერიოდის ნეოთებიც (სამაჯურები, ფეხულა და სხვა), მის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად შესაძლოა ძვ. წ. VIII საუკუნე მივიჩნიოთ. ასე რომ, განძის სავარაუდო თარიღი ძვ. წ. IX—VIII სს. ფარგლებით შეიძლება განისაზღვროს.

თოხებისა და სატარზე კოტისებრშვერილი-ზაანი სეკემენტური იარაღის მეშვეობით ოჯოღის განძს უკავშირდება და მისი თანადროული შეიძლება იყოს განძი ჭალადან (სურ. 32); ამავე დროსა ჩანს დღნოროას განძიც (სურ. 34 1.2).

რაც შეეხება ჭყარის განძს (სურ. 33), ისიც შეიკავს ისეთ ნოვებს, რომლებიც ერთი მხრივ (ხატისუღლისა და მასიური სამაჯურის მეშვეობით) ოყურემის განძს უკავშირდება, ხოლო ფიბულის გვიანდელი ფორმის მეშვეობით (სურ. 33კ)—რამდენადმე მოგვიანო ჩანს. ამრიგად, ეს განძიც ოჯოღისა და სხვა მისთანა ძეგლების თანადროული შეიძლება იყოს. რამდენადმე უფრო გვიანდელი ჩანს ღურეის (კაპროვის) განძი; მასში შემავალი ქამრის ე. წ. „პეპელასებრი“ აბზინდა, როგორც სამთავროს. ისე სხვა მასალების მიხედვით ესეო ძეგლებს შემდგენლობაშია. რომლებიც

არა ჩანს ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებზე უფრო ადრეული. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სამთავროს № 293 სამარხის ინვენტარი, რომლის შემადგენლობაში არის ქამრის „პეპელასებრი“ აბზინდა; აღნიშნული სამარხი რ. აბრამიშვილის მიერ ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევართა და VI საუკუნითა დათარიღებული. მაგრამ ასეთივე აბზინდა № 70 სამარხის კომპლექსშიცაა. აღნიშნული სამარხის ინვენტარი კი იმავე ავტორის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. IX ს. და VIII ს. დასაწყისით<sup>83</sup>.

ქამრის მსგავსი აბზინდა ოჯოღის (ზემო ლი-სას) № 1 სამარხის კომპლექსშიცაა, რკინის ცულთან. დანებთან, ბრინჯაოს ბრტყელ რგოლთან და სხვა ნივთებთან ერთად; აღნიშნული სამაროვიდან მომდინარე ამ რიგის ძეგლებს არქეოლოგი ო. კავაროძე განვითარებული რკინის ხანით ათარიღებს ე. ი. მას ამ მასალების ძვ. წ. VII ს. დათარიღება შესაძლებლად მიიჩნია<sup>84</sup>.

კერზუში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი, რომელშიც არის „პეპელასებრი“ აბზინდა, ჩვენს მიერ დათარიღებულია ძვ. წ. VIII ს-ით<sup>85</sup>. აღნიშნული მასალების მიხედვით, ე. წ. „პეპელასებრი“ ქამრის ბალთები ყოფაში ძირითადად ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებშია და ღურეის (კაპროვის) განძიც ამ პერიოდით შეიძლება დათარიღდეს.

ზემოთ ჩვენ მეტნაკლები სიზუსტით დავათარიღეთ თითქმის 6 ათეულზე მეტი განძი; ბევრი განძის დათარიღება ეკვს იწვევს იმის გამო, რომ სადღესოდ არ ვაგვანდა ზუსტად დამათარიღებელი მასალები; მაგრამ ამ დიდძალი მასალის ამგვარად დალაგება მაინც წარმოგვიდგენს დასავლურ-ქართული, კოლხური კულტურის განვითარების ერთგვარ თანმიმდევრულ სურათს და გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა და იცვლებოდა ამ ერთი მოდემის ხალხის კულტურა საუკუნიდან საუკუნემდე, დაწყებული ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან ან ოდნავ ადრეული პერიოდიდან ...

<sup>82</sup> Е. И. Крупнов. Древняя история Северного Кавказа. Москва, 1960. (Локальные варианты культуры центральной части Сев. Кавказа в I-ой тысячелетии до н. э.).

<sup>83</sup> რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამარხოვანზე აღმოჩენილი გვიანო ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათქვიპის ხანის ნივთების დათარიღებისათვის (ქრონოლოგიური ტაბულა).

<sup>84</sup> ო. კავაროძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოჯოღში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, გვ. 207—208.

<sup>85</sup> დ. კორძია, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენისა ს. კერზუში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII—B, თბილისი, 1961, გვ. 69.

## თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

### ბ რ ი ნ ჯ ა ო ს მ მ ტ ა ლ უ რ ბ ი უ ლ ი ს ა წ ა რ მ ო ო რ ა ი ო ნ ი ბ ი კ ო ლ ხ ე რ ე მ ი

(ძირითადად განძების მიხედვით)

ძირითადი ფაქტორი. რომელმაც განაპირობა კოლხეთში ესოდენ მძლავრი ადგილობრივი კულტურის ჩამოყალიბება. იყო მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები.

როგორც ცნობილია, კოლხეთის ჰავა თბილი და ტენიანია. ნალექების დიდი რაოდენობისა და თბილი ამინდების მეშვეობით მთელი ეს მხარე ხშირი და ზოგჯერ გაუვალი ტყეებით უნდა ყოფილიყო დაფარული<sup>1</sup>. რბილი ჰავა, მრავალჯერაი ნაყოფიერი ნიადაგები, წყლის სიუხვე და თვით ტყის სიხშირეც კი აქ შეტისმეტად კარგ პირობებს ქმნიდა ადამიანის ცხოვრებისათვის და მეურნეობის წამყვანი ფაქტორს. მიწათმოქმედების განვითარებასათვის<sup>2</sup>. მეურნეობისათვის საჭირო მიწის ფართობის ათვისებას (ტყის გაკაფვა, ანოს აღება, ნიადაგის მომზადება და სხვა) დიდი და მრავალფეროვანი შრომა და შრომის იარაღები ესაჭიროებოდა; ლითონის იარაღის წარმოებისათვის კი—აუცილებელი იყო მადანი. როგორც ქვემოთ დაურწმუნდებით, კოლხეთი ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი იყო და მის მოსახლეობასაც დიდი რაოდენობით უწარმოებია ცულები და წალღები ტყის გასაქაფად, თიხები, ბართოხები და სეგმენტური იარაღები ასოს აღების, ნიადაგის მომზადებისა და შემდგომი დამუშავებისათვის. ლითონის იარაღის ერთი ნაწილი დაცავიერებული იყო ხის დამუშავებასთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის მოსახლეობისათვის; ხის მასალისაგან იგებოდა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები. მზადდებ-

ოდა მარცვლეულისა და სურსათის შესანახი კურკელი, წყლის კურკელი. გობები, ჯამები და სხვა. ზღვის სანაპიროზე ერთიანი ხისგან კეთდებოდა ნავეები, ბუნებრივია. რომ ამ მრავალფეროვანი სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სახის იარაღი: ცული, ხელეჩო, პირმრგვალი, ბრტყელი ცული, ხვეწი, სატეხები და სხვა. ფაქტობრივი მონაცემები მოწმობს, რომ სამეურნეო იარაღების ეს მრავალრიცხოვანი ტიპები და სახეები ერთნაირი რაოდენობით არ კეთდებოდა კოლხეთის ყველა მხარეში. ზოგჯერ უარობს იარაღის ერთი ტიპი, ან მისი გარკვეული სახე; ვთქვათ თიხების გარკვეული ჯგუფი, ზოგჯერ კოლხური ცულის რომელიმე სახე; ზოგიერთ რაიონში სრულიად არ ჩანს იარაღის ის სახეობა, რომელიც სხვა მხარეში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ცხადია, რომ ეს არის ვიწრო, ლოკალური პირობების შედეგი (მეურნეობის სპეციფიკა. ნედლეულის მარაგი, სახელოსნოს რაოდენობა, დაწინაურება და სხვა) და ასახავს კულტურული ცხოვრების სავითო ვითარებას. ამიტომ განძებისა და სხვა კასიათის ძეგლების შედარებით შესწავლა საშუალებას მოგვცემს გამოავლინოთ ერთიან კოლხურ კულტურაში ცალკეული მხარეებისათვის დამახასიათებელი ნივთიერი ძეგლები და ამასთანავე, მიახლოებით მიხედვით განვსაზღვროთ ლითონის წარმოების რაიონები და მათი პროდუქციის გავრცელების არე.

ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო მხარეა აქა-რა, რომელმაც ჭერ კიდევ გასული საუკუნის მიწუ-

<sup>1</sup> გეოგრაფიული გარემოს აღწერისა და კოლხეთის ბუნებრივი პირობების დახასიათებისათვის მასალებს ვიყენება პროფ. ალ. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი VIII კლასის სახელმძღვანელოდან „საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია“, თბილისი, 1962.

<sup>2</sup> გ. ჩიტიანი, თიხის კულტურა დასავლეთ საქართველოში—„კოლხეთში“, გვ. 149. ტყეების გაკაფვის, ნაკეთის გაწმენდის შემდგომი დამუშავების რთული პროცესის მომდინარეობა. მათი ანალიზი მოცემული აქვს პროფ. გ. ჩიტიანს ზემოთ დასახელებულ თავის საინტერესო ნაშრომში.

არღს მიახლოებს მკვლევარს ყურადღება. ჰოროხის აუზში აღმოჩენილ სამთამადნო-მეტალურგული წარმოების ნაშთებმა, მრავალრიცხოვანი განაშენისა და სხვა ძეგლების აღმოჩენამ საილოოდ დაუწყვილდა ამ ძაბარეს სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგული წარმოების მძლავრი კერის სახელი. მაგრამ მის ზესაწვდელ დღემდე ჯერა არაფერია გაკეთებული; შეკრებილია მხოლოდ ლიტერატურაში ეპიგრაფიული ცნობები ჰოროხის აუზში არსებული სპილენძის საბადოების, ძველი გამოხატულებებისა და წარმოების ნაშთების შესახებ. ჰოროხის აუზში აველანს აქურადღებო ჩანს ძანსთლის საბადო და იქ აღმოჩენილი წარმოების ნაშთები, რომელთაგან სამწუხაროდ არაფერია გადაჩენილი.

როგორც სპეციალური ლიტერატურულიდან ცნობილი, აჭარის შედარებით მთიანი ხოლი და ზეობები სპილენძის მრავალრიცხოვან წყაროდ და მსხვილ საბადოებს შეიცავენ. ჰოროხის აუზის სპილენძის საბადოების გარდა, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი, სპილენძის მნიშვნელოვანი აბადოები შეიძლება აჭარის წყლის მარცხენა შენაკადის მდ. მერისის აუზში; სწორედ აქ, დაბა ქედის მახლობლად არაა აჭარის ტერიტორიაზე არსებული სპილენძის მარაგის 90%. ეს საბადო XIX საუკუნის ბოლო ხანებიდანაც ცნობილი. ამ დროიდან აქ საღებავო საქმეობების წარმოებად კი დარჩენილია. ამან გარდა აჭარის ტერიტორიაზე სპილენძის მრავალი წვრილი საბადოა. ასეთებია: ბობოყვასის, ზემო სინოა, მზონის წყლის (ქობულეთის რაიონი), სურდღისის, ჩაქულეთის, მარადღისის (ბათუმის რაიონი), სხალთის (ხულოს რაიონი) და სხვა. დღევანდელ პირობებში ეს საბადოები მოკლებულია სამრეწველო მნიშვნელობას, მაგრამ უკვე იქნა, რომ ადრე ისინი უთუოდ იქნებოდნენ გამოსაყენებელი. მაგრამ ეს მხარე, როგორც წინ აღვნიშნეთ, არ არის აქტივოვებული შესწავლილი. ამიტომაც რომ ზოგიერთი მკვლევარი ნაწილობრივ დღეააც იმეორებს ერთხელ დამკვიდრებულ აზრს, თითქოს მთელი აჭარისა და მისი მოსაზღვრე რაიონების გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ეს დღემდე მრავალრიცხოვანი მტერიბალური კულტურა ძეგლები ჰოროხის საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობს. ეს მოსაზრება, როგორც ქვემოთ დავინახებთ, არ უნდა იყოს საცესებით მართებული.

აქვე პირობებში, ამ მხარის სპილენძ-ბრინჯაოს საწარმოო რაიონების დასადგენად, ჩვენ უნდა

მივმართოთ იქ აღმოჩენილ ნივთიერ მასალას, ძირითადად ვანებს, რადგან, როგორც ცნობილია, ამ ხანაში სამთამადნო-მეტალურგული წარმოება უკვე დღევანდელი ცნობილია გამოყოფილია მეორადი მეტალურგული კერები. ხშირად აკმაოდ დამორჩეული იმ საბადოებისაგან, საიდანაც ისინი იღებდნენ ნედლეულს. ნახევარგამპროცესებისა და ზოდების სახით, რომლითაც საბოლოოდ ამუშავებდნენ ადგილობრივი სამეურნეო მოთხოვნილებისა და მოსახლეობის ვემოვნების შესაბამისად ნივთიერ მასალას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ტერიტორიაზე სკამო რაოდენობითაა სპილენძის საბადოები, აქ უძველეს სამთამადნო და მეტალურგული კერების არსებობის შესახებ ჩვენ ვადაპრით ვერაფერია ვიტყვი. რადგან ეს საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

როგორც ცნობილია, აჭარის ტერიტორიაზე ორი დაბლობია—ერთია ბათუმის სამხრეთი ზოლი, მდინარე ჰოროხის შესართავის მიდამოები, კახაბერის, ზღვის სანაპიროდ წოდებული დაბლობი; მეორე—ქობულეთის დაბლობი, რომელიც იწყება ციხისძირიდან, მიემართება ჩრდილოეთით, თანდათან განიერდება და უერთდება კოლხეთის დაბლობს. ამ დაბლობებს ზღვის დედალი ნაპირი მხოლოდ ვიწრო ზოლად გასვლით. ბათუმის სამხრეთით მდებარე დაბლობზე მდ. ჰოროხის ქვედა წელი იკვლევს გზას მისი შენაკადით აჭარის წყლით, ხოლო ქობულეთთან დაბლობზე—მდ. კინტრიში და ჩაქვის წყალი.

დღევანდელი შესწავლილობის მიხედვით გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ლითონის სამსმელი სახელოსნოები და ამდენად, მეტალურგული წარმოების ძირითადი კერები აჭარის ტერიტორიის ამ ორ ძირითად რაიონში უნდა ყოფილიყო განლაგებული.

მდ. ჰოროხისა და აჭარის წყლის ქვედა წელის აუზიდან დღეისათვის მხოლოდ 4 განთავსებული ცნობილი ცერეცს სხვადასხვა უბნიდან—3 და ჰოროხიდან—1), მათ შორის ორი (ჰოროხისა ტაბ. V, სურ. 10, 11 და ერეკე ერთი განძი ტაბ. IV) მხოლოდ ცულუბს შეიცავს, ერთი—ცულუბსა და ზოდებს (სურ. 3, 4), ერთი (ერეკე ერთ-ერთი უბნის—ეკალაურის განძი; სურ. 20)—ცულუბს, თიხებს. წალღებს და ზოდებს.

პირველი სამი განძი, რომელიც კოლხური ცულუბის პერიოდებისა და მათი ადრეული დორმებისაგან შედგება, შუადან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალ ხანას, ე. ი. ძვ. წ. XVI—XIV ს. ეკუთვნის.

• А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 44—47.  
საქართველოს არქეოლოგია, გვ. 147—148.  
• А. А. Иессен, დასახ. ნაშრ., გვ. 44—45.  
• Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, Тбилиси, 1958, стр. 97—98.

6 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 141.  
ა. ა. აქიძე, საქართველოს უძველესი ენობრივი სახელოლოგია აღმოჩენათა შექმნა, თბილისი, 1956, გვ. 12.

ნის. ამ განძების შემადგენლობაში პირველთა თონების, სეგმენტური იარაღებისა და წყლის არ არსებობა თვით ვახშების აღრეულობით უნდა აიხსნას. რადგან როგორც წინ გვქონდა აღნიშნული ეს იარაღები. კოლქურ კულტურაში მხოლოდ ძვ. წ. XIII საუკუნიდან ჩნდება. ეკალატრის (ერჯეს) განძი კი დაახლოებით ძვ. წ. XII—XI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ბათუმის მახლობელი ადგილებიდან მომდინარე ძეგლებიდან განთიადის (ყარა-დერეს) განძი. (ტაბ. XI. სურ. 1—5), რომელიც სეგმენტური იარაღის III სახეობის ვერტიკალურჩრდილანი ეტლისა, წალღებინა და III სახეობის ობიექტისაგან შედგება. აგრეთვე ძვ. წ. XII—XI სს. უნდა ეკუთვნოდეს. ხოლო ჩანსუბანში აღმოჩენილი განძი (ტაბ. XI. სურ. 9—16), რომელიც შედგება: თონების III სახეობისა, კოლხური ეტლების, ვერტიკალურსტრელიანი ეტლისა და დიდი ზომის ორნამენტურსტრელიანი რგოლისაგან.—ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს. სამწუხაროდ, ბარცხანში აღმოჩენილი ეტლების, სალიბურის თიხებისა და მანსიჭაურის თიხების, სეგმენტური იარაღებისა და წყლის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ისინი ამჟამად ფიზიკურად აღარ არსებობენ. მეტა-ლურგიული წარმოების ამავე რაიონს უნდა ეკუთვნოდეს აჭარის წყლის ბუხარში. ქედან მახლობლად აღმოჩენილი კოლქუთა (აღრეული ეტანის I სახეობისა და უყუარჩიანი ეტლის შემადგენლობით), ართვინის განძი (სურ. 13) და ყარა-დერესში 1958 წ. აღმოჩენილი შუაბარჩაის პერიოდის უამილიანი ეტლი (ტაბ. XXXIII, სურ. 2), რომლის ზუსტი ანალოგია ჩვენთვის უცნობია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლეჩხუმში აღმოჩენილ ერთ-ერთ ეტლს (ტაბ. XLIII. სურ. 1).

თუმცა ზემოხსენებულ რაიონში და ქობულეთის დაბლობზე აღმოჩენილ ძეგლებს შორის მრავალი ანალოგია და ურთიერთდამსწვევი შეინიშნება, ეს უკანასკნელი მაინც გამოირჩევა სპეციფიკური ხასიათისა და ფორმების ცალკეული ნივთებით ან მათი გუფებით, რაც აქ დამოუკიდებელი საწარმოო ცენტრის არსებობას ვევაარაულებინებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მსგავანია კიდევ ერთხელ აღნიშნოთ ის ფაქტი, რომ მარტო სოფ. ზენითის სხვადასხვა უბანში განძის აღმოჩენის 5 შემთხვევაა ცნობილი, მათ შორის ზოდების განძი

საც. აქ აღმოჩენილი იარაღებიდან უნდა მოვიხსენიოთ ბართხები (რომლებიც თარიღდება ძვ. წ. XIII—XII საუკუნით), თონების II სახეობა ვარიაციებით. სეგმენტური იარაღების II სახეობა. წალღები, I სახეობის კოლხური ეტლები, სწორტანიანი ეტლების ის ვარიანტი, რომელსაც მანვილი ყუა, მალაი გორა და სეგმენტური პირი ეტლები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თავისა სსსთით ციხისძირ-სამების განძი. განძში მრავალრტოვან ნივთებთან ზოდებთან ერთად არის წუნდებულ ნაწარმი, ქაითი და წარძიების არსებობის მანიშნებელი სხვა მასალა. საცელისმთა ის ფაქტი, რომ ციხისძირის სხვა უბანზედაც არის ნაპოვნი განძი, რომელიც სხვა ნივთებთან ერთად ზოდებასაც შეიცავს.

ქობულეთის დაბლობის სხვადასხვა უბანზე აღმოჩენილი განძების შემადგენლობაში ჩვენ გვხვდება თიხების III სახეობა (ციხისძირ-სამების და ბოთკეათის განძი). სეგმენტური იარაღის ყველა სახეობა (ციხისძირ-სამების განძი), გეომეტრიული სახეებით შემკული III სახეობის კოლხური ეტლი (ჩაქვის განძი. ტაბ. XX XIV. სურ. 8), ბრტყელი ეტლები (ბოთკეათი, ციხისძირი), კოლხური ეტლის III და IV სახეობა (ხუტუნის სამარხები. ტაბ. XX XIV. სურ. 9, 15, 11). ეს მასალები ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის საწყისი პერიოდით თარიღდება. I სახეობის კოლხური ეტლები ნაპოვნია ციხისძირში (1916 წ., ტაბ. V, სურ. 16) და აღამბარში (სურ. 56), ხოლო ზოდებისაგან შემდგარი განძი აღმოჩენილია წყავროკაში (ქობულეთიდან ჩრდილოეთით). ქობულეთის მიდამოებშია აგრეთვე. აღმოჩენილი კოლხური ეტლების პროტოტიპი (ტაბ. XXXIII, სურ. 5). რომლებიც რამდენადმე განსხვავდება ერთგვრი, ჭოროხსა და მახუნცეთში აღმოჩენილი პროტოტიპისაგან.

ამრიგად. ორივე საწარმოო რაიონისათვის დამახასიათებელია კოლხური ეტლების პროტოტიპისა და I სახეობის კოლხური ეტლების არსებობა. კოლხური ეტლების III და IV სახეობა (IV სახეობა შედარებით მცირე რაოდენობით), სეგმენტური იარაღისა და თიხების III სახეობა და წალღების ერთგვარი ფორმები. ამასთანავე განმასხვავებელი მათ შორის ის არის, რომ ერთი მხრივ, ჭოროხის ქვემო წყლის საწარმოო რაიონისათვის ტიპური ვერტიკალურსტრელიანი ეტლები (ყარა-დერესი, ჩანსუბანი, ართვინი), ყუაქვერიანი, სწორტანი-

7 ა. ი. ს. ე. ნი. დ. ნაშრომი, გვ. 118, 172: ვარაუდობს სახელონის არსებობას მანსიჭაურში. ს. დ. ი. ა. ახსოვების ცნობით აღმოჩენილი უნდა ყოფილიყო „ქერა“. ნ. ეცხელის ნარჩენი და ცალ-ცალკე დაფუძული თიხის რაიონი

ქერქული ნივთები. ამავე ცნობის მიხედვით განძი შედგებოდა თიხების და სეგმენტური იარაღებისაგან, წყლისმავარი იარაღისა და განსაკუთრებული ტიპის ეტლისაგან. მამად ეს ძეგლი დაკარგულია.



აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ ამ მხარეში ცნობილი ერთადერთი ძეგლი—ხულოს რაიონის სოფ. ნაომაში აღმოჩენილი (სურ. 45 ან ტაბ XXXIII, სურ. 1) ყუადაქანებული ცული, რომელიც შესაძლოა ადრებრინჯაოს ხანის იყოს. შუაბრინჯაოსა და ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების სპილენძ-ბრინჯაოს ნაწარმი თანდათან მრავლდება. უმთავრესად აჭარის ცენტრალურ ნაწილში. მიწის დასამუშავებელი ერთადერთი იარაღის ბაზოზისა ვარდა (მახუცეთიდან) ამ პერიოდის ლითონის ნაწარმს აქ მხოლოდ ცულემი წარმოადგენს; უმრავლესობა მათ შორის კოლხური ცულებს პირველი სახეობის პროტოტიპებია; არსად კოლხეთის არც ერთ მხარეში კოლხური ცულების პირველი სახეობის უშუალო წინაპარი ასეთი დიდ რაოდენობით არ არის აღმოჩენილი; ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური ცულები I სასუბობის თანდათანობითი განვითარებისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი ცენტრი სწორედ ეს მხარე ყოფილა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მტკიცებებს ის ფაქტი, რომ ადრეული ცულების გვერდით, ზოგჯერ უფრო მოვიანო პერიოდის, XIII—XII სს. მასალებში გვხვდება ისეთი ცულები, რომელიც შუალედი რგოლი შეიძლებადა ყოფილიყო ერთი მხარე პროტოტიპებსა და მეორე მხრივ უკვე ჩამოყალიბებულ III სახეობის კოლხურ ცულებს შორის. თუ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ლითონის იარაღებიდან მხოლოდ ცულებს ეჭვადეთ, ცოტა მოვიანო პერიოდში, კერძოდ, ძვ. წ. XII საუკუნე უკვე ჩნდება ბაზოზისებრი, თოხების სხვადასხვა ვარიანტი. წალღები და სხვა ნივთები, ძვ. წ. XII—XI საუკუნეიდან მრავლდება იარაღების ფორმები და სპილენძ-ბრინჯაოს ნაწარმი რეცხობრივადაც სწრაფად მატულობს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძვ. წ. XII საუკუნემდე აქ არა ჩანს კოლხური ცულებს II სახეობა, იმ დროს, როდესაც, როგორც წინ აღვნიშნეთ. აშკარად შეიძლება თვალს მუხადეყნოთ კოლხური ცულების I სახეობის თანდათანობით განვითარებას ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებშიდან. I ათასწლეულის დამთავრებამდე, რაც შეეხება IV ქვესახის ცულებს, აქ ამგვარი იარაღი ნაპოვნი არ არის. სამაგიეროდ ცნობილია ცულების ისეთი ფორმები, რომლებიც კოლხეთის სხვა მხარეში არ გვხვდება. ასეთია—გორდა, სიმეტრიული-პირიანი და სწორტანიანი ცულები ზენითიდან და ქობოხიანი (სურ. 57). ამ ფორმის ცულებმა, როგორც ჩანს, კოლხეთის სხვა მხარეში ვერ კპოვე გავრცელება; რაც შეეხება ყუადკერიან, სწორტანიან და გორდა სიმეტრიულიპირიან ცულებს, რომლებიც აღმოჩენილია საღორეთსა და ჩაისუბანში,

მათ ანალოგია მხოლოდ მესხეთ-ჭავჭავთვში მოეძებნება. მხოლოდ ქობოხის საწარმოო რაიონისათვისაა აგრეთვე დამახასიათებელი ვერტუკალური-სტრელიანი იარაღები. აჭარის ორივე მეტალურგიული საწარმოო რაიონისათვის დამახასიათებელია სამუშაოქმედო იარაღის ძირითადი ტიპის—თონის მხოლოდ ერთი III სახე ე. წ. ტრაპეციისებრი თოხი, I და II სახეობის თოხის არც ერთი ეგზემპლარი არ არის ნაპოვნი ქობოხის ქვემო წელში—ბაიულის სამხრეთით და მის მახლობელ ადგილებში. სამაგიეროდ პირველი ორი სახეობის თოხის რამდენიმე ცალია ცხისპირ-სამების და ზენითის განძის შემადგენლობაში (ქობულეთის დაბლობი). ასე რომ აჭარა, როგორც ჩანს, მხოლოდ ტრაპეციისმგვარი (III სახეობის) თოხების გავრცელების ძირითადი რაიონია. ამ სახეობის თოხებს კოლხეთის სხვა მხარეში ფართოდ ვერ გავუცდია გზა, თუმცა იგი ეპიზოდურად მაინც ჩნდება აქა-იქ.

22	"	"	"	84,05	14,15		1,5	1,5	"
23	"	"	"	86,81	10,41		1,7	1,7	"
24	"	"	"	96,1	0,4		0,4	0,4	"
25	სატყევის პირი (გრძელი)	"	"	96,9	5,1		0,7	0,7	"
26	სატყევის პირი	"	"	86,62	11,0		0,8	0,8	"
27	ტული კოლხური IV საბ.	"	"	95,0			0,5	0,5	"
28	" III საბ.	"	"	94,1	4,1		1,5	1,5	"
29	" IV საბ.	"	"	57,6	1,29		0,4	0,4	"
30	" აღმოს-კართლ.	"	"	86,01	11,91	1,06	0,3	0,3	"
31	"	"	"	89,67	9,13		0,4	0,4	"
32	"	"	"	85,0	12,9		0,7	0,7	"
33	ტული კოლხური IV საბ.	"	"	94,5	4,82	0,37	0,37	0,37	"
34	"	"	"	91,45	6,28	0,31	0,88	0,88	"
35	"	"	"	93,4	6,28		1,55	1,55	"
36	"	"	"	97,65	0,69		0,59	0,59	"
37	"	"	"	95,56			0,46	0,46	"
38	"	"	"	96,6			0,55	0,55	"
39	ფიბულა	"	"	84,55	13,91		0,1	0,1	"
40	ლაგანი	"	"	80,05	9,7	0,75	0,8	0,8	"
41	ტული	"	"	84,25	14,53	0,6			"
42	ბალა	"	"	79,53	12,53				"
43	სატყევის პირი	"	"	85,45	12,32				"
44	"	"	"	86,6	12,67				"
45	თიხი	"	"	86,65	12,35				"
46	"	"	"	87,99	0,49				"
47	ტული კოლხური IV საბ.	"	"	95,13		1,31	0,42	0,42	"
48	" III საბ.	"	"	87,02		0,18	2,96	2,96	"
49	"	"	"	70,21		0,14	0,94	0,94	"

რო ძველებს მეტად მცირე ნაწილს. ძველი მღვიმეების რაკვები ყოველწლიურად მატულობს თანამედროვე გეოლოგიურ საძიებო მუშაობასთან დაკავშირებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგი მათგანი გამოთხარა ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში. ზოგიც კეთილნი კულტურის მომდევნო საფეხურზეა. მსჯელობის დასკვნები ნაწილში ავტორის მოლოთებზე იმაზე, რომ ლეხის სამთამადნო-მეტალურული კვრა უფრადლებს იპყრობს თავისი სიმძლავრით. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი პროდუქცია გადოდა რიონის ზემო წელის კარეთაჟი, როგორც ამერი. ისე იმირაკავასის მხარეში (ხახვანსა ჩვენს. დ. ქ.). ამ საყარაუდო მოსაზრებას მხარს უჭერს ბრილური ტიპის ნივთების ჩრდ. ისეთში აღმოჩენის ფაქტი და აგრეთვე დარიშხანანი და ანტიმონიანი ბრინჯაოს საგნების ფართოდ გავრცელება მუდბრინჯაოს ხანის საქართველოს სხვა კუთხეში (საჩხერე, აფხაზეთი. შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი)<sup>40</sup>.

მდ. რიონის შუა წელის აუზის განსაზღვრული რაიონი—ქვემო რაკა არქეოლოგია ო. დამბაძეშვილის წყაღ. ნეთიერი მასალებიდან მის ხელთ ძირითადად შემთხვევით აღმოჩენილი განძები ყოფილა (თხშორის, ქვიშარის, ტოლის). მაგრამ მას ციფრ მუშაობა ჩუბრება იმ თვალსაზრისით, რომ აღენახა და თავი მოეყარა რმ ძველენისათვის. რომლებიც მიუთითებენ რაკაში სავრცოდ. და უკრძოლ ქვემო რაკაში მეტალურგიული წარმოების დამოუკიდებელი ყერის არსებობაზე ყდევ მერ, იგი მიმოიხილავს აგრეთვე ძველ მეტალურგულ წარმოებასთან დაკავშირებულ მასალებს ლეხიუმიდან. სვანეთიდან, ამსთანავე ითვალისწინებს რა ზოგჯერ განძალეული ნეთიერი ძველენის თავრებულებებს (მდ. ობნელის სანაპიროზე აღმოჩენილ ცულები და სხვა). გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქვემო რაკის ძვ. წ. II ათასწლეულია მუშაობის ძველების მიხედვით. შესაძლოა კალაური კულტურის ამ უბანში ვივლინისნით ისეთი მიკრო-ლოკალური კვრა. რომელიც ზემო რაკათან და ლეხიუმიდან ერთად, გარკვეული მასშტაბით მონაწილეობდა გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ცულების ჩამოყალიბებაში, და ამდენად, უსაფუძვლო არ იქნება, თუ ქვემო რაკას მივიჩნევთ ისეთ მიკრომეტალურგიულ ცენტრად, რომელიც ზემოდაახლებულ რაონებთან ერთად თავისებურად ტრანსპლევდა მთელ გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს და გარკვეული ინტენსიურობით მონაწილეობდა კლასიკური კოლხური ცულის ჩამოყალიბების საქმეში. წამოჭრილ საკითხთან დაკავშირე-

ბით ავტორი ითვალისწინებს იმას, რომ მისთვის სანტრერესო რაიონის ტერიტორიაზე თითქმის კოლხური ცულების მხოლოდ I და II სახეობაა აღმოჩენილი და მას შესაძლებლად მიაჩნია მათი გენეტიკურად დაკავშირება ქვიშარის ზემოთ მოხსენებულ არქაულ ცულებთან<sup>41</sup>. ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ ო. დამბაძეშვილის მოსაზრებას, რამდენიმე შენიშვნით. რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ადრე ბრინჯაოს პერიოდის ნეთიერი ძველები რაკის ტერიტორიიდან არ არის ცნობილი და მასთანამე, არც ქვემო რაკიდან; სამაგიეროდ შუა ბრინჯაოს პერიოდის მეტურალურ კულტურის ძველები დიდი ნაირფეროვნებით და სიუხვითაა აქ წარმოდგენილი; ზემო რაკაში (ბრილში) უმთავრესად საძარბეული ინვენტარის სახით, ხოლო ქვემო რაკაში განძის სახით. სწავთა შორის, არ იქნება უადგილო თუ აქ შევიშნავთ, რომ სწორედ ქვემო რაკიდან მომდინარეობს უმთავრესად როგორც მუდბრინჯაოს, ისე გვიანი ბრინჯაოს პერიოდის განძები, ხოლო ზემო რაკაში განძებო თთქმის არ არის ნაპოვნი. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია, როგორც წინ თუ აღნიშნული, ქვიშარში მდ. ობნელას ნაპირზე აღმოჩენილი სპილენძის ცულების განძი შუა ბრინჯაოს პერიოდის ძველადაა მიჩნეული. მათთვის დამახასათებელია მრუდ ტანი, ორფერდა ყუბ, ოვალური სატარე ზერელი და თხელი პირი (ტაბ. IV, სურ 1—4); ზუსტი ანალოგია მათ თითქმის არსად მოეძებნება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლენინგრადში პალეონტოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცულ ურეკში აღმოჩენილ ცულის (სურ. 1) და მესტიის მუზეუმში დაცულ ერთ ცულის (ტაბ. XI.1. სურ. 7). რომელსაც სატარე ზერელი უკანა მხარეზე მეტად აქვს წარძქვლებული, არ უნდა იყოს საეჭვო, რომ აღნიშნული ცულები ქვემო რაკის ვიწრო ლოკალური რაიონის ფარგლებში შექმნილი იარაღებია.

ამავე დროს, ქვემო რაკა, ისე როგორც ლეჩხუმი, მეტად სინტერესოა გვიანი ბრინჯაოს პერიოდის უკვე ჩამოყალიბებული კლასიკური კოლხური ცულების ფორმების მრავალგვარობით და თავისებური ხასიათით. ამ მხარეში სოფ. სინათლის მიდამოებშია აღმოჩენილი ერთადერთი განძი, რომლის შემადგენლობაში ასე დიდი რაოდენობი-

<sup>41</sup> ო. დამბაძეშვილი, გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა მდ. რიონის შუა წელში (ქვემო რაკა), ხელნაშედი, თბილისი, 1962, გვ. 223.

თა ტანმრუდ (IV) ქვესახე) ცულები (5 ც.) ია. მათ შორის. უნიკალური ეგზემპლარიც. რომლის ბადალი ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალებში არ მოიძებნება. პირის გარშემოწერილობით (მაღალი გორდა და ასიმეტრული პირი) და მხვილი ყუთი იგი იმეორებს კოლხური ცულის III სახეობას; განსხვავება იმაშია, რომ იარაღის ტანზე შეზნეპილ-ამზნეპილობა შეინიშნება. ამ ცულში შერწყმულია კოლხური ცულის III და IV ქვესახის დამახასიათებელი ელემენტები. ვარდა იმ სახერხით თვისებებისა, რომლებიც კოლხური ცულებს უყვლა სახეობას ასასიათებს, ყოველივე ზემონახვებული ჩვენ გვაკარაულებინებს. რომ ლეჩენჯის გვერდით რაჟის ეს მხარე უნდა ყოფილიყო ის ცენტრი, სადაც შეიქმნა და ჩამოყალიბდა კოლხური ცულების განუყოფელი სახეობა—ტანმრუდე ცულები.

ყურადღებას იმსახერებს ის გარემოება. რომ თოსებისა და სეგმენტური იარაღების გარკვეული სახეობების აღმოჩენის პუნქტები მხოლოდ ქვემო რაჟის ტერიტორიას ემთხვევა. მათ შორის მწმუნელოვანია თხმორის განძის მასალები. მის შემადგენლობაში როგორც თხების, ისე სეგმენტური იარაღის დიდი რაოდენობაა (ოც-ოცი ცალი); არის როგორც სწორტანიანი და განიერპირიანი. ისე მადალტანიანი და წელში მოხრილი ცალები. სავარაუდებელია, რომ ქვემო რაჟის საწარმოო უბნის თავისებურებას წარმოადგენს მაღალტანიანი თხების ის ვარიანტი, რომლის უკანა პირზე წვერით უხისავე მიმართული გოძელუწიწიანი ისრისპირისმავარი რელიეფური გამოსახულებაა. რაც შეეხება დანარჩენ მაღალტანიან და წელში მოხრილ თხებს, ისინი მართალია დიდი რაოდენობითა აქ აღმოჩენილი (ამასთანავე ასეთივე თხები ბუგეულსა და ორბელშიცაა ნაპოვნი). მაგრამ მაღალტანიანი თხებზე გუთურისა (ტაბ. XVI, სურ. 5. 6) და ზენითის განძის შემადგენლობაშიცაა (სურ. 8). სხვათა შორის, აქაური სწორტანიანი თხები ახლო ანალოგიას ამკლავებენ იჯოლის განძისეულ ასეთსავე თხებთან და როგორც წინ გვქონდა აღნიშნული, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთი საწარმოს ნახელავი იყოს.

აჭარა-აფხაზის ტერიტორიაზე სწორტანიან თხების თითო-ორილა ცალია ნაპოვნი. სამეგრელოდან სოფლიდან არ არის ცნობილი, ხოლო იმერეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი რაოდენობით ოჯოლის განძის შემადგენლობაშია. ორა

<sup>42</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიურ ვახებზე სპობოთა საქართველოში, ობილი, 1952. გვ. 58, ტ. X. I.  
<sup>43</sup> იქვე, ტაბ. XI.  
<sup>44</sup> MAK. VIII, ტაბ. CXVI.  
<sup>45</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური ვახებზე სპობოთა საქართველოში, ტაბ. X, სურ. 7, 9.

ეგზემპლარიც (იხე. 64—1.4 : 6.7) თერეკიანიდან. ასე რომ, ჩვენი ვარაუდია: სწორტანიანი თხები, ისე როგორც თხების ის ქვეყნი, რომლებსაც წინა პირზე ისრის რელიეფური გამოსახულება აქვს. შესაძლოა სწორედ რაჟაში დამზადებული იარაღი იყოს, რომელმაც მეზობელ მხარეში (ოჯოლაში) შეაღწია.


ზემო რაჟა შუა ბრინჯაოს პერიოდის სპილენძ-ბრინჯაოს ნაწარმით. კერძოდ ცულებს შესანიშნავი ასორტიმენტით. საყოველთაო ყურადღებას იმსახერებს. ამ პერიოდის ნაწარმის შედევრებად უნდა ჩათვალოს პლასტიკური ორნამენტით შემკული ის ცულები, რომელთა ერთ ნაწილს სახეობით დაუკარგავს სამეურნეო-საბძროლო იარაღის ფუნქცია და ისეთი ფორმა: მიღლია, რომელიც მხოლოდ საკულტო-სარიტუალო ან საზეიმოდ გამოსატან ნივთს შეეფერება<sup>42</sup>. აღნიშნულ ტანმრუდებზე ვარაუდობთ ვარაუდობთ. ვიწრო და გრძელ სტატუსურულიან ცულებს ზოგჯერ ერთმანდალ სხვის ნაქანდაცა აქვთ. გამოჩენის შემთხვევაში სხვის თავი დაგრეხილი რქებით იარაღის შეხების გამზნეპილ ნაწილებზე აღმართული ასეთი ცულებს საკულტო ეგზემპლარებს სხვა სახის ორნამენტებიც აქვთ. აქვე აღმოჩენილია სხვა რაგის ისეთი იარაღები, რომლებიც ცულისა და ნამგლის შერეული ფორმით წარმოგვიდგება, გრძელი მილისებრა სატარით და მოხრილი ტანი<sup>43</sup>. ამ უკანასკნელთა ანალოგიები მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში მოიძებნება<sup>44</sup>. საკულტო-სარიტუალო იარაღების მთელი ეს ჯგუფი, იმ მძლავრ მეტალურგიულ საწარმოო ცენტრში შექმნილი ჩანს. რომელიც ზემო რაჟის ტერიტორიაზე გამოვლენილი. ბრინჯაოს შუა ბრინჯაოს პერიოდის სამართავანზე არა მარტო საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ცულებია ნაპოვნი. რომელზეც ყუმილიან ცულების ისეთი ჯგუფი. რომლებიც სამეზობლოდ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი<sup>45</sup>. ჩვენ აღარას ვამბობთ იმ მრავალრაცოვან თავისებურ იარაღ-საჭორველზე (შუშისპირეა. სატეკრები) და სამკალეებზე, რომლებიც აღნიშნულ სამართავანზე აღმოჩენილი და აქვე შექმნილი ჩანს.

რაჟა-ლეჩხუმის მეტალურგიული ცენტრის ვარაუდებში შექმნილია იარაღის კიდევ ერთი ტიპი. რომელიც მხოლოდ ამ მხარისათვისაა დამახასიათებელი; ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბრეტელი ცულების ის ვარიანტი, რომლებსაც გვერდით კოტისებრი შევრილები აქვს, ხოლო პირი გორდა, მსგავსი კოლხური ცულისა. ასეთი იარაღები აღ-



მონიერი ონსა და ღარში (ტაბ. XI. სურ. 13, 14). ქვიშარა და სხვა ადგილებში.

რაკი დამუკიდებელ საწარმოო კერების თავისებურებებზეა ლაპარაკი. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აგრეთვე სოფ. ღარში აღმოჩენილი კოლხური ცულას განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც უკა ორფერდა აქვს. სატარის ზედაპირი სადა. გვერდითი წახნაგების წიბურები სატარე სერვის ძირიდან იწყება და ნიღრებამდე აღწევს. ტან- ექვსწახნაგაა და პირი თოქმის სიმეტრიულ-



სურ. 87. სოფ. ღარში აღმოჩენილი ცული (იხვ. 6—02/95, 1008)

ღ. დ. აქვ. მორკალური (სურ. 87). ეს ცული პროფ. ბ. კუფტინის მონაწილე აღმოაჩენს ქართული ცულასა და კოლხური ცულას შეჯვარების შედეგად მიღებულ კაბრიულ წარმოშობისაა<sup>47</sup>. კოლხური იბერიულ-კელტურების ურთაერთობის საკითხებზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ეხლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს ცული სწორედ ზემოაღნიშნულ საწარმოო უბნის თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს. რადგან ამავეარი ცული სხვაგან არაა აღმოჩენილი.

ბოლოს უნდა აღვნიშნოს, რომ როგორც კოლხეთის სხვა მთიან რაიონებში, ისე რაჭის ტერიტორიაზე წაღლი არ არის ნაპოვნი.

შევეხებით რაჭაში აღმოჩენილი რამდენიმე ნივთის ქიმიურ ანალიზს (იხ. ცხრილი № 4).

ამ ცხრილის მიხედვით რაჭის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შუა და გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ძეგლების ქიმიური შედგენილობა თითქმის დიამეტრულად განსხვავდება ერთი-მეორისაგან. შუაბრინჯაოს პერიოდის თითქმის ყველა ნივთი დარიშხანის ბევრ ან მცირე მონარევს შეიცავს (1,09—11,17-მდე); ზოგიერთის შედგენილობაში ანტიმონია დიდი რაოდენობით (15,59 და 24,38%), კალა მხოლოდ ერთი ნივთის შედგენილობაში (13,02%), უმარცხესობა კი კალის მინარევს სრულად არ შეიცავს. ასეთი უმარცხესობის პერიოდის შედგენილობის ნივთიერი ძეგლები ჩვენ არ გვეგულება არც კოლხეთის ტერიტორიაზე და არც სხვაგან სადმე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რიონის სათავეში მიკველეულია ანთიმონისა და დარიშხანის საწარმოები<sup>48</sup> (მალარობები), მაშინ ყოველგვარი ეჭვის ვარაუდზე შეიძლება ვილაპარაკოთ აღნიშნული ნივთების ადგილობრივ წარმოებებზე. მეორე მხრივ გვიანი ბრინჯაოს ხანის ყველა ნივთი (ბალთის გამოკლებით) კალის დიდ მინარევებს შეიცავს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აქმეტალურგოვანი წარმოების საკმაოდ განვითარებულ დონეს.

\* \* \*

როდესაც ო. ჭაფარიძე კოლხური ცულას შეისწავლიდა, ის მიუთითებდა ლეჩხუმზე, როგორც კოლხური კულტურის მეტალურგოვანი წარმოების ერთ-ერთ ძირითად კერაზე; ამის საბუთს იგი ხელდასტურებდა მრავალრიცხოვან მატერიალური კულტურის ძეგლებში, რომლებიც ამ მხარეშია აღმოჩენილი; კერძოდ, მას მხედველობაში ჰქონია განძების სერია და დიდალი კოლხური ცულები. იგი მართებულად არ მიიჩნევდა ა. იესენის მიერ აღწერილ კოლხური კულტურის ძირითად კერა კოროხის აუზი იყო, ხოლო ლეჩხუმში—წერილი მეტალურგოვანი ცენტრი. ავტორი კოროხის აუზს არ უარყოფდა, როგორც წარმოების ძირითად ცენტრს. მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ლეჩხუმში და ევბე აფხაზეთში უნდა ეძებნა კოლხური კულტურის ძირითადი მწარმოებელი ცენტრები<sup>49</sup>.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის არქეოლოგი ო. ლაბაშიძე. იგი მიუთითებს სოფ. ცავერში, უცულათის წყაროს მიდამოებში დამოწმებულ სპილენძის მადნის შემცველი წილების გროვების არსებობის ფაქტებზე, რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე, სხვადასხვა ადგილებში შეგროვილი წილებისაგან

<sup>47</sup> Б. А. К у ф т и н, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе.

<sup>48</sup> საქართველოს არქეოლოგია, გვ. 215.

<sup>49</sup> ო. ჭაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 52.

№№ რიგ.	ნიეთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	სპილენძი	კალა Sn	ტყვია Pb	რკინა Fe	დაბრინჯი As	ბინძორი Ss	ძველების მთავრობის თარიღი
1	ცული	ბრილი სამარხი № 12	08,2				11,17	15,59	შუა ბრინჯაოს პერიოდი
2	"	" ქვაყუთი № 31	90,5				7,02		
3	" ყუბამილიანი	" სამარხი № 31ა	91,69	0,24		0,54	6,31	0,26	
4	"	" ქვაყუთი № 197	92,05				4,9		
5	"	" № 31	92,2				6,4		
6	შუბისპირის ნატეხი	" " "	90,56				5,8		
7	შუბისპირი დიდი	" " "	92,0				5,6		
8	"	" ქვაყუთი	92,8				5,9		
9	" პატარა	" " "	96,1				2,3		
10	შუბისპირი	" სამარხი 31					1,09	0,7	
11	სამაჯური	" " "	80,54	13,02	0,63		4,5		
12	ცენტრის ქანდაკების სტილიზე-ბული გამოსასულელება	" სამარხი 12	60,13	1,47	0,14	2,1	9,15	24,38	
13	სათამბე ბალთა	ბრილი 1950	96,24	0,19		0,02	0,51	0,91	
14	ცული კოლხური	" 1952	89,94	7,6		0,11		0,93	
15	"	" 1951	87,76	9,37		0,16	0,28	0,62	
16	ვერძის თავის ქანდაკება	" 1951	87,6	10,98					
17	ოკალი (საყვლური)	" 1962	86,9	11,22			0,4	0,8	
18	(ცული კოლხური	" 1951	81,64	11,77	0,42	0,77	0,82	0,75	
19	"	" 1952	83,02	11,81					
20	"	" 1951	81,22	13,36		0,15	კვადრი	1,35	
21	"	" 1951	84,92	14,21			0,07	0,12	

შემდგარ მასალებზე, რომლებიც სპილენძის გააღონობის შედეგად არის წარმოქმნილი. მას მოაქვს საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს არქივში დაცული რამოდენიმე ცნობა, სპილენძის საბადოების არსებობას რომ ადასტურებს ლეჩხუმში. ერთ-ერთი განმარტებითი ბარათის მიხედვით (დათარიღებულია 1911 წ. 2. სექტემბრით) სოფ. მექვენასა და ოფიტარის მცხოვრებნი თავიანთ მიწებს არენდით აძლევდნენ სამთამადრო წარმოების ამხანაგობას, რათა მათ ეწარმოებინათ სპილენძის მადნის აღმოჩენა. ო. ლამბაშიძე მიუთითებს აგრეთვე გეოლოგ ბ. ტოგონიძის მნიშვნელოვან ცნობებზე, რომლის მიხედვით ჩანს, რომ სოფ. ოყურეშის მიდამოებში (იქ ხომ შესანიშნავი განძოცაა ნაპოვნი) ნაპოვნი ყოფილა წიღების გროვები მათში შერეული თიხის კურკლის ფრაგმენტებით, რომლებიც სპილენძის მადნის გამოსადნობი კურკლის—ტიგელების ნამტერეკებად მიჩნეული. იქვე ყოფილა ნაპოვნი ზოდი. აღნიშნულის საფუძველზე კი გეოლოგი გ. ტოგონიძე მისულა იმ დასკვნამდე, რომ იქვე უნდა ყოფილიყო ძველი წარმოების ეკრა და სპილენძის საბადოები. ასევე. კიშჩის მახლობლად მას უპოვინა სპილენძის სადნობი საწარმოს გადანაყარ<sup>49</sup>. ეს და სხვა მნიშვნელოვანი ცნობები, რომლებიც შრომაშია მოტანილი, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ლეჩხუმის ტერიტორიაზე საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო სამთამადრო მეტალურგიული

წარმოება. აღარას ვამბობთ აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი განძების შესახებ, რომლებიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ზემოაღნიშნულ ფაქტს. ლეჩხუმში იპყრობს ყურადღებას არა მარტო გვიანბრინჯაოს პერიოდის აქ აღმოჩენილი მატერიული კულტურის ძეგლების სიმრავლით, არამედ იარაღ-საქურტრელის არაჩვეულებრივი დახვეწილობით, ცალკეულ ნივთების სიყოფიერით და განსაკუთრებულ იერით. ნივთების დიდი უმრავლესობა კეთილშობილი პატინითაა დაფარული და რაც მთავარია შესანიშნავადაა დაცული. ნივთების ანგვარი დაცულობა და დახვეწილი ფორმა, ჩვენის აზრით, აქაური ხელოსნების დიდი დახვეწილებით უნდა აიხსნას; ისინი სპილენძის ნედლეულის დამუშავების შესანიშნავი ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ. ერთიანად აღებული ამ თვისებების ქამი, სადაც შერწყმულია ყველაფერი კარგი, რაც ბრინჯაოს ნივთებს უნდა ახასიათებდეს. რამდენადმე განასხვავებს მათ კოლხების სხვა მხარეში აღმოჩენილ ტიპოლოგიურად მსგავს ნივთებისაგან.

ლეჩხუმში ერთადერთი მხარეა კოლხეთის ტერიტორიაზე. სადაც სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი რაოდენობითაა აღმოჩენილი ე. წ. მოვაკრეთა განძი, ე. ი. ისეთი განძი, რომელიც ძი-

<sup>49</sup> ო. ლამბაშიძე. გვიანი ბრინჯაოს ხანის კელტურა მდ. რიონის შუა წელში, გვ. 31—34.

რითადად ზოდებსა და ჭარბს ახარ შეიცავს, არამედ კარგად დაცულ, ზოგჯერ ახლად ჩამოსხმულ ნივთებს. რომლებზედაც თითქმის ჭერ კიდევ არ შეიმჩნევა მუშაობის კვალი. ეს კი უთუოდ აყენებს საკითხს: ხომ არ იყო ლეჩხუმში ლათონის წარმოების ისეთი კერა, სადაც ძირითადად, თანამედროვე ტერმინით თუ ვიტყვი, საექსპორტო ნივთები მზადდებოდა? მართლაც, ლეჩხუმში გვიან ბრინჯაოსა და მისი მომდევნო ხანის განძების შემადგენლობაში ათობითაა კოლხური ცული; აქ მის მასობელ რაჰის ტერიტორიაზე ერთადამავე განძის შემადგენლობაში ერთდროულად ჩვენ გვხვდება როგორც მესამე, ისე მეოთხე სახის და IV; ქვესახის ცულები და, რაც მთავარია, ისინი ერთი სახელისნოს მიერ. ერთნაირი სტილითა და ტექნიკით ნაქოლები ნივთები ჩანს; ამრიგად, არ უნდა იყოს საექპო ლეჩხუმისა და მასთან ერთად რაჰის ტერიტორია, რომ ვივლოთ კოლხური ცულების ყველა სახეობის მაწარმოებელ—ერთ-ერთ ძირითად კერად. კერძოდ, ჩვენ მხოლოდ ეს მხარე მკვანა კოლხური ცულის IV ქვესახის—ტანმრუდ ცულის წარმომობის ძირითად კერად, საიდანაც შედგომ გავრცელება პოვა სხვადასხვა მხარეში. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ შესანიშნავადაა გრავირებული აქ აღმოჩენილი III სახეობის კოლხური ცულის ზოგიერთი ეგზემპლარი (ტაბ. XLIV, სურ. 1—4).

გვიანბრინჯაოს პერიოდში ლეჩხუმში წარმოგვიდგება როგორც მძლავრი მეტალურგიული ცენტრი, სადაც შესანიშნავად მუშავდება ბრინჯაო, კვდება პირველხარისხოვანი ნივთები. როგორი სურათი ჩანს ამ მხრივ უფრო ადრეულ პერიოდში? ჩვენთვის ცნობილი არქეოლოგიური მასალების მახედვით ლეჩხუმის ტერიტორიაზე ჭერჭეტილობით არ არის ნაპოვნი ადრებრინჯაოს პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები. უმარბრინჯაოს პერიოდის მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იცნობს ცულა ჩვენთვის ცნობილი (ტაბ. XLIII, სურ. 1). რაც შეეხება გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურს ე. წ. ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარს საწყისის პერიოდს, ამ დროის აქ ნახული როგორც კოლხური ცულების I სახეობის ადრეული ფორმები (ლაქანიდან, ლალაშიდან ტაბ. XLIII სურ. 5, 6), ისე მრგვალხვრელიანი და ორფერდაყუანი იანთი ცულები, რომლებიც IV სახეობის კოლხური ცულის მეორე ქვესახის (მანუილყუანის) წინამორბედი უნდა იყოს; სწავლა შორის ამ ცულებს ისე, როგორც ცულის დედიდან ჭერ კიდევ არა აქვს ექვსად დწახანავებული ტანი, ზოლო სატარის ზედაპირზე ჩვეულებრივი წიბურები, რაც მეოთხე სახეობის კოლ-

ხური ცულებისათვისაა საერთოდ დამახასიათებელი (ტაბ. XLIII, სურ. 2, 3, 4).

გვიანბრინჯაოს პერიოდში მაინც IV სახეობის ცულები ჰარბობს, დიდი რაოდენობითაა მესამე სახეობის ცულაც, რაც შეეხება ტანში ორგზის მოხრილ ცულებს, ოთხი ასეთი ცული განძის შემადგენლობაშია, ხოლო ორი ნაპოვნი ცალკე. IV სახეობის კოლხური ცულები მოყვანილობითა და აღნაგობით მშვენიერია, მაგრამ ორნამენტით გაღორმება მათ ნაკლებად შეეხება; სამაგიეროდ III სახეობის კოლხურ ცულებს შორის არის ეგზემპლარები, რომლებიც ამ მხრივ შედევრებს წარმოდგენენ (ტაბ. XLIV, სურ. 3, 11).

სტილით, დამუშავებით და საერთო ხასიათით ძალიან გვანან ერთმანეთს რაჰა-ლეჩხუმ-სვანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი კოლხური ცულები; მაგრამ, როგორც წინ აღვნიშნეთ, რაჰა-ლეჩხუმში იმით განსხვავდება კოლხეთის დანარჩენი მხარეებისაგან, რომ აქ თითქმის თანაბარი ყურადღებით და მზრუნველობით ამზადდებენ ყველა სახეობის კოლხურ ცულს, იმ დროს, როდესაც კოლხეთის დანარჩენ მხარეში უთუოდ შეინიშნება მიდრეკილება-კოლხური ცულის რომელიმე სახეობის მეტი რაოდენობით დამზადებისა: მაგალითად, ზოგიერთ მხარეში (აჭარა, გურია, იმერეთი) ჩანს, რომ პრიორიტეტს III სახეობის ცულებს ანიჭებდნენ, IV სახეობის ცულები შედარებით ცოტა მზადდებოდა და სრულებით არ აკეთებდნენ ტანში ორგზის მოხრილ ცულებს. ზოგან (აფხაზეთი, სვანეთი) დიდი რაოდენობით უყუთებიათ IV სახეობის კოლხური ცული; თუმცა, III სახეობის კოლხური ცულებიც უმუდებიათ საკმაო რაოდენობით, სამაგიეროდ, სრულად არ არის ამ მხოლოდ ერთეულებითაა კოლხური ცულის IV პირველი ქვესახე.

ლეჩხუმში უნდა იყოს სამშობლო ბრინჯაოს იმ ქურქლისა, რომელსაც სიტულას ექსპიან და უმთავრესად განძებთან ერთად ან განძებით სავსეს პოულობენ. დაბოლოს, ლეჩხუმში აღმოჩენილია რამდენიმე ბრტყელი ცული, მათ შორის ერთი შიდა ქართლისათვის დამახასიათებელი სახისა (ტაბ. XLIII, სურ. 10), სეგმენტური იარაღი (ძირითადად II სახეობის მცირე ზომის ცალები, რომლებიც უმთავრესად ქვემო რაჰასა და იმერეთის ზეგანისათვისაა დამახასიათებელი), ნამგალი, ორი სახის სატეხი და ოთხები, რომლებიც არაფრით არ განსხვავდება კოლხეთის დაბლობში გავრცელებული ცალებისაგან. საინტერესოა ლუხვანის განძისეული სახელისნო იარაღი, რომლის პარალელი

დღეისათვის ჩვენთვის უცნობია (ტაბ. XLIV. სერა 10).

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჩვენი კვლევის სფეროში არ შედის, მაინც უნდა ვახსენოთ ოყურუმის განძის შესანიშნავად პატინირებულ ღირსეულ რკოლებში, რომელიც ლეჩხუმის საწარმოო მხარის თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს. ამგვარი ნივთების აღმოჩენას წოხისა და პერევის განძების შემადგენლობაში უნდა ვუმადლოდეთ ლეჩხუმს

ლეჩხუმში აღმოჩენილ მხოლოდ 10 ნივთის ქიმიურა შედგენილობა ჩვენთვის ცნობილი (იხ. ცხრილი № 5).

ცხრილი 5

ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	სპილენძი	კალა	ტყეა	თუთია	ფარისებრი
1. ქაბი (სიტულა)	ოყურუმში 1-36:178	199,04		0,3		
2. ცული კოლხური	ოყურუმში 11-32: 13	94,1	5,7			0,2
3. " "	ოყურუმში 11-32: 14	88,8	10,1			0,59
4. რგოლი ოთხადგატეხილი	18-32:206	87,0	12,7			0,88
5. ცული კოლხური	11-32: 68	36,75	12,65			0,02
6. ხატის უღელი	18-32:200	86,34	13,4			
7. ცული კოლხური	11-32: 19	85,0	14,1			
8. ლაგამი	სტრუმში 14-32: 4	98,91		0,5		0,5
19. ცული კოლხური	11-32:51	78,10	9,10	2,0	0,5	2,51
10. ბრტყელი ცული	11-32:55	85,3	11,39			

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს. ნივთების ძირითადი ნაწილი დამზადებულია კალის დიდი პროცენტის შემცველი ბრინჯაოსაგან. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდში აქ მალახზარისხეიანი ბრინჯაოს ნივთები კეთდებოდა.



სენათის ტერიტორია არ არის შესწავლილი ძველი სამთამანდო და მეტალურგიული წარმოების ნაშთების გამოვლენის თვალსაზრისით. კიდევ მეტი, სპილენძის მადნების საბადოების მარაგისა და მისი სავსეპრობაციო ვარჯისობის საკითხი დღესაც არ არის დადგენილი. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში მაინც არის მითითებული ზოგიერთი ადგილი, საიდანაც სპილენძის საბადოება

უნდა იყოს; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან ზესხინის საბადოს. არის სხვა საბადოც— ჩალთი და სხვა<sup>50</sup>. ადგილობრივ გადმოცემებში ყოფილა მითითება იმის შესახებ, რომ სენათში ნესტური, ხეობაში უძველეს დროში უნდა ეწარმოებინათ სპილენძის მოპოვება. ა. იუსენი დასძენს, რომ ეს ვადმიკება. ბ. კოვალევსკის მ-სედიოთ. რ უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეზე ადრეულ პერიოდს; ბ. კოვალევსკის მითითებული ჰქონია აგრეთვე ნესტურის კალაბრში ზოდების აღმოჩენის ფაქტი<sup>51</sup>. ა. იუსენს მოტიანი აქვს აგრეთვე სხვა ცნობაც იმის შესახებ, რომ 1930 წელს გეოლოგმა გვახარამ ზემო სენათში აღმოაჩინა სპილენძის ნაღობი ნაჩენები (სპილენძისა წოდების გროვა).

ზისივე ცნობით, სპილენძის ორი ზოდი, საერთო წონით 30 კგ და წილის ნარჩენები მესტიის მუზეუმში შესულა (იგი ეყრდნობა ი. კუზნეცოვის ზეპირ განცხადებას)<sup>52</sup>. ასეა თუ ისე, სენათში (განსაკუთრებით კი ზემო სენათში), სპილენძის მადნების არსებობა საყოველთაოდ ცნობილი და როგორც ჩანს. აქა-იქ არა მარტო სანახევლო სახელოსნოს კუთვნილი ნედლეული ზოდებია ნაპოვნი, არამედ სამთამანდო წარმოების ნაშთები, რაც უდაოდ მაჩვენებელია ამ მხარეში ადრეულ პერიოდში მეტალურგიული წარმოების არსებობისა; მაგრამ როგორც აღვნიშნეთ. ყოველივე ეს არ არის სათანადოდ შესწავლილი.

აღსანიშნავია ისიც. რომ ამ მხარეიდან თითქმის არა გვაქვს მეცნიერულა გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი ძეგლები ამ დროს. როდესაც შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები საკმაოდ ბევრია და საინტერესოც. ამ გარემოებას ადრევე მიაქცია ყურადღება აწ განსვენებულმა არქეოლოგმა მ. ივანჩენკომ; იგი ჭერ კიდევ ამ სამი-სამნახევარი ათეული წლის წინათ ამბობდა: აუხაზეთისა და სენათის დიდ ტერიტორიაზე ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი ისეთი ნივთები ჩნდება და გაცილებით მეტი რაოდენობით. რომლებიც ადრე „ყობანური“ სახელათ იყო ცნობილი. ამიტომ ამ კულტურას წარმოშობის ცენტრად ეს მხარე უნდა მივიჩნიოთ და მას სახელიც კოლხური ეუწოდოთ<sup>53</sup>. მართლაც აქ შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლების სიმრავლე. მათი ხასიათი და ზოგჯერ თავისებურებანიც კი მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებდა და იმსახურებს. საქმე ისაა. რომ ამ მხარეში ლითონის ნივთები მეტალურგიული წარმოების ადრეულ საფეხურს უკავშირდება და. რაც მთავარია, აქ ლითონის წარ-

<sup>50</sup> Природные ресурсы Грузинской ССР, ტ. 1, გვ. 106.  
<sup>51</sup> А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 43.  
<sup>53</sup> М. М. Ивасенко, Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens, ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 111.

მოგვის უწყვეტად ჩავეი შეინიშნება. სამწუხაროდ. არაფრას თქმა არ შეიძლება ძეგლების ხასიათზე: განძებთან მომდინარეობენ იანი, სამარხებთან. ლუ ჯღღტრული ფენებიდან: ერთი კი ამკარაა - მესტიის მუზეუმში დაცული ზოდების განძი ელადან და ცალკეული ზოდები ქუბერტიდან იმის მათუწყებულია. რომ ამ მხარეში სამსხმელი სახელოსნეები უფოოდ არსებობდა.

უადრესი ძეგლი. რომელიც მესტიის მუზეუმშია დაცული, არის მრავალზღვრულიანი და ტრაპეციისმკვერთი ცელი. რომელსაც ოდნე მომრგვალებული პირი აქვს (ტაბ. XLVI). ო. ჯფაროძე მსგავსებას ხედავს აღნიშნულ ცელსა და ზემო ავქალის ადრეულ ცელს შორის, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ასეთმა ცულმა<sup>54</sup> ჩვენში ვერ პოვა სათანადო ჯავრცელება<sup>54</sup>. მართლაც. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას. რომ ზემო ავქალის ცელი ზომის დიდია, აღნიშნული ცულები ფორმით იმეორებენ ერთი მეორეს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძ. წ. III ათასწლეულის I ნახევარში (რეპერტიორით თარიღდება ცულები) დასავლეთ საქართველს ამ შთან ზოდშიც უკეთესიანთ ლითონის იარაღი, ისიც ცელი. ადრებრინჯაოს პერიოდისა უნდა იყოს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყუამილიანი ცულები მესტიის მუზეუმიდან (ტაბ. XLV). ძალზე ძნელდება მესტიის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ცულის იმ ეგზემპლარის გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსება. (ტაბ. XLV, სურ. 2). რომელსაც ძალზე უეკრრობებული ყუა და სტარე აქვს. იგი ყუადაქანებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ იარაღის აბლო ანალოგას წარმოადგენს ყულანერხვას ცული, რომელსაც ოვაღური სატარე ხერელი აქვს<sup>55</sup>. რაც შეეხება სოქის მუზეუმში დაცულ ეგზემპლარებს (2 ცალი), მათ მართალია ვიწრო სატარე აქვთ, მაგრამ პირი ფხიძაენ ძალზე ვაფართოებულა და იარაღის შუბლის მხარეც სწორხაზობრივად ეშეება<sup>56</sup>.

წუამრინჯაოს პერიოდის იარაღისაგან რამდენიმე სახეობის გამოყოფა შეიძლება. ყუამილიანი ცულზე<sup>57</sup> ერთი გჯუფი (საქართველის სახ. მუზეუმში<sup>57</sup> ფონდ. ან. 11—32:34 და 5—58:1 ტაბ. LXVa.) ფორმით ერთს მხრივ ურჯკის განძის ევმოლიან ცულებს უსალოვდება. მეორე მხრივ ანალოგიურ პიელობს რეპეში ბრინჯის სამაროვანზე ნუანტინჯაოს პერიოდის № 12 სამარხში აღმოჩენილ ერთ-ერთ ცულთან (ტაბ. XLI, სურ. 2). მესტიის მუზეუმში დაცულია ტანმრუდე ცულის ერთი ეგზემპლარი (ტაბ. XLV, სურ. 7), რომელიც

ფორმით უსალოვდება ქვემო რაჭაში (ქვიშარში) მდ. ობინელას ნაპირზე აღმოჩენილ ცულებს. ოლონდ სვანეთის ეგზემპლარს უფის უკანა მხარე მეტად აქვს წაგრძელებული.

მხოლოდ ამ მხარისათვისაა დამახასიათებელი მარაოსებრი პირიანი და სწორშუბლიანი პარალელი ან სარტყლავი ხასიათის ცულები. ერთადერთი მსგავსი იარაღი ურუპში ყოფილა ნაპოვნი და ინახება საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში<sup>57</sup>.

აქვე ყოფილა გამოყენებული ცულების თავისებური სახე, რომელსაც ძალზე სქელი, თითქმის თანბარი ივანის. მაგრამ წელში ოდნე გამოყვანილი ტანი აქვს, მცირედ გაგანვირებული და უწყისოდ მომრგვალებული პირი. ერთი ასეთი ყუანაკული ცული სვანეთიდან საქ. სახ. მუზეუმში ინახება. ერთი მესტიის მუზეუმშია (ტაბ. XLV, სურ. 12); ისინი ტანის მოყვანილობით თითქმის იმეორებენ ქუთაისის მუზეუმში დაცული ცულების იმ ეგზემპლარებს. რომლებიც აღმოჩენილია ლილაში და დვედში; ეს ცულები ასაკით შესაძლოა ძე. წ. II ათასწლეულის შუა ხანებზე ოდნე მოგვიანო პერიოდის იყოს. სხვათა შორის, მესტიის მუზეუმში დაცულია აგრეთვე კოლხური ცულების I სახეობა (ტაბ. XLV, სურ. 10) და კოლხური ცულების III და IV სახეობა. განსაკუთრებით ბევრია IV სახეობის ცულები ვარიანტებით: ყუაკვირისანი, ორფერდა, მაგრამ მინდვ საკმაოდ მსხვილყუიანი და მახვილყუიანი, მათ შორის შესანიშნავად გრავირებული ცულიცაა. ამრიგად, მესტიისა და საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდში ბევრია სვანეთის ტერიტორიიდან მომდინარე IV სახეობის კოლხური ცულები. მისი შედარებით ადრეული ფორმები და მათი განვითარებული სახეები.

ცულები IV<sup>1</sup> ქვესახე (ტანმრუდე ცული) სვანეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი.

მესტიის მუზეუმში ინახება აგრეთვე ბრტყეული ცულების ის ვარიანტი, რომელიც რაჭა-ლეჩხუმის მხარისათვისაა დამახასიათებელი. კოტისებრი გვერდითი შევირლებით და ვორდა პირით.

სამიწათმოქმედლო იარაღის არც ერთი ტიპი და სახეობა სვანეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ არის ნახული. თუ არ მივიღებთ მხედველობაში მიწის დასამუშავებელ ფოთლისებრ იარაღს, რომელიც მესტიის მუზეუმში ინახება; მისი ანალოგია მხოლოდ სამეგრელოში—ჯვარშია ნაპოვნი (2 ცალი) და ინახება ზუგდიდის მუზეუმში. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სვანეთში, დასავლეთ

<sup>54</sup> ო. ჯაფარიძე, ქართული ტომების ისტორიის: თვის ლითონის წარმოებას ადრეულ საფეხურზე, გვ. 51.

<sup>55</sup> A. A. Иессен, Прикубанский оаг, გვ. 100, სურ. 33.

<sup>56</sup> იქვე, სურ. 29.

<sup>57</sup> იქვე, სურ. 8.

საქართველოს ამ ყველაზე მაღალმთიან ზოლში, მიწათმოქმედებს არ შეიძლება წააგვიანო ადგილი სქეროდა, რომ ამ მხარეში მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ერთის მხრივ მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო და მეორე მხრივ სამომადინო მეტალურგიული წარმოება.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეტალურგიული კულტურის ძეგლებიდან მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარის ქიმიური შედგენილობაა ჩვენთვის ცნობილი: შუამნარჩაოს პერიოდის ცულის შემადგენლობაში (ინფ. 11 — 32: 34) მხოლოდ დარიშხანი შედის, 4.1%. 95.6% სპილენძია: მეორე ცულის შედგენილობაში, რომელიც ალბოთ ძვ. წ. 15—14 საუკუნისაა (ინფ. 11—32: 38 ტაბ. XLV, სურ. 12), აგრეთვე მხოლოდ დარიშხანს ნარევა 4.76%. სპილენძი 94.62%. ასე რომ, ა? ორი ცულის ქიმიური შედგენილობა თითქმის ერთნაირია და ისინი ამ მხრივ უახლოვდებიან ადრებრინჯაოს პერიოდის ყუამილიან და ყუადაქანებულ ზოგადი ცულებს. სამაგიეროდ, აქურა IV სახეობის კოლხური ცულები კალის დიდი მინარევს შეიცავენ: ერთის შედგენილობაშია (ინფ. 11—32: 2) 8.46% (უმნიშვნელო მინარევის სახითაა დარიშხანი—0.37%). სოლო მეორე ცულის შედგენილობაში (ინფ. 11—32: 6) 8.61%: გარდა ამისა, მინარევის სახით არის ტყვია (0.33%), დარიშხანი (0.46%) და ანთიმონი (0.33%). სატეხის შედგენილობაში კი დარიშხანის დიდი რაოდენობაა (6.21%). ამას გარდა მასში მინარევის სახით შედის კალაი (0.64%).

კოლხური კულტურის გავრცელების ფარგლებში, მხოლოდ კოლხეთის ტერიტორიით არ ვანისაზღვრებოდა. გვიანბრინჯაოს პერიოდში იგი საქმადო დაშვიდრებული უნდა ყოფილიყო მესხეთ-ჭავჭავთში (ზემო ქართლი). ამავე დროს, ერცელდებოდა შიდა ქართლის ჩრდილო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში (თითქმის არაგვამდე) და, როგორც ჩანს, გზა გაუკვლევია და შეუწყვეტა ყუბანის მხარეშიაც მისი ძირითადი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტის ცულების სახით.

როგორც ცნობილია, მესხეთ-ჭავჭავთში უძველესი კულტურის ერთ-ერთი მეტად საინტერესო მსარეთაგანია. იგი უშუალოდ ემიჯნება კოლხეთის ერთ-ერთ ძლიერ მეტალურგიულ საწარმოო რაიონს—აჭარას. აღნიშნული მხარე ჩვენთვის სა-

ინტერესო პერიოდში. როგორც უკუჩვენებს კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში ექცევა<sup>58</sup>. საქმე ასაა. რომ ამ მხარეში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს პერიოდისა და მისი მომდევნო ხანის მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი, ეკრძოდ სამეურნეო იარაღები. თავისი ხასიათით. ძირითადად, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმისაა. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი და მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი უნდა განძიო. რომელიც გარკვევით განეკუთვნება გვიანბრინჯაოს პერიოდს და წარმოადგენს ძელითონის კეთვნილებას. განძის შემადგენელი ნივთების ურთიერთშედავებიდან ჩანს, რომ ამ კომპლექსის უდიდესი ნაწილი ვ. წ. კოლხური კულტურის წრეს განეკუთვნება<sup>59</sup>. ჩვენს პირველ რგვში, ყუადაღებს მთავრად ამ განძის ცულებზე, რომელთაგან ორი I სახეობის მიეკუთვნება, ორი კი განსხვავებული ფორმისაა: მსხვილი, გაგანვირებული. სატარისაგან გამოყოფილი ყული. ჩაქურისებრი ყუა და გარდა პირაქვის: ამ ცულების მიანლოვევითი ანალოგია, ოღონდ უფრო სიმეტრიული პირით. ცნობილია ქარის მეტალურგიულ საწარმოო რაიონიდან იქილეთ სალორეთისა და ჩაისუბნის ცულები ისევე მხარდან მსგავს ცულებს ჩვენ არ ვიცნობთ. ისე რომ, მათა გავრცელებას არეალი არ სცილდება აჭარასა და მისი მომიჯნავე ჭავჭავთის ტერიტორიას. უნდა განძისეული შუბის პირებზე, როგორც სხვა რიგის ზოგიერთი ნივთიერი მასალა და ამ ნივთების გაფორმების ხერხები კოლხური კულტურის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს.

ჭავჭავთში. ასპინძის რაიონში, სოფ. ხიზაბე-რაში ნაპოვნი ფართობიანი, წელში მოხრილი ბრინჯაოს თოხები (ორი ცალი); სოფ. გომანში აღმოჩენილი კოლხური ცულის I სახეობა<sup>60</sup>. პრაფ. გ. ნორაძის გამოქვეყნებული აქვს ორი ეგზემპლარი კოლხური ცულისა (III სახეობა), ნაპოვნი ბორჯომის ხეობაში. ბორჯომსა და ხაშურს შორის<sup>61</sup>.

მეტად საინტერესოა თელავანის ხეობაში აღმოჩენილი განძი. რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალებისაგან შედგება. (დიდი ზომის სემენტური იარაღები. განვირპირიანი. წელში მოხრილი თოხი). თელავანში ნაპოვნი აგრეთვე განვირპირიანი მეორე თოხი. საქართველოს სახ.

<sup>58</sup> ა. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, უნდა განძი, გვ. 60—61.

<sup>60</sup> გ. ნორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, ტაბ. XIII, სურ. 9.

<sup>61</sup> ი. ჯეჯე, ტაბ. II, სურ.

<sup>58</sup> ო. ჯავახიშვილი, კოლხური ცული, გვ. 53.  
რ. აბრამიშვილი, რეინის აფესების საიოხი-სათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 349.

ნუბეზში და, ელრა თობი, რომელიც საკატალო-  
კო ჩანაწერების მიხედვით. ახალციხის მუზეუმის  
კოლექციონარანა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან  
ფაქტად ჩვენ მანის ის გვესახება. რომ მესხეთში  
სოფ. თელავანის მახლობლად აღმოჩენილია კოლ-  
ხური ტყლის IV სახეობის ყალიბი. რომელსაც  
მწვენივრად ერეკდა სოფ. მტკვარში აღმოჩენი-  
ლი კოლხური ტყლა<sup>62</sup>. ეს ყველაზე უძველესი  
საპუთია იმისა. რომ ამ მხარეშიაც ხდებოდა კოლ-  
ხური ტყლის ჩამოსხმა. ამავე დროს, წალღერის  
მახლობლად მიყვანულ გვიანბრინჯაოს პერიოდ-  
ის სამსხმელო სახელოსნოს ნაშთებს შორის ნა-  
პოვნია ტყლის ჩამოსასხმელ ფორმაში ჩასართო  
თხის ორი ოვალური კობი (шпатель) იარაღის ყუ-  
ლ მისაღებდ. რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის  
აზრათ. შეაძლებლობას იძლევა გამოვლენათ მო-  
სახრება გვიანბრინჯაოს პერიოდში აქ კოლხური  
ტყლების ჩამოსხმის სასარგებლოდ<sup>63</sup>.

ამრიგად, ერთის მხრივ თვით ნივთიერი ძეგ-  
ლები: კოლხური ტყლები, ბრინჯაოს თოხები, სეგ-  
მენტურა იარაღები (ბარები), მეორე მხრივ კოლ-  
ხური ტყლის ჩამოსასხმელი ყალიბის აღმოჩენა და  
სამსხმელო სახელოსნოს გადამყარება შორის ტყ-  
ლის ყულის მისაღები თხის კობს პოვნა უდაოდ  
უნდა ეტყუებუდნენ იმაზე, რომ ამ მხარეში კოლ-  
ხურა კულტურა ძლიერ ფეხმადგული ყოფილა,  
რომ იგი უძველესი შედარად კოლხური კულტურ-  
ის: ჯავრების სფეროში. ხოლო ის ფაქტი,  
რომ წალღერის მახლობლად აღმოჩნდა მეტალურ-  
გიული წარმოებისა და სამსხმელო სახელოსნოს  
ნაშთები, აქარად მიუთითებს აქ მეტალურგიული  
წარმოებას ყერის არსებობაზე.

არ შეიძლება სპეციალურად არ შევიჩრდეთ  
კოლხური და აღმოსავლურ-ქართული კულტურე-  
ბის ურთიერთობის საკითხებზე, პირველ რიგში.  
მოდა ქართლისა და განსაკუთრებით, მისი ჩრდილო  
ზოლი კულტურასთან დამოკიდებულების საკით-  
ხებზე.

ნივთიერი ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ აქ  
გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხური-  
დან დაწყებული (აღარას ვამბობთ უფრო ადრეულ  
პერიოდზე). ორმხრივ დინებას უნდა გაეყვლია გზა-  
დასავლურ-ქართულს, რაჟალგისუმ-ნივრეთის მხა-  
რადან და აღმოსავლურ-ქართულს შიდა ქართლის  
ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეიდან: ამავე  
დროს, მჭიდრო ურთიერთობა შეინიშნება ყომა-

<sup>62</sup> გ. ნობიძე, დას.ხ. ნ.შ.ა. გვ. 194, სურ. 4.

<sup>63</sup> Т. Н. Чубинашвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбашидзе, Археологические разведки в Южных районах Грузии, СА 4. 1957, გვ. 117.

<sup>64</sup> В. А. Кухтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетия и Имеретия в. 62.

ნურ კულტურასთან, საიდანაც, როგორც ჩანს, უმ-  
თავრესად სამკულტურო ფორმები ვრცელდებოდა.  
როგორც ცნობილია, ამ საკითხებს თავის დროზე  
უკრადლება მიაკვია პროფ. ბ. კუფტინმა, ძირითა-  
დად ნაყარგორის კერამიკულ მასალასთან დაკავ-  
შირებით, რომელიც თავის ხასიათით და უმთავ-  
რესად, ორნამენტაციით ნაოხრამუს ბორცვზე, აღ-  
მოჩენილ კერამიკას ენათესავება და განსხვავდება  
კერამიკის შიდა ქართლ-მცხეთური ვარიანტისა-  
გან<sup>64</sup>. ამავე დროს, სამხრეთ-ოსეთის ტერიტორია-  
ზე მის მიერ საკონტროლო გათხრებით მოპოვებულ  
და ცხნავლის მუზეუმში დაცული არქეოლოგო-  
ური ძეგლების შესწავლის საფუძველზე (რომლე-  
ბიც ლიხვისა და ფრონეს ხეობიდან მომდინარეო-  
ბენ), ბ. კუფტინი გვიანბრინჯაოს პერიოდის და-  
სასრულში ვარაუდობდა შიდა ქართლის ხშირი და-  
სახლების ეთნიკურ-კულტურულ მჭიდრო კავშირს  
ძველ კოლხეთთან; მაგრამ, ცენტრალური კავკა-  
სიის ამ მხარეში (თლი, სტირფას-ღარი) იგი ხედავ-  
და ტომთა განსაკუთრებულ შტოს თავისი საწარ-  
მოო თავისებურებებით. რომელიც განსხვავდებო-  
და, როგორც ყომაწურისაგან, ისე სუფთა დასავ-  
ლურ-ქართული ვარიანტებისაგან<sup>65</sup>.

ნაყარგორის არქეოლოგიური ძეგლების შეს-  
წავლის დროს, გ. გობეჯიშვილი მიუთითებდა იმ ერ-  
თიანობაზე, რომელიც შეიმჩნევა დასავლეთ სა-  
ქართველოს, თრაქეთის და სხვა მხარეების კერა-  
მიკულ და სხვა ნაწარმსა და ნაყარგორის სათანა-  
დო ძეგლებს შორის. ამავე დროს, ის ნაყარგორას  
ძეგლებთან იმიერკავკასიის ძეგლების სიახლოვე-  
საც არ გამოირცხავდა<sup>66</sup>.

შიდაქართლის ჩრდილო ზოლის გვიანბრინ-  
ჯაოს პერიოდისა და მისი მომდევნო ხანის მატერი-  
ალური კულტურის ძეგლების შესწავლაზე დიდი  
ხანი მუშაობს ბ. ტუხოვი. თლის სამაროვანზე მო-  
პოვებული არქეოლოგიური მასალების შესწავლის  
დროს მას შემუშავებულია შემდეგი მისაზრებანი;  
ა). ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში მდ.  
ტლიდონის ხეობაში უნდა ყოფილიყო ლითონის  
დამუშავების პატარა კერა, სადაც ადგილობრივი  
ტომის მოთხოვნილების საფუძველზე მზადდებო-  
და ბრინჯაოს ნივთები; ბ). ბ. კუფტინის დაკვირვ-  
ებისამებრ, ბ. ტუხოვიც ხედავს მთიანი რაჟისა და  
ყომაწანის სამაროვანის მასალებთან თლის სამა-  
როვანის ნივთიერი მასალის ახლო ანალოგიას.  
მაგრამ მათ არ თვლის ერთი ცენტრადან  
მომდინარე ძეგლებად. მისი აზრით, ეს რაიონი

<sup>65</sup> იქვე, გვ. 62—63.

<sup>66</sup> გ. გობეჯიშვილი, ცხნავლის ნაყარგორა, მი-  
მზილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 271.

დასახლებული ყოფილა ყობანური კულტურის მა-  
ტარებელი ხალხით<sup>67</sup>.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ წერი-  
ლებში ბ. ტუხოვა უფრო გარკვევით გამოთქვა მო-  
საზრება იმის შესახებ, რომ, თითქოს, გვიანბრინ-  
ჯაის პერიოდის დასასრულს და რკინის ხანის და-  
საწყისში ყობანური კულტურა დამკვიდრებულა  
მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზედაც და.  
მამასადამე, ქედის ოროვე ფერდობზე დასახლებულ-  
ნი ტომები გენეტიკურად იყვნენ დაკავშირებული  
ერთმანეთთან, რომ მათ ჰქონდა აგრეთვე კულ-  
ტურული ურთიერთობა ჩრდილო და აკავკასიის  
სხვა მეზობელ რაიონებთან<sup>68</sup>. ბ. ტუხოვი სპეცია-  
ლურად ჩერდება თლის სამაროვანზე აღმოჩენილი  
ნივთების ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის კოლ-  
ხურ კულტურაზე და მთლიანად იზიარებს ე. კრუ-  
ნოვის თვალსაზრისს, რომელსაც კოლხური ცულე-  
ბის ეს ერთიანი ჯგუფი (ტიპი) სხვადასხვა სახეო-  
ბებით, როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, და-  
საწყობებული აქვს: კოლხურად (III სახეო-  
ბა) ყობანურად (IV<sup>1</sup> ქვესახე) და ატიპურად  
(IV სახეობა). ავტორის აზრით, ეს ცულეები ფარ-  
თო ტერიტორიაზე გვხვდება ამიერ და იმიერკავკა-  
სიაში, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით თურ-  
მე ცენტრალურ კავკასიაში ყოფილა აღმოჩენი-  
ლი<sup>69</sup>. ზემოთ ჩვენ უკვე არა ერთხელ გვქონდა აღ-  
ნიშნული, რომ მკვლევარები, რომელნიც ცდილი-  
ბენ დაეკონ კოლხური ცულეები სხვადასხვა ტიპის  
იარაღად და ამ ნივთებზე გამოიტანონ ფართო ხა-  
სათის დასკვნები კავკასიონის ქედზე სხვადასხვა  
ტომების დასახლების შესახებ. არ ითვალისწინე-  
ბენ ამ იარაღის წარმოშობასა და განვითარების  
დროისა და ადგილის მაჩვენებელ უტყუარ ფაქ-  
ტებს. კონკრეტულად არ იკვლევენ მათი ჩამოყა-  
ნების პროცესს, გავრცელების პათსა და მეო-  
რადი კერების წარმოქმნის საკითხებს; ყოველივე  
ამას კი გადაწყვეტენ მნიშვნელობა აქვს.

ე. წ. II ათასწლეულს შუა ხანებიდან მოკ-  
ლებული თითქმის ათასწლეულის მანძილზე შე-  
ინიშნება ერთი მოდგმის იალხის მიერ შექმ-  
ნილი ერთიანი დასავლურ-ქართულ-კოლხური  
კულტურა. ამ კულტურის შიგნით ჩანს ცალ-

კეული საწარმოო რაიონები. ხოლო თვით ამ  
რაიონებში. — ცალკეული სახელისნო კერები.  
კოლხური ცული ამ წიაღში წარმოშობილი  
და ჩამოყალიბებული. მისი ერთიანობა ს-  
უეტოსოდ გამომსატეული იარაღია: მისი ადრე-  
ული სახეები, როგორც ვნახეთ. ძვ. წ. XIV საუე-  
უნეს დასკვნებზე. ძვ. წ. II ათასწლეულის მიწე-  
რულისა და I ათასწლეულის დამდეგს კოლხური  
კულტურა თავისი განვითარების ზენიტს აღწევს და  
თუ მისი ზრდითა ელემენტს სხვა მხარეზე იჩენს  
თავს, ეს უთუოდ უნდა იმით ახსნას, რომ ამ მხა-  
რეში იზრდება ურთიერთობა ტომებს შორის, ცხო-  
ველდება აღმშენებლობა და კულტურული ურთი-  
ერთობა. შიდა ქართლში საერთოდ და მის ჩრდი-  
ლო ნაწილში (თანხედროვე სამხრეთ-ოსეთი). კერ-  
მოდ კოლხური კულტურის ელემენტებს ღრმად  
შეუღწევათ. აქ კოლხური კულტურასათვის  
დამახასიათებელი ნივთიერი მასალების (განსა-  
კუთრებით იარაღების) თითქმის ყოველი ფორ-  
მაა წარმოდგენილი. რაც იმაზე მეტითთვისს.  
რომ ჩვენა საკვლევ პერიოდში საქართველოს ეს  
მხარე კოლხეთის აღმავალი და შენაიშხავი კულ-  
ტურის დიდ ზეგავლენას განიცდიდა. როგორც  
ცნობილია, თერგვანში აღმოჩენილია თოხები (   
ცალი), რომელთა შორის არის როგორც სწორტა-  
ნიანი, ისე წელში მოხრილი და განიერპირიანი და  
ტრაპეციის მაგვარიც. ტრაპეციისმაგვარი თოხის  
ერთ-ერთი ეგზემპლარს უყანა პირზე გრძელ-  
უწყნიანი ისრისპირის რელიეფური გამოსახულებდა  
ზეუსტად ისეთივე, როგორიც თხმირისა და ტოლს  
ანისიეული თოხების უყანა პირზე შეიმჩნევა. გარ-  
და თოხისა. სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე მათ  
შორის თლის სამაროვანზედაც, ნაოვონია სემენ-  
ტური იარაღები. თერგვანში ნაოვონი ბარის ფორ-  
მის დიდი ზომის სემენტური იარაღი საქ. სახ. მუ-  
ზეუმში ინახება. ერთი ცალიც ცინგალის მუზე-  
უმშია დაცული. ამ მხარეში ნაოვონია ბრტყელი  
ცულეების სხვადასხვა ფორმა: ცინგალი, განძის  
შემადგენლობაში ამ იარაღის ისეთი ფორმებია,  
რომლებიც მხოლოდ შიდა ქართლისათვისაა დამა-  
ხასიათებელი (სამკაპა დაბლოებთ). ხოლო  
თლის სამაროვანზე—ბრტყელი ცულის ისეთი ეგ-  
ზემპლარია აღმოჩენილ<sup>70</sup>. რომელიც მხოლოდ რა-

<sup>67</sup> Б. В. Т е х о в, Позднебронзовая культура Тиха-  
ского бассейна, Сталинград, 1957, гл. 134—135.

<sup>68</sup> Б. В. Т е х о в, Могильник эпохи поздней бронзы  
в с. Тли, СА, № 1, 1960, гл. 178.

<sup>69</sup> Б. А. Т е х о в, Раскопки Тлишского могильника  
в 1960 г., СА, I, 1963, гл. 166.

<sup>70</sup> ბ. ტუხოვის ბრტყელი ცულების მხოლოდ განაზ-  
ღვრული ნაწილი მიიჩნია ხის დასამუშავებელ იარაღად. ამას-  
თანვე იგი მართებულად მიიჩნევს ნ. ტრუპნიკოვას (!) და ე.  
ნორდის მოსაზრებას თითქოს—ბრტყელი ცულების განსა-

ღვრული ნაწილ ტყავის დასამუშავებელ იარაღ ყოფილი-  
ყოს. ჩერ არ ვხვდები ცულების დამ-შენებლების საკითხს  
სრულად არ შეხება ნ. ტრუპნიკოვა. იგი სტატიაში К во-  
просу о назначении кованых «сечек». КСИИМК. XII,  
1947, гл. 49—53, განიხილავს მხოლოდ აკვანტური იარა-  
ღების დამ-შენებლების საკითხს. ბოლო — ბრტყელი ცულე-  
ბი ჩვენ არ გვიჩვენა ტყავის დამ-შენებელი იარაღი. მისი  
ცულე სტატია ბიზნუტობისთან უნდა უკუვიწროდ დაეკ-  
ვირებოდით (იხ. ჩვენი შრომა „ბრტყელი ცულეები“ ხელ-  
ნაწერი).



კვლევებისათვის არის დამახასიათებელი, მაღალი გორდა პირთა და კოტისებრი გვერდითი შევრჩობით. წოისის კოლექციის შემადგენლობაში. შეადარებაბრტყელებული თავსნილი, მასიური ისეთი რგოლია, რომლის ზუსტი ანალოგები ლავობის ბირსა და პირველის განძის შემადგენლობაშია. ცხინვალის განძის შემადგენლობაშია აგრეთვე. იუტრემის განძისველი კომბინირებულ იარაღის ე. წ. ელნამგალის მსგავსი ნივთი და ისეთი ნამგლის ფრამგენტი, რომელიც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიისათვისა და დამახასიათებელია; იგვერტეობა იქმნება პირმომდგენლებული და ვერტკალურებრტყელებსა სტეხზე, ეუბზე აღმართულ ხაიის ქანდაკებთან კოლხურ ტელზე (ტაბ. XLVI. სურ. 21) და ელვების სხვადასხვა სახეობებზე, რომლებიც სკავილდ მრავალდა აღმოჩენილი ამ მხარეში. ჩვენ დავასახელებთ ნოვოგორის მთ. განძს: ცხინვალის განძის შემადგენლობაში არის როგორც მესამე. იე IV და IV' ქვესახე კოლხური ტელისა. წინაის კოლექცია შემადგენლობაში. სულ 7 კოლხური ტელი უფიდაა. რომელთაგან ერთი დაეცლა ცხინვალის მუზეუმში, 2 III სახეობისაა. პირ IV სახეობის, სოფ. საფეგურზი (ლენინგრაის რაიონი) და სოფ. ღორაში (ცხინვალის რაიონი) III სახეობის კოლხური ტელი, როგორც უკრა გვერდზე აღნიშნული, სხვადასხვა სახის კოლხურ ტელეების დიდი რაოდენობაა ნაპოვნი თოის სამაროვანზე (სურ. 63) და სხვა.

ზემოაღმოვლილი ეს მრავალრიცხოვანი მასალა (უფრო ანასრული) მიუთითებს არა მარტო იმაზე, რომ ამ მხარეთა შორის რაღაცნაირი კულტურული ერთეობობა იყო. არამედ იმაზეც, რომ ამ საქმოდ მლოერად იყო ფეხმოკიდებულა და ფართოდ ვრცელდებოდა კოლხური კულტურა. რაც შეეხება შიდა ქართლის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს, აქაც ღრმად შეუღწევა კოლხური კულტურის ელემენტებს. უმთავრესად იხილება. ანეკარი ურთიერთობა გვიანბრინჯაოს პერიოდის თარქმის ადრეული საფეხბრდან შეინიშნება. ამ ჩვენ ვპოულობთ კოლხური კულტურის


11 მანე რაგარ გვესახება იბერიული და კოლხური კულტურის თანაფარობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე; თქვენვე უფიდაა, რომ სკავია რაოდენობითა აღნიშნული შედარებას ტერიტორიაზე დასკვლერ ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთიერ ძეგლები, როგორც გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხბრებისათვის, იე ძვ. წ. II ათასწლეულის მიწერტლისა და I ათასწლეულის დასწყისში. მანე აღმოსავლეთ ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ძეგლები გაეცლება შეტე რაოდენობითა, ისე რომ, ამ პერიოდში როგორც ჩანს, შიდა ქართლს თავის დამოუკიდებელი ტელე შედარება ტელტურებრული და სკავიარა ვერატი უფიდა ცხინვალის განძის რაოდენობითა სკავიარა

უფიდა ტიპური ფორმის, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ტელეები. კოლხური ტელეების I სახეობა ნაპოვანია სურამში (ინგ. 3—35 : 1, სურ. 55), სასირეთში (განძის შემადგენლობაში ტაბ. X, სურ. 7), სოფ. აბანოში (სურ. 88), სოფ. ხევიში (გორის რაიონი); გორის მუზეუმში და ცალი ერთადერთი ასეთი ტელის აღმოჩენის ადგილი ზუსტად არ არის მითითებული. I სახეობის კოლხური ტელი ნაპოვანია გოსტინიში, ახალქალაქში (განძის შემადგენლობაში); III სახეობის კოლხური ტელეები ფასანაურში, ცხირეთში (კასპის რაიონი), სამთავროს N 208 სამარხში: IV სახეობის 2 ტელი ნაპოვანია ხაშურის რაიონის სოფ. აღში, ფასანაურში (მახვილციანი ვარაანტი). ჩაბარუსის განძის შემადგენლობაში. ერთი ცალი კი სამთავროს სამაროვანზე. IV' ქვესახე ნაპოვანია სამთავროს სამაროვანზე ერთი ცალი. ხოლო ჩაბარუსის განძის შემადგენლობაში 2 ცალია. 6 ცალი სეგმენტური იარაღი აღმოჩნდა ურბნისში, გვიან ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხბრის სამარხში; ბრინჯაოს თობები ნაპოვანია მოხისში და ხანდაკეში (კასპის რაიონი), კოდის წყაროსა და შუახევიში (დუშეთის რაიონი), ახუნდაში და სხვა. ასეთია არასრული სურათი დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთიერი ძეგლების (უმთავრესად იარაღების) გავრცელებისა შიდა ქართლის ტერიტორიაზე. როგორც დავინახეთ, კოლხური კულტურის ერთეობობა დამახასიათებელმა იარაღმა თონმა დუშეთის რაიონშიც კი შეაღწია, სადაც აგრეთვე სკავია რაოდენობითაა აღმოჩენილი კოლხური ტელეების IV სახეობა და IV' ქვესახე?!

შესაძლოა, რომ მდ. ტლიდონის ხეობაში მართლაც არსებობდა მელითონეობის პატარა კერა, რომელსაც სპეციფიკური ნაწარმი გააჩნია; ისიც შესაძლებელია, რომ კავკასიონის ჩრდილო და აღმოსავლეთ ფერდობზე ერთი მოდგმის ტომები ესახლა—ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ასე მარტოვად, მით უფრო, ამ არ გადაწყდება და ჩვენ ამის პრეტენზია არ გვაქვს. ჩვენ საკითხის მეორე მხარეზე გვიჩინდა გავამახვილოთ ყურადღება. რ

ლოკური ძეგლების, ისე შიდა ქართლის უფრო ცენტრალური რაიონების არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ასეთი სურათი შეინიშნება როგორც გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხბრზე, ისე მის მომდევნო ხანაში. ასე რომ, როგორც თავის დროზე აჯალ. ნ. ქანაშია აღნიშნავდა: „აღ; ენდელი ქართლი, ჩანს მაშინაც ისეთი ცენტრალური იემი იყო, სადაც ერთმანეთს ხედიდობდა და თავის და მოკიდებლას უზარტებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ სკავიარეულის მოსახლებმა (ინგ. 5, ბერქენიშვილი, ი. ქანაშია, სურ. 1, თბილისი, 1948, გვ. 27). ასე რომ, იგი არ უნდა უფიდა კოლხური კულტურის წრეში უფიდალ შემაჯალ მხარე.

ბაზაზე შეიქმნა და ჩაიყალიბდა ვიქვით იგივე ყობანური კულტურისა ან თლის სამაროვანზე აღმოჩენილი ესოდენ მნიშვნელოვანი გვიანბრინჯაოს პერიოდისა და მისი მომდევნო ხანის ძეგლები? ერთბაშად ხომ არ არის გაჩენილი ის შესანიშნავი ცულები ყობანსა და თლის სამაროვანზე რომ გა-  
მოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის პირველ მეოთხედში? სხვათა შო-



სურ. 88. ცული სოფ. აბახოვან

რ-ს, თვით ბ. ტეხოვი თავისი ადრეული შრომის დასკვნით ნაწილში უფრადლებას ამბავლებდა: იმ ფაქტზე, რომ ყობანში არა ჩანს ადრეული, ამ კულტურის უშუალო წინამორბედი ძეგლები და ფრ.

<sup>19</sup> Б. В. Т е х о в, Позднебронзов. культура Лиахвского бассейна, гл. 135.

<sup>20</sup> როდესაც წინამდებარე ნაშრომი გადაცემული იყო წარმოებაში, გამოქვეყნდა ბ. ტეხოვის შრომა: «К истории изучения памятников в эпохи неолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахвы», Тбилиси, 1963 г. მასზე ავტორის გამოქვეყნებული ქვეს. ლვირასში (ცხინვალის მახლობლად), 1957 წ. აღმოჩენილი მეტად საინტერესო სამარხული კომპლექსი (დასბ. ნაშრ., გვ. 72. სურ. 30). იგი შედგება I სახეობის კოლხური ტულისა, მსარგავსნილი შუბის პირისა, თევზისა სკიპონისა და თიხის ჩამოსაგან. აღნიშნული კომპლექსი მასში შემავალი ბრინჯაოს ნივთების მიხედვით თანადროულია შიდა-ქართლის გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხების სამარხული კომ-

პანჩარსაც კი აკრიტიკებდა იმის გამო, რომ იგი აღიარებდა ყობანური კულტურის გავრცელებას ჩრდილოეთიდან კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე; ბ. ტეხოვი კი შიიჩნევდა, რომ იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთით გავრცელდა. სამართად იშველებდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე აღმოჩენილ ადრეულ ძეგლებს<sup>22</sup>. მაგრამ შემდეგ მან რატომღაც ერთბაშად შეცვალა აზრი და გვიანბრინჯაოს პერიოდის დასასრულსა და რკინის ხანის დასაწყისში აღიარა ყობანური კულტურის დამკვიდრება მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე. მართალია, თლის სამაროვანზე აღმოჩენილია ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ძეგლები, მაგრამ მათ შორის არ არის კოლხური ცულებს ადრეული ფორმები; ასეთი ცულები კი ნაპოვნი სამხრეთ ოსეთის უფრო ქვემო ზოლში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნულში აღმოჩენილი ცული (ტაბ. XLVI, სურ. 1)<sup>23</sup>. თლის სამაროვნის ძირითადი ნაწილი. კერძოდ ის სამარხები, რომლებშიც ცულები ჩნდება, შედარებით გვიანდელია (განვითარებული რკინის ხანისა). იმ დროს, როდესაც მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე — მის სხვადასხვა მხარეში და სამხრეთ ოსეთის ქვემო ზოლშიც კი, კოლხური ცულების განვითარების უწყვეტი ჩაქვი შეინიშნება დაწყებული გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურიდან. კიდევ მეტე, როგორც ადრე აღვნიშნავდით. ჩრდილო-კავკასიის რკ ერთ მხარეში (მათ შორის არც ყობანში) არ არის ნაპოვნი უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული კოლხური ცულების არც უშუალო და არც შორეული წინაპარი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში გალიათში აღმოჩენილ ერთადერთ დაბალ. გორდა, მკვეთრად ასიმეტრიულპირიან და მახვილუქიან ცულს). მაშასადამე, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არც ყობანში არც უშუალოდ და ტლიდონის ხეობაში ვეძიოთ კოლხური (ცულების რომელიმე სახეობის წარმოშობის კერა. ამ მხარეში მათა პირველადი გამოჩენა და საერთოდ, გავრცელება უკავშირდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის

პლექსების (სამთაქროს უძველესი ორმო-სამარხები, ურბნის 31 და 219 ს.მარხი და სხვა), რომლებიც დაახლოებით ძვ. წ. XIV—XIII საუკ. თარიღდება. ავტორი რატომღაც კომპლექსს სრულიად ახალვაზრდევს. ათარიღებს რა მის ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით (იხ. დასბ. ნაშრ., გვ. 75). ამავე დროს იგი კომპლექსში შემავალ კოლხურ ცულს აიკუვებს ყობანის სამაროვანზე აღმოჩენილ მ.დ. და გორდა ასიმეტრიულპირიან კოლხურ ცულზე (III სახეობის ცულზეთან). ჩვენ უკვე წიხ აღვნიშნეთ, რომ კობანის სამაროვანი თითქმის არ იყნობს I სახეობის კოლხურ ცულს (რომელსაც წინა ნიღრი მკვეთრად აქვს დაშვებული უკანასთან შეკრებილი) და ამგვარად ახარ გვაიკრკლებთ მათზე სუბარს.

